# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 19 აგვისტო 2011 №17(147)



წიგნის რეკვიემი

გია კოშაძის ლექსები

ფრიდემ კარინტის ნოველები

დაკარგული სამოთხის ძიებაში

ხორხე ლუის ბორხესის კაბალა

ნინო გუგეშაშვილის ენაი კვიმატი

1516
2011

საქართველოს საზღვაო პოლიტიკა

საუბარი ავთანდილ პოპიაშვილთან

თავისებურება ქართული დუელისა

პაატა ჩხეიძე „კელტურ მიმწუხრზე“

თემურ ჩხეიძის ლიტერატურული ანკეტა

რჩევები „საბას“ მომავალ კონკურსანტებს

# წიგნის თარო


XIX საუკუნის
ქართველი მოღვაწენი




100 წიგნი
ადამიანები
ვაჟა-ფშაველა


მიხეილ ანთაძე


ზაზა აბზიანიძე
ლიტერატურული პორტრეტები
(ქართული პოეზიის სამი საუკუნე)


თამაზ ჩხენკელი
ტრაგიკული ნიღბები


მანანა ამირეჯიბი


გიზო ზარნაძე
მუზა


რეზო ადამია
საქართველო 2011

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| თემა მართლისა | 2 | ზურაბ კანდელაკი **რჩევები „საბას“ მომავალ კონკურსანტებს** |
| წუთები და წლები | 4 | როსტომ ჩხეიძე **წიგნის რეკვიემი** |
| | | (ამელი ნოტომის პიესა „საწვავი“) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 7 | თემურ ჩხეიძე **„დევიზი არც მინდა მქონდეს“** |
| | | (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა) |
| პროზა | 8 | ნინო გუგეშაშვილი **ენაი კვიმატი** |
| დღიურის ფურცლებიდან | 13 | თათია ჯგუშია **წერილი სამშობლოს** |
| პოეზია | 14 | გია კობახიძე **„წუთისოფელი ველარ მშვიდდება“ და სხვა ლექსები** |
| ესეისტიკა | 18 | ხორხე ლუის ბორხესი **შვიდი სალამო** |
| | | (მეშვიდე სალამო, „კაბალა“) |
| შტრიხები პორტრეტისათვის | 22 | ეკა ბუჯიაშვილი **ასე თქვენ გესაუბრებით** |
| | | (ავთანდილ პოპიაშვილი) |
| ერი და ბედისწერა | 25 | მანანა გაბაშვილი **შუა საუკუნეების საქართველოს** |
| | | **საზღვაო პოლიტიკა და ინტერესები** |
| რეპორტაჟი | 33 | თამარ ყალიჩავა **მხილების მაცოცხლებელი ძალა** |
| | | („ხანი უნდობარი“ გელათის სასულიერო აკადემიაში) |
| | 36 | ნინო დეკანოიძე **მუდმივად გამღიზიანებელი ბარიერთან** |
| | | („ქართული დუელიანა“ ლიტერატურის ინსტიტუტში) |
| შეხვედრა | 39 | პაატა ჩხეიძე **„კელტური მიმნუხრი“ უკვე ქართული წიგნია** |
| კრიტიკა | 42 | ეკა ცხადაძე **ოდნავ ქარისმიერი, ლალი და აშარი** |
| | | (ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური კრებული „ამინდები ბის-ზე“) |
| გამოხმაურება | 44 | მარინე ტურავა **დაგრუნტული ფონი** |
| | | (ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „მარჯვნიდან მარცხნივ“) |
| | 45 | შალვა საბაშვილი **„რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია“** |
| | | (გურამ პეტრიაშვილის სტატია „არა ნიჭითა ერთითა“) |
| ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ | 48 | ქეთევან ტომარაძე **განდობა** |
| | 48 | ირაკლი შამათავა **დაკარგული სამოთხის ძიებაში** |
| ახალი წიგნები | 55 | ანზორ ბრეგაძე **„წიგნი ყველასათვის და არავისთვის“** |
| | | (არატიპური გამოხმაურება მამუკა დოლიძის წიგნზე „კულტურის ფენომენოლოგია და კვანტური ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემები“) |
| ჩემი პატარა ქალაქი | 57 | ნინო ვახანია **„ამერ-იმერი“: წნორიდან თბილისში** |
| ახალი თარგმანები | 60 | ფრიდეშ კარინტი **სამი ნოველა** |
| მოზაიკა | 63 | **ძვირფასი სტუმარი** |



ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე


გარეკანზე: მზე ქვიშაში

კომპიუტერული გრაფიკა გია არაბულისა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2 სექტემბერს

ზურაბ კანდელაკი

# რჩევები „საბას“ მომავალ კონკურსანტებს

არავისთვის სადავო არ არის, რომ ლიტერატურული პრემიის „საბას“ დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და დამფუძნებლებს მხოლოდ კეთილი სურვილები გააჩნდათ, ხელი შეეწყოთ ლიტერატურული პროცესების განვითარებისთვის. აქვე აღვნიშნავ რომ ეს პრემია არაერთ ღირსეულ მწერალსა აქვს მიღებული. მით უფრო საწყენია, რომ რაც დრო გადის, ნებით თუ უნებლიეთ დაშვებული სხვადასხვა შეცდომები ცვლის დამოკიდებულებას ამ პრემიისადმი და კონკურსის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

ამ ეჭვების აღმოსაფხვრელად კი კონკურსის მესვეურები (თი-ბი-სი ბანკს არ ვგულისხმობ) არაფერს აკეთებენ, პირიქით, ჟიურის შერჩევის და ზოგიერთებისთვის პრემიის მინიჭებით, ხელს უწყობენ იმ მოსაზრების განმტკიცებას, რომ ხშირად გამარჯვებულის გამოვლენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა წიგნების მხატვრულ ღირსებას, არამედ იმას, არის თუ არა ავტორი იმ „კუტოკის“ წევრი ან მათთან დაახლოებული პირი, რომლებიც წარმართავენ „საბას“ ლიტერატურულ მხარეს.

ადრე ამის შესახებ მხოლოდ გაგებული მქონდა, ახლა კი, ჩემი პიესების კრებულის კონკურსში მონაწილეობის შემდეგ, მე თვითონ დავრწმუნდი ამ მოსაზრების სისწორეში და ძალიან ვნანობ, რომ ავყევი ცთუნებას და ისეთ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, სადაც რამდენიმე პიროვნების მიერ ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი და გადაწყვეტილი.

„საბას“ ლიტერატურულ მეპატრონეთა ქმედებების გასამართლებლად არსებობს მოსაზრება, რომ კონკურსი მაგათია, რასაც უნდათ იმას გააკეთებენ და რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ, მათი ნებაა, ვინც ფულს იხდის მუსიკასაც ის უკვეთავსო! ეტყობა ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ის პირები, რომლებიც არჩევენ ჟიურის წევრებს და ადგენენ სიას, თუ ვინ უნდა მიიღოს პრემია ამჯერად და ვინ მომავალში. მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ავიწყდებათ არსებითი — როცა კონკურსი ღიაა და საჯარო, ის უკვე კერძო პირებს აღარ ეკუთვნით. ის საზოგადოებრიობის კუთვნილებაა!

ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ცოტა ხნის წინათ გერმანიაში, როდესაც საზოგადოებრიობის მოთხოვნითა და ჟიურის რამდენიმე წევრის პრინციპული პოზიციის გამო, პუტინს ჩამოართვეს მინიჭებული პრემია „კადრიგა“, რამაც პრეზიდენტ მედვედევის გაოცება გამოიწვია და უსაყვედურა კიდეც გერმანელებს — ნებისმიერ ორგანიზაციას, ვინც პრემიებს ანიჭებს, შეუძლია აირჩიოს ის, ვინც მოსწონს, მათი ნებაა, ვის მიანიჭონ პრემია და ვის არა, სხვებს ამასთან რა ესაქმებათო. ალბათ პრეზიდენტი მედვედევი და ისინი, ვინც ასე ფიქრობენ, ვერასოდეს მიხვდებიან, რომ იქ, სადაც საზოგადოებრიობა პასიური დამკვირვებლის როლით არ შემოიფარგლება, სწორედაც რომ ესაქმებათ და მათი აზრის გაუთვალისწინებლობა აკნინებს პრემიასაც და მის მფლობელსაც. ამიტომაც აპირებდა უარის თქმას ვაცლავ ჰაველი ამ პრემიაზე და ამიტომაც გააუქმეს თავიანთი არასწორი გადაწყვეტილება პრემიის დამაარსებლებმა.



იმის გამო, რომ ასეთი სახის კონკურსები საჯარო და საზოგადოებრიობის და არა კერძო ჯგუფის კუთვნილება უნდა იყოს, თავს უფლებას ვაძლევ გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი იმ დარღვევებზე, რაც ყველაზე მეტად თვალში საცემია.

დავიწყებ ჟიურით.

ვფიქრობ, ორგანიზატორების ყველაზე დიდი „მიგნებაა“ ჟიურის წევრთა ვინაობის გასაიდუმლოება. რისთვისაა ეს საჭირო? რაო, არ ენდობიან ჟიურის წევრებს? ან იქნებ მალავენ ჟიურის ზოგიერთი წევრის არაკომპეტენტურობას? ან იქნებ ასე უფრო მოახდენენ ზეგავლენას ჟიურის წევრებზე და უფრო ადვილად მიაღებინებენ სასურველ გადწყვეტილებას?

საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემენ კონკურსის ორგანიზატორები.

ისე კი კანის, ვენეციის, ბერლინის და სხვა მრავალი კინოფესტივალის, ლიტერატურული პრემიების, მუსიკოსშემსრულებელთა კონკურსების ორგანიზატორებს ალბათ არ გაუგიათ ამ მეთოდის შესახებ, თორემ რამდენიმე თვით ადრე კი არ გამოაცხადებდნენ ჟიურის შემადგენლობას, არამედ საგულდაგულოდ დამალავდნენ და მათ ვინაობას მხოლოდ თავისიანებს გაანდობდნენ.

მე რომ თავიდან მცოდნოდა ჟიურის შემადგენლობა, აუცილებლად მოვხსნიდი ჩემს წიგნს კონკურსიდან, რადგანაც ეჭვი მეპარება მათ კომპეტენციაში (გურამ ოდიშარიას გარდა, მისადმი და მისი შემოქმედებისადმი ჩემი პირადი დამოკიდებულების გამო). ისე კი, იქიდან გამომდინარე, თუ რა ავტორების წიგნები არ მოხვდა ნომინანტთა სიაში, ეს ისედაც უნდა გამეკეთებინა და ძალიან ვნანობ, რომ ასე არ მოვიქეცი.

„საბას“ ჟიური, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანებდა თი-ბი-სი ბანკის წარმომადგენელი მაია ძირკველიშვილი, „ყოველწლიურად იცვლება. ეს “საბას“ პირველი ძირითადი პრინციპია. არის კიდევ ერთი, ასევე უცვლელი პრინციპი: ჟიურის შემადგენლობის მრავალფეროვნება, როგორც ასაკის, გემოვნების, ისე ჟანრების მიხედვით.“

ამ ურყევი პრინციპებიდან, მეორე, წელს აშკარად დაირღვა – ხუთკაციან ჟიურიში ორი მთარგმნელი იყო. და ეს დარღვევაც რომ არ ყოფილიყო, მაინც შეუძლებელი იქნებოდა ჟიურის მიერ ობიექტიური გადაწყვეტილებების მიღება, რადგანაც წარმოუდგენლად ძნელია თანაბრად ერკვეოდე ერთმანეთისგან ისეთ განსხვავებულ დარგებში, როგორიცაა, ვთქვათ, დრამატურგია და თარგმანი, ან ესეისტიკა და პოეზია... შეიძლება არსებობენ ასეთი ადამიანები, მაგრამ მე ეჭვი მეპარება, რომ ახალგაზრდა პოეტი, რომელიც შეთავსებით მუშაობდა თუ მუშაობს ლიტერატურისაგან ძალიან დაშორებულ სფეროში, ანდა სხვა უფრო გამოცდილი ჟიურის წევრე-

ბი ასეთ ადამიანებს განეკუთვნებოდნენ. ამიტომ, ჩემი აზრით, ჟიურის წევრები უნდა იყვნენ არა მწერლები და პოეტები, არამედ ლიტერატურათმცოდნეები, თეატრმცოდნეები, კრიტიკოსები. რომლებიც გაეცნობიან ყველა წარმოდგენილ წიგნს და პირუთვნელ მსჯავრს გამოიტანენ. მაგრამ, ეტყობა, „საბას" მესვეურებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, წაიკითხავენ ჟიურის წევრები წარმოდგენილ წიგნებს თუ არა.

როგორც ბატონი ამალლობელი ბრძანებს, ჟიურის წევრები ერთმანეთს ისე ენდობიან, რომ ყველა წიგნს თურმე არ კითხულობენ. აი, მისი გამონათქვამი: „შეიძლება ვიკითხოთ, ვისა აქვს ეს წიგნი წაკითხული და შემდეგ ვინაწილებთ ჟიურის წევრები. რალაც მომენტში ვენდობით ერთმანეთის შეფასებებს. მაგრამ ჩემს პრაქტიკაში არასოდეს მომხდარა, რომ არც ერთი წიგნი ჟიურის არც ერთ წევრს არ ჰქონოდეს წაკითხული."

ხედავთ, როგორ ზოგავენ თავიანთ დროსა და ენერგიას?! „ჩემს პრაქტიკაში არასოდეს მომხდარა, რომ არც ერთი წიგნი ჟიურის არც ერთ წევრს არ ჰქონოდეს წაკითხულიო." რა საჭიროა ხუთმა კაცმა წაიკითხოს, ერთიც საკმარისია!

თუ წელსაც ამ პრინციპით იმუშავა ჟიურიმ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ როგორ მოხვდნენ „საბას" გამარჯვებულთა შორის ჟიურის წევრის ბესო ხვედელიძის ლიტერატურული დაოსტატების პედაგოგი, მისი თანაავტორი (ერთობლივი რომანი ჰქონიათ დაწერილი), მისი ერთ-ერთი მეგობარი და ავტორი, რომლის ნაწარმოებიც დაბეჭდილია იმ ჟურნალში, რომლის მიწვეული რედაქტორიც ბრძანდება ბატონი ხვედელიძე.

ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს შორის შეიძლება ზოგიერთი ნამდვილად იმსახურებს ამ პრემიას. ამ შემთხვევაში ჩვენ კომპეტენტურები ვერ ვიქნებით და ალბათ ეს მომავალში ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსთა განსჯის საგანი გახდება. ჩვენ ეჭვებს იწვევს ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, "საბას" მესვეურები არ ითვალისწინებენ ინტერესთა კონფლიქტს. აქ ჩვენ მივადექით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. კონკურსის მონაწილეებისთვის უცნობია არა მხოლოდ ჟიურის წევრთა ვინაობა, არამედ ჟიურის მუშაობის პრინციპი – რეგლამენტი. როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ფარული თუ ღია კენჭისყრით, თუ ნომინანტებიდან ვერავინ ვერ აგროვებს ხმათა ნახევარზე მეტს, ინიშნება მეორე ტური თუ არა და ა.შ.

მე არაერთი საერთაშორისო და ჩვენში ჩატარებული კონკურსების ჟიურის წევრი ვყოფილვარ და „მუშაობის" მსგავსი სტილი არსად არ შემხვედრია.

ჟიურის არ ჰყავს თავმჯდომარე?!

საინტერესოა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში (ვთქვათ, ჟიურის ერთმა წევრმა თავი შეიკავა) როგორ უნდა გაარკვიონ გამარჯვებული? ან იქნებ ჟიურის წევრთა მორჩილი უმრავლესობის იმედით მსგავს შემთხვევას თავიდანვე გამორიცხავენ?

ისე კი, თუ ყველაფერი წინასწარაა გათვლილ-გაანგარიშებული, რა საჭიროა თავმჯდომარე.

დავუბრუნდეთ ინტერესთა კონფლიქტს. თუკი ასეთი პიროვნება მაინც მოხვდა ჟიურის შემადგენლობაში, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში და ეს უნდა გაცხადდეს შედეგების გამოცხადების დროს და ყველაფერი უნდა აისახოს შემაჯამებელი სხდომის ოქმში. ეს არ მომხდარა დასკვნით საღამოზე. საუკეთესო პიესის ნომინაციაში „გამარჯვებულს" ბატონმა ხვედელიძემ, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტის გამო საერთოდ არ უნდა მიელო მონაწილეობა კენჭისყრაში, თვითონ გადასცა ჯილდო.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია რეგლამენტის უხეში დარღვევით. აი რა წერია, თი-ბი-სი ბანკის საიტზე, 03.02.2011 წელს გამოქვეყნებულ რეგლამენტში: „პრემია "საბა"-ზე განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები." ვიმეორებ წიგნად გამოცემული და არა ჟურნალში დაბეჭდილი. ის, რომ კონკურსში დაიშვება ჟურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებები არსად, არცერთ განცხადებაში მითითებული არ არის. როდის და ვინ მიიღო რეგლამენტის ცვლილების გადაწყვეტილება, უცნობია. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილებაც ერთპიროვნულადაა მიღებული და ამოსავალი წერტილი საკითხისადმი „კუტკუ-რი" მიდგომაა. მაგრამ ვთქვათ და ჟიური წავიდა ასეთ დარღვევაზე და კონკურსში დაუშვა რეგლამენტით გაუთვალისწინებელი ნაწარმოები. ამ შემთხვევაში მათი გამართლება იმით შეიძლება, რომ ეს ნაწარმოები უნდა იყოს პიესა!!! და არა მცირე ფორმის ოპუსი, რომელსაც დრამატურგიასთან მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ ავტორმა ადრე გამოქვეყნებულ თავის მოთხრობას დაურთო მოქმედ პირთა სია და ასეთი ტიპის რემარკები. — „ეპიზოდები ნათდება ზემოდან ადგილმონაცვლეობით" (???). და სულაც რომ უნაკლო იყოს ეს პიესა, ის თავისი მოცულობით (ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრას" ორი ფურცელი) სულ სხვა ჟანრს განეკუთვნება. ეს იგივეა, რომ საუკეთესო რომანის გამოსავლინებელ კონკურსში ჩაგვერთო ნოველა. ერთი სიტყვით, ჟიურის ეს გადაწყვეტილება დრამატული ჟანრის აბუჩად აგდებაა.

ამასთან დაკავშირებით მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჟიურის იმ წევრის შესახებ, რომელიც, ჩემი აზრით, თავისი შემოქმედებიდან გამომდინარე ალბათ არ უნდა დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ, ეტყობა, წინ ვერ აღუდგა და დაემორჩილა მორჩილ უმრავლესობას. მე, არავისგან არ მოვითხოვ ისეთ მოქცევას, როგორც მოიქცა ადრეულ წლებში, „საბას" ჟიურის ერთი წევრი და პროტესტის ნიშნად გამოვიდა ჟიურის შემადგენლობიდან. ყველამ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, მაგრამ ერთ რამის მოთხოვნის უფლებას მივცემ თავს — საკუთარი აზრის გამოთქმა — და მისი დაფიქსირება ჟიურის ყველა წევრს შეუძლია, და თუ მე არ ვცდები, და ის პიროვნება, რომელსაც ვგულისხმობ, მართლა არ ეთანხმებოდა ჟიურის გადაწყვეტილებას, უნდა ხმამაღლა განეცხადებინა. ეს ასეთი საქციელი მასაც წაადგებოდა და კონკურსსაც.

### მცირე გადახვევა

ამ ათიოდე წლის წინათ, თბილისში გავრცელდა ასეთი, ანეკდოტის მსგავსი ჭორი: ერთი პრესტიჟული პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი თავგამოდებით ცდილობდა მავანი პიროვნებისთვის პრემიის მიცემას და თავის დაჟინებულ ქმედებას ასე ამართლებდა: ჩემთან კარტში აქვს ფული წაგებული და თუ პრემიას მივცემთ, მხოლოდ ამ გზით შევძლებ მის დაბრუნებას.

მე ეს არ მჯეროდა და უფრო ანეკდოტი მეგონა. მაგრამ „საბას" ზოგიერთი წევრისთვის პრემიის მიკუთვნებამ ცოტა არ იყოს დამაფიქრა, მართლა ხომ არ მოხდა მსგავსი ამბავი მაშინ?!

იმიტომ, რომ...

იქნებ აქაც...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ძირითადს.

თუ ვაღიარებთ, რომ კონკურსი „საბა“ ღიაა და საჯარო, მაშინ საჭიროა საზოგადოებრიობის ინფორმირება ჟიურის მიერ მიღებულ სადავო გადაწყვეტილებათა შესახებ. მე პირადად მაინტერესებს, თუ რატომ ვერ მოხვდნენ ნომინანტთა სიაში ელა გოჩიაშვილი, ნინო დარბაისელი, ირაკლი სამსონაძე, მიხო მოსულიშვილი. ალბათ, ჟიური იმსჯელებდა ამის შესახებ და საინტერესოა, თუ რით ხელმძღვანელობდნენ, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებდნენ (რა თქმა უნდა ზოგადი მოსაზრება, დაკონკრეტების გარეშე). თავის გამართლება იმით, რომ ამათუ იმ კრებულში შეტანილი ლექსები ადრე იყო გამოქვეყნებული და ის რაღაც პროცენტს აღემატება, არადამაჯერებელია. ვინ დათვალა და ვინ დაადგინა ეს. რეგლამენტში აშკარად წერია, 2010 წელს გამოცემული წიგნები და არა 2010 წელს დაწერილები, აქედან გამომდინარე, უნდა შეფასდეს წიგნის მხატვრული ღირსება და ჟიურის წევრებმა ზედმეტად არ უნდა დაიტვირთონ თავი პროცენტების თვლით. და თუ ისინი „საიდუმლო პროტოკოლით“ ხელმძღვანელობენ, განაცხადონ ამის შესახებ და ზედმეტი ცნობისმოყვარეობით აღარ შევაწუხებთ.

ასევე საინტერესოა, რატომ არის ზოგიერთ ნომინაციაში ორი ნომინანტი და ზოგიერთში რვა და თერთმეტიც კი.

ცნობისათვის, თითქმის ყველა პრესტიჟულ კონკურსში ნომინანტთა რაოდენობა თანაბარია და ძირითადად ხუთით, ზოგჯერ კი სამით განისაზღვრება.

„საბას“ ერთ-ერთმა მესვეურმა რატი ამაღლობელმა რამდენჯერმე გამოთქვა მოსაზრება, რომ ჟიურის წევრების შეფასება სუბიექტურია და შემფასებლის ლიტერატურულ გემოვნებაზეა დამოკიდებული. ასეთი მიდგომა აშკარად უშლის ხელს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და მავანთათვის გამოტანილ სასურველ გადაწყვეტილებას ამართლებს. სერიოზული კონკურსის ჩატარება პრინციპით: „მე ასე მიმაჩნია“, არამართებულია. როცა ხარ ჟიურის წევრი, ვალდებული ხარ, შენ სუბიექტურ მოსაზრებაზე მაღლა დადგე და ნაწარმოების შეფასებისას დაეყრდნო მის ობიექტურ ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებს.

### კიდევ ერთი გადახვევა

*„რატომ, კაცო, რატომ, ყველა წერს და შენ რა დააშავე, დაწერე, თუ ძმა ხარ, რამე. აგერ, ოთარი შენი მეგობარი არაა? დრამაშიც მუშაობს, პოეზიაშიც, პროზაშიც, კრიტიკაშიც, თარგმანშიც და საერთოდ მუშაობს, დაწერე შენც რამე.“*

ნოდარ დუმბაძე „მზიანი ღამე“

მომავალო კონკურსანტებო, თუ გინდათ გახდეთ „საბას“ მფლობელები, გაითვალისწინეთ ნოდარ დუმბაძის ეს მოსაზრება და წარადგინეთ ერთდროულად რამდენიმე ნომინაციაში თქვენი ნაღვაწი. თუ პროზაში ვერ გახდებით ლაურეატი, პოეზიაში გახდებით, თუ დრამატურგიას ვერ შეწვდებით, რა მოხდა მერე, კრიტიკა აგერ არ არის? იქ გიბოძებენ ლაურეატობას, თუ რომანს არ დაგიფასებენ, არ შედრკეთ, დრამატურგიაში მიიღებთ. ასე რომ, წერეთ, მეგობრებო, წერეთ!

იმათ კი, ვისაც სურს გახდნენ გამარჯვებულები საუკეთესო პიესის ნომინაციაში, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: არ წარადგინონ კრებული, ჟიური რომ არ გადაიტვირთოს, პიესის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის ორ ფურცელს და არამც და არამც არ უნდა იყოს გათვალისწინებული თეატრის სპეციფიკა. და კიდევ ერთი, რაც მთავარია, უნდა გახდეთ ამაღლობელის „კუტოკის“ წევრი.

როსტომ ჩხეიძე

# წიგნის რეკვიემი

*

## ამელი ნოტომის პიესა „საწვავი“

შემთხვევითი არ არის, რომ ამელი ნოტომის პიესის „საწვავი“ ერთ-ერთ პერსონაჟს, პროფესორს, რეი ბრედბერის რომანი ახსენდება „ფარენჰაიტი 451“, სადაც ხალხი ზეპირად სწავლობს წიგნებს, რადგანაც მთავრობამ მათი განადგურება გადაწყვიტა; ოღონდ ახსენდება არა გადარჩენის გზად, არამედ გარეგნულად მომხიბლავ, მაგრამ ამაო მცდელობად.

„ლამაზია, მაგრამ უაზრობაა“ — უმტკიცებს თავის ასისტენტს დანიელს, საბუთად კი იმას მოიხმობს: როგორ გინდათ კლეინბეტენგენი დაიზეპიროთო.

აედები ზეპირად ჰყვებოდნენ „ილიადასა“ და „ოდისეას“ — თავის მხრივ შეახსენებს ასისტენტი, მაგრამ ეს პროფესორისათვის არავითარ არგუმენტს არ ნიშნავს, რადგანაც აედები თავიანთი დროის სამ მეოთხედს დისერტაციების წერას არ ანდომებდნენ და მათ გართობას წიგნების ზეპირად დასწავლა წარმოადგენდა.

ესენი ომის შუაგულში მოქცეულან.

საზარელი სიცივე დაპატრონებია ყველაფერს და პროფესორი იძულებული ხდება წიგნები შეუკეთოს ბუხარს, რათა თვითონაც და მისი ხიზნებიც — დანიელი და იმისი შეყვარებული მარინა — არ გაიყინონ.

ოდესღაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვამ დიდი ცივილიზაცია შთანთქა უკვალოდ და იმ ხანძარს დღემდე მოუშუშებელ ჭრილობად განიცდის კაცობრიობა.

პროფესორის ბიბლიოთეკაც ჩვენი დროის ცივილიზაციის სიმბოლოა, ასევე ცეცხლში შთანთქმა რომ ემუქრება, და უკვე არა განგების ძალით, არამედ ჩვენივე ნებით, თანაც გამოზოგილი სიამოვნებით.

და მაშ სამგლოვიაროც არაფერი გვქონია.

არამცთუ სამგლოვიარო: გარდა იძულებისა, როგორმე გაყინვას რომ დავაღწიოთ თავი, ერთგვარი აზარტითაც ჩავდივართ ამას, რაკილა პროფესორისა არ იყოს, განათლებული ადამიანები მაინცდამაინც არ ყოფილან სანდონი — მათ შეუძლიათ სტუდენტების წინაშე აქონ წიგნები, რომელთაც თვითონ არაფრად აგდებენ, ხოლო აკრიტიკონ და ლანძღონ გამოცემები, რომელთაც მალულად ხელიდან არ გააგდებენ.

კლეინბეტენგენის წიგნი „საშინელების პატივისცემა“ სასწრაფოდ უნდა შეეკეთოს ცეცხლს. არადა, ეს ის თხზულებაა, რომელზეც პროფესორი რვა წლის წინათ წერდა: მისი წაკითხვის შემდეგ ყველა ადამიანი პატივისცემით მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკიდება თავის ღირსებასო. და როდესაც დანიელი ამ ციტატას შეახსენებს და რჩევასაც გაუზიარებს: დადგა დრო, ეს მშვენიერი სიტყვები პრაქტიკაში განახორციელოთო, — პროფესორმა აღშფოთებით და მტკიცედ უნდა შეაგებოს: იმის დრო უფრო დადგა, ამ მშვენიერ სიტყვებზე ვიცინოთ, ხოლო კლეინბეტენგენი დავწვათო.



— „საშინელების პატივისცემა" დაწერა ადამიანმა, რომელსაც არასოდეს შიებია. ხოლო ჩემი რვა წლის წინანდელი სტატია დაწერა ადამიანმა, რომელსაც მანამდე არასოდეს შესციებია. ასე რომ, ამ წიგნის ადგილი ცეცხლშია!

ვიდრე ყოფითი რეალობა თავის ნამდვილ სახეს — სასტიკსა და საზარელს — გამოგიჩენდეს, შეგიძლია, რატომაც არა, წიგნებისაგან მოგვრილი ილუზია ცხოვრებაზეც გაავრცელო... მაგრამ როდესაც ყოფა მკაცრდება და მკაცრდება, ილუზიებიც ხომ მის კვალობაზე იფანტება და ხელთ ის სინამდვილე შეგრჩება, რომელიც ცხოვრების წესად გიქცევს შეგონებას:

— დაწვი ის, რასაც თაყვანს სცემდი. თაყვანი ეც მას, რასაც დაწვავ!

ამ შეგონების დამკვიდრება კი ნიშნავს, რომ აღიარებ სამყაროს ამოყირავების გარდუვალობას.

მაშ რა აზრი აქვს ბიბლიოთეკის შექმნას, თუკი წიგნების შეფასება ასერიგად გაუკუღმართებულა?

ეგებ მართლაც სჯობდეს მათი განადგურება, რათა ამ აქტით განიწმინდოს სული სიცრუისა და ფარისევლობისაგან და დადგეს ჟამი საყოველთაო ფერისცვალებისა, ახალი ზეცისა და ახალი მიწის მხილველი რომ შეიქნები.

თორემ ასე განა როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?

რეი ბრედბერი რომანტიკულ იდეალს ებღაუჭება.

ამელი ნოტომბს სასაცილოდაც აღარ ჰყოფნის ეს იდეალი.

შეუბრალებლობით მოსდის?

იგი სხვაგვარად ფიქრობს:

თვითონ კი არ არის შეუბრალებელი, არამედ ის ყოფითი რეალობა, სადაც ღმერთი ჯერაც თვალს მიფარებია, მისი შემცვლელი კი არა და არა ჩანს, და ასეთ დროს ისევ ის სჯობს, თვალი გავუსწოროთ ცხოვრების დამხობილ წესრიგსა და მის შეუნელებელ სვლას კატასტროფისაკენ, ვიდრე ილუზიების გაძლიერებას ვეცადოთ.

ამიტომაცაა:

დანიელის სიტყვების — „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გამოცდას გაბარებდეთო" — პასუხად პროფესორი იმგვარ ფრაზას შეაგებებს, მკითხველს შეძრწუნების განცდა უჩნდება:

— თანაც განსაკუთრებულს! გამოცდას აუტოდაფეში! მე ვარ თქვენი ლექტორი აუტოდაფეში, უნივერსიტეტის აუტოდაფეს კათედრის პროფესორი...

შეძრწუნებას კი კიდევ უფრო ამძაფრებს მისი აუღელვებელი კილო, თითქოსდა მართლაც სასწავლო საგნის სახელწოდებას ასახელებდეს, განაჩენი კი არ გამოჰქონდეს წიგნისა და წიგნიერებისათვის.

სხვა გზას უკვე ველარ ხედავს და მოწაფეებსაც ამ გარდუვალობას შთააგონებს.

გამოცდა აუტოდაფეში.

აუტოდაფეს კათედრა.

აუტოდაფეს პროფესორი.

ვიდრე ილუზიების გაძლიერებას ვეცადოთო...

მოსალოდნელი კატასტროფისათვის თვალის გასწორებამ ეგებ შეგვაჩერებინოს ეს სწრაფვა თვითგანადგურებისაკენ.

მაგრამ როგორ შეგვაჩერებინებს, თუკი რომანტიკულ იდეალს უარვყოფთ, სხვა ხელჩასაჭიდი კი არაფერი დაგვრჩება?!.

ასე იხლართება წინააღმდეგობაში ადამიანის გონება.

და კვლავაც გესაჭიროება რეი ბრედბერი, ისევე, როგორც ამელი ნოტომბსაც აუცილებლად უნდა ათხოვო ყური.

მაინც უფრო რომელ მხარესაა გზა ხსნისა — რეი ბრედბერისა თუ ამელი ნოტომბის?

ეგებ მათ შორის.

და როდესაც პროფესორს აღარაფერი შერჩება დასაწვავი და აპირებს დიდ მოედანზე დანიელისა და მარინას გვამების მოსაძებნად გაეშუროს და იმდენხანს ისეირნოს, რამდენიც საჭირო იქნება. პიესის ამგვარი ფინალი სასოწარკვეთილებაში კი არ აგდებს მკითხველს, არამედ რაღაც სანუგეშოს აგრძნობინებს, იდუმალად, ფარულად, ქვეშეცნეულად, მაგრამ აგრძნობინებს კი — თითქოს ადამიანის სულის ჯურღმულებიდან ამოყვინთა და ახლა კვლავ უნდა იხილოს სამყარო, ომის ქარცეცხლში ჩაძირული, ოღონდ მაინც სიცოცხლით მფეთქავი და რაღაც სასიკეთოს მომლოდინე.

გნებავთ პარადოქსი უწოდეთ, მაგრამ უკეთურებაა დაცემის ხილვა, იმის იქით რომ სხვა დამცირება აღარ გეგულება, მხნეობას გიჩენს და ბრძოლის ჟრუანტელად გივლის ძარღვებში.

ეს ის განცდაა, ის გამჭოლი ზოლია მწერლობაში, რომელსაც უილიამ ფოლკნერი ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ამ მხატვრული ქსოვილით შემოსავდა: მომაკვდავი საღამოს მეწამულ ფერებში უბადრუკ, პიტალო კლდეზე საბედისწერო ბოლო ზარი რომ ჩამორეკს და მიჩუმდება, მაშინაც გაისმის სუსტი, დაუდუმებელი ხმა ადამიანისაო.

თუმც მისთვის ესეც უკმარი გახლდათ და ირწმუნებოდა: ადამიანი არამარტო გაუძლებს, გაიმარჯვებს კიდეცო.

ამელი ნოტომბი იქ ტრიალებს — სუსტი, დაუდუმებელი ხმის გარემოცვაში.

ჯერაც გასარღვევი აქვს ჩამოხუფრული სივრცე.

უილიამ ფოლკნერიც კარგა ხანს ტრიალებდა ამ სუსტი და დაუდუმებელი ხმის გარემოცვაში, ვიდრე საკუთრადაც აღმოაჩენდა ღმერთს და იმ სინათლის გზას დაადგებოდა, რომელიც სამყაროს გადარჩენისა და ძლევამოსილების რწმენით აღავსებდა.

ერნესტ ჰემინგუეისაც მიეგნო ღმერთისათვის, მაგრამ ვერ გაეძლო ამ შეგრძნებისათვის და სიცოცხლის მოსწრაფებაშიღა ეპოვნა გამოსავალი.

უილიამ ფოლკნერი გაუძლებდა ამ შეგრძნებას და ანდერძივით დაგვიბარებდა ადამიანის სულის ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელ შრეებში შეღწევას, რათა უკიდურესი დაცემის ხილვას მოენატრებინა ჩვენთვისაც ღმერთი და ამ მონატრებაში გვეძებნა შველაც და სიცოცხლის აზრიც.

ამელი ნოტომის პროფესორმა თითქოს რიტუალი უნდა შეასრულოს, სამყაროსთან გამოთხოვების რიტუალი, მაგრამ გრძნობათა ის სიმძაფრე და ჭიდილი, ის დაუმცხრალობა და სიბობოქრე ამ მწარე, თავზარდამცემი რიტუალის მიღმაც გადაგახედებს და მიგახვედრებს, რომ რეი ბრედბერის ილუზიური სინამდვილე სულაც არ ყოფილა ხელწამოსაკრავი და სასაცილო, და ამელი ნოტომი მას კი არ ეპაექრება, არამედ სწორედაც პირიქით — შეგახსენებს დასაღუპავად განწირული ცივილიზაციის ხსნის იმ გზას, ადამიანის ნებისყოფასა და ხელოვნების იდუმალ მადლსა და ძალაზე რომ ჰკიდია და დაცემული მორალის მიღმიდან გამოაჭიატებს სინათლის ნაპერწკლებს.

* * *

შემთხვევითი არ არის, „სანვავის" ერთ-ერთ პერსონაჟს რეი ბრედბერის რომანი რომ ახსენდებაო...

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, ფრანგული კულტურის ცენტრმა ამელი ნოტომის ამ პიესასთან (ფრანგულიდან ჩინებულად რომ უთარგმნია თამარ ხოსრუაშვილს) ერთად იმავე „ავანსცენის" სერიით ალბერ კამიუს პიესაც რომ გამოაქვეყნა — „რეკვიემი მონაზონისთვის", ინსცენირება უილიამ ფოლკნერის ამავე სახელწოდების რომანისა.

აკი ალბერ კამიუც მთელი ცხოვრება ამაოდ დაეძებდა ღმერთს და სწორედ მაშინ აღესრულა, როდესაც მიაგნო... და აღარ დასცალდა აზროვნების ახალ წესზე გადაწყობილიყო?.. მაგრამ მიგნებით ხომ მაინც მიაგნო, და ეგებ ამ პოვნაში უილიამ ფოლკნერიც შეეწია თავისდაუნებურად, უკიდურესი დაცემა ამ რომანშიც ასე შეუბრალებლობით რომ წარმოსახა — არც თავი დაინდო და არც მკითხველი, და კამიუს კი ის მასალა მიაწოდა, რომლის მაგვარსაც მანამდე ამაოდ ეძებდა, ახლა კი რომანის გადაკეთება პიესად გზას უხსნიდა მის შინაგან დუღილს.

კამიუს პიესებიც დაუწერია, როგორ არა — ეს „კალიგულაო", ეს „გაუგებრობაო", მაგრამ უპირველესად მაინც პროზაიკოსი გახლდათ, აქ გაეთქვა სახელი და სხვათა რომანების გადაკეთებას ნაკლებად მიჰყოფდა ხელს, რალაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება რომ არა.

აბსურდი ამ რომანში უკიდურესობას აღწევდა, თვით კამიუსაც რომ შეეხარბებოდა, მაგრამ ამ ყაიდის სიუჟეტური მონახაზები, აბსურდის სამყაროში რომ გადაისროდა მკითხველს, თვითონაც საკმაოდ დაგროვებოდა და ფოლკნერს რატომღა უნდა დასესხებოდა, თუ არა რაღაც ისეთის შეგრძნება, მის სიუჟეტებში რომ არსად მოჩანდა.

ღმერთსმოკლებული გარემო ანკი საიდან მოუვლენდა?!.

ხელთ ეპყრა „რეკვიემი მონაზვნისათვის" და ჩადიოდა და ჩადიოდა ადამიანის სულის ყველაზე ფარულ დანაშრევებში, ქვეცნობიერის ქვეცნობიერი სადაც სუფევდა, მაგრამ რაოდენ საკვირველიც უნდა ყოფილიყო, ეს შრე ზედაპირზე ამოზიდულიყო და ყველასათვის თვალხილული შექმნილიყო ღრმადმორწმუნე კაცის ხელით, ვისაც ეჭვიც არ ეპარება, რომ იესო ქრისტე შეუნდობს ჩვილის მკვლელ მოახლესაც, ზანგ ნენსი მანიგოს, რადგანაც მას კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, სხვათა შველა და არა პირადი გამორჩენის სურვილი. კი მაგრამ — როგორ, რანაირად?..

ნენსი მხოლოდ მას მინდობია, თანაც ამ სიტყვებით: ძმას ჩვენსას მე თვითონ მოვურიგდებიო.

ძმას ჩვენსას? — განცვიფრებულია ტემპლ დრეიკი, ვისი გოგონაც გაგუდა მოახლემ, ჩამოხრჩობა რომ მიუსაჯეს და ახლა ციხის საკანში მათი და გევინ სტივენსის (თავისი ძმის შვილიშვილის მკვლელს ადვოკატად რომ დადგომია!) უნდა გაცხადდეს ის, რომ უკვე დანგრეული ოჯახი უნდა აღდგეს, რაკილა საიდუმლოს ნათელი მოეფინება და ადამიანებს უკვე შეუძლიათ ერთმანეთის პატიება, ათასგვარი ეჭვი რომ აღარ ტანჯავთ.

ძმას ჩვენსასო?..

ორი ყოფილი მეძავი წარდგომია ერთიმეორეს პირისპირ, იმ წუმპეს თავდაღწეულნი ლამის ისევ იქ რომ უნდა ჩაეფლონ, მაგრამ ნენსიმ უნდა აღმოაჩინოს ის სხვა გზა, რომელიც საკუთარი თავის განწირვის ფასად მის ქალბატონს ნამდვილ ცხოვრებაში დააბრუნებს — აწ უკვე სამუდამოდ.

— დიახ, მეძავების და ქურდების ძმას. მკვლელების მეგობარს. იმას, ვინც მათთან ერთად მოკლეს. ისე, რაც თქვა, ბოლომდე ვერ გავიგე. იმიტომ მიყვარს, რომ მოკლეს.

„ღირებულებას მოკლებული ცხოვრება" — ასეთი მოჩანს ნენსის ამქვეყნიური ყოფა, ოღონდ ტემპლ დრეიკის თვალთახედვაში ყოველივე სულ სხვა განზომილებაში გადადის. ამიტომაც გევინ სტივენსს რომ ეთანხმება: ღირებულებას მოკლებულიო, — ესეც უნდა დასძინოს საკუთარ თავგადასავალში ჩაღრმავების ფონზე: მაგრამ კეთილი და სათნო ცხოვრებითო.

აქ ერთმანეთს უცნაურად შერწყმია ამქვეყნიური და იმქვეყნიური და ამ შერწყმაშია ის მადლი, კამიუც ასე რომ აიყოლია და ფოლკნერის სამყაროდან გამოსახსნელად მის „გადაწერას" მიმართა.

ხოლო მის ქართულ ვერსიას რომ ჩაამთავრებ, გიორგი ეკიზაშვილის მიერ გადმოღებულს, ძალაუნებურად გიჩნდება სურვილი, ფოლკნერის რომანსაც ასეთივე შესანიშნავი მთარგმნელი გამოუჩნდეს, ვინც ისევე შეინარჩუნებს რომანის შინაგან რიტმსა და ექსპრესიას, როგორც პიესის შინაგანი რიტმი და ექსპრესიაა შენარჩუნებული.

თუმც „მონაზვნის რეკვიემის" ამბავმა ძალიან არ გაგვიყოლიოს.

აქვს ფოლკნერს ის უჩვეულო ანდამატი, თავის სამყაროში რომ ჩაგითრევს და გამოგკეტავს, თუნდ ეს სამყარო კამიუს კვალობაზეც იყოს გადასხვაფერებული. გამოგკეტავს და ისე შეგათვისებინებს ამ მხატვრულ რეალობას, ისე განგმსჭვალავს თავით ტერფამდე, როგორც აედები ჰყვებოდნენ ზეპირად „ილიადასა" და „ოდისეას" იმ კეთილ და მოსანატრებელ დროში, „ოდეს პოეტი იყო არამარტო პოეტი, პოეტი იყო ბედუინი და მეომარი, პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი".

ეს „უფრო მეტია", ჯერაც რომ ჟოლავს ჩვენს არსებაში სისხლად, შეგრძნებად, ფიქრად და მოგანდომებს უფლის სიტყვის მოსმენას, თითქოს შენც სინას მთაზე იდგე და ერთდროულად აყურადებდე შენი სულიდან და ამ უკიდეგანო სამყაროდან დაძრულ იდუმალ ხმებს.

და წამიწამზე მოელოდე ახალი ზეცისა და ახალი მიწის ხილვას...

თემურ ჩხეიძე

# „დევიზი არც მინდა მქონდეს“



**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— სულიერი შიმშილი.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც ვცხოვრობ — საქართველოში!

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— როცა ცხოვრობ ქალთან, რომელიც გიყვარს და გაქვს საყვარელი პროფესია.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ჰამლეტი.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— ფორე მოსულიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ვან გოგი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მოცარტი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— პასუხისმგებლობის გრძნობას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ერთგულებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— სიყვარული.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— მოვლენათა ანალიზი.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— არ ვიცი...

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— მთავარი თვისების უქონლობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ერთგულებას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— საკუთარ თავში ნაკლის აღმოჩენის გამუდმებული სურვილი.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— იხ. მესამე პუნქტი.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— დღე, როდესაც მსახიობები აღარ მოისურვებენ ჩემთან მუშაობას.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— უფრო პრინციპული.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ლურჯი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— იასამანი.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბოლოქანქარა.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ტოლსტოი, შექსპირი, დოსტოევსკი, კლდიაშვილი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ბარათაშვილი, პუშკინი, გალაკტიონი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— დედა („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“).

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ფორე მოსულიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან წამებული.

**— საყვარელი სახელები?**

— გააჩნია ვის ჰქვია.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— მუშაობის პროცესში ხელის შეშლას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჰიტლერი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— 300 არაგველის ამბავი.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ბატონყმობის გაუქმება.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ენის შესწავლის ნიჭს.

**— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— ჯანმრთელი.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— საეჭვო.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— ჩვეულებრივი, ადამიანური შეცდომები.

**— თქვენი დევიზი?**

— დევიზი არ მაქვს და არც მინდა რომ მქონდეს!

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ხედავ... მე ვარსებობ!

ნინო გუგეშაშვილი

# ენაი კვიმატი

## (ერთი დღე)

„წინდახედულად მოვიქეცი და უკანმოუხედავად გავიქეცი"— მღეროდა ზანგი და უკრავდა.

როცა სიმღერას უკრავს ზანგი, ის შეიძლება იყოს ზანგური, მაგრამ თუ უკრავს ჩანგი, ის არ არის ჩანგური, და მითუმეტეს თუ ჩემი მეზობელი, წინაპრებით მიდიელი ფანდი უკრავს, ის ვერ იქნება ფანდური..."

რას ჯღაბნიო, ჟანა მასწავლებელი დამადგა, მე კონსტანტინეს დიდოსტატის ანალიზი დაგავალეთ და შენ რას ჯღაბნიო. დიდოსტატამდე ამ გზით უფრო მალე მივალ-მეთქი. ახლა დავწერ, ,,მაგრამ როდესაც უკრავს გამსახურდია, ეს სულ გამსახურდიულია და როდესაც დიდოსტატი უკრავს, ეს ხომ ყოველთვის ძალიან დიდოსტატურია..."და ეგეც შესავალი-მეთქი. რას ნიშნავს, გამსახურდია უკრავსო, გაგიჟდა ჟანა მასწავლებელი, დამკვრელები შენკენ მოიკითხეო. მოკითხვა ჩემკენ, დამკვრელებო, ჟანასგან! კი ბატონო, ჯღაბნეო, წავიდა ბოლოს გაბუტული და მივხვდი, რომ მასწავლებელთა შურისძიების ყველაზე ბალისტიკური იარაღი, ორიანი დამიმიზნა.

შევცდი — ორიანი პლიუსით დამიწერა. ზედმეტად კვიმატ ქართულს ეთამაშებიო, ფრთხილად იყავიო. ორიანი ჰე, გამოვიმუშავე, მაგრამ ეს პლიუსი რალაში მეკუთვნის-მეთქი და, კვიმატობებშიო.

გამხდარი მგელივით დავბრუნდი შინ და ვისადილე მარცხენაში ჩანგლით და მარჯვენაში ტელევიზორის პულტით. ყველა არხს ერთად ვუყურე. სადარბაზოში შემოსულს ჩემი ორი, წინაპრებით რუს-ქართველი მეზობელი წამემგზავრა. ერთი პირველ სართულზე ცხოვრობს და მეორე ალბათ ლიფტში. სულ ლიფტშია. ხან გაჭედილია, ხან ცდილობს, რომ გაიჭედოს. ლიფტთან დაშორდნენ ერთმანეთს და დაშორებისას იმან მოაძახა ამას:

— ზავტრა ჭიკარტი ნე ზაბუძ! — მაინცდამაინც ,,ჭიკარტი" ვერ გადათარგმნა. ბაბუა ჰყავდა კავთისხეველი, ბებია — კრივოი როგელი. ორივე რომ კავთისხეველი ჰყოლოდა, უპრობლემოდ იტყოდა სუფთა ქართულით: ,,ხვალ კნოპკები არ დაგავიწყდეს", როგორც ამბობს სრულიად საქართველო.

ამან უპასუხა, ნოუ ფრაბლემო, და ერთი ლიფტში შეძვრა, მეორე — მესამე მეზობელთან, ახლა ყავაში ახარჯვინე კიდე ფული.

მე არ ვლაპარაკობ ყველაზე კვიმატ ქართულს, ჟანა მასწავლებელო! ... ვიბოლმები... მამშვიდებს ბებ'ჩეს გაბრაწული კარტოფილი და პულტის წკაპ-წკაპი.

— ბებია, როგორ წვავ ასე გემრიელად კარტოფილს, ტო!

— როგორა, შვილო, და ტაფა ჯერ უნდა მოატყუო, — სულით-გულით ამიხსნა ბებ'ჩემ — მაგრა უნდა გააცხელო, მაგრამ არ უნდა შეიმჩნიო, ვითომ არ გაგიცხელებია და კარტოფილი ზედ ისე უნდა დაჰყარო, რო ვერ გაიგოს!

— მე ხო გავიგე, აი!



— ეგ კარგია, შენც თუ ვერ გაიგე, აბა ტაფა რაღას გაიგებს! მერე მოსარევათ რო მოხდი სახურავს, ცოტა უნდა გვერდზე გადახარო, რო კარტოფილმა ტაში დაგიკრას.

— რამდენი გვიცეკვია კარტოფილის დაკრულ ტაშზე, არა, სარგისოვნა? — გაიარ-გამოიარა მამ'ჩემ, რატომღაც მიდი-მოდიოდა.

— არა, კარტოფილი უსმენოა, ვერ იცეკვებ. ფელამუშია სმენიანი და წისქვილი!

ვახ, როგორ ავაწკაპწკაპე პულტი – სმენიანი ფელამუში და წისქვილიო — გადავიარე არხებზე! აბა აქ ნახე ჟურნალისტთა კვიმატობები, ჟანა მასწ. წკაპ! და ბუშის პიროვნებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, წკაპ! და ამოღებულია ყუმბარები და მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის სასურველი და აუცილებელი სხვა ატრიბუტები, აბა წკაპან! და შესაძლოა რომელიმე ინგლისის სხვა გუნდმაც იასპარეზოს, აქ კი საცხობში აღმოჩენილ იქნა ტარაკნების გარკვეული რაოდენობა, იქ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა, მაგრამ საბედნიეროდ მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია, ხოლო დამნაშავეს აღმოაჩნდა თხუთმეტი შეკვრა ყალბი დოლარიანების პაჩკა, ახლა კი პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ, თუ როგორ გამოიყურება ხანძარი, წკაპ-წკაპ! თბილისის მიმართულებით და ზედმეტად ხაშურის მიმართულებით მოძრავი მერსედესის ტიპის მსუბუქი ავტომანქანა და აი რას ამბობს ამის შესახებ აწ დღესდღეობით უკვე გარდაცვლილი თუფაქი, ხოლო პედაგოგი ყოველდღე 7 კილომეტრს ფეხით დადიოდა, მთელი ცხოვრება ემსახურა მომავალი თაობის აღზრდის საქმეს და წარმოიდგინეთ, ამას აკეთებდა ფეხით!

— მამა, ქვეყანაში საყოველთაო ჯიგჯიგიზაციის თხუთმეტწლეულია გამოცხადებული, თუ ჩემს დაბადებამდეც ასე იყო?

— არა, ოცდათექვსმეტწლეულია გამოცხადებული და ჩემს დაბადებამდე როგორ იყო, აგერ სარგისოვნას ემახსოვრება.

— აღარ მახსოვს, კოლექტივიზაცია რომ იყო, მახსოვს, და ჯიგჯიგიზაცია, რავიცი, ალბათ ძალიან პატარა ვიყავი.

— ეგ რა არის, დილით ერთმა გოგონამყვანმა გვითხრა, მე ერთი კვირით გემშვიდობებით და მანამდე კი თქვენ გაილიმეთო.

— მერედა, შვილო, შენც გაილიმე, მაგაზე ახვეწნინებ? — გაიოცა ბებიამ.

— როგორ, სარგისოვნა, ერთკვირიანი გალიმებისთვის კომპრაჩიკოსებს სპეციალური ქოთნები ქონდათ, მე სად მაქ ეგეთი ქოთანი?

— ლობიოსი ხო გვაქ!

— გუშინ საღამოს პოლიციელმა იცი რა გამოაცხადა? მოხდა თვითმკვლელობის მცდელობის 8 შემთხვევა და აქე-

დან ორმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიაო, შემოსული ოპერატიული მასალის საფუძველზე მოხდა ოპერატიულად თვითმკვლელობაში ჩარევა, სარგისოვნა, და თვითმკვლელობის დროული ალკვეთა. ანალოგიურად მოიქცა კიდევ 3 მოქალაქეო.

— ანალოგიურად როგორ?

— ეგ აღარ ვიცი.

— მაგანა თქვა, ერთი კვირით გაილიმეთო? შვილებო, რა დღეში მყავხართ!

ყველაფერს გეფიცები, ქვეყანაში, სადაც სასურველი შედეგი თვითმკვლელობაა და იმასაც ვერ მიაღწევ, სადაც ოქტომბერში ნორმაზე მეტი ნალექური წვიმა და მეწყრული მოვლენები დაფიქსირდა, სადაც ეჭვმიტანილი დევნის შედეგად გარდაიცვალა და ჩვენ ნახევარი თავი ჰედ ენდ შოლდერსით უნდა დავიბანოთ, ხოლო მეორე ნახევარი სხვა შამპუნებით, ჟანა მასწ, გეფიცები, მე არ ვლაპარაკობ ყველაზე კვიმატ ქართულს და ის პლიუსი რატომღა დამიწერე, ორიანი არ მეყოფოდა?

— დღეს ხო იცი, საავადმყოფოდან ფეხი დაიკარგა. — მანუგეშა მამაჩემმა.

შევხედე.

— ამპუტირებული ფეხი. სანიტარულმა სამსახურმა იკითხა, ერთი ფეხი გვაკლია და სად წავიდაო. ექიმმა უთხრა, არსად არ წავიდოდაო, შესაძლოა პატრონმა წაიღო და დაკრძალაო, პაციენტს უფლება აქვს წაიღოს კიდური და დაკრძალოსო. არა, ნამდვილად ღირს ქართული არხების ყურება. იცი რას მივხვდი? ის პაციენტიც ხომ ამპუტირებულია ფეხისგან.

— ბებია, ახლობელის ფეხი ხომ არ იყო, დაკრძალვაზე მისასვლელი არ ვართ?

— მისასვლელი ვართ და ყვავილის ფესვი გვაქ მისატანი. — თქვა მამამ.

— აგრე შავათ ნუ ხუმრობთ, შვილებო, ღმერთი შეიჭმუხნება თქვენზე.

— რავი, რამდენ დაკრძალვას გაიგონებ, ჩვენი ახლობელიაო, გარბიხარ.

ღმერთზე უფრო შეჭმუხნული დამხვდა ეზოში ჩემი მეზობელი ფანდი. დღისით აიძულებენ, შვილიშვილი და წიწილები ასეირნოს, ღამით ნებაყოფლობით ჩაჯდება ბუჩქებში და ქეიფობს და მღერის.

მე მივუახლოვდი ჩემი ფიქრების ღრუბლით და ამ ღრუბელში გახვეულს მელანდებოდა სადღაც იმ უსმენო კარტოფილის დაკრულ ტაშზე მოცეკვავე ამპუტირებული ფეხი, რომელიც პატრონს არ წაუღია, და ყვავილის ფესვს რატომ ამზადებს მამაჩემი?

— ფანდი ბიძია, ქვეყანაში საყოველთაო კვიმატიზაციაა გამოცხადებული. იცოდით?

— როგორა, შვილო?

სადარბაზოდან ის რუს-ქართველა მეზობელი გამოვიდა, ჭიკარტები რომ ვერ გადათარგმნა.

— ვა, ალიონა, რა მარტო ხარ, ლიზა სად არის? — გაიოცა ფანდიმ, თუ ფანდმა?

— ლიფტშია გაჩედილი, ქსოვს. ჩირ იძ ლეოთეშტ, რიყითნტ! – უყვირა თავისი ექვსი წლის ბიჭუნას, რომელიც ფანდის წიწილებს დაედევნა,- არ აილო წიწილი!

ფანდიმ მშვიდად თქვა:

— არაუშავს, აილოს, ოღონდ მერე ისევ დადოს.

— წავედი, — ვთქვი მე, — რა საყვარელი ბავშვია! – ფანდის შვილიშვილმა მოირბინა.

— ბაბუა, კოლოები სახლებს სად იკეთებენ?

— ეგენი სახლებს არ იკეთებენ, სასტუმროებში ცხოვრობენ.

გზაში წარმოვიდგინე სასტუმროში მცხოვრები კოლოები, რომლებიც კარტოფილის დაკრულ ტაშზე ცეკვავენ უსმენოდ... გაჩერებაზე სამარშრუტო ტაქსი იდგა და ტრაფარეტზე ეწერა:

დ ი ნ ა მ ო

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს

ც ი ხ ე ე ბ ი

რა თქმა უნდა, ჩავჯექი. მძღოლმა სარკიდან მკითხა: „გავივსე?" „კი, კი, გაივსე!", ილაღადეს მგზავრებმა – თბილისში რომ ცოფი სიცხე იცის ხოლმე, ისე ცხელოდა. მივიხედ-მოვიხედე და ჩემი მარცხენა მეზობლის გაშლილი გაზეთის გვერდზე სათაური წავიკითხე: „თაკო სვირინგს განსაკუთრებულ დღეებში აჩენს", ხოლო მარჯვენა მეზობელ გოგოს ოთხი ბარძაყი ჰქონდა და ოთხივეთი მავიწროვებდა.

— საქმიანი ქალი? ჯვარი მეწეროს! – დაქალს ეჭორავებოდა, — პროსტა ისიც კი მიტყდება, რო ბოლო-ბოლო ოცდაექვსი წლის ქალი ვარ და ჯერ მარტო პირველად ვარ გათხოვილი.

— გათხოვილი ახლა შენც, — არ აცალა დაქალმა, არ აცლიდნენ ერთმანეთს, ერთნაირად ალესილი იყვნენ ლაპარაკზე, — გათხოვდი – ჰე, გათხოვდი, მარა ადამიანზე ვერ გათხოვდი? შენი ქმრის საშუალო არითმეტიკული ხო იცი, არა? ეგ არის კაცი ლორისებრთა ოჯახიდან.

— ცხოველია, გოგო, გადამეკიდა გუშინ, ოთხშაბათი მეტია თუ ხუთშაბათიო. მე ვუთხარი, ხუთშაბათი-მეთქი. აბა მაშინ ხუთშაბათი მეტია, თუ პარასკევიო. პარასკევი რამდენია-მეთქი? რამდენიც ახლა შენ მოგხვდებაო და რო წამოავლო იმ თავის უჩაკოებს თუ უჩიკოებს ხელი, რა ქვია... პარასკევი რამდენია, გოგო, შენ გეცოდინება.

— ბევრია, ხუთშაბათზე მეტი ნაღდად არის, ცხრა პარასკევიაო კვირაშიო, ხო გაგიგია...

მე წარმოვიდგინე კაცი ლორისებრთა ოჯახიდან, რომელიც სასტუმროში კარტოფილის დაკრულ ტაშზე კოლოებთან და ოთხბარძაყიან გოგოსთან ერთად ცეკვავს და ეს ისეთი განსაკუთრებული დღეა, პარასკევია ბევრი, რომ თიკოც ალბათ სვირინგს გამოაჩენს და ოთხბარძაყიანი გოგოს ქმარი იკითხავს: აქ ბარძაყები მეტია თუ პარასკევი?..

ბაზრობაზე ჩამოვედი – კვიმატობათა ეპიცენტრში, აქ ჟანა მასწავლებელთან ერთად უნდა წამოვიდე, როცა დაფასებული კაცი გავხდები. მაშინვე ქალმა ჩამიარა მუყაოს დიდი ყუთით ხელში. იძახდა და იძახდა: „აბა კარგი გაყინული თევზი თავისი ბარკლებით" და კარგახანს ვდიე, რომ ეს საოცრება დამენახა. ძლივს წამოვეწიე და ეს თევზიო და ეს კიდე ფადის ბარკლებიო, ცალკე-ცალკე ცელოფნები გადამიშალა... იმედი იმდენად გამიცრუვდა, რომ ნაყინის ყიდვა მინდოდა და ბამბის ნაყინი ვიყიდე. ამ ბამბის ნაყინში ჩავრგე თავი ბავშვობისდროინდელი პირველყოფილი მნიშვნელობების გასახსენებლად, როცა ნივთი ნიშნავს ნივთს და სიტყა ნიშნავს სიტყვას და ერთი-ერთზეა მნიშვნელობა სიტყვისა და ნივთის. უცებ ხალხში დავინახე ბიჭი, რომელიც აქ მაიკის საყიდლადაა მოსული, მაგრამ თავი ჩაურგავს ბამბის ნაყინში და დადის და დადის და მივხვდი, რომ ეს ბიჭი მე ვარ. სასწრაფოდ შევჭამე ბამბის ნაყინი და ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობაში კიდევ მომეწონასავით ერთი მაიკა, მაგრამ მომეჩვენა, რომ უხარისხოა და მალე დაბუსუსდება.

— სადაური მაიკაა? – ვკითხე გამყიდველს.

— თურქეთი. უმაღლესი საქონელი მაქ, სულ ნაღდი თურქეთები.

— ეს მაიკა თითქოს ადვილად დაბუსუსდება...

— რა, თურქეთი?! — თვალი მომიწვრილა გამყიდველმა, — უკაცრავად, თურქეთი არ ბუსუსდება საერთოდ, ეგ ჩინეთი ბუსუსდება.

დარცხვენილი წამოვედი, ჟანა მასნ. გეოგრაფიაშიც ნორმალური ნიშნები მაქვს და ისტორიაშიც. ეგ არ უნდა მცოდნოდა ამხელა, როგორც თქვენ სიყვარულით გვეძახით, ჯორ-აბიტურიენტს, რომ თურქეთი არ ბუსუსდება და პირიქით, ჩინეთი ბუსუსდება? სულ გავიბუტე და წარმოვიდგინე კოლოების სასტუმროში ფელამუშის დაკრულ ტაშზე მოცეკვავე დაბუსუსებული ჩინეთი და თევზი თავისი ბარკლებით. მეც იმ სასტუმროში ვცხოვრობ და დავბრუალებ კოლოსავით ქურდულად უკან წაღებულ ხელში სიგარეტით და ახალი იმპორტული ბოტასებით, რომლებიც ნაღდი ქუთაისებია და თავზე მახურავს ნამუსის ქუდი, რომელიც ნაღდი დუბაია და მივისწრაფი სინგაპურისკენ, რომელიც დასავლეთზე უფრო დასავლეთია და ერთ დღეში სამ დღეს ვცხოვრობ. გადავიარე გადასასვლელი ხიდი, შემომხვდა თამაზა, რომელსაც ძალიან კეხიანი ცხვირის გამო დიდგორა ქვია და ერთად წავედით სუპერხინკალცენტრში. მერე გავედით ქართული როკის ასოციაციაში, სადაც დიდგორას წინალამით ფანდური და სალამური დარჩა პაშიშით თრობის მყარ ნიადაგზე, გამბოლეს ამ ბოლიშვილებმაო, მერე გავედით ერთი მსახიობის თეატრში, სადაც დიდგორას ერთ-ერთი მსახიობის ნახვა უნდოდა – თავისი პიესის დადგმაზე უნდა დალაპარაკებოდა, მაგრამ ერთი მსახიობის თეატრის მთელი დასი საგასტროლოდ იყო წასული, მერე რაჭულ ბისტროში კაი ყავააო, დიდგორამ, და იქ დავლიეთ ყავა „ყაზბეგი", მერე ორი კათხა ლუდი მოატანინა, არ მინდა-მეთქი ლუდი. როგორ, ქართველი ქალიშვილების პატიოსნეულების სადღეგრძელო არ დავლიოთო? შეყვარებულზე იყო ნაწყენი. ფეხზე წამოდგა და ისე დალია ქართველი ქალიშვილების პატიოსნეულების სადღეგრძელო, მთელ კლიენტგამოხშირულ დარბაზს მიმართა. მე შეყვარებულზე არ ვიყავი ნაწყენი და არც რომელიმე ეროვნების ქალიშვილზე. მეორე ტოლჩა ლუდით მოდი ჩვენნაირი ზარმამაცი ხალხი არ არსებობსო და ზარმამაცი ქართველები დავლოცოთო. როგორი-მეთქი? ზარმამაციო. ჩემი და შენი თამადობით ზარმამაც ხალხს გაუმარჯოსო.

— შენით იგონებ ასეთ სიტყვებს? პატიოსნეულება, ბოლიშვილები... – ვკითხე.

— არა, შალვა ახალციხელი მასწავლის.

— ვაა! სიზმარში გეცხადება? გმირი?!... და სიტყვებს გკარნახობს?!

— არა, რა გმირი, ბასისტი შალვა ხმალაძე ხო იცი, ახალციხელია წარმოშობით, ისე დელისელი ბიჭია, რაღაც პონტში გმირიც კია...

მე დიდგორას შევჩივლე, თავს ძალიან უცნაურად ვგრძნობ-მეთქი, სიტყვების კონფლიქტისგან რაღაც გულისრევისნაირი მჭირს-მეთქი და ხომ არ იცი, მედიცინაში რა ქვია სტენდალის სინდრომს კვიმატობათა ძეგლებთან მიმართებაში-მეთქი. ეკლესიაში უნდა იაროო, დიდგორამ, შენი სახელობის ხატი უნდა შეიძინოო და წამიყვანა მაღაზიაში „ხატები ბითუმად" და მაყიდინა დავით აღმაშენებლის ხატი. ვაფშე დუშევნათ გაუბერეო, დიდგორა მარწმუნებდა, ბევრი უნდა ილოცოო და მოსაწევი თუ იჩალიჩო, დამირეკეო. ელექტროფანდურს ვაკეთებ და დისტორშენი მაგრად მიდის მოსაწევზე და ელექტროფანდურზეო. ვაფშე დუშევნათ გავუბერე თუ ვააბშე დუხოვნათ-მეთქი? სულ ერთიაო. მე ვიცოდი, რომ არ იყო სულერთი, მაგრამ რა განსხვავება იყო, მაგის დაჭერა ასე გადაღლილს არ შემეძლო და ამისგან უეცრად კიდევ ერთი დღის დაღლილობით ერთბაშად დავიღალე. ასე დაღლილი მე და სრულიად დასვენებული დიდგორა ამასობაში ერთ დიდ, ძალიან გაპრიალებულ რაღაც ოფისში აღმოვჩნდით, რომელსაც გარედან ეწერა „ელიტ ფეშენ მოდელ გლამურ". ამ ფრაზას თვალით ისე გავყევი, როგორც ოთხუცნობიან განტოლებას, რომელიც საგამოცდო ბილეთში ამომივიდა და აღარ ვიცი, გამიხარდეს თუ მეწყინოს. აი, როცა თითქოს ყველაფერი იცი, მაგრამ საბოლოო პასუხს ვერ იღებ. ბოლო სიტყვამ მაინც ყველაფერი გააბუნდოვანა.

— აქ რაღა გვინდა? – ვკითხე დიდგორას.

— აქ იამაიკური პარიკები აქვთ და თორმეტი ცალი ძუა უნდა გამოვაძრო.

— რა ძუა და რა თორმეტი?

— კვაკიან ფანდურს ვაკეთებ, ქრომატიულს, ექვსსიმიანს, ოღონდ წყვილ-წყილი ექნება ლარები პეიჯის გიტარასავით და რადნოი კვაკი ექნება. ისეთი ფანდური უნდა გავაკეთო, ბობ მარლის რო არ მოლანდებია.

— და იამაიკური ძუა რა პონტია, ქართული ძუა არ წავა?

— სად ვიშოვო ქართული ძუა თბილისში? – მკითხა გაოცებულმა.

— და რა პონტია ექვსსიმიანი ქრომატიული ფანდური კვაკით. ეგეთი ხო გიტარა არსებობს?

— საკულტო პონტია, ბიჭო, საავტორო, გესმის? ასე უფრო მაგარი ტიპი ხარ. ექვსსიმიანი ფანდური თორმეტსიმიანი, იამაიკური ძუა, კვაკი, პლანი, მარლის ქუდი იამაიკის დროშის ფერებში, ისეთი ქართული რეგე უნდა დავუკრა, რო სულ დაყარონ ფანდურები და ზოლიანი ქუდები ამ პლაგიატებმა და მიმბაძველებმა.

— რა ქართული რეგე, თუ ძმა ხარ!

— რას ამბობ, ძმაო, მაგარ ხოდშია, ერთი კაი ქართული სამხედრო-პატრიოტული რეგე, მერე კლიპს გადაიღებენ, დაატრიალებენ, რამე...

— კარგი რა! სად წაიღებ მაგ სამხედრო-პატრიოტულ რეგეს?

— აგერ, ძმაო, რეგეს მსოფლიო ფესტივალზე სიღნაღში.

დაღლილი რომ არ ვყოფილიყავი, უკეთეს სიცილს დავაყრიდი. დავინახე, სიტყვებმა როგორ ხელდახელ იჩხუბეს.

— ფესტივალს რა ქვია, „ნო მარო, ნო ქრაი"?

— რას დაგვცინი, ძმაო, ერთი ჯგუფი სტეფანაკერტული რეგე იქნება, მეორე — ავლაბრელი ბიჭები არიან ძააან მაგრები, აქაური და რუსთაველი რეგეისტები ვიქნებით, საგარეჯოელი ბალტიისპირელები იქნებიან კიდე და ეგარი...

— კაი რა, კაპოტი ამეხადა სიცილისგან!

— შენ იცინე და ეგ თუ გავარტყი, ბაითსაც გავარემონტებ და მაცაცოს პატიოსნეულებასაც მოევლება, გაიკეთებს მერე ბეჭდებს და ბრჩხილებს და დაიწყებს ზედ ყურებას.

„ელიტ ფეშენ მოდელ გლამურ"-ში სიგრილე იყო და თანამშრომლები არ დარბოდნენ, მოთენთილები დადიოდნენ. ოთახებში ისხდნენ კაცისხმიანი ქალები და ქალისხმიანი კაცები. მოთენთილი ქალები ეწეოდნენ და ყავას სვამდნენ, ხოლო მოთენთილი კაცები არ ეწეოდნენ – მარტო ყავას სვამდნენ და ყველა „საყვარელო"-თი მიმართავდა ერთმანეთს. დერეფნებში კი გაპრიალებული ახალგაზრდები დადიოდნენ მოთენთილად, მაგრამ ღირსებით. გოგოები მაგარ სიფათებს კერავდნენ და ისე პრინციპულად მოემართებოდნენ, იფიქრებდი, ეს-ესაა დამეჯახებაო, და ბიჭები პირიქით, რბილ სიფათებს კერავდნენ და ისე მოიწევდნენ, იფიქრებდი, ეს-ესაა ჩამეხუტებაო. ამიტომ ყველას გზას ვუთმობდი და პანიკურად დავყვებოდი კედლებს.

— შემოსასვლელში დაგელოდები, დავილალე კედლების ხეხვით. – ვუთხარი დიდგორას, რომელსაც აქ „დევიდს" ეძახდნენ. რბილ სავარძელში ჩავყვინთე და ხუთიოდე წუთის დასვენებისთვის ამოვისუნთქე, თან „ელიტ ფეშენ მოდელ გლამურ"-ის დიდი შუშის კედლებიდან ქუჩაში გავყურებდი ხალხს და მანქანებს. კარებთან ვერცხლისფერი „პორშე" გაჩერდა და გერონტი ორჩხომაძე გადმოვიდა, ჩემი ძმის კლასელი. გერონტიმ სამი წლის წინათ დაამთავრა სკოლა და ყველაზე მეტად სკოლას თავი დაამახსოვრა ნივრის და კიტრის მწნილის ქრონიკული სუნით. სამი წელი უძახე გერონტის წასვლიდან და სკოლა ჯერაც ვერ განიავდა.



მხატვარი იანა ზაალიშვილი

გაპრიალებულ კარებში დიდი ღირსების და მოთენთილობის გრძნობით შემოვიდა გერონტი ორჩხომაძე და მე დამინახა. სადღა იყო მისი აჯაჯული ფართო შარვალი და დიდი სვიტერი, 44 ზომა ბოტასები და შავი გაუვალი ჯაგნარი თავზე! თმა ქერად შეელება, მთლიანად ბზინავდა გალაქული თმიდან და ბრჩხილებიდან დაწყებული და დამთავრებული მბზინავი ჩალისფერი რეიტუზით და ასეთივე ფერის წვრილი, გრძელცხვირა ტუფლებით.

ერთიანად პრიალებდა – ხის წებოში ჩავარდნილს ჰგავდა.

— ვა, ორჩხომაძე, რა გაგჭირვებია?! – შევძახე მე.

თბილად გადამკოცნა.

— როგორ ხარ, საყვარელო?

— რა „საყვარელო", ბიჭო, გერონტი, შენ ხუარ გძმარავს!

— მე ჯერი ორჩე მქვია, ჯერი! რაღა დროს გერონტია! აი, ხედავ საყვარელო, როგორ დავეკარგეთ ერთმანეთს? რობი როგორ მყავს? მე აი, აქ ვმუშაობ. –

რობი თვალშისაცემი გაბლენძილობით და ნიშნისმოგებით მოიკითხა, აქაოდა, მე ნახე სად ვმუშაობ და შენი ბედოვლათი და ზარმაცი ძმა აბა სად მუშაობს, აბა დამახარბეო.

— მოიხედე, გერონტი...

— ჯერი მქვია...

— რა ჯერი! ჯერი არა, ტომი კიდე და ფისო! ჯერი როგორ დაგიძახო ამხელა კაცს, ტო?! თუ გინდა, პა, გეროს დაგიძახებ... – ქუჩაში რაღაც სადისტრიბუციო მანქანამ ჩაიარა, რომელსაც „გერმანულ ქვაზე გამომცხვარი პური" ეწერა და შუქნიშანთან შეჩერდა.

ვახ! გერმანულ ქვაზე გამომცხვარი პურიო!

მე მთელი ცხოვრება იმას მასწავლიდნენ, რომ კარგი სალი კლდეები გვაქვს საქართველოში და გაჯიქებული ვდგავარ, არავის არ ვუცვლი გერმანიის და სხვა ქვეყნის სამოთხეზე და თვითონ კიდე თურმე გერმანიიდან შემოაქვთ ქვები. ამეჯაგრა ყველაფერი და მზად ვარ, ეს ნაბიჭვარი და ნაბიჭვარიც რო არ არის, ეს ნაგოგოვარი გერონტი ვცემო, ამნაირ სლიკინა სნობ ლოკოკინებს შემოაქვთ გერმანიიდან ქვები...

— რაღაცას მეკითხებოდი, საყვარელო. – შემახსენა გერონტიმ.

— ბიჭო, გერონტი, მე მეგონა სალი კლდეები მაინც გვივარგოდა საქართველოში!– თვალს ვერ ვაშორებდი შუქნიშანზე გაჩერებულ მანქანას. – ქვის პური მიყვარს, გერონტი...

— ჯერი დამიძახე...

— და იცი რატომ მიყვარს, გერო, ქვის პური? ქართულ სალ კლდეზე გამომცხვარი მეგონა...

— ვაიმეე, პატარაც სულ ეგეთ უცნაურ საყვარლობებს ამბობდიიი....

— გერონტი, მართალი მითხარი, შენ შემოგაქ ქვები გერმანიიდან?

— რა ქვები, სიცოცხლე, მე აქ ვმუშაობ! – სიამაყით მოავლო ხელი მბზინავ სივრცეს. სადისტრიბუციო მანქანა წავიდა.

— მოიხედე, გერონტი, ნახევარი საათია ამ შენობაში დავდივარ და ვერ გავარკვიე, რა დაწესებულებაა, რას აკეთებთ აქ?

— ჩვენ აქ, გენაცვალე, ქართულ გლამურს ვქმნით!

— რაას?!

— არა მარტო ვქმნით, არამედ საექსპორტოდაც ვამზადებთ!

აშკარად კარგ რაღაცას ქმნიან, ისეთი ბედნიერია გერონტი და ისე ელოდება ახლა ჩემგან სახოტბო მადლიერებას, ნამდვილად ქართული გლამური ყველას ძალიან გვეჩქარება. აი ჩვენ ღამით მშვიდად გვძინავს, ესენი სხედან და გლამურს ქმნიან და საექსპორტოდ ამზადებენ, რათა ჩვენ მშვიდად გვეძინოს. გაიტანენ მერე უცხოეთში ქართულ გლამურს, იქიდან გერმანულ ქვებს შემოიტანენ და მე უმადურს პური მექნება... გერონტის მძაფრი, აშკარად ძვირფასი სუნამოს სურნელი ასდის, რაც, პრინციპში, ისევ ნივრის სუნს ნიშნავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გერონტი, გლამური რა არის?

— რაა? გლამური არ იცი რა არის? შემომხედე! – მითხრა შტერულად გაბადრულმა და გამარჯვებული ტორეროსავით ჩამომიდგა. – გლამური მე ვარ!

მე შევხედე და დავინახე ხის ნებოში ჩავარდნილი გერონტი ორჩხომაძე – ქართული გლამური. ან ქვებს ვინ გვაძლევს ამაში! აქ დიდგორაც მოვიდა და გერონტიმ უთხრა, მაგ ცხვირის კეხს რომ მოიჭრიდე, სუფთა ბრედ პიტი ხარო.

და მერე ის კეხი რომ ბრედ პიტს დავადგა, ის გახდება დიდგორაო? დიდგორამ. არა, არაო. მერე დიდგორა ხომ ველარ ვიქნები, ორთაჭალის ტურფა ვიქნებიო და წამოვედით არც ისე კმაყოფილები, მაგრამ არც ხელმოცარულები და კუდამოძუებულები – თორმეტი ძუა ამისთვის საკმარისი არ იყო...

შუაღამისას სადარბაზოში რომ შევდიოდი, ლიფტი გაიღო და იქიდან ფანდი, ლიზა და ჩემი რუსულის მასწავლებელი, ფარნავაზი გამოვიდნენ. ლიზამ უსიტყვოდ ჩამიქროლა, ალბათ ლიფტში გაჭედვა ეჩქარებოდა, და სადღაც მეზობელთან შევარდა. ფანდის ერთი ბოთლი არაყი და თეფშით ნინაკის მწნილი მოჰქონდა, ხოლო ფარნავაზს ერთი ბოთლი არაყი და თეფშით ნინაკის მწნილი. აი ამ მრავალფეროვან მენიუს თვითონვე გაკვირვებული დააჩერდნენ, როცა მე დამინახეს.

— ფარნა მასწ, რომელი უფრო სწორია, „ვაფშე" თუ „ვააბშე"?

— ქართულად „ვაფშე' და რუსულად „ვააბშჩე".

— არა, რას ნიშნავს, რო სპეციალისტია! – ბოთლი აიქნია ფანდიმ.

— არა, ფარნა მასწ, ხუმრობის გარეშე, რომელი უფრო სწორია, „დუხოვნა" თუ „დუშევნა"? როგორ უნდა ვთქვა?

— თუ ხუმრობის გარეშე გინდა, ორივე სწორია, გააჩნია, როდის იტყვი...

ფანდიმ საათზე დაიხედა:

— ასე, ამ დროს რო თქვას ხოლმე, თორმეტის ნახევარზე?

ხვალ გაკვეთილზე აგიხსნიო და წავიდნენ ბუჩქებისკენ. იქ ჩაიბუდებენ ციცრებივით, თავიდან ხმადაბლა აბუბუნდებიან და ამ ბუბუნზე მთელი ორი კორპუსი ტკბილად დავიძინებთ, მერე ერთ საათში ფანდი ამღერდება ბუჩქებიდან და ეს არ იქნება ფანდური, ეს იქნება ისევ ფანდი და მთელი ორი კორპუსი გავილვიძებთ და იმ ლოთების გინებას მოვდგებით, რომლებიც ღამღამობით არ გვაძინებენ, არკი გაგვახსენდება და არ დავუმადლით, როგორ ტკბილბუბუნით დაგვაძინეს და არ ვიცი ალგეთს ლეკვები რას შვრებიან, მაგრამ ქართველი ბავშვები ქეიფის იავნანაზე იზრდებიან და მადლობა ფანდის –ორი კორპუსის ბავშვებს ზრდის...

ისეთი დალლა მომერია, რომ ოთხზე დადგომა მომინდა და დავდექი ოთხზე. ლიფტში ოთხით შევედი.

— ერთი წუთით, არ დააჭირო! – ლიფტში ლიზა შემოვარდა და ნებისმიერ ღილაკს თითი დააჭირა. „ნეტა ახლა არ გაიჭედოს!" ვინატრე და მეტი სიფხიზლისთვის ორზე ავდექი. როცა ლიფტი გაჩერდა, ლიზას ვკითხე:

— რომელი სართულია?

— არ ვიცი, ან მეხუთეა, ან მეთერთმეტე. – გავიდა და წავიდა, მიმატოვა სრულ ინფორმაციულ და ისე სიბნელეში. სადარბაზოში თავი გამოვყავი და მოვათვალიერე. სწორი თქვა: ან მეხუთე იყო, ან მეთერთმეტე. უცებ ვიღაცამ თავში ხელი მტაცა და ლიფტიდან იმ ბნელეთში მითრია.

— გამოდი ბიჭო, რას გამოჩერებიხარ თრითინასავით!

— მამა!... გამიხეთქე გული, რა არი, რა!

— აღარ გინდა სახში მოსვლა და ლიფტში იმალები, თუ რა ხდება?!...

მეთერთმეტე ყოფილა.

...ნეტავ რა ქვია სამედიცინო ლექსიკონში სტენდალის სინდრომს კვიმატობათა ძეგლებთან მიმართებაში? ეგ დაავადება მჭირდა და ვახშამი ჩამშხამდა. მამ'ჩე და ჩემ'ძმა რაღაც ძველ დოკუმენტურ ფილმს უყურებდნენ, აჭარის რევოლუციაო თუ რაღაც, რავი, და ტექსტი იმდენად კვიმატი იყო, რომ მინერალური წყალი ხომ არ არის-მეთქი ოჯახში, ვიკითხე. მამ'ჩე ძალიან ბედნიერი აკომენტებდა:

— ნახე რა თქვა პრეზიდენტმა? ჩავალ ბათუმში და მაგ ქონდრისკაცს მიწაში ჩავტკეპნიო!

— ბებია, ბორჯომი გვააქ?

ბებ'ჩემ „ნაბელლავი" დამისხა.

— ბებია, შენ რას იტყვი, ჩატკეპნის?

— ამან თუ ეინწყვიტა ჩატკეპნის, მდევივითაა, მარა ჩასატკეპნათ ბათუმში წასვლა... აქვე ჩატკეპნოს ვინმე.

— მამა, გადართე, რა მართლა ცუდად ვარ.

მამ'ჩე სიგარეტის მოსაწევად ადგა და როცა ჩამიარა, კისერში ჩამიჭირა ცერი და საჩვენებელი თითები და გახარებულმა ჩამომძახა:

— ასლან ი ასლანიონოკ! – ამით აჭარის რევოლუციისადმი თავისი ხალისიანი დამოკიდებულება დააფიქსირა.

— მამა, ქვეყანაში საყოველთაო ბოდვაა გამოცხადებული! спан

— ბიჭო, შენ რა გასწავლეს დღეს ავტოსკოლაში? – მიუბრუნდა რობის.

— ჰიდრავლიკური ამძრავის ჯამური ფოლხვა. – მიუგო რობიმ, ან როგორ დაიზეპირა! მე თვალები დავხუჭე.

— სარგისოვნა, ფოლხვა რა არის, იცი?

— რავა არ ვიცი, რო მიხოხავ და ველარც მიხოხავ.

— და ჯამური ფოლხვა?

— ეგ ბუზი ან რამე ჭია-მაია ჯამიდან რომ ველარ ამოდის და ფოლხავს, ფოლხავს...

— ხვალიდან ბებიაშენს მიებარე, რაში მაყრევინებ ფულს! — დაუბარა მამ'ჩემ რობის და აივანზე გავიდა.

მე თვალები ამის მერე აღარ გამიხელია, ყველაფერი ისე გავაკეთე.

— დაიძინე შვილო ვინემ გეძინება, ემანდ არ გამოგინელდეს. — მითხრა ბებ'ჩემ, მაგიდას ალაგებდა.

დავიძინე....

მე მაქვს ორი სიზმარი – დაძინებამდე და დაძინების შემდეგ.

დაძინებამდე დამესიზმრა, რომ ვსწავლობდი ფეხებზე დაკიდებას. რადგან ფეხებშიც ცაცია ვარ, ყველაფერს მარცხენა ფეხზე ვიკიდებდი და ეს მარცხენა ფეხი იმდენად გადამეტვირთა რომ ვერ დავიძინე. სადღაც ძილ-ღვიძილის საბაჟოზე ვიყავი გაჩხერილი და რაღაც მაკლდებოდა, ფული თუ სიმსუბუქე, რომ საბაჟო გამევლო. მერე დანაგვიანებული ფაილებისთვის მარჯვენა ფეხი გავშალე და მაშინვე დამეძინა. დამეძინა და გავფრინდი არა ზეცაში, არც ცაში, არამედ სადღაც ზოგადად დავფრინავდი, ქვეცაში...

და ეს იყო ჩემი ჩვეულებრივი ძილი – მე ვიცოდი, რომ მეძინა.

დაძინების შემდეგ დამესიზმრა

* * *

კოლოების სასტუმროში ქორწილი იყო. სასტუმროს შესასვლელთან ზანგი იჯდა და მღეროდა: „წინდახედულად მოვიქეცი და უკანმოუხედავად გავიქეცი", თან უკრავდა კვაკიან თორმეტსიმიან ფანდურზე, რომელზეც ლარებად იამაიკური ძუა იყო ასხმული.

სასტუმროში სულ ორი დარბაზი იყო და აქეთ მობრძანდითო, დიდ დარბაზში შემიძლვა სოლარიუმში გაყვითლებული დიდგორა, რომელსაც ცხვირი ჰქონდა მოჭრილი და ამიტომაც ვერ მიცნო. დიდ დარბაზში ქორწინდებოდნენ გერონტი ორჩხომაძე და ჯერი ორჩე, გაშლილი იყო გრძელი სუფრა და სუფრაზე ელაგა გერმანიიდან შემოტანილი ქვები, რომლებიც თურმე ჩვეულებრივი რივნის ჭალის ქვები ყოფილა, ოღონდ გალაქული. შემწვარი კარტოფილი „ფრის" დაკრულ უსმენო ტაშზე ცეკვავდნენ ხის ნებოში ამოვლებული ქალისხმიანი კაცები და კაცისხმიანი ქალები და მეფე-პატარძალი – თვით ქართული გლამური ცეკვავდა.

დიდგორას გავძახე, შემოდი ამ მეფე-პატარძლის და მთელი ამ ხალხის პატიოსნეულების სადღეგრძელო დავლიოთ-მეთქი, მაგრამ ცხვირმოჭრილმა დიდგორამ ისე ვერ მიცნო, თითქოს მე მქონდა ცხვირი მოჭრილი და გვერდზე გაიხედა. მარტომ დავლიე პატიოსნეულების სადღეგრძელო და მეორე ოთახში რა ხდება-მეთქი, წავედი.

მანდ მოგწყინდებათო, დიდგორამ მომიბოდიშა, არაფერი არ ხდება, ძველმოდურობა და ქაჯობააო.

დიდგორ! მიცანი-მეთქი?! და გვერდზე გაიხედა...

იმ მეორე, მართლაც ჩამოძველებულ თელის ოთახში მარტოდმარტო იდგა ქართული წყლის წისქვილი და მუშაობდა. კარი ჭრიალით გაიღო და, რომ შევედი, თვითონვე მიიხურა. ხვიმირაში არ ეყარა არც ჭვავი, არც პური, არც ქერი, არც სიმინდი. ხვიმირაში ეყარა ქართული ხალხური ლექსები და სიმღერები და რიტმული ტკბილი ღრიანცელით მუშაობდა ძველი წისქვილი. სულ მარტო იყო, მაგრამ მაინც რაღაც უხაროდა, ბედნიერი იყო. საერთოდ არ ახსოვდა მეზობელ დარბაზში უსმენოდ მოცეკვავე, ნებოში ამოვლებული სნობი ლოკოკინების ქორწილი. ჩამოიფქვებოდა „ხასანბეგურა", დაიწყებოდა „იმერული ნადური", ჩამოიფქვებოდა „ვეფხის და მოყმის ლექსი", დაიწყებოდა „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა"...

დოლაბის ქვემოთ ხაროს თავზე პეშვი გავშალე და ირიბად მომაყარა ფქვილი – ხელისგული ელვარე მომწვანო-მოწითალო ზურმუხტის და ლალის ღერღილით მოიფიფქა. მე წამოვწვები, დავისვენებ აქვე, ხაროს თავზე და როცა დაიწყება „არსენას ლექსი", ორ ხმაში ვიტყვით „არსენას ლექსს".

— დაიძინე, — მითხრა სარეკელამ, — ეს არის შენი იავნანა.

ბრუნავდა, ბრუნავდა წისქვილი, მარტოდმარტო მუშაობდა. ძალიან ბედნიერი იყო, ვერ ჩერდებოდა...

და როცა ჩამოთავდა „მალლა მთას მოდგა" და დაიწყო „მხედრული", მე დავდექი და ქართული წისქვილის დაკრულ სმენიან ტაშზე მარტომ ვიცეკვე...

# წერილი სამშობლოს

*მე იმ დღისთვის მებრალები, საქართველოვ,*
*როცა მოგვიკითხავ.*

**ელა გოჩიაშვილი**

*ნუ შეიყვარებ ქვეყანას, შეიძლება რუკიდან გაქრეს.*

**ჩესლავ მილოში**

მივწერდი წერილს ძვირფას და მშვენიერ ქეთრინს, რომელიც მართალია შენსავით მოხუცდა, მაგრამ სმენაც და მხედველობაც შესაშური აქვს. მივწერდი თორმეტგვერდიან წერილს იმაზე, რაც აქ ხდება, მაგრამ ზუსტად ვიცი, წაიკითხავს, ამიტომ გწერ შენ, რადგან რამდენიმე დღეში მითითებულ მისამართზე უკან დააბრუნებენ, მე კი აქ აღარ ვიქნები. დაპირებული თუ დამუქრებული განშორება უნდა შედგეს.

ველარ ვიტან შენს გაუთავებელ ბორიალს დერეფანში, თან ვაღიარებ: ვერ გაგიხმობ ოთახში, რომელიც არ მაქვს, რომელსაც, რომც არსებობდეს, არ ექნება ღერძი, მზისკენ რომ მივატრიალო, სადაც არ იქნება ხმა ჭიშკარზე აცოცებული ადამიანების, სადაც ბავშვებს არ ექნებათ თმაში ნავთის სუნი, მკვდრებს — მშიერი ხახა.

ჩვენ კი დერეფანში ვცხოვრობთ.

ფანჯრის რაფაზე სპილენძის ჯარისკაცების რიგია, სასაცილოდ რომ ჭუტავენ მარცხენა თვალს და გიგანტურ ობობებს ესვრიან. ეს ჩვენს გასაბრიყვებლად. თორემ შენ, მე და კიდევ ცოტამ ხომ ვიცით, რაც არის. — ფეხების ბაკუნი დასანგრულ მინაზე.

რა ვთქვა?! ჩემი ხმა ტერციებით იწყებს დალმასვლას და ბოლოს საერთოდ წყდება. ხიდს ვერ გადავალ, მოაჯირთან იმდენი დგანან, თხემიდან ნერვები რომ უჩანთ და წყალში ნაგავთან ერთად საკუთარ სხეულებს ისვრიან. მდორე დინება.

ან საკენკს ჩიტებს ვინ უყრის ახლა, ნამცეცებისთვის ლაბუა ბავშვებია, ასფალტზე ცარცით რომ აქვთ შემოხაზული თავიანთი წილი ქვეყნები, თბილიც და ცივიც. ზამთარში სველი ქვეშაგების, ზაფხულში კი გაზეთის ბუდეებს რომ იკეთებენ და მხოლოდ სასაფლაოზე სწავლობენ ფრენას. გაფრენას ცივი სხეულიდან ყველაზე დიდი მეზღაპრისკენ.

გუშინ მეგობარი დავმარხეთ. მასაც ჩემსავით უნდოდა გაქცევა შენგან, მაგრამ არ ვიცი, სად, რადგან გამუდმებით ცაში იყურებოდა, სურვილი კი ვერაფრით გასცდა წამწამებს, ელსადენებში გაიხლართა და კიდევ კარგი, ყველა მკვდარს არ ფატრავენ, თორემ ჟანგიან მავთულებს ამოაგლეჯდნენ ფილტვებიდან, მერწმუნე!

ქუთუთოებზე ფარდას ვერ ჩამოიკიდებ. გვიყურე!

ეს ჩვენ ვართ, ვინც გავიჭყიპეთ წყალ-წყალა პროტესტით და ძახილის ნიშნებს მივათრევთ არსაით, ვისაც შეგვახმა შუბლზე ძარღვები და გველის ნაკბენივით დაღარულები დავდივართ. ჩვენ გავიზუთხეთ მათემატიკური თანმიმდევრობით თარიღები და საზეპიროები ისტორიიდან, რომელსაც მამლაყინწებივით ვყივით მორყეულ ქანდარაზე შუაღამით.

აქ არ თენდება... ეს ჩვენ ვაცილებთ ტაშით საზეიმო მარშებს და მერე იმავე ასფალტზე ვხოხავთ შიშველი მუცლებით, ვინც შიმშილობას შიმშილობითვე ვაპროტესტებთ და დასაკარგი — არაფერი!

ჩვენ დავაობეთ ხსოვნაში ერთმანეთის სახეები და მლაშე ტუჩებით ძველ ფოტოებს ვკოცნით, კარს კი არ ვაღებთ, ჩურჩულით ვკითხულობთ დროდადრო გადახალისებულ მანიფესტს. — ესეც ბევრია!

მე კი გწერ:

ველარ ვიტან შენს უმიზნო ბურიალს კედელ-კედელ ხელის ცეცებით. მეც ის ვარ, ვინც საშენოდ ალბათ ვერასდროს ავინთები და დამნაშავე ვარ შენს წინაშე, მაგრამ მაინც.

ჩვენ გვაქვს საერთო: დიდი ტკივილები ადამიანს ამუნჯებს.

და სანამ წავალ, ბოლო იავნანას საკუთარ თავს თვითონ შევყმუვლებ.

**თათია ჯგუშია**



გია კობახიძე

* * *

ვერაფერს ვერ ვთმობ,
ძველს ვერ ველევი,
მომავალს ვეჭვობ,
მითრთის ხელები,
მიწას ძლივსღა ვგრძნობ
ფეხის წვერებით,
წლებს ვითვლი ნელა,
ფერებ-ფერებით.
მაინც დავდივარ, ცას ვემღერები,
კიდევ ვვარგივარ,
ქალს ვეფერები;
ალბათ, კარგია, რომ არ ვთავდები,
ნამდვილ გულსა ვგრძნობ
ხელის დადებით.

* * *

ამოუცნობი სიტყვაა ქალი,
იდუმალი და მოცული ნისლით,
თვალებში მზით თუ ლოყაზე ხალით,
შვლის ფეხებით თუ მაღალი კისრით,
იდუმალ ხმით თუ საკუთარ ნებით,
წვიმიან დილით თუ ბნელი ღამით,
უახლოვდება ერთმანეთს გზები,
წვეთ-წვეთად, ნელა ივსება ჯამი.
ნამწამებს ებრძვის დაღლილი მზერა,
სახეს ირიბად ეცემა ჩრდილი,
ნუხანდელ სიზმრის ნაკლებად გჯერა,
ბავშვივით ტირის გამკრთალი ძილი,
ამოუცნობი ბევრია ქალში,
ის, რაც გაკვირვებს, ყოველდღე ხდება,
თოვლი ცვივა და იყრება წყალში
და სიცივისგან ღიმილიც კვდება.
რომელი ქარით და რომელ მხარეს
საითკენ მიქრის ქალი, რომელსაც
ვერ დაეწევი სირბილით ჩქარით
და ვერც ნაბიჯით გამოზომილით.
ქალის გამოა მთელი ცხოვრება,
რომ სატკივარი ამდენი ვზიდეთ,
არეული გვაქვს, თუმცა გონება,
მაინც დღედაღამ ვეძებთ და მივსდევთ,
დამძიმებულან წლებისგან ფრთები,
თუმცა მუდმივად იბრძვი და უძლებ,
რადგან შენივე ცხოვრებით ხვდები —
ქალია მაინც ყველაფრის ფუძე.

* * *

ზღვა მიცინის კეთილი,
არც ცხელია, არც ცივი
და თოლია-წერტილი,
ლურჯზე თეთრი ცარცივით.
გვიანია თუ ადრე,
დროს ვერავინ აჩერებს,
ტალღას აზის შუადღე
და ცხენივით აჭენებს.
ვერ გახდება შენი ტყვე,
თვითონ გიწყობს გამოცდებს
და რაც ზღვისგან შეიტყვე,
არავისთან წამოგცდეს.
ვხედავ მღვრიე-ანკარას
წყალს, შუაზე გაყოფილს,
მიდის-მოდის ქანქარა
კაცის ყოფნა-არყოფნის
მუდამ ფონს ვერ გაგიყვანს,
იყო მონამორჩილიც,
რა ვქნა, მაინც ზღვა მიყვარს,
წყნარიც და აქოჩრილიც.
ვილაც გულსაც არ ჰკითხავს,
ქალთან ისე ერთობა,
ზოგს მუზამ მოაკითხა,
მე კი ზღვა არ მეთმობა.
ბევრჯერ შეფარებული
გზებზე და იმედებზე,
ვდგავარ, შეყვარებული
მე უილბლო მეთევზე,
ხელს მიქნევს და არ იცდის,
ფიქრი მიქრის ქარებად,
მზე ლილინებს თავისთვის,
არსად არ ეჩქარება,
ისევ ქარი თუ არხევს
ცაზე ღრუბლის ნარჩენებს,
ტალღას აზის შუადღე
და ცხენივით აჭენებს.

* * *

მერამდენეჯერ ბრაზდები,
როცა ავ სიტყვას მოისმენ,
თუმცა იცი, რომ ფასდები
კაცი, რაც უფრო მოითმენ.
ისე გჭირდება სიკეთე,
როგორც სიმწვანე ნაძვის ხეს,
ჰოდა, ნურც მაშინ იფეთქებ,
თუ ცეცხლზე ნავთი დაგისხეს.

ზნით მიამგვანე ხარი ხარს,
და თვალს შურით ნუ გაიძლებ,
თუ გვერდში მდგომი არ გიყვარს,
ნურც სიმღერას ნუ დაიწყებ.
ვერ გამოდგები მედროშედ,
ლხინს თუ მიიყვან ომამდე,
არ შეიძლება, ჩვენს დროში
ნერვებს ნერვებით ზომავდე
დაცვიდარაბა კი არა,
სითბო წაილე შინისთვის
და იმ სიმშვიდით იარე,
დედა რომ მოქსოვს შვილისთვის,
ვერ შეედრები მარტისთვეს
ჭირვეულ ფერთა გამაში,
ამიტომ უჭირთ არტისტებს
დედინაცვალთა თამაში.

* * *

გულმოდგინედ ასურათებს წვიმა
ცხელ ასფალტზე გამოყვანილ ფიგურებს,
მონკრიალებს ზეცის ზღაპრულ სიმად,
ეჭვიანი ქალის თვალით მიყურებს.
სარკმელს უმზერს და რაღაცას აგონებს,
წყვილის კოცნას როცა ხედავს ვნებიანს,
ნუხანდელი ღამის ამბებს აყოლებს
და ფოთლებიც სხაპასხუპით ყვებიან.
ცისარტყელა მოჰგავს ბოლოს მამლის,
ლამაზსა და ხელის გულზე სატარებს,
ჩვენთან წვიმა ვერ იქნება მამრი,
ქალია და ქალის სურნელს ატარებს,
ცაში ყოფნას მიწის სითბო არჩია,
მზის ნაკოცნი შუბლზე აზის ხალივით,
რა ქნას, სარკე ხელში არ გააჩნია
და გუბეში იყურება ქალივით.
ცისკენ გარბის მაინც თვალი პოეტის,
დაისმება წერტილიც და მძიმეც,
თუმცა დარი გვირჩევნია ყოველთვის,
გულით მაინც ველოდებით წვიმებს.

* * *

ბრდღვიალებდი ერთ დროს ფერად შინდის,
ახლა დგახარ ეკლითა და ბარდით,
როგორც კვამლი, ცისკენ ნელა მიდის
შარშანდელი, გაცრეცილი დარდი.
სადღაც ნისლში იკარგება ხიდი,
ცრის და წვიმა საყელოში ჩაგდის.
ადრე რასაც არასოდეს შლიდი,
ახლა ხდება უსარგებლო ჯართი,
ზის მოხუცი, გუდით სიზმრებს ჰყიდის,
ბავშვობაში დაჭერილებს ბადით,
ვით მამასთან, თითო-თითო მიდით,
მერე ისევ თქვენ-თქვენ გზაზე წადით,
წლებო, ალბათ, დაბერებად ღირდით,
გული მწყდება,
ღმერთი, რჯული, ხატი.

* * *

წუთისოფელი ველარ მშვიდდება,
ჭრელი თევზებით სავსე აუზი,
წყალწაღებული ხავსს ეჭიდება,
ფერმკრთალი, ძლივსღა სუნთქავს ნამუსი,
გონიერება ახლა გვჭირდება,
უგნური მოდის ბრძენის სამოსით,
ისეთ უცნაურ ხვალეს გვპირდება,
ვერ გამოიცნობს ნოსტრადამუსიც.

* * *

ვაჟის გაჩენას ვერ შეხვდება ეს გული მშვიდად,
სხვა რა სურვილი უნდა იყოს ამაზე მეტი,
ზარდა და ზიდა, მერე ისევ ზარდა და ზიდა,
მამაპაპური დგას ურყევად დარბაზის სვეტი.
როგორც ალებდა საუკუნე, კარს ისევ აღებს,
ფოთლები ბევრი ჩამოცვივდა, ქარი კი ქროდა,
შემორჩა ხსოვნას უამრავი ძვირფასი სახე,
რაღა თქმა უნდა, კარგი ბევრი, რჩეული ცოტა.
სიხარულს ელის და გუგუნებს ქვეყანა მთელი,
ჩნდება სიცოცხლე, მერე ერთვის უსასრულობას,
და იმეორებს შენი გულის ძარღვების ქსელი
შენი ანბანის ასოების მოხაზულობას.

* * *

ჭკუათმყოფელი ვერ ისვენებს ვერაფრით ამ დღეს,
აყვავებული ხის ქვეშ დადგეს, ერთი სული აქვს,
ცისარტყელებმა დილის ნამი ყვავილებს ანდეს,
რაც გინდა ის თქვი, უკვე მართლა გაზაფხულია,
დასჯილი მარტი დგას კუთხეში თვალებით სველით,
აპრილისაკენ იყურება, დაზაფრულია,
წვიმების წიგნი უნდა მისცეს თავისი ხელით,
რადგან აპრილი მარტზე უფრო გაზაფხულია.
რაღაც ხდება და ეს იგრძნობა ყოველი ძარღვით,
ამის საზომი არც ოქროა და არც ფულია,
შხაპუნა წვიმა კისკისებს და ეშვება მაღლით,
მორჩა, დღეიდან უკვე მართლა გაზაფხულია.
მთაწმინდის მხრიდან დიდებული ჩანს პეიზაჟი,
აუჩქროლდება უეჭველად, ვისაც გული აქვს
და როგორც ჩემი მეგობარი წერს პიესაში
დარაბებს იქით, „დარაბებს მილმა გაზაფხულია“.

* * *

უცნაური მესიჯი მოდის საიქიოდან,
საბუდარელ ჭაბუკზე გამწყრალია საჩინო,
ოთხმოცი წლის სოსანას ეფერება იოთამ,
ბრმას შესცქერის ლაზარე,
თვალისჩინი არ ჩინობს.
ველოდებით ბენჟამენს, ხვალ ჩამოდის რიოდან,
კარნავალი დასტოვა, მტერი რომ მოარჩინოს,
ცხონებულმა ეროსიმ ერთი კვირა ილოთა,
ცოლზე ეჭვიანობს და ქუდით უჩინმაჩინობს.
ზურიკელა ცელქობდა, შიოდა და სციოდა,
ახლა ყველა კი იტყვის, ასე იყო მაშინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცნისთვის დგას უშანგი, ადიდებულ რიონთან,
ნუხს ბაბუა, ნერგები უნდა გადაარჩინოს.
თვალმა იპატიოსნა, დადგა საპატიოსთან,
მთავარია იომო, მთავარია აშენო,
ძნელი ძნელად დარჩება და ვერ მივა იოლთან,
არც სიტყვები არსებობს საჩემო და საშენო.
თუკი ვერცხლი არა გაქვს, ჯალათს როგორ მიუტან,
რაც გაქვს, ისიც არ იცი, როგორ გამოაჩინო,
საიდუმლო სერობას არ ესწრება იუდა,
აღარც მისი ამბორი აღარ არის საჭირო.

* * *

ქართველო კაცო, დგახარ ძლიერი,
როგორც ღვინო და როგორც კახეთი,
ყველაზე მეტად ხარ მიწიერი —
სახლის მცველი და კარის ჩამკეტი
თავსაც არ ზოგავ, როდესაც ხვდები,
რომ განსაცდელი აქვეა სადღაც,
დევივით დაგაქვს ეგ მხრები — მთები
და სიყვარული მზესავით გადგას.
ზღაპრიდან მოსულ გმირების ხათრით
დამაწყებინე ფიქრი და კითხვა,
მასწავლე ძმობის ლაზათი, ყადრი,
შენშივე ფესვებგადგმული სიტყვა.
კაცო, ძლიერო, ქართული გენის,
მართალ გულისთვის რომ გაფასებდი,
მოგძახი, სულით ხორცამდე შენი,
მე, შენი სისხლის მეათასედი,
უნდა გეომა, გესხლა და გეხნა,
რომ დღევანდლამდე გაგედო ხიდი,
არავინა მყავს შენს მეტი ქვეყნად —
თავს გაუფრთხილდი!..

* * *

ეს ცხოვრება გაიყო ეკლიანი ღობეთი,
აღარც ძველი პალიტრა და არც ძველი მოლბერტი,
დროის მატარებელი არ ჩერდება წამითაც,
უცნობი სახეები, გაიხედავ საითაც,
ეს ოცდაათი ვერცხლი კარგს არაფერს დაგვმართებს,
ერთად გვიანგარიშებს ვისი სად და რა გვმართებს,
ბოლო-ბოლო მივხვდებით, რა გზით უნდა ვიაროთ,
ეს ოხერი ბორბალი საით მივატრიალოთ,
ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავენ ქარები,
ძველ კადრებს ირეკლავენ სველი ტროტუარები,
სკამზე მზეს ეფიცხება მეეზოვე ზმორებით,
აღარც ტრამვაია და აღარც კონდუქტორები,
დგანან ქუჩის ბიჭები, აქედან და როდემდე,
ის თავი გაუთეთრდათ, კაცობაზე რომ დებდნენ,
სველ ქუჩას მივუყვები, წვიმს და თმებიც სველდება,
სინანულით ნუ ყვები, სიხარული გრძელდება,
არ ბეზრდება ბუნებას საოცრების კეთება,
მოხდენილი პროფილი სადმე შემეფეთება,
გოგო-ბიჭებს შევხარი, უფრო კარგად თენდება,
ჩვენ როგორნიც ვიყავით, ისევ ის მახსენდება,
სარკმელს მიღმა ნაცნობი ხმა მესმის და ვმშვიდდები,
მე თუ მენატრებიან, მეც ვიღაცას ვჭირდები,
გული მთისკენ მიმიწევს, არ მჭირდება მეგზური,
თუმცა არც თუში ვარ და მითუმეტეს ხევსური,
ჩემი მენატრება და სხვისას არ ვეკარები,
ჩემს ბალახზე დავდივარ, ჩემს ცას შევეფარები,
წლები გადის ფერადი, არაფერზე არ ვნანობ,
მარტო შენ მენაღვლები, ჩემი მიწის ცვარნამო.

* * *

როგორც ფუტკარი ალპიურ ყვავილს,
ჩაფრენილი ვარ შენზე ხელებით,
ყველა უჯრედი ტანის თუ თავის
სავსეა შენი ციებ-ცხელებით.
გიჟივით ვკოცნი ხელებს გამოწვდილს,
რადგან ხელები არის მთავარი
და ამ ცხოვრების ყველა გამოცდის
მათშია მხოლოდ გამოსავალი.
შენი თითები მიცურავს თმაში
და ჟრუანტელიც მოდის თავისით,
ჩაკირული ვარ შენს გულისთქმაში,
როგორც მიკრული ქვაზე ალიზი.
შენი თვალები ჩემს გულს მართავენ,
შენი ვარ მხოლოდ და შენით ვსუნთქავ,
დამატკბე შენით და უამრავი
გექნებათ თაფლი შენ და შენს ფუტკარს.

* * *

ცდუნება უკვე სახეზეა, თუ გინდა მიდი —
კედელზე ჩახმახშემართული ჰკიდია თოფი,
გრიალებს ქარი, წყალი წვდება სიმაღლეს ხიდის,
ხმაურობს, იბრძვის, აქვე ახლოს, გადაღმა ღობის,
კიდევ კარგი, რომ ჯერჯერობით არავინ ჰყიდის,
მორბის არაგვი, ისევ ისე გიჟივით მორბის.

* * *

არ მოუსმინეს, მიუხურეს კარები საბას,
თითქო ხელობაც დაუწუნეს ოპიზარს, ბექას,
ელრინებოდა ქოფაკივით მთიულურ ნაბადს
სპარსული ჩალმა და უხეში რუსული ჩექმა.
სამასმა წელმა გაირბინა ლანდივით სწრაფად,
ღვარა სისხლი და რაც შეეძლო, ზარებიც რეკა,
თავის ადგილზე დარჩა მაინც ქართული კაბა,
თეთრი ჩოხა და საოცარი თუშური თექა.

* * *

სამეფო ტახტზე დამჯდარა შური,
დამრიგებლური ტონი აქვს უძლებს,
გამიუხეშდა თვალი და ყური,
ყველას იტანს და ყველაფერს უძლებს,
უმარილოა დღეს ჩვენი პური,
პარტახი — ჩვენი სახლი და ფუძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27899

* * *

ჩოხაზე ხანჯალი ვისაც უკეთია,
სინდისს და ნამუსს ვინც უწოდა ძვირი,
ქვეყანას ვინც უდგას მთლიანს და ერთიანს,
არ სწამს ღალატი და გატეხვა პირის,
ყველაზე ძვირფასის ის შემოქმედია,
რასაც ვაზი ჰქვია და ვაზის ძირი,
მცენარე ბევრია, ის ერთადერთია,
ვინც ადამიანის ცრემლებით ტირის.

* * *

მაშინ ისე მინდოდი,
ახლა ასე მინდიხარ,
მაშინ თითქოს დიდობდი,
ახლა მართლა დიდი ხარ.
დარით არ იდარებდი,
თმებით ქარს აჩერებდი,
ჩემსას არ იკარებდი,
ჩემსას არ იჯერებდი,
ველურ თაფლად წვეთავდი,
მათრობდი და მათბობდი,
ღრუბელს თეთრად პენტავდი
და ცისკიდურს არ თმობდი.
მოხვედი და გათენდა,
მთვარე გაქრა მზის უკან,
გული უცებ გამთელდა
და ჩიტივით ისკუპა,
სითბო ცვივა ქალაქზე,
დილის დანაპირები,
ნამი ყრია ბალახზე —
აწყვეტილი ღილები,
ვიცი, სხვასაც უნდიხარ,
გულის კარებს ვაწყდები,
წვიმასავით მოდიხარ,
წვიმასავით არ წყდები,
ჩემს საფიქრალს უხდები,
მზედ რატომ არ გიხმობდი,
ამას ახლა თუ ვხვდები,
გუშინ რაზე ვფიქრობდი.
ყველა თითო-თითოთი,
მე ცხრა დარდით მივდივარ,
მაშინ ისე მინდოდი,
ახლა ასე მინდიხარ.

* * *

ზის მოხუცი, მარტოობის ნაწილი,
მიტოვებულ ტაძარივით მართალი,
სიყვარულით გაზრდილი და დაცლილი,
დაკორძილი მუხის ჩამონათალი,
ტკბილად სძინავს, ასაკს როგორც სჩვევია,
შფოთიანი უშფოთველად მდუმარებს,
დაღლილ სახეს ღარებად ამჩნევია
ყველა წელი, ერთმანეთზე მდუღარე.
აივანზე წევს დაწნული გიდელი,
თვლემს ბუხარი, მოწყენილი მარადის,
ესიზმრება ხელში დროშა წითელი
და მაისის გამარჯვების პარადი.
რვა ათეულს გასცდა დიდი ხანია,
სტუმრისაკენ ხელგაშლილი იჩქარის,
დოქით ღვინო კიდევ მოსატანია,
ჯერ შორსაა გალმა ნაპირს ჭიშკარი.
მოწყენილი, როგორც ყანწი დაცლილი,
ზის მოხუცი — ჩემი გულის ნაწილი.

* * *

გაირღვა ცა და ადუღდა რიწა,
ისკუპა დრომ და გაწუთდა წამი,
წავიდა დედა, მოვიდა ძიძა,
ხდება უკუღმა — თენდება ღამით,
ნაპერწკალს ისვრის ცოდვილი მიწა,
დენის წყაროა ელექტროსკამი.

* * *

ვერ იდგები მათ მიღმა, შენთვის განმარტოებით,
ამურს ვერ გაექცევი ანგელოზისფრთებიანს,
ისე უცებ გესვრიან ბადეს ქალბატონები,
შენ გინდა თუ არ გინდა, არც შეგეკითხებიან.
თუკი მათში ვერ ხედავ ვერც ხალასს და ვერც სანდოს,
ამით ნუ გაიფუჭებ განწყობას და გუნებას,
ზნეს მაინც ვერ შეუცვლი, რაც არ უნდა ეცადო,
ისე მოიქცევიან, როგორც მოესურვებათ.
მიირთმევენ ცხოვრების სიტკბოსა თუ სიმჟავეს,
თითქოსდა ყველაფერი არ წყდებოდეს ზევიდან
და თან გაფაციცებით შენს გულს ისე სინჯავენ,
ვით ძველისძველ მონეტას ჩაძირული გემიდან.

* * *

ამ ცხოვრებას ბოლომდე ვერ გაუგო ვერავინ,
გგონია, რომ გესმის და ამ დროს თურმე სადა ხარ,
უკანასკნელ სამოსელს მალე შეგიკერავენ,
ხომალდივით ნაპირთან მისული ხარ — ჰა და ჰა!..
გრძელი წარმოდგენაა ერთი კაცის სავალი,
თავისი შუქჩრდილებით, მუსიკით და ფერებით,
ვერც ერთი ჩაფიქრებით, ვერც სურვილით მრავალით,
ამ დალოცვილ ცას მუდამ ვერ გამოეკერები,
რეჟისორის ჩანაფიქრს კარგად გრძნობენ ახლებიც,
ძველი წარმოდგენიდან მეორდება ფინალი,
ხარ სხვასთან შედარებით ზუსტად ერთით ნაკლები,
ბოლო აქტში ირკვევა, თურმე მკვლელი ვინ არის.
ბევრიც რომ წაუყრუო, მაინც მიგახედებენ,
სიტყვა, რასაც ვერ იტან, კვლავ მოსწყდება ენიდან,
შეიძლება არ გინდა, მაგრამ მიგახვედრებენ,
როდის ჩამობრძანდები საბოლოოდ სცენიდან.
ზოგს ბოლომდე არ უნდა ამ სპექტაკლის ყურება,
არც ის ახსოვს, ახლახან გვერდში როგორ ედექი,
სიყვარულიც მოკვდება, ფარდაც დაიხურება —
შეკვეთილი მკვლელობა ლოგიკური შედეგით.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ლუის ბორხესი

# შვიდი საღამო

*

## მეშვიდე საღამო
## კაბალა

ქალბატონებო და ბატონებო!

კაბალას სახელით ცნობილ განსხვავებულ, ხანდახან კი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიებს საფუძვლად უდევს ჩვენი, დასავლური აზროვნებისთვის სრულიად უცხო ცნება — წმინდა წიგნის ცნება. მიიჩნევენ, რომ ჩვენთან არის ამგვარი ცნება — კლასიკური წიგნი. ოსვალდ შპენგლერისა და მისი წიგნის („ევროპის დაისი") დახმარებით ალბათ არ გამიჭირდება ჩვენება, რომ ეს ცნებები სრულიად განსხვავებულია. დავუკვირდეთ სიტყვას „კლასიკური". როგორია მისი ეტიმოლოგია? „კლასიკური" სათავეს იღებს სიტყვიდან „classis" — „ფრეგატა", „ესკადრა". კლასიკური წიგნი — მოწესრიგებული, აკურატული, „shipshare", როგორც ინგლისელები ამბობენ. ამ მოკრძალებულ მნიშვნელობასთან ერთად კლასიკური წიგნი ნიშნავს ერთგვარად გამორჩეულს. „დონ კიხოტს", „კომედიას", „ფაუსტს" ვეძახით კლასიკურ ნაწარმოებებს.

იმის მიუხედავად, რომ ამ წიგნების კულტი თითქმის უსაზღვროა, მათი აღქმა სხვაგვარია. ბერძნები „ილიადასა" და „ოდისეას" კლასიკად მიიჩნევდნენ. პლუტარქეს სიტყვით, ალექსანდრეს ბალიშის ქვეშ ედო ხმალი და „ილიადა" — თავისი მეომრული ხვედრის ორი სიმბოლო. თუმცა არცერთი ბერძენი არ მიიჩნევდა, რომ „ილიადა" სრულყოფილია. ალექსანდრიაში ბიბლიოთეკარები „ილიადას" სასწავლად იკრიბებოდნენ, და შესწავლისას მოიფიქრეს ესოდენ აუცილებელი სასვენი ნიშნები (რომლებიც ახლა, სამწუხაროდ, დავიწყებულია). „ილიადა" გამორჩეული წიგნი გახლდათ, მას პოეზიის მწვერვალად მიიჩნევდნენ, მაგრამ არ ფიქრობდნენ, რომ მასში ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი უცილობელია. ეს სრულიად სხვა დამოკიდებულებაა.

ჰორაციუსი ამბობს: „ხანდახან ჰომეროსიც თვლემს". მაგრამ არავინ არ იტყვის, ხანდახან სულიწმინდასაც სძინავსო.

ინგლისელი მთარგმნელი ქალღმერთს საერთოდ არ ახსენებს ჰომეროსის სიტყვების გადმოცემისას: „რისხვავ, ქალღმერთო, უმღერე აქილევსს, პელევსის ვაჟს" ნათარგმნია: „An angry man, this is my subject". მთარგმნელი ტექსტს ეკიდება არა როგორც წიგნს, სადაც ყოველი ასო აღმატებულია, არამედ ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს მას; კლასიკურ ნაწარმოებებს შეისწავლიდნენ და შეისწავლიან ისტორიული თვალსაზრისით, ისინი კონტექსტშია. წმინდა წიგნს სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს.

ახლა განვიხილავთ წიგნს, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება იმისთვის, რომ გაამართლო, უარყო, განავითარო ან დააფუძნო თეორია. ანტიკურობაში მიიჩნევდნენ, რომ წიგნი ზეპირი მეტყველების სუროგატია, მას მხოლოდ ამ თვალით უყურებდნენ. გავიხსენოთ ფრაგმენტი პლატონიდან, სადაც ის ამბობს, რომ წიგნები ქანდაკებებს ჰგვანან; ცოცხლები გვგონია, მაგრამ რამეს თუ ვკითხავთ — ვერ გვიპასუხებენ. ამის დასაძლევადაა მოფიქრებული პლატონისეული დიალოგი, რომელიც თემის ყველა შესაძლებლობას ამოწურავს.



კიდევ ჩვენთვის ცნობილია ერთი, ძალზე ლამაზი და ძალზე საგულისხმო წერილი, რომელიც, პლუტარქეს თანახმად, ალექსანდრე მაკედონელს გაუგზავნია არისტოტელესათვის. არისტოტელეს ახალი გამოცემული ჰქონია „მეტაფიზიკა", ანუ მისი ასლების მომზადება უბრძანებია. ალექსანდრე კიცხავს, ეუბნება, ახლა ყველა გაიგებს იმას, რაც ადრე მხოლოდ რჩეულებმა იცოდნენო. არისტოტელე თავს იმართლებს, უეჭველია, გულწრფელად: „ჩემი ტრაქტატი გამოქვეყნებულიცაა და გამოუქვეყნებელიც." ითვლებოდა, რომ წიგნი თემას სრულად არ ამოწურავს, მას ერთგვარ ცნობარად მიიჩნევდნენ, ზეპირი სწავლების დამატებად.

ჰერაკლიტე და პლატონი სხვადასხვა მიზეზებით აკრიტიკებდნენ ჰომეროსის ნაწარმოებებს. ამგვარი წიგნები დიდებითაა მოსილი, მაგრამ წმინდად არ ითვლება. ეს სპეციფიკურად აღმოსავლური ცნებაა.

პითაგორას არცერთი დაწერილი სტრიქონი არ დაუტოვებია. ვარაუდობენ, ალბათ ტექსტით არ იზღუდებოდაო. სურდა, რომ მის აზრს გაეგრძელებინა სიცოცხლე და მისი მოწაფეების აზროვნებაში განვითარებულიყო. აქედან მოდის გამოთქმა „Magister dixit", რომელსაც ყოველთვის არასწორად იყენებენ. „Magister dixit" არ ნიშნავს, რომ „მასწავლებელმა ასე თქვა„ და კამათი დასრულებულია. პითაგორელი გადმოსცემდა თეორიას, რომელიც შესაძლოა არ ეყრდნობოდეს პითაგორას ტრადიციას, მაგალითად, ციკლური დროის თეორიას. მას შეედავებოდნენ: „ეს ტრადიციას არ ეყრდნობა". პასუხობდა: „Magister dixit", რაც სიახლის შეტანის საშუალებას აძლევდა. პითაგორა ფიქრობდა, რომ წიგნები ხელ-ფეხს უკრავს ადამიანს, ან წმინდა წერილისა არ იყოს, სიტყვა ჰკლავს და მხოლოდ სული აცოცხლებს.

შპენგლერი მაგიური კულტურისადმი მიძღვნილი წიგნის „ევროპის დაისი" ერთ-ერთ თავში შენიშნავს, რომ მაგიური წიგნის პროტოტიპია ყურანი. მაჰმადიან ღვთისმეტყველთათვის, ულემებისთვის, ყურანი სხვა წიგნებს არა ჰგავს. ეს წიგნი წინ უსწრებს არაბულ ენას (დაუჯერებელია, მაგრამ ასეა); მას ვერ შეისწავლი ვერც ისტორიული, ვერც ფილოლოგიური კუთხით, რადგან იგი არაბებზე უფროსია, იმ ენაზე უფროსია, რომელზეცაა დაწერილი, სამყა-

როზე უფროსია. ყურანი ღვთის ქმნილებადაც კი არ მიიჩნევა, ეს რაღაც უფრო ახლობელია და უფრო იდუმალი. მართლმორწმუნე მაჰმადიანებისთვის ყურანი ღმერთის ისეთივე ატრიბუტია, როგორიც მისი რისხვა, მოწყალება ან სამართლიანობა. თვით ყურანში ლაპარაკია საიდუმლო წიგნზე, წიგნთა დედაზე, იგი წარმოადგენს არქეტიპს ყურანისა, რომელიც ზეცაშია და ანგელოზები თაყვანს სცემენ.

ასეთია ცნება წმინდა წიგნისა, რომელიც საფუძველშივე განსხვავდება კლასიკური წიგნისგან. წმინდა წიგნში წმინდაა არა მხოლოდ სიტყვები, არამედ მათი შემადგენელი ასოებიც. ამგვარ მიდგომას იყენებენ კაბალისტები წმინდა წერილის შესწავლისას. ჩემი ვარაუდით, კაბალისტების modus operandi* განპირობებულია იუდაისტურ მისტიკაში გნოსტიკოსთა ფილოსოფიის შეტანის სურვილით, რათა წმინდა წერილი მოიხმონ და მართლმორწმუნეებად დარჩნენ. ყოველ შემთხვევაში, თვალსაჩინოა (ალბათ ეს სიტყვა არ უნდა გამომეყენებინა), თუ როგორი იყო და არის modus operandi კაბალისტთა, რომლებმაც თავიანთ საოცარ მეცნიერებას ხელი მოჰკიდეს საფრანგეთის სამხრეთში, ესპანეთის ჩრდილოეთში — კატალონიაში, შემდეგ — იტალიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ბოლოს ისრაელამდე მივიდნენ, მაგრამ მოძღვრება იქიდან არ მოდის, იგი იწყება გნოსტიკოს მოაზროვნეთა და კატარებისგან.

აზრი ასეთია: ხუთწიგნეული, თორა – წმინდა წიგნია. უსაზღვრო გონი დამდაბლდა ადამიანურ ამოცანამდე — შექმნა წიგნი. სულიწმინდა დამდაბლდა ლიტერატურამდე, რაც ისევე დაუჯერებელია, როგორც ვარაუდი, რომ ღმერთი ისე დამდაბლდა, რომ ადამიანი იყო. მაგრამ სწორედაც დამდაბლდა, პირდაპირი გაგებით. სულიწმინდა დამდაბლდა ლიტერატურამდე და შექმნა წიგნი. ასეთ წიგნში შემთხვევითი არაფერი არ შეიძლება იყოს, მაშინ, როცა ადამიანთა დაწერილ ყველა ქმნილებაში არის რაღაც შემთხვევითი.

ცნობილია, თუ რა კრძალვას იწვევს „დონ კიხოტი", „მაკბეტი" ან „სიმღერა როლანზე" და ბევრი სხვა წიგნი, რომელიც უმეტესწილად თითო ერს თითო აქვს. გამონაკლისია საფრანგეთი, რომელსაც ისეთი მდიდარი ლიტერატურა მოეპოვება, რომ სულ მცირე, ორ კლასიკურ ნაწარმოებს ითვლის, — თუმცა ამას მოვეშვათ.

კეთილი. თუკი შემთხვევით მავანი ფილოლოგი-სერვანტესოლოგი იტყვის, „დონ კიხოტი" იწყება სიტყვით, რომელიც შედგება სამი ასოსგან (ერთ), მერე მოსდევს ექვსასოიანი სიტყვა (პატარა) და მერე — ორი სიტყვა, ექვსასოიანი და რვაასოიანი (სოფელში, პროვინცია), და მოინდომებს აქედან გამოიტანოს დასკვნები, მაშინვე შეშლილად გამოაცხადებენ. ბიბლია კი სწორედ ასე შეისწავლება.

მაგალითად, ამბობენ, რომ იგი იწყება „bet"-ით, სიტყვა „breshit"-ის პირველი ასოთი. რატომ იწყება „bet"-ით? იმიტომ, რომ ებრაულ ენაში ეს საწყისი ასო აღნიშნავს იმავეს, რასაც საწყისი ასო ესპანურ სიტყვაში „bendicion"**, ტექსტი არ შეიძლება, დაიწყოს ასოთი, რომელიც წყევლას შეესაბამება; იგი დალოცვით უნდა იწყებოდეს. „Bet" — პირველი ასოა ებრაული სიტყვისა „ბრაჯა", რომელიც ნიშნავს დალოცვას.

* ქმედების ხერხი

** დალოცვა, კურთხევა (ესპ.)

არის კიდევ ერთი, ძალზე საგულისხმო გარემოება, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს კაბალაზე: ღმერთმა, ვისი სიტყვებიც მისივე შრომის იარაღია (როგორც მიაჩნია შესანიშნავ მწერალს საავედრა ფახარდოს), სამყარო მხოლოდ სიტყვების დახმარებით შექმნა: „იყავნ ნათელი" — და გაჩნდა ნათელი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამყარო შეიქმნა სიტყვა „ნათელის" მეშვეობით. სხვა სიტყვა რომ თქმულიყო და სხვა ინტონაციით, შედეგი იქნებოდა არა ნათელი, არამედ რაღაც სხვა.

მივედით ისეთივე დაუჯერებელ მოსაზრებამდე, როგორიც ისაა, რაზეც წელან ვლაპარაკობდი; იგი აოცებს ჩვენს დასავლურ გონებას, ყოველ შემთხვევაში, ჩემსას, და ეს უნდა გიამბოთ. მიგვაჩნია, რომ ადრე სიტყვებს წარმოთქვამდნენ, მერე კი წერილობით დაუწყეს გამოსახვა. კაბალა (რომელიც ნიშნავს „გადმოცემას", „ტრადიციას") პირიქით, ვარაუდობს, რომ ასოები უფრო ადრე არსებობდა. ანუ თითქოსდა, გამოცდილების საწინააღმდეგოდ, დამწერლობა წინ უსწრებს ზეპირმეტყველებას. მაშინ წერილში შემთხვევითი არაფერია; ყველაფერი წინასწარგანსაზღვრული უნდა იყოს. მაგალითად, ასოთა რაოდენობა ყოველ ლექსში.

შემდეგ კაბალისტები ასოებრივ შესაბამისობებს ეძებენ. წერილი განიხილება, როგორც დაშიფრული, კრიპტოგრაფიული ნაწერი, იქმნება მისი წაკითხვის ახალი კანონები. შეიძლება, ავიღოთ წერილის ნებისმიერი ასო და განვიხილოთ, როგორც სხვა სიტყვის საწყისი ასო. ასევე შეიძლება მოქცევა ტექსტის ნებისმიერ ასოსთან დაკავშირებით.

შეიძლება შეიქმნას ორი ალფაბეტი: ერთი, მაგალითად, a-დან l-მდე და მეორე — l-დან z-მდე, ან შესაბამისი ებრაული ასოდან ასომდე; მიიჩნევა, რომ პირველის ასოები მიესადაგება მეორის ასოებს. მაშინ შეიძლება ტექსტის წაკითხვა ბუსტროფედონის (ბერძნულად რომ ვთქვათ) მეთოდით, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ, მერე მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ. შეიძლება ასოებს ციფრების მნიშვნელობა მივანიჭოთ. ყოველივე ეს ჰქმნის საიდუმლო დამწერლობას, შეიძლება მისი გაშიფვრა, და შედეგები მნიშვნელობითაა აღსავსე, რადგან წინასწარ იყო განჭვრეტილი ღვთაებრივი გონის მიერ. ამგვარად, მოძღვრებამდე მიდიან ამ კრიპტიგრაფიის მეშვეობით, იმ მოქმედებით, რომელიც პოს „ოქროს ხოჭოს" გვახსენებს.

ჩემი ვარაუდით, მოძღვრება modus operandi-ზე უფრო ადრე გაჩნდა. ასე მგონია, რომ კაბალასაც ის დაემართა, რაც სპინოზას ფილოსოფიას: მათემატიკური წესრიგი მოგვიანებით გაფორმდა. მგონია, რომ კაბალისტებმა გნოსტიკოსების გავლენა განიცადეს და რაკი ძველებრაულ ტრადიციასთან იყვნენ დაკავშირებულები, გამოძებნეს ეს საკვირველი ხერხი ასოების გაშიფვრისა.

კაბალისტთა modus operandi ეფუძნება ლოგიკურ წინაპირობას, აზრს, რომ წერილი სრულყოფილი ტექსტია და არ შეიძლება რაიმე შემთხვევითს შეიცავდეს.

სრულყოფილი ტექსტები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანის მიერ შექმნილ ტექსტთა შორის. პროზაში დიდი ყურადღება ეთმობა სიტყვათა მნიშვნელობას, ლექსებში — ჟღერადობას. სულიწმინდას მიერ შექმნილ ტექსტში როგორ ვივარაუდოთ სისუსტე, უყურადღებობა? ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. ეს წინასწარგანსაზღვრულობა უდევს საფუძვლად კაბალისტთა მოძღვრებას.

თუკი წმინდა წერილი უსასრულო არ არის, მაშ რით განსხვავდება იგი ადამიანთა ნაწარმოებებისგან, რა განსხვავებაა მეფეთა წიგნსა და ისტორიის სახელმძღვანელოს, ქებათაქებასა და პოემას შორის? უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველას ურიცხვი მნიშვნელობა აქვს. სკოტ ერიგუენა ამბობდა, ბიბლიის მნიშვნელობათა რიცხვი უსასრულოაო, და მას ფარშევანგის ათასფრად მოელვარე კუდს ადარებდა.

სხვა განმარტებით, წმინდა წერილში ოთხი მნიშვნელობაა. სისტემა ასე გამოიყურება: ჯერ — არსება, რომელიც სპინოზას ღმერთსა ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ სპინოზას ღმერთი უსაზღვროდ მდიდარია; ენ-სოფი, პირიქით, უსაზღვროდ ღატაკად წარმოგვიდგება. ლაპარაკია პირველად არსებაზე, მასზე ვერ ვიტყვით — „არსებობს", რადგან არსებობენ ვარსკვლავები, ადამიანები, ჭიანჭველები. როგორ შეიძლება ერთ კატეგორიას მივეკუთვნებოდეთ? არა, ეს პირველადი არსება არ არსებობს. მასზე ვერ იტყვი, აზროვნებსო, ვინაიდან აზროვნება ლოგიკური პროცესია, რომელიც წანამძღვარიდან დასკვნისკენ მიდის. ვერ იტყვი, რამე სურსო, რადგან სურვილი ნიშნავს, გრძნობდე, რომ რაღაც გაკლია. და ვერ იტყვი, ქმნისო, რადგან შექმნა ნიშნავს მიზნის დასახვასა და მიღწევას. გარდა ამისა, თუკი ენ-სოფი უსასრულოა (სხვადასხვა კაბალისტები მას ადარებენ ზღვას — უსასრულობის სიმბოლოს), როგორ შეუძლია რამე სხვა ისურვოს? და რა შეუძლია, შექმნას თუ არა მეორე უსასრულო არსება, რომელიც მას შეერწყმის? რაკი, საუბედუროდ, გარდაუვალია სამყაროს შექმნა, არსებობს ათი ემანაცია, სეფორიტები, რომლებიც მისგან წარმოიშობიან, მაგრამ მასზე გვიანდელნი არ არიან.

იდეა მარადიული არსებისა, რომლისგანაც ყოველთვის მომდინარეობს ათი ემანაცია, რთული გასაგებია. ეს ათი ემანაცია ერთიმეორისგან წარმოიშობა. ტექსტში წერია, რომ ისინი შეესაბამება ხელის ათ თითს. პირველ ემანაციას ეწოდება გვირგვინი, და ის შეიძლება შევადაროთ ენ-სოფისგან მომდინარე სინათლის სხივს, სხივს, რომელიც მას არ ამცირებს: უსასრულო არსება ვერ დაპატარავდება. გვირგვინისგან იფრქვევა შემდეგი ემანაცია, მისგან კიდევ სხვა, მერე კიდევ და ასე ათამდე. პირველი ემსახურება უზენაეს არსებასთან კავშირს: მეორე, ძირითადი, არსს გამოხატავს: მესამე განკუთვნილია უმდაბლეს ემანაციასთან კავშირისთვის.

ათი სეფიროტი ქმნის ადამიანს, სახელად ადამ კადმონს, ეს ადამიანი-არქეტიპია. ადამ კადმონი ზეცაშია, და ჩვენ მის ანარეკლს წარმოვადგენთ. ეს ადამიანი შექმნილია ათი ემანაციით, და ასხივებს ერთ სამყაროს, მეორეს და ასე ოთხამდე. მესამე ჩვენი მატერიალური სამყაროა, მეოთხე — ჯოჯოხეთი. ყველა ადამ კადმონშია, რომელიც მოიცავს ადამიანს და მის მიკროკოსმოსს, ყველაფერს.

აქ არ არის ლაპარაკი ფილოსოფიის ისტორიის მუზეუმის ექსპონატზე; ჩემი აზრით, შესაძლებელია ამ სისტემის გამოყენება: ის შეიძლება ემსახურებოდეს ჩვენს ფიქრებს, სამყაროს გაგების ცდას. გნოსტიკოსები რამდენიმე საუკუნით უსწრებდნენ წინ კაბალისტებს; მათ ჰქონდათ მსგავსი სისტემა, რომელიც გულისხმობდა მოუხელთებელ ღმერთს — მას სახელად Pleroma (მთლიანობა) ჰქვია და ასხივებს სხვა ღმერთს (ირინეის ერეტიკულ ვერსიას), ეს ღმერთი — კიდევ ერთ ემანაციას, ის — კიდევ შემდეგს და ყოველი მათგანი ქმნის ზეცას (ემანაციების მთელი კოშკია). მივდივართ რიცხვამდე 365, რამდენადაც აქ ჩარეულია ასტროლოგია. უკანასკნელ ემანაციამდე რომ მივაღწევთ, ვხვდებით ღმერთს, სახელად იელოვა, რომელიც ქმნის ამ ქვეყნიერებას. რატომ არის მის მიერ შექმნილი ქვეყნიერება სავსე შეცდომებით, საშინელებით, ცოდვებით, ფიზიკური ტკივილით, სავსე სინდისის ქენჯნით, სავსე დანაშაულით? ღვთიურობა კლებულობს და იელოვა ქმნის შეცდომებისკენ მიდრეკილ სამყაროს.

იმავე სქემას იმეორებს ათი სეფიროტი და მათი შექმნილი ოთხი სამყარო. ეს ათი ემანაცია რაც უფრო შორდება ენ-სოფს, უსასრულობას, „საიდუმლოთა" საიდუმლოს, — როგორც ამბობენ კაბალისტები თავიანთ, ხატოვან ენაზე — მით უფრო ჰკარგავს ძალას და სწორედ ამგვარად ჰქმნის ამ ქვეყნიერებას. ქვეყნიერებას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, უამრავ შეცდომას ჩავდივართ, მზად ვართ უბედურებებისა და წარმავალი წარმატებისთვის. ეს აზრი აბსურდული არ არის; ჩვენ აღმოვჩნდით ბოროტების მარადიული პრობლემის წინაშე, იგი დიდებულადაა გადმოცემული იობის წიგნში, რომელიც, ფროიდის აზრით, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებია.

გაიხსენეთ იობის ამბავი. ესაა მართალი ადამიანი, რომელსაც დევნიან, ადამიანი, რომელსაც სურს, უფლის წინაშე გამართლდეს, მეგობრებისგან გაკიცხული ადამიანი, ადამიანი, რომელსაც სამართლიანობის იმედი აქვს; დაბოლოს, უფალი იობს ქარიშხლიდან პასუხობს. ამბობს, რომ შორსაა ადამიანური საზომისგან. ამის დასტურად მოჰყავს თავისივე შექმნილი ბეჰემოთი და ვეშაპი. უნდა შევიგრძნოთ, შენიშნავს მაქს ბროდი, რომ ბეჰემოთი „Begemoth" („მხეცები") ისეთი უზარმაზარია, რომ სახელი მრავლობით რიცხვში ჰქვია, ლევიათანი კი შეიძლება ორიდან ერთ-ერთი ცხოველი იყოს — ნიანგი ან ვეშაპი. ღმერთი ამბობს, რომ იგი ისეთივე მიუწვდომელია, როგორც ეს ურჩხულები, და ადამიანური საზომებით ვერ განიზომება.

ამასვე ასკვნის სპინოზა — ამბობს, როცა ადამიანი ღმერთს ადამიანურ თვისებებს სძენს, ეს იგივეა, რაც სამკუთხედი რომ ღმერთს მიიჩნევდეს სამკუთხედად უმაღლეს ხარისხშიო. იმის თქმა, რომ ღმერთი სამართლიანია, გულმოწყალეა — ისეთივე გამოვლინებაა ანთროპომორფიზმისა, როგორც მტკიცება, რომ ღმერთს აქვს სახე, თვალები ან ხელები. და აი, ჩვენ გვაქვს უმაღლესი ღვთაება და უდაბლესი რიგის ემანაცია. „ემანაცია" შესაფერისი სიტყვა ჩანს, რადგან ღმერთი არ შეიძლება დამნაშავე იყოს — როგორც შოპენჰაუერი ამბობდა, დამნაშავეა არა მეფე, არამედ მინისტრები; ჩვენს სამყაროს ემანაციები ჰქმნის.

არსებობს რამდენიმე მცდელობა ბოროტების გამართლებისა. დავიწყებ თეოლოგთა კლასიკური განსაზღვრებიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოროტება უარყოფაა, და თუ იტყვი „ბოროტი", ეს ნიშნავს, რომ უბრალოდ ადასტურებ სიკეთის არყოფნას; ასეთი გამართლება ყალბი მოეჩვენება ნებისმიერ ადამიანს, ვისაც შეგრძნების უნარი აქვს. ნებისმიერი ფიზიკური ტკივილი თუ არა მეტი, არც ნაკლები შეგრძნებაა, ვიდრე ნებისმიერი ტკბობა. უბედურება — არც ბედნიერების გარეშე ყოფნაა, არც მი-

სი უარყოფა; როცა ცუდად ვართ, ვგრძნობთ უბედურების არსებობას.

ბოროტების არსებობის დასაცავად არსებობს ლეიბნიცის მტკიცებულება — ძალზე მოხდენილი, მაგრამ ისევე ყალბი.

წარმოვიდგინოთ ორი ბიბლიოთეკა. ერთი შედგება „ენეიდას" ათასი ეგზემპლარისგან, რომელიც ითვლება სრულყოფილ წიგნად და შესაძლოა ასეთიცაა. მეორე ბიბლიოთეკაში — სხვადასხვა ღირსების ათასი წიგნია, მათ შორის — „ენეიდას" ტომი. რომელი ბიბლიოთეკა სჯობს? რასაკვირველია, მეორე. ლეიბნიცი ასკვნის, რომ ბოროტება აუცილებელია სამყაროს მრავალფეროვნებისთვის.

მეორე, ჩვეულებრივ მოყვანილი მაგალითი — ესაა მაგალითი სურათით. მშვენიერი სურათით, ვთქვათ რემბრანდტისა. ტილოზე მუქი ფერები ბოროტებას შეესაბამება. როცა ლეიბნიცი ტილოსა და წიგნის მაგალითს იშველიებს, აშკარად ავიწყდება, რომ ერთია, თუ ბიბლიოთეკაში ცუდი წიგნებია, და მეორეა — თუ ასეთი წიგნი ხარ. თუ ასეთ წიგნთა რიცხვს განვეკუთვნებით, ჯოჯოხეთისთვისა ვართ განწირულნი.

ყველას არ გააჩნია უნარი — არ ვიცი, მე მაქვს თუ არა, — კირკეგორის ექსტაზისა, რომელმაც თქვა, თუკი სამყაროს მრავალფეროვნებისთვის აუცილებელია, რომ ჯოჯოხეთში ერთადერთი სული იყოს და ეს სული ჩემია, მაშინ ჯოჯოხეთის ქვესკნელიდან შევასხამ ხოტბას ყოვლისშემძლე უფალსო.

არ ვიცი, იოლია თუ არა, ამას გრძნობდე; არ ვიცი, ისევ ასე იფიქრებდა თუ არა კირკეგორი, ჯოჯოხეთში რამდენიმე წუთი რომ გაეტარებინა. მაგრამ, როგორც ხედავთ, აზრი ეხება უმთავრეს პრობლემას — ბოროტების არსებობის პრობლემას, რომელსაც გნოსტიკოსები და კაბალისტები ერთნაირად წყვეტდნენ.

ამ პრობლემას წყვეტენ, როცა ამბობენ, რომ სამყარო — არასრულყოფილი ღვთაების ქმნილებაა, ვისი ღვთაებრიობაც ნულის ტოლია. ანუ ღმერთუკასი და არა ღვთისა, ღმერთუკასი, რომელიც ღმერთზე გაცილებით დაბლა დგას. არ ვიცი, შეუძლია თუ არა ჩვენს გონებას, საქმე ჰქონდეს ისეთ განუსაზღვრელ ცნებებთან, როგორიცაა ღმერთი და ღვთაებრიობა; ან ვასილიდის თეორიასთან, გნოსტიკოსთა თეორიასთან 365-სა და ემანაციებზე. თუმცა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არასრულყოფილი ღვთაების იდეა — ღვთაებისა, რომელმაც უნდა შეანებოს ეს სამყარო შეუფერებელი მასალისგან. აქ მივდივართ ბერნარდ შოუს აზრთან. იგი ამბობს: „ღმერთი ახლა იქმნება." ღმერთი არ მიეკუთვნება წარსულს, შესაძლოა არ მიეკუთვნება აწმყოს; ღმერთი მარადიულობაა. ღმერთი შეიძლება იყოს მომავალი; თუკი კეთილშობილები, გონიერები, ნათელნი ვართ, ღმერთის შექმნას ვეხმარებით.

უელსის „მარადიულ ცეცხლში" სიუჟეტი და გმირი იობს გვაგონებს. ნარკოზის ზემოქმედებით გმირს ელანდება ღარიბულად მოწყობილი ლაბორატორია, სადაც ბერიკაცი მუშაობს. ეს ღმერთია; ნაწყენი ჩანს. „რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ, — ამბობს იგი, — მაგრამ იძულებული ვარ, ძალიან რთულ მასალაზე ვიმუშაო." ბოროტება ღვთის ურჩი მასალაა, სიკეთე კი სიკეთეა. საბოლოოდ სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს და იმარჯვებს კიდეც. არ ვიცი, გვჯერა თუ არა პროგრესისა, მე მგონი, გვჯერა, ყოველ შემთხვევაში, გენეტიკური სპირალისა — წინ მივდივართ და უკან ვბრუნდებით, მაგრამ საბოლოოდ უკეთესები ვხდებით. შეიძლება თუ არა ასე ლაპარაკი ჩვენს სასტიკ ეპოქაში? ახლაც აჰყავთ ტყვეები და ადამიანებს ამწყვდევენ ციხეებში, ან შესაძლოა საკონცენტრაციო ბანაკებში. ალექსანდრე მაკედონელის დროს ბუნებრივი იყო, რომ გამარჯვებულთა ჯარი ყველა დამარცხებულს ჰკლავდა და მიწასთან ასწორებდა დაპყრობილ ქალაქს. შესაძლოა უფრო გონიერებიც გავხდით. ამის მოკრძალებული მაგალითია — ჩვენი ინტერესი იმის მიმართ, რასაც კაბალისტები ამბობდნენ. ჩვენი გონება ღიაა, და მზად ვართ შევისწავლოთ არამარტო ზოგიერთის გონიერება, არამედ სხვების სისულელეც, და კიდევ სხვათა ცრურწმენაც. კაბალა მხოლოდ სამუზეუმოდ გამოდგება, იგი აზროვნების მეტაფორის სახეობას წარმოადგენს.

ახლა მინდა ერთ-ერთ მითზე გითხრათ, კაბალას ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ლეგენდაზე — გოლემზე, მაირინკს ცნობილი რომანი რომ შთააგონა, მე კი — ლექსი. ღმერთმა აილო მიწის ბელტი („ადამი" ნიშნავს „წითელ მიწას"), შთაბერა სიცოცხლე და შექმნა ადამი, რომელიც კაბალისტთა გახდა პირველი გოლემი. ის შექმნა ღვთაებრივმა სიტყვამ, სიცოცხლის სუნთქვამ; რაკი კაბალა მიიჩნევს, რომ მთელი ხუთწიგნეული — ღვთის სახელია, სადაც ასოებია გადაადგილებული, მაშინ თუ ვინმე ფლობს ღვთის სახელს ან შეიტყობს ტეტრაგრამატონს — ღვთის სახელს, რომელიც ოთხი ასოსგან შედგება, — და შესძლებს მის სწორად წარმოთქმას, იმასაც შესძლებს, შექმნას სამყარო და შექმნას გოლემი-ადამიანი.

ლეგენდები გოლემზე ჩინებულად გამოიყენა გერშომ შოლემმა „კაბალის სიმბოლიკაში", რომელიც ახლახან წავიკითხე. ჩემი აზრით, ეს ყველაზე გასაგები წიგნია ამ თემაზე, რადგან დავრწმუნდი, რომ თითქმის უსარგებლოა ორიგინალურ წყაროთა ძიება. წავიკითხე შესანიშნავი და, ვფიქრობ, სწორი თარგმანი (ებრაული, რასაკვირველია, არ ვიცი) „სეფერ იეცირისა", ან შექმნის წიგნისა ლეონ დუხოვნის მიერ. წავიკითხე „ზოგარის" ან გასხივოსნების წიგნის თარგმანი. მაგრამ ეს წიგნები კაბალას სასწავლად კი არაა დაწერილი, არამედ მის ჩასაწერგად, რათა კაბალას შემსწავლელმა შესძლოს მათი წაკითხვა და შეგრძნება, როგორ ჰმატებენ ისინი ძალას; თუმცა სრულ სიმართლეს არ ამბობენ ისევე, როგორც არისტოტელეს გამოქვეყნებული და იმავე დროს გამოუქვეყნებული ტრაქტატები.

დავუბრუნდეთ გოლემს. ერთი რაბინი შეიტყობს ან ჩასწვდება ღვთის სახელის საიდუმლოს, წარმოთქვამს ადამიანის თიხის ფიგურასთან, გააცოცხლებს მას და თავის ქმნილებას გოლემს უწოდებს. ლეგენდის ერთ-ერთი ვერსიით რაბინი გოლემს შუბლზე დააწერს სიტყვას **EMET**, რომელიც ჭეშმარიტებას აღნიშნავს. გოლემი ზრდას იწყებს. დგება მომენტი, როცა ბატონი ველარ სწვდება. ის გოლემს სთხოვს, ფეხსაცმლის თასმა შემიკარიო. გოლემი დაიხრება, და რაბინი ახერხებს, სიტყვა **EMET**-ის პირველი ასოს წაშლას. რჩება **MET** — სიკვდილი. გოლემი მტვრად იქცევა.

მეორე ლეგენდის თანახმად, რაბინმა თუ რამდენიმე რაბინმა შექმნეს გოლემი და იგი სხვა რაბინს გაუგზავნეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასაც შეეძლო გოლემის შექმნა, მაგრამ განზე იდგა ამგვარი ამაოებისგან. რაბინი მიმართავს გოლემს, მაგრამ მას არ გააჩნია გაგებისა და ლაპარაკის უნარი. რაბინი წარმოთქვამს: „შენ, ჯადოქრების ქმნილებავ, ისევ მტვრად იქეც". გოლემი იშლება.

დაბოლოს, შოლემის მიერ ნაამბობი კიდევ ერთი ლეგენდა. უამრავმა მოსწავლემ (ერთ ადამიანს არ შეუძლია შესაქმის წიგნის შესწავლა და გაგება) შესძლო გოლემის შექმნა. ის ქვეყნიერებას ხელში ხანჯლით მოევლინება და თავის შემქმნელთ ემუდარება, მომკალითო, რადგან თუკი იცოცხლებს, შეიძლება თაყვანი სცენ, როგორც კერპს. ისრაელისთვის, ისევე, როგორც პროტესტანტობისთვის, კერპთაყვანისმცემლობა ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა. მონაფეები ჰკლავენ გოლემს.

მე რამდენიმე ლეგენდა გადმოგეცით და მინდა მივუბრუნდე თეორიას, რომელიც საყურადღებოდ მეჩვენება. თითოეულ ჩვენგანში არის ღვთიურის ნაწილაკი. ეს ქვეყანა, როგორც ჩანს, არ არის ყოვლისშემძლე და სამართლიანი უფლის ქმნილება, ის ჩვენზეა დამოკიდებული. ამას გვასწავლის კაბალა, რომელიც შორსაა იმისგან, რომ იყოს ისტორიკოსთა ან ლინგვისტების შესწავლის ობიექტი. ისევე, როგორც ჰიუგოს ცნობილი ლექსი „Cela dit la bouche d'ombre"*, კაბალა ასწავლის თეორიას, რომელსაც ბერძნები ეძახდნენ apokatasis, და რომლის თანახმად, ყველა ქმნილება, თვით კაენი და ეშმაც კი, ხანგრძლივი გარდასახვის შემდეგ შეერწყმიან ღვთაებას, რომელსაც ოდესღაც განშორდნენ.

* რა იხილა ჩრდილმა (ფრანგ.).



ეკა ბუჯიაშვილი

# ასე თქვენ გესაუბრებით

საუბარი არ მეხერხებაო, — ამბობს, — ჩემი ალაპარაკება ძნელი საქმეა, მირჩევნია საკუთარი სათქმელი ფერითა და ხაზით გამოვხატოო.

ასე რომ ურჩევნია, ამაში ახლახან ლიტერატურის მუზეუმში გამართულ გამოფენაზეც დავრწმუნდი, ალექსანდრე ყაზბეგს რომ მიეძღვნა. მისი ნაწარმოებების თემაზე შესრულებული ილუსტრაციები სხვადასხვა თაობის მხატვარმა გამოფინა. მათ შორის იყო ავთანდილ პოპიაშვილიც, ვისი ნამუშევრებიც, სხვებთან ერთად, განსაკუთრებულად გამოარჩია მნახველმა.

ლია კარიჭაშვილიც ამიტომ შეჩერდა მის ნახატებთან და „მოძღვრის" თემაზე შესრულებული ილუსტრაციებით აღტაცებულმა თავისი შთაბეჭდილებაც რომ გაუზიარა მხატვარს, ის მადლიერების ნიშნად შეპირდა: ყველაზე მეტად რომელიც მოგეწონათ, გამოფენის შემდეგ თქვენი იყოსო.

და კიდეც შეასრულა დანაპირები.

თვითონ ბატონ ავთანდილს თუ ჰკითხავთ, ასეთი ინტერესი იმან გამოიწვია რომ საერთოდ, რაც ყაზბეგთან ხდება, ძალიან ახლოა დღევანდელობასთან, როგორც რუსეთთან მიმართებით, ასევე ადამიანურ ურთიერთობებთან თუ ზნეობასთან დამოკიდებულებით. ამ თვალსაზრისით, „მოძღვარს" გამორჩეულ ნაწარმოებად მიიჩნევს, ყაზბეგს — მწერლად, რომელთანაც განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობს ქართველი კაცი.

საერთოდ კი...

საერთოდ თვლის, რომ ასეთი სიახლოვე ამა თუ იმ მწერლის მიმართ პერიოდული განცდაა — ხან ერთი შეგაშველებს ხელს, ხან — მეორე — განწყობილების მიხედვით. ყაზბეგთან თავიდან ჩაღრმავების მიზეზი კი აი, ეს იყო:

— აქ ის მოხდა, რომ როსტომ ჩხეიძის ინიციატივით, კარლო ფაჩულიამ შემომთავაზა, ყაზბეგის ნაწარმოებების ილუსტრაციები დამეხატა. აქამდე ამ მწერალთან ასეთი კუთხით შეხება არ მქონია, მაგრამ სიბერის ჟამს რატომღაც მოვინდომე ამ ჟანრში მუშაობა.

**— ალბათ ახალი იმპულსებიც აღიძრა...**

— კი... იგივე ენთუზიაზმით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე ვაპირებ მუშაობას. თან ეს წელი იუნესკომ ვაჟას წლად გამოაცხადა და რაღაც სასწაულებრივად შეიძლება გაკეთდეს ყველაფერი.

**— უკვე შეარჩიეთ ნაწარმოებები?**

— ერთი „ალუდა ქეთელაურია", მეორე — „სტუმარ-მასპინძელი", მესამე... ჯერ არ ვიცი.

**— მთის მწერლებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ?**

— როგორ გითხრათ, მიხეილ ჯავახიშვილიც ძალიან მიყვარს, თუმცა... მასთანაც ყველაზე მეტად „თეთრი საყელო". რაღაც სიახლოვე, როგორც ჩანს, მართლა მქონია მთასთან. ამაზე ადრე არ მიფიქრია.

**— ვაჟა-ფშაველაზეც გრაფიკაში იმუშავებთ?**

— კი, რაც დავიწყე ყაზბეგთან, ის მინდა გავაგრძელო. როგორ? მინდა, რომ ფორმა პერსონაჟების ხატებმა კი არ განსაზღვროს, მათმა ერთობლიობამ ბუნებასთან და სამყაროსთან. ფაქტობრივად, ეს იქნება ადამიანი გარემოში — არა წინ წამოწეული სახე, ელემენტებით დატვირთული, ჯუბებში ჩაცმული და აბჯარასხმული სხეული, არამედ ეს ყველაფერი როგორც მთელი სამყაროს ნაწილი, სამყაროსი, რომელიც ამავდროულად თვითონაც დამოუკიდებული გალაქტიკაა.

**— მხატვრისთვის ალბათ ძალიან საინტერესოა საკუთარი შესაძლებლობების სხვა ჟანრში, სხვა ფორმაში მოსინჯვა...**

— რა თქმა უნდა, ზოგჯერ შენი სათქმელი უფრო იოლად გამოიხატება ხაზში, ზოგჯერ ამას ფერში ან პლასტიკაში უკეთ ახერხებ... მეც ვცადე...

**— და გამოგივიდათ...**

— მგონი ასეა. მოეწონათ კი და...

* * *

მთელი ჩემი ცხოვრება პედაგოგი ვარ.

სამხედრო სამსახური ბურიატიაში მოვიხადე. ხატვა-ხაზვის პედაგოგი ვერ იპოვეს და მე, რაკი ნიკოლაძეში ვსწავლობდი იმ დროს, ამ საგნის მასწავლებლად დამნიშნეს. მას მერე მოვიკვლევ გზას.

მომწონს ახალგაზრდებთან ურთიერთობა. ვერც აგიხსნით ეს რა არის, ზოგჯერ მე უფრო მეტს ვსწავლობ მათგან, ვიდრე ისინი ჩემგან.

საერთოდ, დღესდღეობით სრულყოფილი სკოლა სახვით ხელოვნებაში არ გაგვაჩნია. რაღაც დონემდე ვასწავლით ბავშვებს, მაგრამ მერე, როცა ისინი იწყებენ დიდების მიბაძვას — თავისი ნახატი აღარ მოსწონთ, ჰგონიათ, რომ, მაგალითად, შიშკინი უკეთესად ხატავს პეიზაჟს, ვიდრე თვითონ და ამას ვერასოდეს მიაღწევენ — ამ ეტაპიდან უკვე აღარ გვაქვს ჩამოყალიბებული, რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდას, ინდივიდუალურობა რომ არ დაკარგოს.



ავთანდილ პოპიაშვილი

სამხატვრო აკადემია ახალი დამთავრებული მქონდა, მეგობრებთან ერთად სამხატვრო სასწავლებელი რომ დავაარსე, ძალიან კარგი ადამიანის, ჯიმშერ მუჯირის შემწეობით. გვინდოდა, რაღაც განსხვავებული ყოფილიყო. ვცდილობდით, სხვაგვარი მეთოდებით გვესწავლებინა. აი, მაგალითად, ჩავრთავდი შტრაუსის მელოდიას და ვეუბნებოდი: ხატეთ მუსიკის ფონზე-მეთქი. და ისინიც ხშირად ხატავდნენ ბალერინებს, ბუნებას... ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაზე ომს ან რაიმე მძაფრ სიუჟეტს.

მერე მთელი ცხოვრება ნიკოლაძეში ვმუშაობდი და ვფიქრობ, რომ ამ სასწავლებლის დახურვა ძალიან დიდი შეცდომა იყო. რატომღაც განათლების სისტემამ ჩათვალა, რომ საშუალო რგოლი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის საჭირო აღარ არის. არადა, ის ინგლისური მოდელი, პირდაპირ რომ გადმოიტანეს, ქართველი კაცის ხასიათს, საერთოდ, კავკასიელის ბუნებას არ მიესადაგება. ინგლისში სხვანაირად ზრდიან ბავშვს — პატარაობიდანვე აძლევენ მიმართულებას და ერთი განხრით იღებს განათლებას. ჩვენთან ეს შეუძლებელია. ქართველი კაცი უნივერსიტეტშიც კი იცვლის ფაკულტეტებს, ხასიათია ასეთი, ტემპერამენტია სხვანაირი, ფსიქოლოგიაა განსხვავებული.

ბევრი ნიკოლაძის სასწავლებლის აღზრდილი შემდეგში კარგი ფიზიკოსი, კარგი ექიმი გამხდარა. ის ინგლისელი ნისლსა და ჭაობში იზრდება, ქართველი ბავშვი კი — თაკარა მზეზე. შეუძლებელია ამ ორ ბუნებას ერთნაირი მოდელი მოარგო.

ახლა სასულიერო აკადემიაში ხატწერისა და რესტავრაციის ოთხწლიან ფაკულტეტზე ვასწავლი ხატვა-ფერწერას. ხატწერას — სხვა სპეციალისტები ასწავლიან, რადგან ძალიან საფრთხილო საქმეა. ამ სკოლის სიღრმეებს კარგად არ ვიცნობ, თუმცა ხატი დამიწერია — გრიგოლ ხანძთელის — სამების ტაძარში იყო და მითხრეს, თითქოს პატრიარქს გადაუტანია თავის საძინებელში.

კანონიკა თუ ვიცი?

კი, როგორ არა, მაგრამ მაინც ვერიდები.

ადრე ხატი იცით როგორ იწერებოდა?

თეთრ დაფას რომ გაამზადებდა მხატვარი, თვეების მანძილზე უყურებდა მას. მრევლი ლოცულობდა, რომ მას ნახატი გამოსვლოდა. თვითონ კი მარხულობდა და სულიერ ლვანლში იყო ჩაფლული. პირველ ხატებას რომ შეამჩნევდა, ძალიან მკრთალ მონახაზს აკეთებდა, მერე საღებავს თანდათანობით ამუქებდა და ნელ-ნელა აკონკრეტებდა კონტურებს.

ეს სკოლა აღარ არსებობს.

სულიერ მეცნიერებას აღარ ვეუფლებით.

არა, ძალიან კარგი ხატმწერებიც გვყავს, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

* * *

**— მუსიკა გიყვართ?**

— ძალიან. განსაკუთრებით კლასიკური. ვაგნერი მიყვარს, ბეთჰოვენი, რაველი... რუსი კომპოზიტორებიც: სტრავინსკი, ჩაიკოვსკიც...

ლიტერატურა მიყვარს კიდევ ძალიან. ერთხანს ჟურნალ „ომეგასთან" ვთანამშრომლობდი და ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი. აქტიური ურთიერთობა მქონდა მწერლებთან. ამ ჟურნალის დახურვა დანაშაული მგონია ერის წინაშე.

**— მხატვრობის სხვადასხვა სახეობაში მუშაობთ... სად უფრო კარგად გრძნობთ თავს?**

— დაზგური ფერწერა მიყვარს, დაზგური გრაფიკაც... თუმცა ფერი და ფერწერა მაინც ყველაზე ახლოა ჩემთან.

**— გამორჩეული ფერებიც გაქვთ?**

— უფრო განწყობილების მიხედვით. ისე... ერთხანს შავი შემიყვარდა ძალიან და ცოტა არ იყოს შემეშინდა, მაგრამ ესეც ისეთი რამაა... შავი შეიძლება ძალიან ფერადიც გააკეთო, ფიროსმანი რომ ხატავს ისეთი შავი კი საერთოდ არავის შეუძლია შექმნას.

სხვათა შორის, დელაკრუამ თქვა: მომეცით შავი ფერი და მე დაგიხატავთ წითელ ვარდსო.

**— თქვენც შეგიძლიათ ასე?**

— მე ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის.

**— ვან გოგის ყვითელზე რას იტყოდით?**

— ოო... მანდამდე ვერ გავგიჟდი.

ერთმა კაცმა მუსიკის წერა დაიწყო და თქვა: მე და მოცარტიო.

გავიდა ხანი და: მოცარტი და მეო.

მერე კი ამბობდა: მოცარტი, მოცარტიო!

მე უკვე ბოლოში ვარ გასული.

* * *

ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ხატავდა.

მაშინდელ პიონერთა სასახლეშიც თვითონ მივიდა.

მერე ვაჟთა პირველი სკოლა იყო. სამი წელი გოგონების გარეშე სწავლობდნენ და ახლა რომ იხსენებს, ამბობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს უბედნიერესი წლები იყო მის ცხოვრებაში. იყვნენ მხოლოდ ბიჭები, თავთავიანთი საიდუმლოებებით, აღმერთებდნენ გოგონებს და ქმნიდნენ რაღაც მითებს.

მერე... შეუერთდნენ გოგონებიც და კიდეც აურიეს თავგზა.

მას შემდეგ სულ შეყვარებულია — სამშობლოზე, მხატვრობაზე და...

კიდევ მთა უყვარს ძალიან.

ყოველ წელს რომელიმე მწვერვალის დალაშქვრას ცდილობს. შარშან ყაზბეგზეც ადიოდა. ასე — ზაფხულობით იკრებს ხოლმე ენერგიას, მერე კი მუშაობს და მუშაობს.

არაერთი გამოფენა ჰქონია — პერსონალურიც, საკავშიროც. მისი ნამუშევრები შეგიძლიათ ნახოთ ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში — მოსკოვში, კიდევ თბილისის სახვითი ხელოვნების მუზეუმში... მაგრამ ეს გამოფენები დიდი ხნის წინათ იყო. ბოლოს როდის? ერთი წუთით, ჯერ დაფიქრდეს, გაიხსენოს, მგონი 2000-ში პარიზში. მას შემდეგ აღარ გამოუფენია. რატომ? აუდიტორიის მოთხოვნილება აღარ მაქვსო. რატომ აღარ გაქვსო? ეს კი არ ვიციო. შეიძლება იმიტომ, რომ ისეთ რაღაცებს ვაკეთებ, ჯერ თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, რა არის, ფაქტობრივად, სამზარეულოა და ჩამოყალიბებული არ არისო. ამაზე მანამდე ვსაუბრობთ, ვიდრე აი ამ თემასაც შევეხებით:

* * *

დრამატულ ეპოქაში მოუწია ცხოვრება.

დღეს ბევრს საუბრობენ მაშინდელ წნეხზე, ნანატრ შემოქმედებით თავისუფლებაზე.

ბატონ ავთანდილს ამ საკითხის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს — მიიჩნევს, რომ წნეხი, რა თქმა უნდა, იგრძნობოდა, მაგრამ საქართველოში ამას არ ეპუებოდნენ და შედარებით მსუბუქი იყო.

— დღეს ბევრს უნდა გმირად აჩვენოს თავი, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. არ მახსოვს, კარგი ნამუშევარი გამოფენაზე არ გასულიყოს და საზოგადოებას არ მიეღო.

— ლადო გუდიაშვილს რომ არ უხსნიდნენ გამოფენას? შესაძლოა ყველა ერთნაირად ვერ გრძნობდა შეზღუდვებს. ამ წნეხზე, შემოქმედის ბედზე ოთარ ჩხეიძე წერს თავის ერთ-ერთ რომანში „ლანდები", სადაც უმთავრესად ერთი ახალგაზრდა მხატვრის — ფრიდონ გუნდიაშვილის მაგალითზე აღწერილია ტრაგიზმი იმპერიულ ეპოქაში მცხოვრები ხელოვანისა — როგორ შეიძლება ის აღმოჩნდეს ამოვარდნილი რეალობიდან, თუკი მისი თანამედროვე რეჟიმის მოთხოვნებს არ გაიზიარებს.

— საერთოდ, სულიერებასთან მიმართებით კომუნისტები ყოველთვის ლიზიანდებოდნენ, რადგან მათი იდეოლოგია ათეიზმზე იყო დამყარებული. მთავარი მოთხოვნა ასეთი იყო — არ უნდა ყოფილიყო ანტისაბჭოთა. ქართველი კაცის ბუნება კი ასეთია — წნეხს არ ემორჩილება. რაც მეტია ზეწოლა, მით უფრო დიდია წინააღმდეგობის ძალა. ამიტომ აქ მეტი სიფრთხილე მართებდათ.

ხშირად ასეც ხდებოდა:

ვმუშაობდი, მაგალითად, საბჭოთა თემატიკაზე — ვერც ამას გაექცეოდი — ნამუშევარს ერქვა: „დახვრეტა კომუნარების ბაღში". დემონსტრანტების დახვრეტის სცენაა და ჯალათებს შორის ერთს სტალინის სახე აქვს, მეორეს — ბერიასი. დახვრეტილებში კი ტიციანსა და პაოლოს ამოიცნობთ... კაციშვილი ვერ მიხვდა ვერაფერს, მე კი გული მოვიოხე.

იყო ასეთი ნამუშევარიც:

გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით რუსის ჯარი შემოდის საქართველოში. ქვემეხებით მოდიან, ეს ჩვენი არისტოკრატია კი დგას და... უყურებს. გამგები აქაც გაიგებდა სათქმელს.

ძალიან გახმაურდა რადიშ თორდიას ნახატი — მოხუცი კაცი ზის ნახირის ფონზე და ხელში ბაბუაწვერა უკავია. შინაარსი დაახლოებით ასეთია: რა არის ჩვენი სიცოცხლე ჩიტივით (ბაბუაწვერასავით) გაგვიფრინდებაო, მაგრამ...

საბჭოთა ადამიანის ცხოვრება ბაბუაწვერასავით არ ქრებოდა.

საბჭოთა ადამიანს არც ასეთი სენტიმენტალობა შეშვენოდა.

ჯიბსონ ხუნდაძის ძალიან დრამატული ნამუშევარი „ხნული" მახსოვს — დიდ მინდორზე შავი, ცარიელი ხნული გადიოდა.

ედმუნდ კალანდაძის „ორთქლმავალიც" — თითქოს საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის სიმბოლოდ, მაგრამ წამლეკავი, დაუნდობელი ნგრევის ენერგია იდო ამ სურათში.

წნეხი, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ შენი სათქმელის გამოხატვას მაინც ახერხებდი, შეფარვით, შენიღბვით... მაგრამ გამგები გაიგებდა.

* * *

**— თქვენ ხშირად გაჰყურებთ საკუთარი ცხოვრების ხნულს?**

— არა, იცით, არ ვარ მდგრადი და იმიტომ. ძალიან ხშირად ვიმსხვრევი და ძნელად ვიკრებ ხოლმე ძალებს. პატარა რამ მტკივა და სულ მცირე მახარებს. მხატვარი საერთოდ მსხვრევადია.

**— ასეთი მგრძნობიარე ხართ?**

— აი, ისე, გალაკტიონს რომ აქვს: „ო, როგორ მღუპავს გრძნობა ჩემი, მოსისხლე მტერი".

**— მგონი უფრო განწყობილების ადამიანი ყოფილხართ.**

— ძალიან... ძალიან... განწყობილების გარეშე არაფერი გამომდის. ერთხელ გოგი ოჩიაურმა თქვა: მხატვარი ცოტა გიჟი თუ არ არის, რაღა მხატვარიაო.

და გიჟები რას ამბობენ თუ იცით?

ცოტანი რომ ვართ, იმიტომ გვეძახიან გიჟებსო.

მხატვრებიც ცოტანი ვართ.

* * *

თაობათა ჭიდილი კი... იყო, არის და იქნება, რადგან ჩვენი თვალსაწიერი სხვაგვარად ხედავს პერსპექტივას, ახალი თაობა კი — თავისებურად.

ჩემი აზრით, ახალგაზრდობა ნიჭიერი გვყავს, უბრალოდ ძალიან ნიჭიერები ცოტანი არიან.

განსხვავებულია მათი დამოკიდებულება ფორმისადმი. უფრო კონცეპტუალური ხელოვნება აინტერესებთ. ესეც იმ ტენდენციის ნაწილია, რომ ჩემი მომდევნო თაო-

ბა ცუდ სამსახურს უწევს დაზგურ ხელოვნებას. ამ დარგს სოცრეალიზმის გადმონაშთად მიიჩნევენ. მე თუ მკითხავთ, ეს სკოლაც არ არის, კულტურის ის ფორმაა, რომელიც კაცობრიობამ დღემდე მოიტანა და ამ ფორმით ჯერ არ ამოგვიწურავს სათქმელი.

დაზგურ ფერწერას თავისი ბგერა აქვს, მაგრამ დღეს მსმენელი არ ჰყავს, ან არ არიან მზად მის გასაგებად. შტაინერთან ცოტა მწყრალად არიან — განსაკუთრებით ჩვენი ორთოდოქსული ეკლესია — მაგრამ საინტერესო რამეებს ამბობს, მაგალითად, ასეთს:

— ბერძნები ვერ ხედავდნენ იისფერს, რადგან ინტელექტი არ აძლევდათ ამ ფერის აღქმის საშუალებასო.

XXI-XXII საუკუნემ შეიძლება შემოიტანოს ხედვა ახალი ფერის, რომელსაც ახლა ვერ აღვიქვამთ. შესაძლოა ამ აზროვნებას არ დაეთანხმო, მაგრამ რაღაც ლოგიკა აქ არის. შეიძლება დაზგური ფერწერა უარყო და ბუმბულები აწებო ტილოზე?! ეს რებუსია — მიდი, გამოიცანი, დაზგური ფერწერა კი სხვა რამეს ემსახურება. ჩემი სალაპარაკო ენა არის ფერი, ამით ღმერთს ვესაუბრები, კიდევ ქვეყანას, თქვენ... მავანი კი მეუბნება:

— ენა ჩაიგდე მუცელშიო.

განა ეს სწორია?

* * *

— **ბედნიერი ადამიანი ხართ?**

— როგორ გითხრათ... საყვარელი ნახატი არ მაქვს, ასეთი სურათი ჯერ არ დამიხატავს.

— **რამე გინანიათ?**

— ჩემი ცხოვრება შეცდომებით არის სავსე და ახლაც უამრავ შეცდომას ვუშვებ.

— **და სწავლობთ შეცდომებზე?**

— არა, არა... თავიდან რომ დამაწყებინოთ ცხოვრება, იგივე შეცდომებს დავუშვებ. რაც მოსახდენია, ის ხდება.

— **ბედისწერის გჯერათ?**

— „არ გარდავა გარდუვალად"... ან: „რაცა ღმერთსა არა სწამდეს, არა საქმე არ იქნების". სარწმუნოებაში შესვლა იოლი არ არის. ჯერ ის უნდა შეიმეცნო, რომ პირველი ასო „ა" — ესაა სიყვარული და ვიდრე მის დაწერას არ ისწავლი, ვერც რწმენის მადლს ეზიარები. მეც ვცდილობ. არა, მარჯვენაში რომ გამარტყან, მარცხენას ვერ მივუშვერ, ამდენს ჯერჯერობით ვერ ვახერხებ, მაგრამ ვცდილობ, ყველა მიყვარდეს.

რამდენი ვილაპარაკე... არ დავეცი ქადაგად?!

— **აბა, არ მეხერხებაო, ამბობდით.**

— ამალაპარაკეთ... თქვენც გამოგივიდათ.

ერი და ბედისწერა

მანანა გაბაშვილი

# შუა საუკუნეების საქართველოს საზღვაო პოლიტიკა და ინტერესები

ქართველების ურთიერთობა ზღვასთან არაერთხელ გამხდარა კამათისა და მსჯელობის საგანი. ერთნი აღიარებენ ქართველების კავშირს ზღვასთან, მეორენი კი უარყოფენ და ამკვიდრებენ ისეთ შეხედულებებს, რომელსაც რეალობასთან არა აქვს საერთო და პირად განწყობას ეფუძნება. გიგი თევზაძეს „ქართულ მწერლობაში" (26 XI, 2010) გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი და ზღვა," გაკვრით, მაგრამ მართებულად აქვს აღნიშნული ზღვის მნიშვნელობაზე შუა საუკუნეების ქართველთა ცხოვრებაში. მას მოჰყავს ციტატა ლექსო მაჭავარიანის წერილიდან („ვინ გადაცურავს ზღვას)," რომელსაც არ იზიარებს. მასში ნათქვამია: „ირაკლი ჩარკვიანი ერთადერთი ქართველი მეფე იყო, რომელსაც ზღვის გადაცურვის სურვილი გაუჩნდა. ზღვის პირას მცხოვრებ ხალხს, არგონავტებს დადევნებულ აიეტის მითიურ ხომალდებს თუ არ ჩავთვლით, არასდროს გვყოლია ფლოტი. შავი ზღვა არ გვიჩენდა მასში შეცურვის სურვილს, ამიტომაც დავარქვით ზღვა — ზღვარი. მის იქით ჩვენი წინაპრებისთვის არაფერი იყო, შეუცნობელის შიშის გარდა. ვიკინგებს სიცივე, შიმშილი და სიახლისკენ სწრაფვა აიძულებდა ფარატინა გემებით ოკეანე გადაელახათ. ჩვენ, კავკასიის მთების ჩრდილში, თბილ ადგილზე მოკალათებულებს, როგორც ჩანს, არ გვშიოდა, არც სიახლე გვიზიდავდა მაინცდამაინც და შესაბამისად არც იმის მიზეზი გვქონია როდესმე, ზღვების გადაცურვაზე გვეფიქრა..." („ტაბულა" 19, 19-25 VII, 2010).

როგორც აღინიშნა, ერთია, რას ფიქრობს ესა თუ ის პიროვნება თავისი განწყობიდან გამომდინარე, და მეორეა ამ საკითხისადმი ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების, ნუმიზმატური მასალების, მხატვრული ლიტერატურის ცნობები, ასევე ეკლესია-მონასტრების მოხატულობათა, როგორც სახვითი წყაროების მნიშვნელობა საქართველოს საზღვაო ინტერესებთან მიმართებაში. არანაკლებ საინტერესოა შავი ზღვის (რომელიც ოდითგანვე მრავალი ხალხის ყურადღების ცენტრში იყო და რომელსაც უკავშირდება მსოფლიოში ცნობილი მითები და ლეგენდები) სახელწოდებანი.

უძველესი დროიდან მოყოლებული შავი ზღვის აღმნიშვნელი სახელები მის სანაპიროზე მცხოვრები ხალხების, ქალაქებისა თუ ქვეყნების სახელწოდებებს ასახავდნენ და სხვადასხვა დროს პოლიტიკური ვითარებისდა მიხედვით იცვლებოდნენ. ეს კიდევ ერთი მაგალითია შავ ზღვაზე არსებულ ვითარებაზე პოლიტიკის გავლენისა.

შავი ზღვის სახელებიდან უძველესია „ცალპის ზღვა," რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XVI საუკუნეში ხეთურ ლურსმულ წარწერებში გვხვდება. ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებს უკავშირდება „ზემო ზღვა," რომელსაც ზოგჯერ „დიდ ზღვასაც" უწოდებენ და „ჩრდილოეთის

ზღვასაც." სპარსელები, სასანურ ხანაში, მას „ხაშენად" მოიხსენიებენ, რაც ნიშნავს „შავს, " „მუქს." ასევე შავ ზღვას ნიშნავს სპარსული „ბაჰრე სიაჰი," რაც უკვე შუა საუკუნეთა მოვლენა იყო და სპარსელების შავი ზღვით დაინტერესების კიდევ ერთი დასტური. მიიჩნევენ, რომ ბერძნულში შავი ზღვის ცნობილი განმარტება — არასტუმართმოყვარე („პონტო ავქსინუსი"), ზემოთ მოხსენიებული სპარსული სახელიდან „ხაშენიდან" (შავი, მუქი) უნდა იყოს შემოსული.

შავი ზღვის სახელწოდებებში მისი ათვისებისა და ნავიგაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპიც აისახა, როდესაც დროთა მანძილზე ბერძნებში გავრცელებული შავი ზღვის სახელწოდება არასტუმართმოყვარე, სტუმართმოყვარეთი შეიცავლა.

შავი ზღვის მრავალრიცხოვანი სახელწოდებანი, რომლებიც საერთაშორისო მოვლენებისა და ამ ზღვისადმი პოლიტიკური ინტერესების შუქზე ჩნდება, გვხვდება როგორც ქართულ და ბერძნულ-ბიზანტიურ, ისე აღმოსავლურ (სპარსულ-არაბულ), ევროპულსა და რუსულ წყაროებში. ესენია — „პონტო" (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზღვას), „კოლხეთის ზღვა," „ბაჰრ არ-რუმი" („ბიზანტიის ზღვა"), „ბაჰრ არ ხაზარ" („ხაზართა ზღვა"), „ბაჰრ არ კირიმ" („ყირიმის ზღვა"), „,დარიაიე გორჯ" („ქართველთა ზღვა" ), ბაჰრ არ-ბურგარ" („ბულგართა ზღვა"), „ბაჰრ არ-რუსი" (ან როსი) („რუსთა ზღვა", ან „როსთა ზღვა"), „ბაჰრ არ-ტარაბუზუნდა" („ტრაპიზონის ზღვა"), „დარაიაე ლაზი" („ლაზთა ზღვა"), „სპერის ზღვა," „მავრითალასა" („შავი ზღვა"), „მარე მაიუს („დიდი ზღვა"), „მერ მაჟორ" („დიდი ზღვა"), „პონეტსკოე მორე," „ყარა დენიზი" („შავი ზღვა"). შავი ზღვის დღევანდელი სახელწოდება, თურქული „ყარა დენიზიდან" მომდინარეობს და XVII საუკუნიდან მკვიდრდება, მას შემდეგ, რაც ოსმალები შავ ზღვაზე გაბატონდნენ და ის ე.წ. „ოსმალთა ტბად" აქციეს.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვაენოვან წყაროებში, იმ ხალხებსა და ქვეყნებს შორის, რომელთაც განსაკუთრებული დამოკიდებულება და ინტერესი გააჩნდათ შავი ზღვისადმი და მას თავის სახელსაც არქმევდნენ, ქართველებიც არიან.

სტრაბონთან (ახ.წ. I ს-ის დასაწყისი) მოხსენიებულ „კოლხეთის ზღვას," რაც შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ კოლხთა ქართული განსახლებიდან მომდინარეობს, მოგვიანებით XIIს-ის სპარსულ წყაროში ცვლის „ლაზთა ზღვა," რომელსაც ეხმაურება X საუკუნის არაბული წყაროს (მასუდის) „ტრაპიზონის ზღვა." სტრაბონის ცნობის თანახმად, „კოლხეთის ზღვის" სანაპიროზე ცხოვრობდნენ იბერებიც, რაც საინტერესო მიმართებაშია X საუკუნის სპარსელ ანონიმ ავტორთან დადასტურებულ „ქართველთა ზღვასთან."

ქართველებთან და ქართულ სამყაროსთან არის დაკავშირებული ქართულ წყაროების შავი ზღვის ქართული სახელწოდება „სპერის ზღვაც," რომელიც ასევე იბერიისა და იბერიელებისგან მომდინარეობს და იმ რეგიონიდან, საიდანაც წარმოშობით არიან ბაგრატიონები. აღნიშნული სახელები კიდევ ერთი დასტურია ქართველების ზღვაოსნობაში, დიდ პოლიტიკასა და მსოფლიო პროცესებში ჩართულობისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოგვიანებით „ლაზთა ზღვამ" ისევე შეცვალა „კოლხეთის ზღვა," როგორც ტერმინმა „ლაზეთმა" „კოლხეთი," „ლაზმა" კი „კოლხი." როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ეს ცვლილებები საინტერესოდ აისახა შავ ზღვაზე. კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ზღვა ქართულ სინამდვილეში რომ ყოველთვის აქტუალური იყო, ამაზე თვით ამ ფუძის სიძველეც მიგვანიშნებს: ქართული ზღუ-ა: მეგრული ზღვ-ა: ლაზური ზულ-ა: სვანური ზულუ / ძულუ-ა „ზღვა" შესატვისობის საფუძველზე საერთო ქართველური ფუძე ენის დონეზე აღდგენილია ზღუა — არქეტიპი.



მანანა გაბაშვილი

როდესაც ქართველების შავი ზღვისადმი დამოკიდებულების საკითხს ვსვამთ, მხედველობაშია მისაღები, რომ დასავლეთ საქართველოს ქალაქთა უმრავლესობა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. შუა საუკუნეებში კი ე.წ. ტრაპიზონის გზა საქართველოში ახალქალაქობისა და საქალაქო ცხოვრების აღორძინების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ შავ ზღვაზე შექმნილი მდგომარეობა, ანუ შავი ზღვის ურთიერთობა გარე სამყაროსთან მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დასავლეთ საქართველოს ქალაქთა მდგომარეობას ანტიკურსა და ფეოდალურ ხანაში. ეს კი პირდაპირ ეხებოდა ქართულ პოლიტიკას, რაც მობილიზებასა და ზღვებზე არსებულ ვითარებაზე დაკვირვებას, სათანადო ანალიზს ითხოვდა. მაგალითად, ბიზანტიელთა და არაბების ბრძოლა ზღვებზე მეტოქეობისათვის პირდაპირ ეხებოდა საქართველოსა და მისი ქალაქების ეკონომიკურ მდგომაროებას.

VIII საუკუნიდან შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონდება, რის გამოც უკვე IX საუკუნიდან არაბი გეოგრაფები შავ ზღვას „რუმის (ბიზანტიის) ზღვას" უწოდებენ. არაბებმა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფლოტს (ბევრი ცდილობდა ფლოტში მოხვედრას, რაც დიდი პატივი იყო), შეძლეს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში გაბატონება, რითაც მის აღმოსავლეთ ნაწილშიც გაიჩინეს დასაყრდენი. მაგრამ საბოლოოდ არაბებმა ვერ შეაღწიეს ვერც ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში და ვერც, მითუმეტეს, შავ ზღვაზე ფეხის მოკიდება შეძლეს. იტალიელთაგან განსხვავებით მათ შავი ზღვის სანაპიროზე არ დაუარსებიათ ახალშენები. თუმცა ის ფაქტი, რომ VIII-XI საუკუნეებში შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონობდა, არაბებს კი ძლიერი პოზიციები ჰქონდათ შავ ზღვაზე, მიზეზი ხდებოდა მათი ფლოტების ერთმანეთზე ხშირი თავდასხმებისა და საზღვაო ბრძოლებისა. ასეთი ვითარება იწვევდა შავი ზღვის დაბლოკვას, რაც უარყოფითად

აისახებოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც ანტიკურსა და ელინისტურ ხანაში აქტიურად მონაწილეობდნენ შავი ზღვის საერთაშორისო ვაჭრობაში. შუა საუკუნეებში, გარკვეულ დროს, ამ იზოლაციის შედეგად დასავლეთ საქართველოს ქალაქები გამოეთიშნენ მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებს, რომელთანაც კავშირი ხმელთაშუა ზღვისა და ინდოეთის ოკეანის მეშვეობით მყარდებოდა. თუმცა შავ ზღვაზე მოგზაურობა თუ ვაჭრობა გრძელდებოდა, ოღონდ შეზღუდული სახით. ანალოგიურ სურათს ვიღებთ ნაგვიანევ ხანაშიც (XV-XVIIIსს), ოსმალთა პერიოდში, როდესაც თურქები შავ ზღვაში შემოდიან და შავ ზღვას „თურქეთის ტბად" გადააქცევენ. მაგრამ თუ ამას მოჰყვა დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემა, ადრეულ ხანაში (შავი ზღვის დროდადრო ჩაკეტვის პირობებში) ისინი ვითარდებიან იმ საერთო ეკონომიკურ საფუძველზე, რამაც X საუკუნეში მტკიცე პირობები შეუქმნა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ საქართველოს გაერთიანების პროცესთან მიმართებაში გაჩენილი ტერმინები „ქართველი" და „საქართველო" შავ ზღვაზეც რომ აისახა, კერძოდ, მის სახელწოდებაზე „ქართველთა ზღვა." ეს კი ამ პროცესებშიც შავი ზღვის ჩართულობაზე მეტყველებს, რაც საერთაშორისო დონეზეც იქნა აღქმული.

საინტერესოა აგრეთვე, რომ „ქართველთა ზღვა" X საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება, იმ დროს, როდესაც ჩვენი დაკვირვებით, დავით კურაპალატის პოლიტიკაში აქტუალური ხდება საზღვაო და ტრაპიზონთან დაკავშირებული ინტერესები, რაც ქართულ ისტორიოგრაფიას მხედველობიდან გამორჩა. ასე რომ, „ქართველთა ზღვა" ისევე უკავშირდება პოლიტიკას, როგორც შავი ზღვის აღმნიშვნელი „ლაზთა ზღვა" და „ტრაპიზონის ზღვა," რომლებიც დაახლოებით ერთ დროს გვხვდებიან — მაშინ, როდესაც ლაზების გააქტიურება იწყება. ვგულისხმობ ტრაპიზონის ბიზანტიასთან დაპირისპირება, რაც სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებაში გამოიხატა და რაშიც ლაზებს საქართველო უწყობდა ხელს. ეს კი, სხვა მასალებთან ერთად, საფუძველს გვაძლევს დავსვათ საკითხი ლაზების დავით კურაპალატის პოლიტიკასთან კავშირის თაობაზე. ფაქტია, რომ მათი ეს ინტერესები, რაც პირველ რიგში ბიზანტიის გავლენისაგან გათავისუფლებას ნიშნავდა, დავით კურაპალატსა და ლაზების პოლიტიკურ მოკავშირეებად ხდიდა. აღსანიშნავია ასევე, რომ ამ კავშირს ათონის მთაზეც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, რაც ქართულ ისტორიოგრაფიას ამ კუთხითაც არ განუხილავს, რის გამოც აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა აუხსნელი რჩებოდა, ხოლო ქართველების ინტერესი ზღვებისადმი ზოგ შემთხვევაში გაურკვეველი ან იგნორირებული იყო. ეს ეხება დავით კურაპალატის ათონელ ბერებთან ურთიერთობის იმ მხარესაც, რომელიც ზღვასა და ზღვაოსნობას უკავშირდება და, რაც ასევე განსაკუთრებით საინტერესოა, ტრაპიზონის საკითხს.

საზღვაო ინტერესებისა და ქართველთა საზღვაო პოლიტიკის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტიც. ეს არის „ქართველთა ზღვის" შავი ზღვის ისეთი სახელის პარალელურად დადასტურება როგორიცაა „ბიზანტიის ზღვა." სპარსული წყაროს ეს ცნობა მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც. ამ დროს სპარსელები წამყვან როლს ასრულებენ საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობაში. ამის გამოც ისინი ზღვებზე არსებულ სიტუაციებს აკვირდებიან, ხოლო „ქართველთა ზღვას" საერთაშორისო რეზონანსს აძლევენ. ამგვარად, „ქართველთა ზღვის" გაჩენა „ბიზანტიის ზღვის" პარალელურად, კიდევ ერთი მაგალითია დავით კურაპალატის ბიზანტიასთან დაპირისპირების და მეტოქეობის, მაგრამ მხოლოდ უკვე საზღვაო კუთხით. თავისთავად ის ფაქტი, რომ „ქართველთა ზღვა" ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესს ემთხვევა, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მაშინვე, როგორც კი დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების პრობლემა, საფუძველი ეყრება საზღვაო, ანუ დასავლეთის პოლიტიკას.

ამგვარად, შავი ზღვის სახელწოდება „ქართველთა ზღვა" ემთხვევა დავით კურაპალატის საზღვაო და ტრაპიზონის პოლიტიკის გააქტიურების პერიოდს, რომელიც დასავლურ პოლიტიკადაც უნდა მოვიაზროთ და დავით კურაპალატის წარმატებული აღმოსავლური პოლიტიკის გაგრძელებადაც, რის გამოც იგი ჯერ ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის მომხრედ გამოდის აჯანყებულთა წინააღმდეგ, შემდეგ კი პირიქით, აჯანყებულთა მხარეს იჭერს. სწორედ ამ მეორე ეტაპის დროს საზღვაო ინტერესთა ფონზე ჩნდება ტრაპიზონის საკითხიც, როგორც დავითის ამ რთული პოლიტიკური თამაშების ერთ-ერთ მიზანი. საამისოდ იგი სამხედრო მოქმედებასთან ერთად დიპლომატიასაც მიმართავს. ერთ-ერთ შედეგად დავითის ამ პოლიტიკური სვლებისა, კონკრეტულად კი დასავლური ხაზის გაძლიერებისა, 980-980წწ. ათონზე ქართველთა მონასტრის დაარსებაც უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის ამ მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ტრაპიზონის საკითხის გაჩენამ. აღნიშნული მოლაპარაკებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ბიზანტიას ხელს არ აძლევდა და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ქართველთა პოზიციების გაძლიერებას კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში, სადაც ქართველებს სერიოზული დასაყრდენი გააჩნდათ. ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია ათონელ ბერთა როლი. ამის თაობაზე, კერძოდ, თუ რამდენად ზღვა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ათონის ქართველთა ლავრის ბინადართა ცხოვრებაში, კარგად ჩანს გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან, რომლის შესაქმნელადაც და მასალების გასაცნობად იგი საგანგებოდ ჩადის ათონზე და რომელიც საქართველოში თავის მიმოსვლისას აქტიურად იყენებდა საზღვაო გზას.

გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან" ვიგებთ, რამდენად განსაკუთრებულია მისი ინტერესი დავით კურაპალატის საზღვაო პოლიტიკისადმი. ირკვევა, რომ ათონელ ბერებს დავითმა ზღვასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნამდვილი სამოქმედო პროგრამა შესთავაზა. იგი მათ ურჩევს პრაქტიკული ცოდნის მიღებას ამ სფეროში და ზღვაოსნობაში გამოცდილი ბერძნების მიწვევას, მათ შორის ნავების მკეთებელ ხელოსანთა მიყვანასაც. ვიმეორებთ, ეს იმ დროს ხდება, როდესაც შავი ზღვის აღსანიშნავად ჩნდება „ქართველთა ზღვა," ხოლო დავითის მიერ მოჭრილი მონეტები ბალტიის ზღვის სანაპიროზეც გვხვდება (გერმანია, ესტონეთი). ამავე დროს, ეს ის ხანაა, როდესაც მაშინდელ მსოფლიოში საზღვაო ვაჭრობას უპირატესობა ჰქონდა სახმელეთო ვაჭრობასთან შედარებით, რადგანაც გაცილებით იაფი და რენტაბელური იყო. ცხადია, ეს კარგად ესმოდა დავითს, რასაც კიდევაც ითვალისწინებდა თავის პოლიტიკაში. როგორც ვხედავთ, დავითი ტრაპიზონის პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკაზე ორიენტაციის აღებით ზღვაოსნობის პრაქტიკულ მხარეზეც ზრუნავს და ამაში ათონელ ბერებსაც რთავს, რომლებიც მისი პოლიტიკის გამტარებლებიც იყვნენ.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ათანასე ათონელის პიროვნება, რომელიც წარმოშობით ტრაპიზონიდან იყო — მამით ბერძენი, დედით — ლაზი. ცნობილია, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველების ათონზე დამკვიდრებაში, მაგრამ როგორც გავარკვიეთ, იგი დავით კურაპალატის იმ მასშტაბური პოლიტიკის მონაწილეც გახლდათ, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ იყო მიმართული და რომლის შემადგენელ ნაწილსაც ზღვა და ზღაოსნობასთან გადაჯაჭვული პრობლემებიც წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ამ კავშირს შემდეგი ფაქტორი განაპირობებდა. საქმე ის არის, რომ დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიის გავლენისგან გათავისუფლების ძალისხმევა და ამავე მიზნით იმპერიის წინააღმდეგ ტრაპიზონში დაწყებული სეპარატისტული მოძრაობა ერთმანეთს ემთხვევა, რასაც დავითი და ათანასე ათონელი მოკავშირეებად უნდა გაეხადა. ამიტომაც, ათანასე ათონელი დავითის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან პროცესებში ჩანს ჩართული, მათ შორის ზღვაოსნობასთან დაკავშირებულ საკითხებშიც, რის თაობაზეც თვით ბიზანტიის იმპერატორთან უხდებოდა მოსალაპარაკებლად მისვლა. მისი ამ ძალისხმევის შედეგად ბიზანტიის იმპერატორმა ქართველ ბერებს ათონზე ნავების ყოლის უფლება მისცა. ზღვიდან მიღებული შემოსავალი კი ათონის ქართული სავანის კეთილდღეობის საფუძველი გახდა. ამ მხრივაც სხვა მონასტრებთან შედარებით ქართველთა სავანე ათონზე ყველაზე მდიდარი იყო, რაც მისი მასშტაბური და ქართული საქმისთვის მოღვაწეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, წმინდანად შერაცხული ათანასე ათონელი უდიდესი პატივისცემით რომ სარგებლობდა მოგვიანებითაც, როგორც თამარის ხელშეწყობით დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში (1204 წ.), ისე საქართველოში. ესეც იმ პოლიტიკის უწყვეტ კავშირზე მიგვანიშნებს, რომელიც დავით კურაპალატმა ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთანავე ჩადო და რომელშიც საზღვაო ინტერესებიც იგულისხმა.

ქართული ისტორიოგრაფია ტრაპიზონის საკითხის განხილვისას ძირითად აქცენტს თამარსა და მის ეპოქაზე აკეთებს. გაკვრით დავით აღმაშენებელსაც ეხება. მიიჩნევენ, რომ ტრაპიზონთან დაკავშირებული გარკვეული ინტერესები დავითს ჰქონდა და ტრაპიზონში მის ლაშქრობასაც ვარაუდობენ. ამ საკითხთა კვლევისას გაგვიჩნდა აზრი, რომ საქართველოს საზღვაო ინტერესებთან დაკავშირებულ ტრაპიზონის პოლიტიკას გაცილებით ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს, ვიდრე მიღებულია.

საკითხის ასე დასმის უფლება მოგვცა საქართველოს გეოპოლიტიკამ და ტრაპიზონის განსაკუთრებულმა როლმა, რასაც ის ოდითგანვე ასრულებდა. ასეთმა მიდგომამ არათუ ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესებთან, ანუ დავით კურაპალატის პოლიტიკამდე მიგვიყვანა, არამედ კიდევ უფრო შორს, ვახტანგ გორგასლის ხანამდე. კარგად ცნობილი მასალების ახლებურმა ამეტყველებამ ვახტანგ გორგასლის საზღვაო ინტერესთა წინაშე დაგვაყენა, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით ასევე არ დასმულა. აღმოჩნდა, რომ ვახტანგის ისტორიკოსი ჯუანშერი, ფაქტობრივად იმავე სქემას გვაწვდის, რასაც მოგვიანებით ამ პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე დავით კურაპალატი, თამარ მეფე და მათი მომდევნო მეფეები. ეს არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით გარღვევა, სადაც ტრაპიზონი ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა აღმოსავლურ პოლიტიკასთან კავშირში. ჯუანშერის თხზულებიდან ნათელია, რომ ვახტანგ გორგასლის მთელი ძალისხმევა სპარსეთისა და პონტო ქალაქისადმი იყო მიმართული, რაც შუა საუკუნეთა ბერძნული და სომხური წყაროების თანახმად იგივე ტრაპიზონია.

ქართველი მეფე ამ რეგიონისთვის მებრძოლ ბიზანტიასა და სპარსეთთან მეტოქეობაში დახვეწილ დიპლომატიასა და ბალანსირების პოლიტიკას მიმართავდა, რაც ასევე საქართველოს გეოპოლიტიკითა და დიდი სახელმწიფოებრივი გამოცდილებით იყო გამოწვეული. ვახტანგის პოლიტიკა ამ რეგიონისადმი, ისევე როგორც ყველა ქართველი მეფისა, იყო პრაგმატული, ფრთხილი და შემწყნარებლური, რაც აქ მოსახლე ქართული მოდგმის ხალხით იყო გაპირობებული. მის მიერ არტანუჯის დაარსებაც ასევე ტრაპიზონის პოლიტიკასა და ამ მიმართულებით წარმატებებს უნდა დავუკავშიროთ. საუკუნეთა მანძილზე მუშაობდა მის მიერ შექმნილი სქემა — არტანუჯი, ტრაპიზონი, თავრიზი, რომლის საკვანძო პუნქტსაც ასევე ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული თბილისი წარმოადგენდა. აქედანაც ჩანს, რამდენად კარგად გათვალა ვახტანგმა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმები სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს იმ ტერიტორიებზე, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერთაშორისო ვაჭრობის გზით (თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალი), საქართველოსთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ამიტომაც ვახტანგ გორგასლის სახელი და დროშა ვახტანგიანი განსაკუთრებულ დატვირთვასა და პოპულარობას იძენს მაშინ, როდესაც თამარი მასშტაბური, აღმოსავლური და დასავლური — სპარსული და ტრაპიზონის პოლიტიკის გატარებას იწყებს. თვით ის ფაქტი, რომ ამ პოლიტიკის ნიშნებს კიდევ უფრო შორეულ დროში მეფე მირიანამდე და ფარნავაზამდეც მივყავართ, ასევე საქართველოს გეოპოლიტიკით აიხსნება და იმ ამოცანებით, რასაც სხვადასხვა დროში ეს პოლიტიკა ქართული სახელმწიფოს წინაშე სვამდა. საქართველოს საზღვაო ინტერესებთან დაკავშირებულ პრობლემათა კვლევას ხელს უშლიდა მათი ამ გეოპოლიტიკურ კონტექსტსა და მთლიანობაში გაუაზრებლობა. ამითაც იყო გაპირობებული მკვლევართა მიერ თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის ცალ-ცალკე, იზოლირებულად შესწავლა. შესაბამისად, არ იყო კავშირი დანახული თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და სპარსეთში ლაშქრობას შორის (1210 წ.), რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის მიერ ძირითადად როგორც ხარკისა და ალაფის აკრეფის ღონისძიებად, ჯარის ძლიერების დემონსტრირებად განიხილებოდა და არა როგორც ჯერ კიდევ თამარ მეფემდე კარგად დამუშავებული სამოქმედო პოლიტიკური პროგრამა. ესეც მიგვაჩნია მიზეზად, რომ მიუხედავად თამარის ეპოქისადმი დიდი ინტერესისა, ვერ იქნა გარკვეული მისი პოლიტიკის (საზღვაოს ჩათვლით) რეალური მასშტაბი, რის გამოც ქართველმა ხალხმა თამარის სახელი დიდების განსაკუთრებული შარავანდით შემოსა და ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდ მასშტაბს დაუკავშირა.

ამ ხარვეზის ამოვსებასთან ერთად შევეცადეთ თამარის საზღვაო პოლიტიკის ეტაპების ჩვენებასაც და გავარკვიეთ, რომ თამარმა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების

შემდეგ (1204 წ.), სადაც საქართველოში აღზრდილი, ბაგრატიონთა ახლო ნათესავი ალექსი კომნენოსი დასვა ტახტზე, შემდგომი ეტაპის გაგრძელებაც სცადა. ამ ეტაპს უკვე ალექსი კომნენოსის ძმა დავით კომნენოსი აგრძელებს, რომელიც ალექსისთან კოორდინირებულად და შესაბამისად თამარის ნებით მოქმედებდა, რომელიც შავი და ხმელთაშუა ზღვების გაკონტროლების მიზნითაც კონსტანტინოპოლისკენ ილებს გეზს. ამ დიდ მისიასაც უნდა დავუკავშიროთ დავით კომნენოსის იმპერატორადაც მოხსენიება.

დავით კომნენოსის კონსტანტინოპოლისკენ მიმართული ძალისხმევის თითქმის პარალელურად იწყება (1210 წ.) სპარსეთში ლაშქრობა, რაც თავისთავად ამ პოლიტიკის მასშტაბურობის დამადასტურებელი ფაქტია. რამდენად აისახა ეს პოლიტიკა თამარის ეპოქის მხატვრულ ნაწარმოებებსა და ფოლკლორშიც, ამას ვრცელი წერილი მივუძღვენით „ჩვენ მწერლობაში" (19.I.2007: 2. II. 2007) და აქ აღარ შევეხებით. მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ თამარის ამ წარმატებული პოლიტიკის ჭრილში, რის გამოც რუსთაველი მისი პოლიტიკის აპოლოგეტი და პროპაგანდისტი ხდება, „ვეფხისტყაოსანში" თავს იჩენს მაშინდელი პოლიტიკისთვის აქტუალური სპარსეთისა და საზღვაო თემები. ამ კუთხით კვლევის გაგრძელებისას გამოვაქვეყნეთ სტატია გულანშაროს შესახებ. პოემის უაღრესად საინტერესო მასალამ საშუალება მოგვცა იმ ვარაუდის გამოთქმისა, რომ ეს უნდა იყოს ტრაპიზონი. სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ. გულანშაროსთან მიმართებაში დასტურდება ფულის ერთეული პერპერა (აღმოსავლეთის ქვეყნებში არ გვხვდება), რომელიც მხოლოდ ტრაპიზონსა და შავი ზღვის აუზში იყო გავრცელებული. ეს ფაქტიც, სხვა მასალებთან ერთად, ამ ქალაქის ლოკალიზაციისთვის ერთ-ერთი საინტერესო არგუმენტია.

ტრაპიზონის იმპერია თამარისთვის საქართველოს ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტი უნდა გამხდარიყო, მათ შორის საქართველოს საზღვაო ინტერესთა გატარების მხრივაც. მხოლოდ საქართველოს ზურგით შეეძლო ამ ახალ სახელმწიფოს იმ საგარეო პოლიტიკის გატარება, რომლის ყველაზე აქტიური ხანაც თამარის მეფობაზე მოდის. ამიტომაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ის რეზონანსი, რაც „ისტორიანი და აზმანის" თანახმად თამარის გარდაცვალებას მოჰყვა მაშინდელ მსოფლიოში და, რაც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, იმ ხალხში (ფრანგნი, ანუ იტალიელები და ბიზანტიელები), ვისი როლიც დიდი იყო მაშინდელ ზღვაოსნობაში. ეს უნდა იყოს გამოძახილი შემდეგი ფაქტორისაც. ჩვენი თვალსაზრისით, XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის მთელ მანძილზე იტალიელებსა და ბიზანტიელებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში შავი ზღვა რომ არ ფიგურირებს, ამაში საქართველოს ხელიც უნდა დავინახოთ, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ეს ინტერესები და ქართული სახელმწიფოს შავ ზღვაზე პრეტენზიები კიდევაც გამოჩნდება 1204 წ. ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით. ეს ფაქტი პირდაპირ შეეხება იტალიელთა ინტერესებს ტრაპიზონში, სადაც მათი ინტერესები გადაიკვეთება და სადაც ტრაპიზონის იმპერიის დაცემამდე (1461 წ.) დიდი იყო ქართული ორიენტაციის დასის გავლენა. ასეთი მიდგომა სრულიად ახლებურად აშუქებს როგორც საქართველოს საზღვაო პოლიტიკას, ისე იტალიელთა საზღვაო ისტორიის არა ერთ მხარეს.

როგორც ეს გაკვრით ითქვა, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისას დაგვებადა აზრი, რომ საქართველოს საზღვაო ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკა თავიდანვე კარგად გააზრებული, პროგრამული ხასიათისა იყო, რომელიც აღმოსავლურ ინტრესებთან კავშირში გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ტრაპიზონი ერთგვარ პლაცდარმს წარმოადგენდა ამ მასშტაბური პოლიტიკის გზაზე. ამის თაობაზე თვით დავით კურაპალატი მიგვანიშნებს. ვგულისხმობ ოშკის საფასადო დეკორს. მასზე დავითი და მისი უფროსი ძმა ბაგრატი ბიზანტიის იმპერატორთა გვირგვინებით არიან გამოსახულნი. დავითი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (966-1001წწ.) იწყებს იმ პროგრამის განხორციელებას, რაც ოშკის საფასადო ტაძარზეა მინიშნებული. ეს არის ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის განაცხადი, რაც თავისთავად გულისხმობდა ბიზანტიის საზღვაო მემკვიდრეობაზე პრეტენზიასაც. ამიტომაც დავითისათვის ქვეყნის და საზოგადოების ამ კუთხით მომზადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც იგი ქართული ენის პოზიციების გაძლიერებისა და პოპულარიზაციის, ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდის, ეროვნულ წმინდანთა წინ წამოწევისა და პატრიოტულ თემებზე შექმნილი თხზულებებით აკეთებდა, რითაც ერს კიდევ უფრო გამძლეს და ძლიერს ხდიდა.

დავითის ამ მასშტაბური პოლიტიკისადმი პროგრამული მიდგომის ერთ-ერთი დასტურია ოშკის „სახარების" ახალი ანდერძი (979 წ.), რომელშიც მისი პოლიტიკის შედეგები და მიზნებია ასახული. ის ფაქტი, რომ დავითის მონაწილეობით მისმა შემდგენელმა თორნიკე ერისთავმა აღნიშნული დოკუმენტი ათონზე წაიღო, ქართულ წიგნსაცავში და სხვა მონასტრებშიც გაავრცელა, ჩვენი აზრით, მეტყველებს მის პროგრამულ, პროპაგანდისტულსა და მომავლის პერსპექტივაზე გათვლილ ხასიათზეც. ასევე შემთხვევით ფაქტად არ მიგვაჩნია, ათონის ივერთა მონასტერს, ათონის სხვა მონასტრებთან შედარებით, ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა რომ ჰქონდა. აქედანაც ჩანს თუ განათლება რამდენად დიდ როლს ასრულებდა ქართულ პოლიტიკაში, ისევე როგორც ნიჭიერება, რომლის დათრგუნვაც შუა საუკუნეთა საქართველოში დანაშაულად მიიჩნეოდა.

საქართველოს ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე (რომლის შემადგენელ ნაწილსაც საზღვაო ინტერესები წარმოადგენდა) პრეტენზიას პროგრამული ხასათი რომ ჰქონდა, ჩანს არა მხოლოდ ოშკის საფასადო დეკორიდან. ამ მიმართულებით კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს დასტურდება გიორგი II-ის ტიტულატურითაც, სადაც იგი კეისრად არის მოხსენიებული. ცნობილია, რომ კეისარს ქართული წყაროები მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორებს უწოდებდნენ. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ დავით აღმაშენებლის ერთ მონეტაზე ქართველ მეფეს თავზე ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინი ადგას. ასევე მრავლისმეტყველია, რომ თამარს კეისრად მოიხსენიებს პოეტი იოანე შავთელი. ეს ცნობა იმითაც არის მნიშვნელობანი, რომ შავთელი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. ჩანს აგრეთვე, რომ მას კარგად ჰქონდა გააზრებული თამარის კიდევ უფრო შორსმიმავალი გეგმები, ანუ საზღვაო პოლიტიკის შემდგომი ეტაპი. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ვარძიის ფრესკა, სადაც თამარ მეფე წითელ ფეხსაცმელებშია გამოწყობილი, რაც ასევე ბიზანტიის იმპერატორთა პრეროგატივას წარმოადგენდა. ასევე მრავლისმეტყველია ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრესკაზე გამოსახული წმინდა ევგენი. საქმე ისაა, რომ მკვლევართა დაკვირვებით ეს იყო „ადგილობრივი" წმინდანი და ქალაქ ტრაპიზონისა და მთელი იმპერიის მფარველი, ბიზანტიისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სიმბოლო. შესაბამისად, ის უნდა მივიჩნიოთ ტრაპიზონისადმი ქართული პოლიტიკის როგორც მიზნების ამსახველად, ისე ლაზურ სამყაროსთან განსაკუთრებული სიახლოვის სიმბოლოდაც, რაშიც ზღვაოსნობაც იგულისხმება. საქართველოში წმ. ევგენი, რომელიც მებრძოლ წმინდანად არის აღიარებული, სხვაგანაც გვხვდება. ვფიქრობთ, თავისი ბუნებით ის ახლოს დგას წმ. გიორგისთან და საზოგადოდ ქართული ქრისტიანობის მებრძოლ სულისკვეთებასთან.

ამგვარად, იდეა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიისა საუკუნეთა განმავლობაში გასდევდა ქართულ პოლიტიკას, რაც მას მაშინდელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალად ხდიდა და საერთაშორისო პოლიტიკაში სერიოზულ მოთამაშედ. რაც მთავარია, ამ იდეის ერთ-ერთი ორიენტირი იყო ტრაპიზონი, რომლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ლაზები შეადგენდნენ. ლაზები კი საქართველოს ზღვისპირეთის სხვა მცხოვრებლებთან შედარებით ყველაზე დაწინაურებულნი იყვნენ ზღვაოსნობაში. ამას ხელს უწყობდა ტრაპიზონის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, ნავთმშენებლობის, ზღვაოსნობის გასავითარებლად საუკეთესო პირობები, რაც მას უპირატესობას ანიჭებდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაჭაობებულ სანაპიროსთან შედარებით. გარდა ამისა, ტრაპიზონი გაცილებით დაცული იყო ზამთარში მქროლავი ქარებისგან, რაც ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში ნაოსნობის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს, როდესაც შავი ზღვის კოლონიზაციისას სხვა ქალაქებთან ერთად ძვ.წ. VII საუკუნეში ტრაპიზონი დააარსეს. კარგად ესმოდათ ეს (ხმელთაშუა ზღვასთან სიახლოვის ჩათვლით) შუა საუკუნეებშიც.

მწირი მიწის პირობებში ლაზთა არსებობისა და მათი შემოსავლის მთავარ წყაროს ზღვა წარმოადგენდა. ეს იყო თევზის რეწვა, რაც მათ ძირითად საკვებს წარმოადგენდა. მათი ყოფა (რაზეც ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მეტყველებს) ზღვით იყო გაპირობებული. ლაზთა ცხოვრებაში, ზღვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სიცოცხლის ხე ხშირად იცვლებოდა თევზის გამოსახულებით. ტრაპიზონის როლი დიდი იყო კავკასიისა და ყირიმის, ბიზანტიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ტრაპიზონის მსოფლიო რეზონანსი აქ გამართული ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობითაც იყო გაპირობებული. მრავლისმეტყველია, რომ ტრაპიზონელი და არაბი ვაჭრები გვერდიგვერდ მოიხსენიებიან იმ დროს, როდესაც მუსლიმთა ხელთ არის შუა საუკუნეთა მსოფლიო ვაჭრობის სადავეები. სწორედ არაბები, ტრაპიზონის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შავ ზღვას „ტრაპიზონის ზღვას" უწოდებენ. ტრაპიზონის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მას მოიხსენიებს შუასაუკუნეთა ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი თუ გეოგრაფი. საინტერესო ცნობებია დაცული იტალიის (ვენეცია, გენუა და სხვ.) არქივებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, ასევე მნიშვნელოვანია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატური მასალა, ფოლკლორი.

მაშინდელ მსოფლიოში ტრაპიზონის, ამ დიდი და სახელოვანი ქალაქის სიმდიდრესა და ფუფუნებაზე (რომლის შემოსავლის მთავარი წყარო საზღვაო ვაჭრობა იყო), იმდენად დიდი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ თანამედროვეები ამაში ხედავდნენ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების მიზეზს. საზღვაო ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ.ჰეიდი შემთხვევით არ ასახელებს ტრაპიზონს ისეთი სახელგანთქმულ ქალაქთა რიგში, როგორიცაა — კონსტანტინოპოლი, ბაღდადი და ალექსანდრია. ეს ის ქალაქებია, რომლებიც მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე ფასებს აწესებდნენ. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებდა ტრაპიზონისადმი ქართული პოლიტიკის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ალბათ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, სავარაუდოდ შუა საუკუნეთა საქართველოს ჰიმნად აღიარებულ ტექსტში ზღვაც რომ ფიგურირებს.

საზოგადოდ, ტრაპიზონის ზღვაოსნობისა და სავაჭრო-პოლიტიკის განსაზღვრა შეუძლებელია იმ დიდი ტრადიციების გაუთვალისწინებლად, რაზეც დაფუძნებული იყო ლაზთა ცხოვრების წესი. საგულისხმოა, რომ ლაზეთი იგივე კოლხური სამყაროა. შუა საუკუნეებში ლაზებს, რომლებიც ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით, კვლავ კოლხებს, ლაზეთს კი კოლხეთს უწოდებდნენ. მოგვიანებით ტრაპიზონსა და მის რეგიონს „მეგრელთა ქვეყანაც" ერქვა. როგორც აღვნიშნეთ, იგივე სურათია შავ ზღვასთან მიმართებითაც. ჩანს ისიც, რომ მათ ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაუვლია კოლხური სამყაროს ზღვაოსნობის დიდ ტრადიციებს. აპოლონ როდოსელის თანახმად, კოლხეთის სამეფოს მრავალრიცხოვანი ფლოტი გააჩნდა, რომლის ნავსადგურიდან გასვლა „ფრთამალ ფრთოსანთა" გაფრენის ეფექტს ახდენდა. ირიბი ცნობა კოლხთა ფლოტის შესახებ აქვს სტრაბონსაც. კოლხთა ფლოტი შორეულ ნაოსნობაში რომ დადიოდა, ამის დამადასტურებელი საინტერესო მასალები არსებობს.

ასევე მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი ინფორმაცია დასტურდება ლაზთა ფლოტის შესახებაც. სწორედ ამ დროს, როდესაც შავი ზღვის აღსანიშნავად ჩნდება „ქართველთა ზღვა" (X საუკუნის 80-იანი წწ.), ერთი ტრაპიზონული აგიოგრაფიული წყაროს თანახმად, შავ ზღვაზე ტრაპიზონელთა მრავალი გემი დაცურავდა. ასე იყო XI-XII საუკუნეებშიც. XIII საუკუნეში განსაკუთრებით კი XIV საუკუნიდან ნავიგაციის ახალი, განვითარებული ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით, გადაულახავ დაბრკოლებას აღარ წარმოადგენდა დეკემბრიდან, მარტის შუა რიცხვების ჩათვლით შავ ზღვაზე ნაოსნობის შეზღუდვა. ტრაპიზონის ისტორიისა და მისი ფლოტის ცნობილი მკვლევრის ე. ბრაიერის თანახმად, ეს ტექნიკური პროგრესი ტრაპიზონის იმპერიის ფლოტსაც შეეხო, რომელიც მუდმივ განვითარებას განიცდიდა.

შუა საუკუნეთა წყაროებიდან ცნობილია, რომ ტრაპიზონელ, ზღვაოსნობაში განაფულ მეზღვაურებსა და მესაჭეებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ ზღვაში გასვლის ყველა ნიუანსი (ზღვაში გასვლის დრო, ქარების ხასიათი, საზღვაო გზები და სხვ), სხვადასხვა ხალხი, მათ შორის იტალიელებიც ქირაობდნენ. მაგრამ იყო პირიქითაც, როდესაც თვითონ იტალიელები მსახურობდნენ ტრაპიზონელთა ფლოტში. ასევე ზღვაოსნობის ისტორიაზე მომუშავე უცხოელ მკვლევართა აღიარებით, ტრაპიზონის ფლოტი არათუ კონკურენციას უწევდა ვენეციისა და გენუის ფლოტს, არამედ საჭიროების შემთხვევაში უტევდა კიდეც მათ. მათივე თქმით ტრაპიზონის იმპერიის ფლოტის (ამ დროს ზღვაოსნობა კაბოტაჟურ ხასიათს ატარებდა) მზარდი ძლიერება იყო საწინდარი იმ დამოუკიდებელი პოლიტი-

კისა, რომელსაც ტრაპიზონის იმპერატორები იტალიელთა მიმართ იჩენდნენ.

ჩვენი ყურადღება იმ ფაქტორმა მიიპყრო, რომ ტრაპიზონის საზღვაო ვაჭრობა გაცილებით დიდ მასშტაბებს მას შემდეგ იძენს, როდესაც საქართველოს, კერძოდ კი თამარის ხელშეწყობით ტრაპიზონის იმპერია დაარსდა. ეს მოსალოდნელი იყო თუ ვიგულისხმებთ, რომ ქართული მმართველი გუნდი ისევე იყო დაინტერესებული საზღვაო ვაჭრობითა და იქიდან მიღებული შემოსავლით, როგორც ლაზთა ზედა ფენა. მითუმეტეს, რომ ეს კავშირი ქართველ და ტრაპიზონელ ვაჭრებს შორის სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სახით არის დადასტურებული. ასე რომ, საზღვაო ინტერესებით გაპირობებული კავშირი ლაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ყოველთვის არსებობდა, როგორც საერთო ქართულ ნიადაგზე დაფუძნებული, ისე ტრაპიზონის ზღვაოსნობისა და საერთაშორისო ვაჭრობისთვის აუცილებელი პირობებიდან გამომდინარე. ამიტომაც ქართული პოლიტიკა ყოველთვის მიისწრაფოდა ტრაპიზონისკენ და ამ სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე მას იქ თავისი დასაყრდენი ჰყავდა ლაზთა იმ ზედა ფენაში, რომელიც მიწების სიმცირის გამო საზღვაო საერთაშორისო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. მითუმეტეს, რომ ტრაპიზონის პროქართული დასი ამ სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე, ბუნებრივია, ქართულ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში იმ ინტერესებს ატარებდა, რომელშიც უპირველესად საქართველოს საზღვაო ინტერესები შედიოდა. მისი განხორციელების ინსტრუმენტს საქართველოსთვის ტრაპიზონი და აქ ძველ კოლხურ ტრადიციათა სიცოცხლისუნარიანობა წარმოადგენდა.

ტრაპიზონი ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ბერკეტს თუ რამდენად წარმოადგენდა, კარგად გამოჩნდება იტალიელებთან მიმართებითაც. ვენეციელები და გენუელები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ქართველებისთვის იმ ვითარებაში, როდესაც ხედავდნენ, რომ ქართველი და ტრაპიზონელი ვაჭრები ერთად იყვნენ და ერთ ძალას წარმოდგენდნენ არა მხოლოდ ტრაპიზონში, არამედ შავი ზღვის მასშტაბითაც. იტალიელები, რომლებიც XIIს. შავ ზღვაში შემოდიან და აქ თავის ახალშენებს ქმნიან, კიდევ უფრო აქტიურად ადევნებენ თვალს ამ ურთიერთობას. მათ მიერ შედგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რამდენად დიდ ანგარიშს უწევდნენ ისინი ქართველებისა და ტრაპიზონელთა ამ კავშირს. თავად იტალიური წყაროებიდან ასევე ჩანს, თუ როგორ ერიდებოდნენ ისინი ქართველების გალიზიანებას ყირიმში მდებარე ქალაქ კაფაში, სადაც ქართველებს თავისი სავაჭრო კოლონია ჰქონდათ და რომელთანაც თბილისიც სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა XIV საუკუნის ერთი იტალიური დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407) და ტრაპიზონის იმპერატორი მანუელ III (1390-1417) როგორ ერთობლივად იცავენ თავის ქვეშევრდომ ვაჭრებს ყირიმში. ასე იყო ტრაპიზონის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე, რაც სრულიად ახლებურად წარმოაჩენს საქართველოს როლსა და მნიშვნელობას საზღვაო ვაჭრობაში. ამ მხრივ ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია XV საუკუნის კიდევ ერთი იტალიური წყარო, სადაც გენუის მმართველის ქალიშვილისა და ტრაპიზონის იმპერატორის იოანე IV-ის (1429-1458) ერთადერთ ვაჟიშვილისა და მემკვიდრის, დავითის ქორწინებაზეა საუბარი. ის ალმოჩნდება ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი დავითი (1458-1461), რომელიც თურქების მიერ ტრაპიზონის ალების დროს დაიღუპება. დედის მხრიდან იგი საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდის შვილიშვილი იყო. მისი სახელი დავითიც — უცხო ბიზანტიის იმპერატორებისთვის — ბაგრატიონთა დინასტიიდან მოდიოდა. ზემოთ ალნიშნული იტალიური წყარო, სადაც ეს ცნობა გვხვდება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმმხრივაც, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო და ტრაპიზონი როგორც ერთიანი ქვეყანა ისე ალიქმება და მოიაზრება. ერთ პირად წერილში გენუის მმართველი ანალიზებს იმ სარგებლობას, რაც მას ამ ქორწინებიდან ელის. იგი ამასთან დაკავშირებით ალნიშნავს, რომ მას ეს ქორწინება ყოველმხრივ ხელს შეუწყობს სადავო საკითხთა გადაწყვეტისას და, რაც მთავარია, ხმელთაშუა ზღვაზე უსაფრთხოებისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ტრაპიზონის დანარჩენ ქართულ სამყაროსთან სიახლოვით არის გაპირობებული, რომ ტაო-კლარჯეთის ფოლკლორში ტრაპიზონი საქართველოს დედაქალაქად ალიქმებოდა.

ვფიქრობთ, იმ ფაქტში, რომ რომაულმა ეკლესიამ და იტალიის ქალაქ-კომუნებმა თავიდანვე, თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთანავე ტრაპიზონის მეფეები იმპერატორებად ალიარეს, საქართველოსადმი ანგარიშის გაწევის კიდევ ერთი მაგალითი უნდა დავინახოთ. ცნობილია, რომ მათ ბიზანტია უბრალოდ „ლაზთა მმართველებს," ანდა „კოლხთა მმართველებს" უწოდებდა. ყველა ამ ფაქტორმა დაგვარწმუნა, რამდენად საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მხარე მხოლოდ ტრაპიზონის ისტორიით აიხსნება და პირიქითაც. აშკარაა, ისიც რომ თვითონ იტალიელთა ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი ასევე ქართველებთან ურთიერთობით თუ ირკვევა.

XIII საუკუნიდან მოყოლებული ალმოსავლეთთან წარმატებულ ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული დასავლეთის ეკონომიკა. იტალიელ მეცნიერთა ალიარებით, შავ ზღვასთან გენუის ვაჭრობა ოთხჯერ გაიზარდა, რამაც განაპირობა მისი ისტორიის ოქროს ხანა. მათივე აზრით, შავი ზღვიდან მიღებულმა შემოსავალმა ბიძგი მისცა იტალიურ რენესანსს. საინტერესოა, რომ იტალიელებმა კონსტანტინოპოლისგან განსხვავებით ტრაპიზონში სრულ პრივილეგიებს ვერ მიაღწიეს. ამაში ჩვენ ქართველთა ხელს ვხედავთ. ალნიშნული მოსაზრების დასაბუთება შესაძლებელია ბიზანტიური და თვითონ იტალიური წყაროებითაც. ამ მხრივ საინტერესოა შემთხვევა, რომელიც ტრაპიზონის იმპერატორის, პროქართული ორიენტაციის ალექსი II-ის (მას ცოლად სამცხე-საათაბაგოს მთავრის ბექას ასული ჰყავდა) მმართველობის დროს მოხდა. ბიზანტიელი ავტორის, გიორგი პახიმერეს ცნობით, ალექსი II-მ გენუელები, რომლებიც კონსტანტინოპოლის მსგავსად ტრაპიზონშიც სრულ პრივილეგიებს მოითხოვდნენ, იბერიელთა ჯარის დახმარებით დაამარცხა. იბერიელებმა და ტრაპიზონელებმა ერთობლივი მოქმედებით (1304წ.) გადაწვეს პორტში მდგარი გენუელთა გემები. ამის შემდეგ გენუელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ წამოყენებულ პრეტენზიებზე. არსებობს ცნობები, რომ სოხუმში, ფოთსა და ბათუმში გენუელები ადგილობრივი ხელისუფლების ნებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. მაგრამ, როგორც ირკვევა, იტალიელები ქართველთა არა მხოლოდ დასავლურ (საზღვაო), არამედ ალმოსავლურ პოლიტიკასაც აკვირდებოდნენ, მათთან არამარტო ტრაპიზონში, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერუსალიმშიც მეტოქეობდნენ. იტალიელი ავტორები სხვა ევროპელებთან ერთად საგანგებო ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტსაც, რომ მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ გაშლილი დროშებითა და ცხენებზე ამხედრებულებს იერუსალიმში შესვლის უფლება, მაშინ როდესაც სხვები იქ დამამცირებელი გზებით შედიოდნენ. ცნობილია ქართველთა მიერ უფლის საფლავის სამლოცველოს გასაღების ფლობა და სხვ.

XIV საუკუნის იტალიელი ისტორიკოსი და მოგზაური მარინო სანუდო უფროსი (გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე) ქართველთა პრივილეგიების აღნიშვნისას იერუსალიმში მათ იმ წამყვან როლსაც ეხება, „წმინდა მიწის" გამოხსნისათვის ბრძოლაში რომ ასრულებდნენ. ცნობილია, რომ ეს საკითხი გულისხმობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო-ეკონომიკურ მხარესაც. ეს ავტორი სხვა მხრივაც აღმოჩნდა ჩვენი კვლევისთვის საინტერესო. იგი საგანგებოდ მუშაობდა და რჩევებს იძლეოდა შავი ზღვიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზებზე და მას ყველაზე ოპტიმალურად თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალი მიაჩნდა. იმავეს აღნიშნავდნენ სხვა იტალიელებიც (ბ. მინიანელი...). ამის შედეგად, გაიზარდა იტალიელთა მიმოსვლა ამ მაგისტრალზე. მასზე ყურადღება გაამახვილა რომის ეკლესიამაც, რომელიც ასევე ტრაპიზონსა და შავ ზღვასთან ვაჭრობით იღებდა თავის უზარმაზარ შემოსავალს. ამ ეკლესიამ განსაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭა აღმოსავლეთში მიმავალ თავის მისიონერებს და ილხანთა (რომლებმაც დედაქალაქად თავრიზი აირჩიეს) გაკათოლიკობასაც კი შეეცადნენ. აღსანიშნავია, რომ თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალის უსაფრთხოებაზე საგანგებოდ ზრუნავდა როგორც თავრიზის, ისე ტრაპიზონის მხარე. ანუ ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერთაშორისო სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე, კოორდინაცია არსებობდა.

ამ მასალების გაცნობისა და კვლევისას დაგვებადა კითხვა, რატომ გადმოიტანა რომის ეკლესიამ თავისი კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში. ეს მოხდა გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში 1329 წ. რომლის დროსაც გაერთიანებული საქართველო კიდევ უფრო დიდ ძალას წარმოადგენდა. შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედება ტრაპიზონზე, ინტენსიური გახდა ურთიერთობები ვენეციელებთან და გენუელებთან, გააქტიურდა რომის ეკლესიაც. მისიონერებმა მოუხშირეს საქართველოში ვიზიტებსა და თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალზე მიმოსვლას. რომის პაპის იოანე XXIII-ის გიორგი ბრწყინვალისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, რომ მან იცის საქართველოს მეფის სახით რამდენად ძლიერ მმართველს ელაპარაკება, თბილისი კი, სადაც მათი საეპისკოპოსო ცენტრი დაარსდა, მისი სიტყვებით „განთქმული, შესანიშნავი და შესაფერი ქალაქია."

გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეთა მთელ მანძილზე რომაული კათოლიკური ეკლესია იშვიათი გამონაკლისის გარდა კრძალავდა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებას. საქართველოში ეს ასე არ მომხდარა. აქედანაც ნათელია, რამდენად ანგარიში ენეოდა ძლიერ და საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებულ საქართველოს. ეს აშკარაა გიორგი ბრწყინვალის ევროპელ მონარქებთან მიმოწერიდანაც, მას უძლეველს რომ უწოდებენ. ამ და სხვა მასალის ანალიზმა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა. რომაულმა ეკლესიამ კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში, იმ ქვეყნის დედაქალაქში გადმოიტანა, სადაც მან ყველაზე ძლიერი მეტოქე დაინახა ტრაპიზონსა და ზოგადად შავი ზღვის მასშტაბით. ამ მოსაზრებას ადასტურებს სხვა ფაქტიც. XVI საუკუნიდან რომაელთა ეს ცენტრი აღარ ჩანს თბილისში. ამ დროს შავი ზღვა ოსმალთა ხელშია, რამაც საქართველოს ევროპასთან დამაკავშირებელი გზა მოუჭრა და დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ნაოსნობას. ასეთ ვითარებაში რომაული ეკლესია უკვე ოსმალეთში ააქტიურებს თავის საქმიანობას, ანუ იმ ქვეყანაში, რომელიც შავ ზღვაზე ჰეგემონიისთვის იწყებს ბრძოლას და იტალიელთა მთავარი მეტოქე ხდება.

როგორც აღინიშნა, თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალთან მიმართებით ისლამური და ქრისტიანული სამყარო კოორდინირებულად მოქმედებდა და მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ეს ეხება ფულად სამონეტო სისტემასაც. XIII საუკუნიდან როგორც თავრიზის, ისე ტრაპიზონის ფულის წონა (კოორდინაციის მიზნით) გათანაბრდა. ამ სისტემაში, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაება საქართველოც, რაც ასევე ქართული ფულადი პოლიტიკის ახლებური და სწორი გააზრების საშუალებას იძლევა. ამ კუთხით კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოს დაშლილობის ჟამსაც ერთიანი სახელმწიფო სამონეტო პოლიტიკა ჰქონდა, ანუ იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონული ასპრებისა და კირმანეულის ტიპის მონეტები ტრიალებდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი მონღოლური ფული, მათ შორის ერთნაირი წონა აღინიშნებოდა, რაც ერთნაირ ფულად-წონით სისტემაზე მიგვანიშნებს, რომელიც თავის მხრივ თავრიზ-ტრაპიზონის ფულად სისტემაზე იყო ორიენტირებული.

საინტერესოა, რომ XIII საუკუნის ისტორიკოსი რაშიდად-დინი აღმოსავლეთ საქართველოს მონეტებზე ისლამური სიმბოლიკის გაჩენას, ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსისგან განსხვავებით, არა ისლამურ სამყაროზე პოლიტიკური დამოკიდებულებით, არამედ საერთაშორისო ვაჭრობის აუცილებლობით ხსნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნავს იგი, ქართველების ფულს არსად მიიღებდნენ. საგულისხმოა, რომ თავისი დროის ამ უგანათლებულესი ისტორიკოსისთვის ცნობილი იყო თამარის ინტერესი ამ რეგიონისადმი და სპარსეთში მისი ლაშქრობის მოტივაცია. მისთვის, ისევე როგორც მაშინდელი სამყაროსთვის, ნათელი იყო, რომ თამარის შემდეგაც ქართულ სახელმწიფოს არ შეუწყვეტია ამ პოლიტიკაზე ფიქრი, რისი დასტურიცაა აღმოსავლური და მონღოლური წყაროები.

ჯუვეინის (XIIIს.) თანახმად, ქართველებს უნდა აეღოთ თავრიზი და ბაღდადი და იქ ხალიფას ნაცვლად კათალიკოსი დაესვათ, მეჩეთები კი ეკლესიებით შეეცვალათ. თუ რამხელა გამოძახილი და რეზონანსი მოჰყვა ქართველთა ამ განზრახვას, სხვა აღმოსავლური წყაროებიც ადასტურებენ (იბნ ალასირი, ნესევი...). ასე რომ აშკარაა ლევანტის საერთაშორისო მაგისტრალთა გაკონტროლების გეგმა, რომლისკენაც თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა იყო მიმართული და მსოფლიო ვაჭრობის სადავეების ხელში აღების საშუალებას იძლეოდა. იმავე მიზანს ემსახურებოდა ამ მიმართულებით გიორგი ბრწყინვალის ძალისხმევა. ტრაპიზონის პოლიტიკის სიცოცხლისუნარიანობაზე ქართულ პოლიტიკაში მეტყველებს დავით ნარინის რეიდი ტრაპიზონისკენ.

ქართველთა განსაკუთრებული სიახლოვე და დამოკიდებულება ტრაპიზონისადმი კარგად ესმოდათ ბიზანტიელთაც და ოსმალებსაც, რომლებმაც ლაზეთის მიტაცების შემდეგ მისი დანარჩენი ქართველობისგან გაუცხოების გეგმის გან-

ხორციელება წამოიწყეს. ეს გათიშე და იბატონეს პრინციპი ოსმალებმა ქართულ ზღვაოსნობასთან მიმართებითაც გამოიყენეს. მითუმეტეს, რომ ისინი ხედავდნენ დანარჩენ საქართველოსთან ლაზების საზღვაო კავშირს და თვალნათლივ შეჰყურებდნენ, რომ ლაზური ფელუკა არაფრით განსხვავდებოდა შუა საუკუნეთა ქართული ხომალდისგან. იმ ვითარებაში, როდესაც ოსმალები დევნიდნენ გურულ და მეგრელ ზღვაოსნებს, ისინი ლაზებს არათუ აბრკოლებდნენ, არამედ ხელსაც უწყობდნენ ზღვაოსნობაში. მათ ტრაპიზონის გამაჰმადიანებული ლაზთა გამოყენებაც სცადეს ქართველი ზღვაოსანთა წინააღმდეგ, რომლებიც საბრძოლო საზღვაო ნავებით ოსმალებს თავს ესხმოდნენ ზღვაზე საბრძოლო ოპერაციების დროს. შემდეგ უკვე რუსებმა დაავიწროეს ქართული საზღვაო სივრცე. ჯერ კიდევ მეფის რუსეთმა შეიმუშავა აფხაზეთის მიტაცების, ასევე ცხინვალის რეგიონში რუსული სამხედრო პოლიგონის შექმნის გეგმა, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა ხერხით ხორციელდებოდა, სუვერენულმა რუსეთმა კი ეს ტერიტორიები იურიდიულად გაიფორმა.

ტერიტორია მხოლოდ გეოგრაფიული ცნება არ არის. ლაზეთსა და ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას დავრწმუნდი, ამ ტერიტორიათა დაკარგვამ რამდენად დიდი დარტყმა და ზიანი მიაყენა თუნდაც დღევანდელ ქართველთა ფსიქოლოგიას, როდესაც მათ ერთ ნაწილს, ეროვნულ ღირსებასა და თავმოყვარეობასთან ერთად, დააკარგვინა საკუთარი ისტორიის მასშტაბისა და სულიერების ის განცდა, რომლის საოცარ შერწყმასაც ტაო-კლარჯეთი წარმოადგენს.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა ექსტრემალურ, დაკარგული ტერიტორიების ვითარებაში ცხოვრობს, განსაკუთრებულია ისტორიის როლი და მნიშვნელობა. აქ გაუთვითცნობიერებულ, გაუნათლებელ ადამიანთა ასპარეზზე გამოსვლა კი მტერზე დიდი ზიანის მომტანია. ასევე სახიფათოა ის რეფორმები, რომელიც ცალკეული პიროვნების კეთილდღეობაზეა გათვლილი და მეცნიერებაში არა დარგისა და სამშობლოს მსახურის, არამედ მოხერხებული ადამიანის გამოზრდასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს.

რეპორტაჟი

# ორი წიგნი, ერთი ავტორი

## მხილების მაცოცხლებელი ძალა

(„ხანი უნდობარი“ გელათის სასულიერო აკადემიაში)

რელიგიური თემატიკა ხშირად იჭრებოდა როსტომ ჩხეიძის ნაშრომებში, მაგრამ ამ თემაზე დამოუკიდებელი მონოგრაფიის დაწერა „საზოგადოების დაკვეთით“ უნდა მომხდარიყო.

„ხანი უნდობარი“ — ასე ჰქვია წიგნს, რომლის დასაწერად როსტომ ჩხეიძისთვის ბიძგის მიმცემი შესანიშნავი თეოლოგის აკაკი მინდიაშვილის საჯაროდ ნათქვამი სიტყვები შეიქმნა, — მოუთმენლად ველოდები შენს წიგნს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ბედს შეეხებაო.

„ხანი უნდობარი“ მიმოიხილავს ქართველ სასულიერო პირთა მხატვრულ სახეებსა და აანალიზებს XX საუკუნის ქართველ მწერალთა და რეჟისორთა პოზიციას. გელათის სასულიერო აკადემიაში გამართულ ღონისძიებაზე სწორედ საბედისწერო ჟამის იმ მეხთატეხაზე ისაუბრეს, როსტომ ჩხეიძე მთელი სისრულით რომ წარმოაჩენს მონოგრაფიაში.

უბადრუკი ხერხებით შენიღბული ძლიერთა ამა ქვეყნისათა ბოროტი განზრახვა — სასულიერო წოდებაზე მკრეხელური წარმოდგენის შექმნისა — კიდევ ერთხელ გაიაზრა შეკრებილმა საზოგადოებამ. წიგნის წარდგინება საოცარ რიტუალად აქცია გელათის სასულიერო აკადემიასთან არსებული მგალობელთა გუნდის მიერ შესრულებულმა საგალობლებმა: „მეუფეო ზეცათაო“, „მამაო ჩვენო“, „წმინდა ღმერთო“, „ჩელა“, „ოროველა“, „ასლანური მრავალჟამიერი“. შემსრულებელთა ოსტატობა, საუკუნეთა წიაღიდან ნასაზრდოები ჰარმონიულობით აღბეჭდილი სინატიფე აღაფრთოვანებდა, აერთიანებდა და მეტ სულიერებას სძენდა დარბაზს. მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი დიაკონი მაქსიმე ჩხეიძეა.

— სფერო, რომელშიც მოღვაწეობს ბატონი როსტომ ჩხეიძე, არის ისეთი ფენომენი, რომელიც ისტორიის კუთვნილებად არასოდეს გადაიქცევა, — ბრძანა შესავალ სიტყვაში გელათის სასულიერო აკადემიის რექტორმა, მამა მიქაელმა (გალდავა), — ეს არის მარად ცოცხალი ფენომენი, რომელიც ისევე მარადიულია, როგორც უფლის სიტყვა. ჩვენთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტერატორთა მოღვაწეობა, მწერლობა, რადგან ნებისმიერი ერის სულიერი მოძრაობა ჩატვირთულია მხოლოდ მწერლობაში, ლიტერატურაში. როცა ვსაუბრობთ კაცობრიობის განვითარებაზე, ყოველთვის საქმე გვაქვს სიტყვიერებასთან. ამიტომაც არის, რომ სულთმოფენობის დღეს მოციქულებზე გადმოდის სიტყვიერების ნიჭი. მართალია, სხვაგვარი და შესაძლოა ალმატებულიც.

ლიტერატურა არის სარკე სულიერებისა, იმ გონებისა, რომელიც ღვთის ხატად და მსგავსადაა დაბადებული. ჩვენ მადლობლები ვართ ბატონი როსტომისა, რადგანაც იგი არის დაუღალავი შემოქმედი. მე არაერთგზის განმაცვიფრა იმ ღვაწლმა, რომელსაც ბატონი როსტომი კალმით აკეთებს. იმ ხარისხით, რომელიც მისი ნაშრომების პროდუქტიულობას ასეთ გამორჩეულ მნიშვნელობას სძენს.

ყოველმა მასწავლებელმა, ლექტორმა, სტუდენტმა თუ მოსწავლემ უნდა იცოდეს ჩვენი მწერლები და ლიტერატორები რასაც აკეთებენ. ბოლო დროს უცხო ჩვევა დაგვჩემდა, ხილს ვიგემებთ და მებაღეს არ ვკითხულობთ. მებაღეც უნდა ვიცოდეთ — ვის მოაქვს, რა გულით მოაქვს მშობელ ერთან სიტყვა. აუცილებელია მათი პიროვნული თვისებების გათვალისწინებაც.

**ელგუჯა თავბერიძის** თქმით, როსტომ ჩხეიძეს არ გამორჩენია არცერთი ფაქტი, რომელიც იმ დროს რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

— ეს იყო ნგრევა — ის იდეოლოგია, რომელსაც ბოლშევიკური წყობილება ახორციელებდა. ჩვენს სინამდვილეში, ჩვენი ქალაქის სინამდვილეშიც ძალიან ბევრი რამ მოხდა. დაინგრა ძალიან დიდი ტაძარი, რომელსაც ერქვა სობორო. 1923 წელს ეს ტაძარი აღიგავა პირისაგან მიწისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის ძალიან ხატოვნად, შთამბეჭდავად დაწერილი წიგნი, როგორც სჩვევია როსტომ ჩხეიძეს. მე ვიტყოდი, რომ ეს არის წიგნი-გაფრთხილება. შეძახილი ნებისმიერი ხელისუფლებისა. არავის აქვს უფლება შეეხოს იმას, რაც ქართულია, ქართული ყოფის ნაწილია. ეს არის საქართველოს ეკლესია და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს, როგორი ახირებულიც უნდა იყოს.

**როზა დევდარიანის** *(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)* აზრით გელათის აკადემია იმიტომაც იყო ვალში ბატონი როსტომ ჩხეიძის წინაშე, რომ მან თავის მონოგრაფიაში დიდი ადგილი დაუთმო ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნაზარის მოწამებრივი ცხოვრების აღწერას.

— „ხანი უნდობარი“ არის ვრცელი ეპოპეა იმ მიზანმიმართული ბრძოლის წარმოსაჩენად, რომელიც ეკლესიისა და მის მსახურთა წინააღმდეგ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და კომუნისტური რეჟიმის პირობებში მწვერვალს მიაღწია. ავტორი განიხილავს ნაწარმოებებს, რომლებშიც სასულიერო პირთა სახეებია დახატული, გამოკვეთს ავტორებს, რომლებმაც მათი იდეალური პორტრეტები შექმნეს. განიხილავს წიგნებს, რომლებშიც ღვთისმსახურთა ზნეობრივი გადაგვარებაა წარმოჩენილი და ამის მიზეზებს ღრმად, საფუძვლიანად აანალიზებს. იმდენად ვრცელია სია ნაწარმოებებისა, რომელთაც ბატონი როსტომი მიმოიხილავს, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

**ბაია ბოჭორიშვილისთვის** *(აკადემიის ლექტორი)*: განსაკუთრებით ფასეული წიგნის ის ნაწილია, რომელიც წმინდა მღვდელმთავარს, ამბროსი ალმსარებელს შეეხება.

— კადნიერებაში თუ არ ჩამომართმევდით, მე ხელაიების რძალი ვარ და მიმაჩნია, რომ წმინდა მღვდელმთავარი ჩემი დიდი წინაპარია, — ბრძანა ქალბატონმა ბაიამ და დარბაზში მსხდომ ახალგაზრდებს მღვდელმთავრის ცხოვრების განსაკუთრებულად მძიმე ეპიზოდები შეახსენა.

— წმინდა მღვდელმთავარი ერთხანს ჭელიშში მსახურობდა. ერთხელ არგნით ხელში მიმოდიოდა, მიწის სიღრმიდან უჩვეულო გუგუნის ხმა გაუგონია. თავიდან ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როდესაც კვლავ განმეორებულა ეს უჩვეულო ხმა, კურთხევა მიუცია გაეთხარათ მიწის ეს ნაწილი და საოცარი რამ აღმოუჩენით — აქ იყო სამარხი მიცვალებულისა, რომლისთვისაც ახლობლებს ჩაუტანებიათ სახარება. ასე ინება უფალმა ჭელიშის მრავალთავის აღმოჩენა.

...იმ ურთულეს ეპოქაში საწერკალამი ფუფუნების საგანი იყო. წმინდა ილია მართალს უჩუქნია მისთვის ის საწერკალამი, დაიწერა მემორანდუმი, რომლითაც მღვდელმთავარმა ამბროსიმ გენუის კრებას რომ მიმართა და ამხილა ერთმორწმუნე რუსეთის დამოკიდებულება პატარა საქართველოსადმი. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ საპყრობილედ ქცეულ მეტეხის ეკლესიაში იხდიდა პატიმრობის წლებს წმინდა მღვდელთმთავარი.

**ლევან ტყეშელაშვილის** *(აკადემიის ლექტორი)* აზრით, სულიერი რღვევა და მკრეხელობა, რომელზედაც „ხანი უნდობარი“ მოგვითხრობს, ერს სინანულსა და სამომავლოდ სამაგალითო სიფრთხილის გამოჩენას ავალებს:

— სამწუხაროა, რომ სწორედ გადაგვარებული ქართველი კაცის ხელით ხდებოდა სიწმინდეთა ნგრევა. დღეს ქართველ ერს აქვს შესაძლებლობა, რომ რეალურად შეაფასოს მოვლენები, რათა არასოდეს განმეორდეს მსგავსი უბედურება. ესაა ამ ნაწარმოების მთავარი შინაარსი, რომ სიწმინდის შებღალვა წარმოუდგენელია და თითოეულმა ქართველმა ეს უნდა შევიგნოთ და სამუდამოდ გავისიგრძეგანოთ. მადლობას მოგახსენებთ ამ ნაწარმოების შექმნისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ეკლესიაში ძალიან ბევრი მოღვაწეა, რომელთა ღვაწლიც არ არის შესაფერისად წარმოჩენილი. ეს მომავლის საქმეა და ალბათ ჩვენი მეცნიერები, ღირსეული მემკვიდრეები გააგრძელებენ ამ საქმეს.

**მირიან ებანოიძე** *(აკადემიის ლექტორი)*:

— წიგნში ნაწილობრივ ისტორიკოსის სამუშაოა შესრულებული, ასევე ფილოლოგისა. მასში ნათლად ჩანს ეპოქის სურათი. ალბათ ბატონ როსტომს ეს წიგნი მხოლოდ ისტორიკოსთათვის არ დაუწერია, რადგან არცერთი დრო არ იძლევა დიდი ოპტიმიზმის საბაბს.

...წიგნი საინტერესოდ იკითხება და კიდევ ერთხელ მიუთითებს ბატონი როსტომის შინაგან კულტურაზე, რომელმაც ასეთ თემაზე იმუშავა.

**ლია კუხიანიძე** *(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი)*:

— ჩემთვის, როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილისთვის — და ალბათ, ოჯახი არ დარჩენილა საქართველოში თავისი საუკეთესო წევრი რომ არ შეეწირა ბოლშევიკური სისტემისათვის — „ხანი უნდობარი“ მხილების წიგნია. კომუნისტური პარტია იყო და თითქოს აღარ არის, მაგრამ არის უფრო საშიში ძალა, შეცვლილი სახელით, შეცვლილი სახით...

ახალგაზრდებს, ვისაც წინ ელით ამ წიგნის ნაკითხვით მოგვრილი სიამოვნების განცდა, ეს იქნება სიამოვნებანარევი ტკივილი. ერთ-ერთმა პირველმა ოთარ ჩხეიძემ შენიშნა ერთი თავისებურება და აღნიშნა კიდევაც ბრწყინვალე ესეიში „თავისებურებანი ძველი ქართული პროზისა“ — ჩვენი ეროვნული გმირები იყვნენ წმინდანები და წმინდანები ეროვნული გმირები. ასეთი რამ არა აქვს სხვა მართლმადიდებლურ ქვეყანას. ქართველმა იცოდა, რომ რელიგიური ფანატიზმი არაფერს მოგვიტანდა, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი და ეროვნული ფანატიზმი ერთმანეთში შერწყმული იქნებოდა ის ფარი, რომელიც დიდი ერების გაშმაგებულ ჭიდილში ჩვენ გადაგვარჩენდა, იმ უსახური კოსმოპოლიტიზმისგან დაგვიცავდა, რომელსაც ვერ გაექცნენ სხვა ქრისტიანული ქვეყნები.

ეს წიგნი არ არის მხოლოდ პატიოსან და უპატიოსნო მწერლებზე. ეს წიგნი არ არის მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომელბმაც შეძლეს გაეძლოთ ბოლშევიკური წნეხისთვის და არ აჰყოლოდნენ ფეხის ხმას, არ დაემახინჯებინათ სასულიერო პირების სახე. ეს წიგნი იმ ადამიანებზეც არის, რომლებმაც სიკვდილს თვალებში ჩახედეს, სწორედ იმიტომ, რომ არ თქვეს ის, რაც არ უნდა ეთქვათ. როგორც ოთარ ჩხეიძემ დაწერა არაჩვეულებრივ პიესაში „თევდორე“ — „სჯობს გქონდეს სისხლი და დაღვარო, ვიდრე არაფერი აღარ გქონდეს დასაქცევარი“.

ჟამი, რომელზედაც „ხანი უნდობარი“ მოგვითხრობს, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **ნინო ვახანიამ** ასე შეაფასა:

— ის, რაც XIX საუკუნეში ხდებოდა, შეიძლება მარტივად მოგვეჩვენოთ, რასაც XX საუკუნეში საბჭოთა ხელისუფლება მოიმოქმედებს სასულიერო პირთა წინააღმდეგ. რომ არ ვიცოდეთ, ეს ნამდვილად რეალობააო, შესაძლოა გამოგონილ ამბადაც კი მოგვეჩვენოს.

ბატონი როსტომის წიგნი „ხანი უნდობარი“ სწორედ ამ ხანას ეხება. როგორ აისახა ეს ხანა ქართულ მწერლობაში, ქართულ კინემატოგრაფში. ხაზი არის გასმული იმაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ როცა ქართველი მწერლები ერთი შეხედვით თითქოს არასწორ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ქრისტიანობისა და ქრისტიანული მსოფლხედვისადმი, ამას საფუძვლად უდევს სწორედ ის, რომ ამავე ალმსარებლობის არის დამპყრობელიც — პოლიტიკა უდევს საფუძვლად.




არაერთხელ ითქვა და მინდა კიდევ გავიმეორო, რომ წიგნი ისეა დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევა კი არა რომანია. იკითხება რომანივით, ისევე, როგორც სჩვევია ბატონ როსტომს. ჩვეულებრივ ამ სტილით წერს, მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი სტილით.

**როსტომ ჩხეიძე:**

— თითქოს საზოგადოების დაკვეთა იყო ამ წიგნის შექმნა. მე ვწერ უმთავრესად XIX და XX საუკუნეებზე. მაშინ არაერთი ადამიანი მეკითხებოდა, როდის იქნება შენი წიგნი ეკლესიის ბედისწერაზეო. რელიგიური თემატიკა ხშირად ჩნდებოდა ხოლმე ჩემს ძიებებში, მაგრამ ცალკე არ მქონდა ამაზე დაწერილი და აკაკი მინდიაშვილმა, შესანიშნავმა თეოლოგმა, მკვლევარმა ერთხელ საჯაროდაც კი მითხრა, — მეც ველოდები შენს წიგნს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ბედს შეეხებაო. მომწიფებული იყო თითქოს ამ წიგნის შექმნა და მართლაც დაიწერა „ხანი უნდობარი", რომელიც ეხება უმთავრესად XX საუკუნის ბედისწერას საქართველოს ეკლესიისა. თუმცა შიგადაშიგ გამოჩნდება XIX საუკუნის სურათები, ცალკეულ ეპიზოდთა სახით. XX საუკუნეში იყო უმძიმეს ყოფაში საქართველოს ეკლესია. ასეთი ჯოჯოხეთური რეჟიმი, რაც მოიტანა ბოლშევიკურმა რეჟიმმა, კაცობრიობას არ ახსოვს. გადააჭარბა ყველასა და ყველაფერს და მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ჩაეკლათ რელიგიური გრძნობა, რადგანაც ამას თან მოჰყვებოდა რელიგიურ მისწრაფებათა ჩაკვლა. უბრალოდ, გადაიქცეოდი ჯერ ეთნოგრაფიულ მხარედ, ეთნოგრაფიულ მასალად, პროვინციად ისედაც გადაქცეული იყავი, რუსეთის პროვინციად და შემდგომ ესეც გაქრებოდა. ეს ტრაგიზმი უნდა გამოხატულიყო, ჩემ მიერ არა როგორც დამოუკიდებელი მონოგრაფია... დამოუკიდებელი გახლავთ თავიდან ბოლომდე, მაგრამ ნაწილადაც მესახებოდა XIX-XX საუკუნის სურათებისა. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ...

ეს წიგნი მას შემდეგ ივსება და ივსება. ზოგი ახალი დეტალიც მოვიძიე. ისე, რომ უახლოეს ხანში განზრახული მაქვს მისი განმეორებით გამოცემა, რომელიც საკმაოდ შევსებული იქნება. თუმცა ზოგადი სიუჟეტური ჩარჩო მაინც არის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1989 წლის 9 აპრილამდე. მას შემდეგ, ქართულმა ეკლესიამ არანაკლები შევიწროება განიცადა, მაგრამ ეს უკვე სხვა ხანაა. ის შეიკრა, ის დასრულდა, ის ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ის ხაზი. ახლა დაიწყო ახალი — სექტების შემოსვლა ჰუმანიზმის სახელით. თანდათანობით როგორ იდგამენ ფეხს, როგორ ცდილობენ მის წიაღში შემოღწევას, ეკლესიის წიაღში, როგორ გრძელდება ეს ბრძოლა. ეს უკვე დამოუკიდებელი მონოგრაფიაა. არ ვიცი, ამას მე დავწერ ისევ, არ ვიცი, სხვა დაწერს. ყოველ შემთხვევაში დასაწერი ნამდვილად არის იმ დღიდან და ჯერ კიდევ გრძელდება. მის წიაღში ვტრიალებთ და ისევ იმ რწმენით, ისევ იმ იმედოვნებით — „ტაძარი იყოს, მლოცველები გამოჩნდებიან!"

შეხვედრის დასასრულს გელათის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა **ნათია გოდერიძემ** (III კურსი), **დარიკო კოპალიანმა** (III კურსი) და **ირმა ქურასბედიანმა** (II კურსი) შეკითხვებში წინ ის თემები წამოსწიეს, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. გაირკვა, რომ ახალგაზრდებს განსაკუთრებით თანამედროვე ქართული მწერლობის დასაყრდენი მწერლის ვინაობა, ამბროსი ხელაიას მიერ გენუაში წარგზავნილი წერილის უგულებელყოფის მიზეზები და როსტომ ჩხეიძის სამომავლო გეგმები აინტერესებდათ.

**როსტომ ჩხეიძის** აზრით ყველა თაობაში არიან ღირსეული მწერლები.

— ყველასთან, ვინც ნამდვილი მწერალია, ნამდვილ ფასეულობებს ქმნიან, გამოკვეთილია რელიგიური ნაკადი. ეს არის ბუნებრივი და არა ხელოვნური. შემთხვევითი არ არის, რომ თუნდაც გურამ დოჩანაშვილის ბოლოდროინდელ თხზულებებში ძალიან მკვეთრია რელიგიური მხარე. შეიძლება ითქვას, მთლიანად ამით არის მოცული და გამსჭვალული. XIX საუკუნეშიც სხვაგვარად ხსნიდნენ ხოლმე ყველაფერს, ათეისტური კუთხით, ძალიან ზედაპირულად, თორემ აკაკი წერეთელზე რელიგიური პოეტი შეიძლება ბევრი არ იყოს. არანაკლებად რელიგიურია, ვიდრე დავით გურამიშვილი.

ბატონმა როსტომმა ბრძანა, რომ გენუაში წარგზავნილი წერილის უგულებელყოფა უბრალო მიზეზით მოხდა:

— რუსეთის ეშინოდათ ძალიან. ვერ გაიტანდნენ საჯაროდ — ეს ამბროსი ხელაიამაც იცოდა, მაგრამ უნდა მოეხადა ვალი საკუთარი თავის წინაშე. ეს არის ძალიან კარგი მაგალითი ამისა — არ უნდა თქვას ადამიანმა, ამა თუ იმ მოქმედებას აზრი არა აქვსო. აი, დღესაც იტყვი, რა აზრი აქვს ამის თქმასო. შენი თავის წინაშე მოიხადე ვალი და ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ძალიან დიდი რამე გააკეთე.

მწერლის პასუხი სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კი ასეთი იყო:

— ეხლა, ამ წუთას რამდენიმე მონოგრაფია იბეჭდება და მზადდება წიგნად გამოსაცემად. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რას ვწერ და რა განზრახვა მაქვს. სამწუხაროდ, ველარც კი ვახერხებ, რომ წერილები გამოვცე ცალკე წიგნად. უკვე წლების მანძილზე მიმოფანტულია სალიტერატურო პერიოდიკაში.

გამოვიდა ხუთი მონოგრაფია ერთად, სახელწოდებით „ერი და ბედისწერა". რაც კი დამიწერია, ყველაფერსაც მიესადაგება, ზოგადი სათაური პირობითად შეიძლება ასეც კი დაერქვას. ახლახან დამთავრდა ბეჭდვა გურამ დოჩანაშვილზე დაწერილი მონოგრაფიისა „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე და ცალკე წიგნად ვამზადებ. მქონდა ასეთი მონოგრაფია „ქართული დუელიანა", ისიც უნდა გამოვიდეს წიგნად. როგორც გითხარით, „ხანი უნდობარი" საკმაოდ შევსებულია. მთლად ახალი გამოცემა ეს არ იქნება, ოღონდ სამი თაბახის დამატება ცოტა არ არის.

ირაკლი წერეთელზე მაქვს მონოგრაფია. როგორც უნდა გაუკვირდეს ერთი შეხედვით ადამიანს. რითი გამოინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია ირაკლი წერეთელმა ინტერესი? ეს იყო სოციალ-დემოკრატი, ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა რევოლუციების ბედისწერა და საერთოდ, იმპერიის ბედისწერა კარლო ჩხეიძესთან ერთად. მერე ბოლშევიკებმა მიიწერეს ეს ყველაფერი. სინამდვილეში კარლო ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა გადაწყვიტეს იმპერიის ბედი. ერთზეც მაქვს მონოგრაფია და მეორეზეც. იმიტომ, რომ, ეტყობა, ადამიანის ფსიქიკაში რაღაც დიდი ცვილილებები ხდება და ჩვენ ვალდებულნი ვართ, სანამ ადამიანზე ვისაუბრებდეთ, მის მოღვაწეობაზე მთლიანად ვიცოდეთ ყველაფერი. კარლო ჩხეიძე, რომელიც ჩემთვის იყო ძალიან მარტივი პიროვნება, როგორც სოციალ-დემოკრატი, როგორც ათეისტი, როგორც არაეროვნული კაცი — სიცოცხლის ბოლოს სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა და შემთხვევითი არ არის, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა მასზე თქვა, ჩვენ ყველას გვაჯობა კარლო ჩხეიძემ თავისი ზნეობითო. მან თავი მოიკლა, როდესაც 1924 წლის აჯანყება დამარცხდა. კიდევ კარგი, ზნეობრივი კაცი დარჩენილა ქვეყანაზეო. რაც შეეხება ირაკლი წერეთელს, აღმოჩნდა უცნობი მასალები, რომელიც ჩაწერა რუსმა პუბლიცისტმა რომან გულმა. სიცოცხლის ბოლოს თურმე იგი ძალიან ნანობდა რევოლუციაში მონაწილეობას და სრულიად შეეცვალა მსოფლმხედველობა. რომან გულისთვის ნათქვამი აქვს, მინდა დავწერო მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზეო. უკვე სულსხვაგვარად შეხედა ყველაფერს. ჩემს თვალში შეიცვალა ეს ადამიანი. თურმე არც ისე მარტივი პიროვნება ყოფილა. დაიწყო რევოლუციების აპოლოგიით და დაამთავრა იმით, რომ: რევოლუცია არის დანაშაული და მე თვითონ დანაშაული მიმიძღვის ჩემი ქვეყნის და კაცობრიობის წინაშეო. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი არა სწამდა, საქართველო არ სწამდა, მაგრამ ბოლოს მივიდა აქამდე. ესეც იბეჭდება, ეს მონოგრაფია ჟურნალ „ქართული მწერლობის" ფურცლებზე. ესეც ცალკე წიგნად უნდა გამოვიდეს...

**მამა მიქაელი** (გალდავა):

— გალაკტიონის პოეზიიდან გამოხმობილი სტრიქონები — „ხანი უნდობარი" — სათაურიც არის როსტომ ჩხეიძის წიგნისა და ერთგვარი ეპიტაფიაც. ბატონმა როსტომმა შექმნა წიგნი, რომელიც არის ძალიან მწარე დღეების ძვალთშესალაგი. მე ძალიან მინდა, რომ ეს მწარე დღეები მართლა ძვალთშესალაგს დარჩეს, მართლაც წიგნებს შერჩეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, იმ მწარე დღეების მწარე გაკვეთილი. რადგან როცა ერი ამ მწარე გაკვეთილებს ივიწყებს, გამოდის, რომ ასაკი ემატება, მაგრამ ჭკუა არ ემატება. შესაძლოა ისევ დატრიალდეს ის მწარე კევრი, რაც იყო, და ისევ მოუწევთ ჩხეიძეებს მსგავსი წიგნების დაწერა.

გალაკტიონის ის ლექსიც ლოცვითა და ოპტიმიზმით მთავრდება: „მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები"...

ერთადერთი, რაც საფიქრალი, საოცნებო და სანატრელი დაგვრჩა, ის არის, რომ მსგავსი უგუნურება არასოდეს გაიმეოროს ქართველობამ. ღმერთმა გიკურთხოთ, ბატონო როსტომ, მარჯვენა, ერის საკეთილდღეოდ სამსახურებლად, ღვთის სადიდებლად. დარწმუნებული ვარ, ეს დღე იქნება არა მხოლოდ ისტორია, არამედ დასაწყისი ჩვენი მომავალი ურთიერთობისა... ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

**თამარ ყალიჩავა**

## მუდმივად გამღიზიანებელი ბარიერთან...

### („ქართული დუელიანა" ლიტერატურის ინსტიტუტში)

**სპონტანურად გადაწყდა... და პირველივე წინადადებასთან კავშირი დროებით გაწყვეტილია. ბარემ წინასწარვე ითქვას — სასაუბრო თემამ თანაბრად აალელვა მსმენელი ყოველგვარი აურზაურის გარეშე. დღის წესრიგში იყო როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნი „ქართული დუელიანა".**

**უნდა ითქვას გარემოზეც. ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი. შეძლებისდაგვარად გადაწყობილი ახლებურად და სასიამოვნოდაც. ყავისფერი მაგიდები, გარშემოწყობილი სკამებითურთ, მოზრდილ მართკუთხედს ქმნის. ინტერიერს სიმყუდროვეს მატებს იკებანა და რა თქმა უნდა, ამომავალი მზის ქვეყანას გაგახსენებთ; კიდევ იმასაც, რომ აქაურობის მესვეური არის ახალგაზრდა და სიახლის მაძიებელი ქალბატონი, მშობლიურ საგანძურთან ერთად, ნაზიარები აღმოსავლურ კულტურას. ალბათ შინაური ოპონენტიც ვერ უარყოფს და გარეშესათვისაც დასანახავია, დროში გაწელილი დუნე ყოფა ლიტერატურის ინსტიტუტში, ბოლო წლებია, აქტიურობითა და ქმედითობით რომ შეიცვალა.**

**დიახ, სპონტანურად გადაწყდა ამ წიგნის განხილვა ამ დარბაზში ორიოდე თვის წინათ, როდესაც სულ სხვა ღონისძიების დასრულებისთანავე, ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა ზაზა აბზიანიძემ მოულოდნელი ინიციატივა გაამჟღავნა — „ქართულ დუელიანაზე" ანუ მომცრო ფორმატის წიგნით მოგვრილ დიდ შთაბეჭდილებაზე ესაუბრა.**

ასე რომ, 3 ივნისის შუადღეს, საზოგადოება ამ საბაბით შეიკრიბა. ღონისძიება გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **ირმა რატიანმა**. საკუთარი კოლეგიალური დამოკიდებულება ორიოდე სიტყვით ამგვარად ჩამოაყალიბა: უდიდესი შრომისმოყვარეობა, რაც ცხოვრების წესად აირჩია როსტომ ჩხეიძემ, შემოქმედებით სიუხვითა და პროდუქტიულობით გამოარჩევს ჩვენს სალიტერატურო სივრცეში. როგორც მკვლევარი, მუდამ გვთავაზობს სიახლეს, თანაც ყოველთვის მნიშვნელოვანს...

არც ის შეუფარავს, ჯერ წიგნს რომ არ გასცნობია და მხოლოდ სულ ორიოდე წუთით შეავლო ხელი; ამიტომ, მიკროფონთან ერთად, დროულად გადაულოცა მომხსენებელს. ვალში არც ზაზა აბზიანიძე დარჩენია დირექტორს და თინეიჯერული „ჩეინჯით" შესთავაზა მისივე რედაქტორობით გამოცემული, ფრანგულიდან ცისანა ბიბილეიშვილის მიერ თარგმნილი წიგნი „ლიტერატურული სოციოლოგია". ნაშრომი აღიარა კლასიკად და ამ დარგში ქართულ ენაზე გამოცემულ პირველ ნიმუშად...

„ქართულ დუელიანაზე" კი თქვა, რომ არის მისი ერთ-ერთი მკითხველი და შესაბამისად აღტაცებულიც, რადგან ცოტა რამ არ წაუკითხავს ამ თემაზე და ასე ერთი ამოსუნთქვით და ინტერესით ალბათ არცერთი. კარგი შურით და კოლეგიალური გრძნობით რომ აღიქვა ეს წიგნი, ამას პროფესიული ზეაწეულობა და მეგობრული კეთილგანწყობა კი არ ალაპარაკებდა როსტომისადმი, არამედ მხოლოდდამხოლოდ მკითხველის შთაბეჭდილება. განიხილა რა მთელი წიგნი ზედმიწევნით, სიმპათია გამოხატა რედაქტორის **ივანე ამირხანაშვილის** მისამართით, ვისი ბოლოსიტყვაობაც დაერთვის წიგნს და მახვილი, მრავლისმთქმელი ლაკონიურობით გამოირჩევა.

* * *

გთავაზობთ **ზაზა აბზიანიძის** გამოსვლის ზოგად ქარგას, რომელიც გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს მოხსენების სიღრმესა და ექსპრესიაზე:

„ჩხეიძეთა თაროს ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი წიგნი შეემატა როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა" — იშვიათად საინტერესო თვალმიდევნება დუელის, როგორც რაინდული ტრადიციის მქონე სატისფაქციის ფორმის დანერგვისა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ სინამდვილეში. მაგრამ დანერგვისა იმგვარი იერცვლილებებით, რომელნიც აზრს უკარგავდნენ თავად დუელის იდეას (თუ სიტყვას შევათამაშებთ თავადთა დუელის იდეას. დუელი ხომ მხოლოდ არისტოკრატთა პრივილეგია იყო) და რომელთაც ისტორიული ანალოგი არა აქვთ.




დუელიანის ცნობისწადილით ატაცებული ავტორი ჯერ ქართულ სადუელო ავანსცენას წარმოგვიდგენს თავისი პერსონაჟებითა და დრამატული მიზანსცენებით (განზრახ მოვიხმე ეს თეატრალური ტერმინები. ვგონებ, არცთუ უსაფუძვლოდ) და გვთავაზობს დუელის ამ უცნაური ტრანსფორმაციის ეთნოფსიქოლოგიურ მიზეზთა თავის ვერსიას. საერთოდ მხიბლავს ავტორის უნარი, თავის სტატიებშიც (ახლა უკვე შემიძლია ვთქვა — პიესებშიც), წიგნებშიც სრულიად განსხვავებული რაკურსით დაგანახოთ თითქოს ესოდენ კარგად ნაცნობი წინაპარნიც და თანამედროვენიც, ისევე, როგორც მათი მონაწილეობით (ან პირიქით — პასიურობის გამო!) დატრიალებული პიროვნული თუ საზოგადოებრივი დრამები.

კიდევ ერთი გამორჩეული (და, სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურულ ამქარში არცთუ ხშირი) თვისება დუელიანის ავტორისა: თუკი რომელიმე კოლეგა ოდესმე იკვლევდა მისთვის ამჯერად საინტერესო თემას, ამ კოლეგის სახელი, როგორც წესი, რეფრენად გასდევს თხრობას: დუელიანაში ეს ელგუჯა თავბერიძეა, „იასე იანუსში" თამაზ ჯოლოგუა და ა.შ.

მივუბრუნდეთ ახლა ჩვენთვის საინტერესო წიგნს: დუელი არც გამხდარა და ვერც გახდებოდა ჩვეულებრივი მოვლენა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, წერს როსტომ ჩხეიძე, მაგრამ რაკილა ევროპასა და რუსეთშიც დამკვიდრებულა და თავისი მორალური გამართლებაც მოუპოვებია, საზოგადოების ეს წევრნი აღიარებენ მის აუცილებლობას, როგორც ერთადერთ და ყველაზე სანდო გზას შეურაცხყოფის ჩამოსარეცხად.

„დუელიანის" ავტორი გვაცნობს, ვინ არიან ქართული საზოგადოების ეს წევრნი:

ილია ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილი; ნიკო დადიანი — ინკოგნიტო; ილია ჭავჭავაძე — ნიკო ნიკოლაძე; ილია ჭავჭავაძე — გენერალი სუმბათაშვილი; ნიკო ნიკოლაძე — დავით ფურცელაძე; დავით ერისთავი — ზაქარია ატამანის შვილი; დავით ერისთავი — ნაპოლეონ ამათუნი; მამია გურიელი — ოფიცერი ს-კი; დავით მიქელაძე — ალექსანდრე წულუკიძე; ილია ხონელი — ნაპოლეონ ამათუნი; ექვთიმე თაყაიშვილი — თედო ჟორდანია; ნიკო ნიკოლაძე — ბებურ ბებურიშვილი; დავით კლდიაშვილი — პალმი; ანდრია დადიანი — დუზხოტიმირსკი; ნიკო ლორთქიფანიძე — აკიმოვი; რაულ გოგოხია — სერგეი ესენინი; გიორგი ლეონიძე — სერგეი ესენინი; სანდრო შანშიაშვილი — სერგეი ესენინი; ტიციან ტაბიძე — აბულაძე; ევგენი გეგეჭკორი — გიორგი კვინიტაძე; შალვა მაღლაკელიძე — ლატვიელი ოფიცრები; კონსტანტინე გამსახურდია — კურტ ფონ იქსიკიული; კონსტანტინე გამსახურდია — იოსებ მჭედლიშვილი; მიხაკო — რევაზი.

ამ სიაში მხოლოდ ბოლოში ნახსენები მიხაკო და რევაზი არიან ოდენ ლიტერატურული პერსონაჟები (შიო არაგვისპირელის პროზაული ეტიუდიდან თუ გაიხსენებთ „ბედის მსჯავრი"). ყველა დანარჩენი დუელიანტი ან რეალური პიროვნებაა ან ეჭვმიუტანლად ავტობიოგრაფიული გმირი.

არ შეიძლება არ დაეთანხმო როსტომ ჩხეიძეს, როდესაც ის დუელის ქართული ნაირსახეობის პარადოქსებს მემუარულად დაფიქსირებულ პირველსავე დუელში (ილიკო ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა) ხედავს: ესაა პირველი ქართული დუელი, წერს მკვლევარი, რაც მემუარულმა ლიტერატურამ შემოგვინახა, თავისებური არქეტიპი, რომელმაც როგორც გენებოთ, ისე ახსენით, ერთგვარად განსაზღვრა შურისგების ამ თავისებური ნაირსახეობის ქართული ნაკადი.

ქართული დუელის ფენომენის ასახსნელად ავტორისათვის ძირითადი თეზა დიმიტრი ყიფიანის შეხედულებაა, რომლის ჩხეიძისეული რეზიუმეც ასე ჟღერს: რისი უფლებაც დიდ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შვილებს ჰქონდათ, თავისუფლებისმაძიებელი ქვეყნის შვილებისათვის ის გადამეტებული ფუფუნება ჩანდა, რასაც არ უნდა გამოდევნებოდნენ.

სისხლს შენახვა სჭირდებოდა.

ენერგიას დაზოგვა.

თავიც მხოლოდ ქვეყნის გამოსახსნელად შეიძლება გადაგედო.

სავსებით დამაჯერებელი მსჯელობაა, თუ ქართულ დუელთა ზემოთმოყვანილი ნუსხით შემოვიფარგლებით. მართლაც, წარმოიდგინეთ, ჩვენი ისტორიის იმ ძვირფას სახელთაგან, იქ რომაა მოხსენიებული, ნახევარი დუელში რომ დაღუპულიყო, რა აუნაზღაურებელი ზიანი მიადგებოდა ქართულ კულტურას?!

მაგრამ თუ ქართული დუელი დავარქვით ყველა იმ არშემდგარ დუელს, რომელიც კი ქართველ ოფიცრობას ჰქონია თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე, იმ ოფიცრობას, რომელსაც შეგნებულად გაუწირავს თავი რუსული დროშის ქვეშ და ეგზალტაციის დროს კი არაერთგზის უაზროდ დაუღვრია სისხლი თავისიც და სხვისიც, ხომ არ არის ჭეშმარიტებასთან ახლოს, წიგნის ბოლოთქმაში ივანე ამირხანაშვილის ნათქვამი: სეკუნდანტების, მოწმეების, ექიმებისა და მაყურებლების თანხლებით ბრძოლა არ არის ჩვენი სტიქია... ეს ყოველივე თეატრად მიგვაჩნია და, როგორც კარგი მსახიობები, ვთამაშობთ კიდეც.

ერთადერთი, რაშიც ვერ დავეთანხმები ჩემს უმცროს კოლეგას, ესაა მისი დასკვნა, რომ: „...გაპამპულდა დუელის იდეა საქართველოში, არ შედგა მისი ქართული ისტორია, ვერ მოერგო ჩვენებურ ხასიათს. კარგი იყო ეს თუ ცუდი? ამაზე ძველები ცოტას ფიქრობდნენ, ცოტას ფიქრობდნენ ისინიც, ვინც ბარიერთან დგებოდნენ, ამიტომ პასუხების ძებნით ნურც ჩვენ ავიტკივებთ თავს. მითუმეტეს, ამას არც ავტორი გვაძალებს".

მე მგონი, სწორედ პირიქითაა და როსტომ ჩხეიძის პატარა წიგნი ქართული ისტორიისა და ხასიათის ერთ პარადოქსზე, ძალზე სერიოზული დაფიქრებისაკენ გვიბიძგებს, რადგან არაერთ კითხვას სვამს ჩვენი პიროვნული თუ საზოგადო თვითგადარჩენის საფასურზე და იმ თვისებებზე, რომლებიც — დორიან გრეის მაგალითისამებრ — საუკუნეებმა დაამჩნიეს ჩვენს ეთნოფსიქოლოგიურ პორტრეტს".

* * *

მომხსენებელმა საუბარი წარმართა უდავოდ საინტერესოდ, არაშაბლონურად და ისე ემოციურად, როგორც სჩვევია. ნაწარმოები განიხილა უფრო ფსიქოლოგიური რაკურსით. გამოხატა პოზიცია, რომელსაც თუ ვერ დავიჩემებ თქვენამდე სიტყვა-სიტყვით მოვიტანო, არც გამრუდებულად შემოგთავაზებთ. თქვა, რომ როსტომ ჩხეიძის მიხედვით, პირველი ქართული დუელი ილია ორბელიანსა და მის დისწულს, ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის, მიაჩნია რაინდობის ფენომენის თეატრალიზაციად. წიგნის დასაწყისშივე ჩადებულია სცენარი. წესით, ოფიცერი არ უნდა იწვევდეს ორთაბრძოლაში კანცელარიის მოხელესო. ისიც იმთავითვე იყო გათვალისწინებული, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ბრძოლაში გამოწვრთნილ ოფიცერს მეტოქეობას ვერ გაუწევდა და არც ილია ორბელიანი გაიმეტებდა მას მოსაკლავადო... აქ მომხსენებელს სიტყვა შეაწყვეტინებს ინგლისურენოვანი ლიტერატურისა და ფილოსოფიის მკვლევარი **პაატა ჩხეიძე** და სულმოუთქმელად ჩაეძიება.

— რატომ ვერ გასწევდა მეტოქეობას? არისტოკრატებს ხომ ბავშვობიდანვე წვრთნიდნენ მებრძოლებადო? (არცაა გასაკვირი, პრინციპული მოსაზრებით, კონსერვატორი იცავდეს ღირსებას რომანტიკოსისას).

— დუელი რაინდულ ტრადიციებს განავრცობს, ჯიბეში ქიშმიშები მალიზიანებს რატომღაც... (ამ წიგნის წამკითხველისათვის ცნობილია ეს ეპიზოდი, როდესაც მიწაზე გართხმულ თანატოლ დისწულს ელდანაცემი ილიკო მივარდება და „მკვდარი" ჯიბეზე წაივლებს ხელს, ქიშმიშები არ ამომართვაო).

მომხსენებელსა და მოკამათეს შორისაც სიტყვიერი პაექრობა ცოტა არ იყო გახანგრძლივდა, დისკუსიადაც გაფორმდა, ოღონდაც არცერთს სიტყვა უკან არ წაუღია.

ზაზა აბზიანიძე საკუთარ თვალსაზრისს იცავდა, რომ „ქართულ დუელიანაში" ალბეჭდილი ოცზე მეტი ორთაბრძოლიდან სიკვდილით არცერთი რომ დამთავრებულა და ზოგადად ქართულ სოციუმში ეს ასე რომ დაინერგა, კიდევაც კარგიაო. საბუთიანობისათვის ისიც ახსენა, რამდენი ქართველი წარჩინებული მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში და დუელში არცერთს არ მიუღია მონაწილეობა: ამის შესახებ ვერც წიგნებში მოვიძიე მასალა და ვერც ინტერნეტით ინფორმაციაო.

პაატა ჩხეიძემ დაიბეჯითა, რომ „ქართულ დუელიანას" ზედმიწევნით იცნობს. ამ წიგნში გაანალიზებული დუელების გათვალისწინებით არც ასე ერთი ხელის მოსმითაა საკითხი გადასაჭრელი... სანიმუშოდ ახსენა დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის გამოწვევები: მათ მიიღეს ბოდიში და დუელები ამიტომაც აღარ გაიმართაო. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძეც შერიგდნენ და სისხლისღვრაც ასე იქნა აცილებულიო. ასე რომ ქართულ სინამდვილეში ეს ფაქტები მადასტურებელია რაინდული სულისკვეთებისა და არა უცხოურისადმი ზერელედ მიბაძვისაო.

ზაზა აბზიანიძემ ისიც გაიხსენა, დუელი მოგვიანებით როგორ იკრძალებოდა საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის სახელმწიფოებში, რადგან — ფატალური შედეგების გარდა — ციხეები ივსებოდა ცოცხლადგადარჩენილი ტუსაღებით და ამ ქვეყნებისათვის ეს ნიშნავდა კატასტროფას. თუმცა არცერთი ქვეყნის რაინდული ტიტულის მაძიებლისათვის ეს აკრძალვა არ ყოფილა გაზიარებული, რადგან მათი ეთიკა ნიშნავდა: გემსახურები, მაგრამ ჩემი ზნეობა, ჩემი ღირსება მე მეკუთვნისო.

**ლევან ბრეგაძე** გაიხსენებს **რევაზ ინანიშვილის** მოთხრობას „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?!" გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლებელია დედით ქართველი ვიტგენშტეინია დუელში მოკლულ ქართველად საგულვებელი: მწერალი უდიდესი პასუხისმგებლობით იშველიებდა ისტორიულ ამბებს და ამ მოთხრობის წყარო სათანადო კვლევას იმსახურებსო.

დუელიანტთა შესახებ ისტორიასა და ლიტერატურაში გახმაურებული თუ ცხოვრებისეული ფაქტები გაიხსენეს და ანგარიშგასაწევი კომენტარებიც დაურთეს: ირმა რატიანმა, ქეთევან ელაშვილმა, ინგა მილორავამ, ქეთევან შენგელიამ, ლევან ქურციკაშვილმა. რეპლიკებმაც იმატა და საკითხი ემოციური ცხოველმყოფელობის ბარიერს მისწვდა... ღონისძიების წარმმართველმა ქალბატონმა ფონს მიაგნო მშვიდობიანი დასასრულისათვის და მოკავშირედ წიგნის ავტორი დაიგულა. იუმორით სთხოვა — როგორმე გაგვაშველეო.

როსტომ ჩხეიძემ უპირველესად მადლობა გადაუხადა აუდიტორიას „ქართული დუელიანის" ცოცხალი და აქტიური განხილვისათვის და დასძინა, რომ თემა არის ურთულესი, ამოუხსნელი. გამოთქვა იმედი, საუბარი, რომელიც იმ დღეს წამოიჭრა, იქვე არ დარჩებოდა. ესეც აღნიშნა: როცა უამრავი ადამიანია გაჟლეტილი დუელებში, საქართველოში, ამ მიზეზით, არავინ დაღუპულა. თავისთავად იბადება კითხვა: შემთხვევაა ეს თუ კანონზომიერება? დუელი, როგორც წესი, ჩვენში ან შერიგებით მთავრდება ან მობოდიშებით. მე კანონზომიერება დავინახე და მიმაჩნია, ეს ყოველივე უკავშირდება ეროვნულ ხასიათსო. ახსენა „ქართულ დუელიანამდე" დაწერილი წიგნები: „ქალდეას მონატრება", „ქება სიზარმაცისა" და „მზის შვილები" — სადაც ეროვნული ხასიათისა და ღირსების შეცნობას უტრიალებს. გულმართლად დაბოლოვა: რასაც ვწერ, დასასრულად ღია ფორმას ვირჩევ, დიახ, ფინალს ყოველთვის ვტოვებ ღიას და, მგონია, ამას შეგულიანებად მიიღებს ჩემი მკითხველი, რათა გააგრძელოს ფიქრი უამრავ მტკივნეულსა და საჭირბოროტო თემაზეო.

**ნინო დეკანოიძე**

პაატა ჩხეიძე

# „კელტური მიმწუხრი" უკვე ქართული წიგნია

მოდით ვისაუბროთ უილიამ ბატლერ იეიტსზე.

იგი დაიბადა 1865 წელს, გარდაიცვალა 1939 წელს; 1923 წელს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურაში. განათლება დუბლინში მიიღო და ბავშვობა სლაიგოუში გაატარა. მთელი სიცოცხლე უყვარდა ერთი ქალი და იმ ქალმა უარჰყო მისი სიყვარული.

მოდით ვისუბროთ იეიტსის მსოფლმხედველობაზე, ვიმსჯელოთ იმაზე თუ სად იდგა და რას ესწრაფოდა.



უილიამ ბატლერ იეიტსი

იყო თუ არა რადიკალი ნაციონალისტი? — იყო და ამის დასტურია „აღდგომა, 1916" და სხვა ლექსები, პიესა „ქეთლინ ნი ჰოულიჰენი".

იყო თუ არა კლასიკური ლიბერალი? — იყო. მასზე გავლენა მოახდინეს სპენსერმა, ბლეიკმა , შელიმ, პრერაფაელიტებმა.

იყო თუ არა რეაქციონერი კონსერვატორი? — იყო და ამის დასტურია მისი სიყვარული ირლანდიის სიძველეებისა და ტრადიციებისადმი.

იყო თუ არა საუკუნის ნიჰილისტი? — იყო და ამას ადასტურებს მისი მრავალი ლექსი და განსაკუთრებით „მეორედ მოსვლა".

იყო თუ არა ოკულტისტი? — რა თქმა უნდა იყო და მას ადასტურებს თვით ეს წიგნიც „კელტური მიმწუხრი" და თუნდაც „გრაფინია ქეთლინი".

მაგრამ იეიტსი რალაცნაირი, ნაციონალისტი ოკულტისტია.

„გრაფინია ქეთლინში" გადამუშავებულია უძველესი ლეგენდა და 1895 ნლის შიმშილობის დროსაა გადმოტანილი. გრაფინია ქეთლინი სულს მიჰყიდის ეშმაკს, რათა გადაარჩინოს თავისი ხალხი (ხიზნები, მოიჯარეები) შიმშილისაგან. სიკვდილის შემდეგ მას შეენდობა ეს საშინელი ცოდვა და ზეცაში აჰყავთ.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა უ. ბ. იეიტსი პოეტი გახლდათ, დიდი პოეტი! დრამატურგიც იყო და ესეისტიც არანაკლები.

და მოდით პოეტზე ვისუბროთ:

იეიტსი ლექსის დიდოსტატი იყო, ვერსიფიკაციის ჯადოქარი. მისი შემოქმედება გვიჩვენებს თუ რა ქარიშხალი დაატრიალა ინგლისური ლექსის წყობაში.

ყველანაირი სტრუქტურა და საზომი მოუსინჯავს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს სონეტი. სონეტი მისთვის არტისტული წონასწორობის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა; სონეტი ყველა საზომზე უკეთ გადმოსცემს ესთეტურ განცდას, თანაბარი სიძლიერით წარმოაჩენს ასკეტურ თავშეკავებასა და ხორციელ ვნებას. სონეტის ფორმაში იეიტსი ლაღად გრძნობს თავს და ლაღადვე ექცევა საყვარელ ფორმას.

ფორმალიზმით გატაცება არ არის იეიტსის თვითმიზანი. მისი ლექსები განმსჭვალულია ულრმესი ტრადიციული სიბრძნით, მისტიციზმითა და წინასწარჭვრეტით; ყოველი ლექსისათვის შესაფერის განსხვავებულ ფორმას ირჩევს და თუ ექსპერიმენტს ჩავატარებთ და რომელიმე, ვთქვათ, ისტორიული ფაქტებით სავსე ლექსის ფორმას შევცვლით, დავინახავთ, რომ არამარტო მშვენიერება გაქრება, არამედ არსიც დაიკარგება და ეგებ ფაქტებიდანაც ველარ გამოვაგნოთ გზა.

ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს „აღდგომა, 1916"-ზე და შედეგიც ისეთი მიიღეს, როგორიც მოგახსენეთ.

იეიტსს უყვარდა ტრიმეტრიანი (სამმუხლიანი . / . / . /) კატრენები (ოთხსტრიქონედი), მაგრამ არანაკლებ კარგად ენყობა ე. წ. Ottava Rima-ს (რვასტრიქონედს), გარითმული პენტამეტრით აგებულ ლექსს (. / . / . / . / . / — აბაბაბცც), რითაც მისი ყველაზე ამაღლებული შედევრებია დამშვენებული და რასაც მისმა მონაფეებმა „სენატორული ფორმა" უწოდეს. კრიტიკოსთა აზრით, ამ ფორმის მეოხებით იეიტსს რენესანსული სუნთქვა შემოჰქონდა თანამედროვე პოეზიაში.

იეიტსის ლექსებს ძირითადად მათში დაუნჯებული ტრადიციული სიბრძნის, ნათელხილვის, მისტიციზმისა და წინასწარმეტყველებათა გამო კითხულობენ და მისით გატაცებულნი ცდილობენ თვითონაც ჩაეფლონ ჭვრეტაში, მაგრამ თუ სხვა თვალით მოინდომებ შეხედვას და განმარტოვდები წიგნით ხელში, ხმამაღლა წაიკითხავ და ყურს დაუგდებ, გაგაოცებს მათი მუსიკალობა, რიტმული მრავალფეროვნება, უხვი ჟღერადობა და მიხვდები თუ რამდენს კარგავდი, როცა მარტოობაში დანთქმული არ კითხულობდი უდიდეს პოეტს, ვის ლექსებშიც, ელიოტისა არ იყოს, ვერ გაიგებ, სად იწყება ან სად მთავრდება ოსტატობა; ასე ნელ-ნელა უნდა შევუყვეთ იეიტსის ლექსებს და ერთხელაც, როცა გვეგონება, ყველაფერი გავიგეთო, სწორედ მაშინ შეიხსნება ჭიშკარი და გამოჩნდება დიადი პოეზიისაკენ მიმავალი ბილიკი.

მოდით ვისაუბროთ დრამატურგზე:

1898 წელს იეიტსმა ლედი ავგუსტა გრეგორისა, ჯორჯ მურსა და ედუარდ მარტინთან ერთად დააფუძნა „ირლანდიური ლიტერატურული თეატრი".

ახალდაარსებული თეატრის „მანიფესტში" წერდა: „იმედი გვაქვს ირლანდიაში... მივაღწიოთ იმ თავისუფლებას ექსპერიმენტებში, რასაც ინგლისის თეატრებში ვერ შეხვდებით, და ურომლისოდაც ახალი მიმართულება ხელოვნებასა და ლიტერატურაში ვერ გაიმარჯვებს".

რა იყო ეს სიახლე? რა მიმართულებას გულისხმობდა იეიტსი?

პირველ რიგში ეს იყო გაბედული ექსპერიმენტები დრამატურგიის კანონებში. საუკუნის დასაწყისია. ყველანი მოდერნისტულ ექსპერიმენტებში ჩაბმულიყვნენ და არც იეიტსი ყოფილა გამონაკლისი.

მაგრამ სხვა იყო ეს ექსპერიმენტები. იეიტსი ესწრაფოდა არა მხოლოდ ახალი თეატრის დაფუძნებას, არამედ, ილიასი არ იყოს, ეროვნული თეატრის აღორძინება სურდა, ირლანდიურ თეატრზე ოცნებობდა, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ პიესებზე.

იეიტსი ნაყოფიერი დრამატურგი გახლდათ. იმხანად მხოლოდ ბერნარდ შოუს თუ ჩამოუვარდებოდა. მის პიესებს თავიდანვე წინააღმდეგობრივი კრიტიკა შეხვდა. რამდენადაც აქებდნენ და მოსწონდათ, იმდენადვე გმობდნენ და იწუნებდნენ. მავანნი დღესაც აღნიშნავენ, დიდი პოეტი იყო და სჯობდა, მხოლოდ ლექსები ეწერაო, თეატრის აღორძინებას კი შეუწყო ხელი, მაგრამ თვითონ სუსტი დრამატურგი იყოო.

მაგრამ რას წერდა დიდი და მიუდგომელი არბიტრი ტ. ს. ელიოტი?

„არ ვიცი, სად დასრულდება ჩვენი ვალი მისი [იეიტსის] დრამატურგიის წინაშე, და დროთა განმავლობაში არც დასრულდება, მანამდე, სანამ მისი დრამატურგია იცოცხლებს."

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ელიოტს ვენდობი, საკუთარ თვალსა და გემოვნებასაც ვენდობი და ვისაც დრამატურგიის ჩემსავით ცოტა მაინც გაეგება, წაიკითხოს ამ წიგნში თავმოყრილი დრამები და დარწმუნდება. ნახავს თუ რა მძაფრი და შემძვრელია „ქეთლინ ნი ჰოულიჰენის" ფინალი, რა ღრმა და მისტიკურია „სიტყვები ფანჯრის მინაზე", როგორი ოსტატობითაა შეკრული კომპოზიცია და მიღწეულია დრამატული ეფექტი.

მაგრამ მოდით ოკულტიზმზეც ვისაუბროთ; მაინც რა ოკულტიზმი აუტყდა?

გავიხსენოთ, როდის ხდება ეს, XX საუკუნის დასაწყისია, „ღმერთი მოკვდა", ეძებენ ახალ ღმერთებს, აქვე მიწაზე ეძებენ; ახირებულობათა ეპოქაა, ეპოქა ღირებულებათა გადაფასებისა, უფრო სწორად, უარყოფისა, და ამ გარემოში, ამ ვითარებაში გმობისა, ნიჰილიზმისა, ყველაფრის გადაყრისა, პიროვნების დაკარგვისა, ეროვნებაზე უარის თქმისა... იეიტსს უმნიშვნელოვანესი და უდიდესი საქმე გამოსჩენია: სადღაც უნდა იპოვოს ირლანდიის თვითმყოფადობის გადარჩენის წყარო.

ილიამ მამული, ენა, სარწმუნოება შეახსენა ქართველებს.

იეიტსს ენა დაკარგული ჰქონდა. კათოლიციზმს, როგორც მეტად ინტერნაციონალურ რელიგიას, ალბათ არ ენდო და მარტოდენ მამულს შეაფარა თავი, შორს წავიდა წარსულში ირლანდიისა, ადრეულ შუა საუკუნეებში და უფრო ღრმად, ქრისტეს დაბადებამდე ჩავიდა, და იქ კელტები დახვდა, უფრო სწორად, კელტ-იბერები, და გარს შემოეხვივნენ ფერიები, ჯადოქრები, მითიური გმირები, წინასწარმეტყველები... და მიხვდა, რომ აქ უნდა ეძებნა თვითმყოფადობის წყარო და აქ, წარმართულ სამყაროში (და არა ბლავატსკაიას წრეში) ჩაისახა მისი ოკულტიზმი.

ალბათ ყველაზე უფრო ოკულტისტური პიესა იეიტსისა, „სიტყვები ფანჯრის მინაზე", აბსტრაქტურლ განცდებზე კი არ მოგვითხრობს, არამედ ჯონათან სვიფტს გაგვიცოცხლებს და, ამდენად, ირლანდიის გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეას უტრიალებს. „კელტური მიმწუხრის" მაიკლ მორანი, ბრმა პოეტი, ბალადების შემთხზველი და მეზღაპრე მხოლოდ მდაბიოთა წრიდან გამოსული ნიჭიერი კაცი კი არ არის, არამედ ირლანდიის მითოსის ცოცხლად შემნახავი, თვითონაც მითიური არსებაა, რომლის ხაოიან ქურთუკში მთელი შუა საუკუნეები ინახება.

უილიამ ბატლერ იეიტსის ლექსები, პიესები, „კელტური მიმწუხრი" უკვე ქართული ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია და ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი მთარგმნელის დამსახურებაა, მოდით მთარგმნელზე ვისაუბროთ.

შექსპირი, ფოლკნერი, შელი, დიკინსონი და აი, იეიტსიც; ეს მცირე სია გვეუბნება, რომ მედეა ზაალიშვილი ესთეტია და არა მხოლოდ დიდ, არამედ რთულ და სიტყვაკაზმულ მწერლობას თარგმნის.

ზოგადი ქების სიტყვებით მთარგმნელის ნაშრომის შეფასება ანუ სადღეგრძელოს თქმა არ მინდა, მთელ წიგნს რომ მოვედო, შორს წავალ, ამიტომ ერთი ლექსი ავიღოთ, მეტად პოპულარული და დღეისათვის ხშირად ციტირებული „მეორედ მოსვლა".

**THE SECOND COMING**

**Turning and turning in the widening gyre**
**The falcon cannot hear the falconer;**
**Things fall apart; the centre cannot hold;**
**Mere anarchy is loosed, upon the world.**
**The blood-dimmed tide is loosed, and everywhere**
**The ceremony of innocence is drowned;**
**The best lack all conviction, while the worst**
**Are full of passionate intensity.**

**Surely some revelation is at hand;**
**Surely the Second Coming is at hand.**
**The Second Coming! Hardly are those words out**
**When a vast image out of Spiritus Mundi**
**Troubles my sight: somewhere in sands of the desert**
**A shape with lion body and the head of a man,**
**A gaze blank and pitiless as the sun,**
**Is moving its slow thighs, while all about it**
**Reel shadows of the indignant desert birds.**
**The darkness drops again; but now I know**
**That twenty centuries of stony sleep**
**Were vexed to nightmare by a rocking cradle,**
**And what rough beast, its hour come round at last,**
**Slouches towards Bethlehem to be born?**

ლექსი პირველი მსოფლიო ომის მერე დაიწერა და უამრავი ვარიანტი გამოიცვალა, ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდა; ვარიანტებში ყოფილა ალუზიები რენესანსისა, ფრანგული რევოლუციისა, ირლანდიურ აჯანყებათა, გერმანული და ფრანგული რევოლუციებისა. კრიტიკოსთა უმრავლესობა მაინც რუსულ რევოლუციას ანიჭებს უპირატესობას ლექსის შთაგონების წყაროს ძიებისას. ერთი რამ აშკარაა, ამ ლექსით იეიტსი წარმოგვიდგება, როგორც კონტრრევოლუციონერი და ლექსი გახლავთ ნუხილი იმის გამო, რომ რეაქცია იგვიანებს და რევოლუცია იმარჯვებს. ერთ-ერთ ვარიანტში ყოფილა: „აღარც ბერკია, რომ ხმამაღლა მოგვიწოდოს და აღარც პიტი"; ან კიდევ „კეთილი ყოყმანობს, ხოლო ბოროტი იმარჯვებს".

„მეორედ მოსვლა" უწესრიგოა ფორმით; თითქოს იამბური პენტამეტრია, მაგრამ არც არის, ისეა დალაგებული; რითმებიც უსისტემოდაა განლაგებული; მხოლოდ დასაწყისშია სუსტი რითმები, მერე კი შემთხვევით თუ გადაანყდები, ისიც მაშინ თუ man და sun რითმად ჩავთვლით. რა თქმა უნდა, ისეთ დიდოსტატს ლექსისა, როგორიც იეიტსია, ლექსი უნებურად ან დაუდევრობის გამო არ დაემსლებოდა და ფორმის ანარქიულობა თემის ანარქიულობას უნდა უკავშირდებოდეს.

ლექსის პირველ ნაწილში შექსპირის სამოცდამეექვსე სონეტის გამოძახილი მოისმის, მაგრამ შექსპირის სონეტი ნუხილია, ხოლო იეიტსის „მეორედ მოსვლა" კოშმარული ხილვაა. ყველაფერი იშლება, ცენტრი იკარგება, ანარქია მოედო მსოფლიოს, სისხლიანი ნაილვრები დაიძრა, იკარგება ნესჩვეულებანი, კეთილნი იჩაგრებიან, ბოროტი ვნება ზეიმობს.

პოეტი მეორედ მოსვლის ნიშნებს ხედავს და აქვე წამოიმართება საშინელი აჩრდილი სამყაროს სულისა, უდაბნოში განოლილი სფინქსი, რომლის თავზე უდაბნოს ფრინველები ტრიალებენ. აკვანი დაირწა და მხეცი ზანტად მიიზლაზნება ხელახლა დასაბადებლად, ბეთლემისაკენ.

განსაცვიფრებლად მძაფრი წარმოსახვა და წინასწარჭვრეტა, გამაოგნებელი რიტუალური ენა იეიტსის ამ ლექსს დიდ პოპულარობას მოუხვეჭს თავიდანვე, ყველა ანთოლოგიაში შეაქვთ, ხშირად იმოწმებდნენ და დღესაც ამოაქვთ ციტატები პოეტებს, ფილოსოფოსებსა და პოლიტიკოსებსაც. ლექსი ბუნდოვანია და ძნელად ჩასანვდომი, თუმცა სტრუქტურულად მარტივია.

პირველი სტროფი აღწერს თანამედროვე ვითარებას.

მეორე სტროფში დახატულია მეორედ მოსვლის შემზარაობა, რომ მოვა არა ქრისტე, ვისაც ველით, არამედ „უხეში მხეცი", და სწორედ ბეთლემში დაიბადება. თუ თვალს დავხუჭავთ ამ ხილვის მკრეხელურობაზე, ყველაფერი თითქოსდა გასაგებადაა ნათქვამი და უკვე მეორე საკითხია, მაინც რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

წიგნში „ხილვა", რის დაწერასაც წლები მოანდომა იეიტსმა, გადმოცემულია მისტიკური თეორია სამყაროს შესახებ. ეს თეორია სრულებითაც არ არის მარადიული ღირებულების მქონე, მაგრამ ამ თეორიაზეა დაფუძნებული ჭეშმარიტად ფასდაუდებელი პოეზია იეიტსისა. იეიტსი სამყაროს დიაგრამას ორი ერთმანეთში ჩახლართული მრუდის სახით წარმოიდგენს და ამ სპირალთა ვიწრო და ფართო ხვეულებში მოჩანს სამყაროს ბედი და უბედობა.

„მეორედ მოსვლაში" იეიტსი ხედავს ხელოვნების, მეცნიერების, წესრიგის, მრავალფეროვნების მრუდის დასრულებას და რევოლუციების, ანარქიის, ნგრევისა და განადგურების მრუდის დასაწყისს.

და, როგორც ვიცით, ასეც მოხდა და სავარაუდოა, რომ კვლავ განმეორდება.

მედეა ზაალიშვილი ყურადღებით კითხულობს იმას, რასაც თარგმნის, მუდამ ერთგულია ორიგინალისა და ცდილობს არ გასცდეს, მეტისმეტად არ უღალატოს; მოგეხსენებათ, იტალიელები ამბობენ: თარგმნა ღალატიაო.

მედეა ზაალიშვილი ბეჯითად მშრომელი მთარგმნელია და არასოდეს აძლევს თავს უფლებას მოეშვას და საკუთარ ფიქრებსა და სურვილებს გაუღოს კარი თარგმნისას.

ამიტომაა, რომ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ და ვხედავთ ყოველივე იმას, რაც ორიგინალის ანალიზისას მოგახსენეთ:

### მეორედ მოსვლა

**ბრუნავს და ბრუნავს, ფართოვდება ჯარა ძალუმად,**
**ველარა სწვდება ქორ-შევარდენს ხმა ბაზიერის**
**დანაწევრებულ საგნებს ველარ აკავებს ღერძი,**
**აღვირახსნილი ანარქია სამყაროს ებრძვის.**
**ნაკადი, სისხლით დაბინდული, მოდის ულევად**
**და შიგ იხრჩობა უმანკოთა წეს-ჩვეულება,**
**საუკეთესოს დაჰკლებია თვითდაჯერება,**
**ხოლო უარესს მგრძნობელობის ვნება ერევა.**

**გამოცხადება კარს მოგვადგა უკვე ნამდვილად,**
**მეორედ მოსვლა კარს მოგვადგა უკვე ნამდვილად,**
**მეორედ მოსვლა! ეს სიტყვები არც მითქვამს სრულად,**
**რომ ჩემი მზერა შეაშფოთა სამყაროს სულმა;**
**უდაბნოს ქვიშებს გადეფარა ჩრდილი ვეება,**
**ადამიანის თავი ლომის სხეულზეება,**
**მზის მზერა ჰქონდა უმოწყალო, თან ცარიელი,**
**ამოძრავებდა ზანტ ბარძაყებს ნაბიჯით ნელით,**
**უდაბნოს ჩიტთა ტრიალებდა მშფოთვარე ჩრდილი.**
**კვლავ დგება მწუხრი; თუმცა ახლა ნამდვილად ვიცი**
**ოც საუკუნეს ძილქუში რომ ქვასავით ეწვა,**
**შავ ზმანებაში გადაზარდა რწევამ აკვნისამ;**
**რა უხეშ მხეცის ჟამმა დაჰკრა უკანასკნელმა,**
**რომ წელმოხრილი ბეთლემს მიდის დასაბადებლად?**

მხოლოდ ერთი რამ მინდა შევნიშნო, რასაც მე გაქართულებას ვუწოდებ და რასაც ყველა ოსტატი მთარგმნელის თარგმანში ნახავთ, რაც უნდა ერთგულებდეს წყარო ტექსტს.

ორიგინალშია gyre, რაც ნიშნავს „წრეს", „სპირალს"; მედეა ზაალიშვილმა ამ სიტყვის შესატყვისად „ჯარა" გამოიყენა. არ მიძებნია თუ სადაური წარმოშობისაა სიტყვა **ჯარა**, მაგრამ დიდიხანია ქართული ენისა და ყოფის საკუთრებად იქცა და ნახეთ რა იღბლიანი მიგნებაა: **gyre** და **ჯარა**.

უილიამ ბატლერ იეიტსის „კელტური მიმწუხრი" ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე. ეს ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფაქტია, რაც გვაიმედებს რომ ქართული მთარგმნელობითი სკოლა აგრძელებს არსებობას და მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შემოტანას ჩვენს სახლში.

ამის დასტურია მედეა ზაალიშვილისა და გამომცემლობა „ინტელექტის" მიერ მოძღვნილი ეს ძვირფასი საჩუქარი.

ეკა ცხადაძე

# ...ოდნავ ქარისმიერი, ლაღი და აშარი

ლიტერატურულ ცხოვრებას ბევრი წარმატებული სახელი ახსოვს. ზოგიერთის შემოქმედებას მისივე მითიური ბიოგრაფია აჭარბებს და ფარავს. ზოგის შემოქმედება დღემდის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ავტორის პროზაული და ჩვეულებრივი ცხოვრება სრულიად უხილავი და შეუმჩნეველია. ჩვენთვის ცნობილია ყველანაირი შემოქმედებისა და ბიოგრაფიების მქონე პოეტ ქალთა სახელები, მათი ხიბლიც და გავლენაც შესაბამისად სხვადასხვაგვარია. როდესაც ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიას გავლენების კუთხით შევხედავთ, ყველაზე მეტად მედეა კახიძის პოეზიაზე ვიფიქრებთ. შესაძლოა, ეს ჩვენი სუბიექტური აზრია ან ბუნდოვნად მოხელთებული



ალუზიების ეფექტი, მაგრამ ცხადია, რომ ნუციკო დეკანოზიშვილის ლირიკული გმირის განცდები ამის თქმის საშუალებას იძლევა:

სხვა გზა აღარ მაქვს —
დღეს მე ჭიქას ჭიქაზე დავცლი...
თან მხოლოდ შენი სადღეგრძელო დავლიო უნდა!
ნამთვრალევ გრძნობას სიყვარულის ვირუსზე ავცრი,
ფლირტის ავანსებს დაგიბრუნებ —
გეტკინოს თუნდაც...
ერთ ლექსსაც მადლად გიფეშქაშებ —
ისე — ყასიდად...
და მაგ ვაჭრობით გადაღლილი გაგიკოტრდები...
შენ პრაგმატიზმი ამჯობინე, კარგო,
რას ვიზამთ!
მე მაინც ვნების ფანტომების დევნით მოვკვდები...
პარადოქსებით ამოვივსებ ოცნების მარაგს...
ჭეშმარიტების სენტენციებს რას გამოვრჩები?!
შენ შეგატოვებ აქაფებულ და მღვრიე ქალაქს...
არყისფერ ფრთებით გადაგიფრენთ მე და ლოთები!

ამ ლექსს „მე და ლოთები" ჰქვია. მასში მართალია მედეა კახიძის ლირიკული გმირივით მედგარი და უდრეკი არსება არ არის დახატული, მაგრამ თითქმის მსგავსი ანტურაჟისა და განცდების ქაოსში უფრო რბილი და მოწყვლადი ბუნებაა ნაჩვენები. მედეა კახიძე უფრო მასიური, თავდაჯერებული და მომთხოვნია, მაშინ, როცა ნუციკო დეკანოზიშვილი უფრო მოქნილი, ნატიფი და სათუთია.

ნუციკო დეკანოზიშვილის „ამინდები ბის-ზე" პოეტური კრებულია, სადაც ავტორის „მე" დომინირებს. წიგნში საგანგებოდ არის შეტანილი ის ნიმუშები, რომლებიც განსაკუთრებული სისათუთით წარმოაჩენს თანამედროვე ქართველი ქალის განცდებს, მის დარდსა და სიხარულს. ყოველდღიურობა მძაფრად იჩენს თავს და ჩვენც მოწმენი ვხდებით ლირიკული გმირის ტკივილნარევი სიხარულის, ყოველდღიური განცდათა და თანაგანცდათა, პატარ-პატარა განწყობილებებისა და საკუთარ თავთან ჭიდილისა.

მთლიანობაში „ამინდები ბის-ზე" არის ნიჭიერი, განათლებული და სათუთი ინდივიდის გასაუბრება მკითხველთან. აქ წარმოდგენილი ლექსები პატარ-პატარა კუნძულებია, სადაც თითოეულ მკითხველს შეუძლია თავისთვის შესაფერისი განწყობა მოიძიოს და თვითონაც დაყოვნდეს.

პირველი გაცნობიდან შთაბეჭდილება ძალიან კარგია, მკითხველი უმალ ხვდება, როგორი სულის ადამიანია მის წინაშე, როგორ ცდილობს ის ბოლომდე დაიხარჯოს და საკუთარი განცდები მთელი სისავსით წარმოაჩინოს.

როგორც რედაქტორი გვამცნობს, ნუციკო დეკანოზიშვილი იგივე ნინო გოგიაშვილია და „ციფრულ თაობად" სახელდებულ კოჰორტაში მოიაზრება. რედაქტორი მიხო მოსულიშვილი გემოვნებიანი და ანგარიშგასაწევი ადამიანია, ფაქტობრივ მან პირველმა შეაფასა ნუციკო დეკანოზიშვილი, რომელსაც „თავისუფალი და საკუთარი ხმის მქონე, ლაღად საკითხავი ლექსების ავტორი" უწოდა. ამ ლექსებით ჩვენს ცნობიერებაში ახალი და სასიამოვნო პოეტური ნაკადი შემოიჭრა. იგი არანაირად არ დაგძაბავთ, უსიამოვნოსა და პიროვნულ ტრაგედიად აღქმულსაც ტაქტიანად და შესაფერი ფორმით გვაწვდის. მკითხველი მხოლოდ უნდა მიჰყვეს მას, ბოლომდე მიენდოს და შედეგად სასიხარულო განცდებს მიიღებს. როდესაც ნუციკო დეკანოზიშვილი თავის პოეტურ ლირიკულ ხვეულებს წარმოგვიდგენს, ამით ის საკუთარ ბუნებასაც გვაცნობს. ყოველ სტრიქონში ვცნობთ მას და მის „ოდნავ ქარისმიერ" ხასიათს, რომელსაც დრო ფულად არასოდეს მიუჩნევია და გამუდმებით „ბოჰემური პოეტების" გამოხმობაშია.

პიროვნული მე „ჯანღიან ქალაქში" სათავისო გასაქანს პოულობს. პოეტი ყველაზე პროზაულ და არალირიკულ გარემოშიც ცდილობს აღმოაჩინოს მისთვის საინტერესო და მისაღები. იგი მუდმივად შეჰხარის ცხოვრებას, რომელიც სულაც არ ანებივრებს და მრავალ ბარიერს უქმნის. ნუციკო დეკანოზიშვილისთვის მთავარი არ არის დალაგებული და გაწონასწორებული ყოფა, რუტინას გამუდმებით უფრთხის და, თუ თავს ვერ არიდებს, ცდილობს სანუკვარი სამყარო იქვე, გვერდით ჰქონდეს. მას ყოველთვის აქვს სათავისო არე მოძიებული, იგი მისი მყუდრო საყუდელი და საიმედო საყრდენია. ადამიანებისგან ბევრს არ თხოულობს, მხოლოდ არ უნდა ოცნებებში და წარმოსახვითი ცხოვრებით ტკბობაში ხელი შეუშალონ. როცა „შავ-თეთრ ცხოვრებას" უყურებს, ცდილობს გაემიჯნოს მას, ყოველივე ამაში კი სიყვარული და პოეზია ეხმარება:

**... აპირებს წვიმას და,**
**ჯანღიან ქალაქში**
**შავ-თეთრი ფერებით**
**ჯღაბნიან ცხოვრებას...**
**და ჩემი ეული,**
**ცისფერი ხელები**
**სიყვარულს უდგანან**
**მუდმივ მათხოვრებად...**

პოეზია სათუთი სულის ნავსადგურია, იგი ყოველდღიურ უხეშ და ტლანქ ყოფას ულამაზებს ადამიანებს. ნუციკო დეკანოზიშვილი გრძნობს და განიცდის ყველა ქალივით, გამუდმებით ელის სიხარულს და გულმოდგინედ ინიშნავს ყველა წარმტაც წამს. მკითხველს ხიბლავს მისი გაუნელებელი სწრაფვა სინათლისა და ბედნიერებისაკენ. ჩვენც თანავუგრძნობთ, როცა ცდილობს ჩვენამდე მოიტანოს საკუთარი განცდების პოეტური ხიბლმოსილება, ძალიან მალე ვუშინაურდებით და ვიხიბლებით მისით. მკითხველი იმასაც გრძნობს, რომ ბევრი საკუთარი თვისება და ოცნება განსხეულდა ამ ლექსებში, ძალიან ბევრი გამოუთქმელი რამ ცხადი გახდა მისთვის. ნუციკო დეკანოზიშვილის პოეზიაში თავისუფლებას, მოხიბვლა-მომხიბვლელობას, სიყვარულს თუ განხიბვლას უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი.

თანამედროვე ქართველი ქალი იბრძვის, თავის თავს ეძებს, საკუთარ ადგილსაც დაეძებს და იმასაც: „ვისაც ცხოვრება უნდა დაუთმოს", ვინც გულს ატკენს, ან არ ატკენს... ამას ასე უბრალოდ გამოხატავს:

**გარსონ!**
**მე ფერებით მინდოდა მეცხოვრა...**
**ხურდას ნუ მიბრუნებთ — იყიდეთ ვარდები!**
**დამისხით ყველაზე შლეგური ოცნება!**
**ვთვრები და ვთავდები!..**

სავსებით ბუნებრივია „ჩავლილი ვნებების" ხელახლა წარმოსახვა, მუსიკისა და ქარის რიტმებისთვის შესაფერი სიტყვების დაძებნა, ერთხელ განცდილის ხელახლა შეგრძნების სურვილი, თავის მოთოკვაც და მოგიჟიანებაც:

**ნასვამ სალამოს მხოლოდ ლამის ლოგინი შია,**
**ნაბახუსევი გარიჟრაჟზე აუსვამს ვნებას,**
**იანვარს — წაშლილს, იანვარს — გახდილს,**
**იანვარს მზიანს**
**ყინულის ქალი ცეცხლის გულით ალპებში ნებავს...**

ყოველდღიურობას ნუციკო დეკანოზიშვილი პოეზიაში ასახავს. იგი დროის რიტმს კარგად გრძნობს და ჩვენც გვაგრძნობინებს, აქვს მრავალი მიგნება, დასამახსოვრებელი და მოსაწონი; იგი თანამედროვე ადამიანის სამყაროს სხვადასხვა კუთხით ამზეურებს, არ ზოგავს საკუთარ თავს და მკითხველსაც ბოლომდე ენდობა. ძალიან კარგად გვამახსოვრდება საკუთარი თავის მიმართ გამოვლენილი ირონიაც და იუმორიც, რაც ბევრს არ შეუძლია.

ქალის ყოველდღიური განცდები, მისეული აღქმა საყვარელი არსებისა თუ სიყვარულისა, განსაკუთრებულ სიტყვიერ გაფორმებას ეძებს. პოეტს სიყვარული იმონებს, ბედნიერს ხდის, აუბედურებს... ურთიერთგამომრიცხავი განწყობები ძლიერი გრძნობის თანამდევია. მას შეუძლია იყოს მომნანიე და იმავდროულად ახალი ცოდვებისთვისაც განეწყოს, იყოს ბავშვივით წრფელიც და მაინც ვერაგიც. ნუციკო დეკანოზიშვილი არ უფრთხის განცდების ბოლომდე გადმოშლას — სამყაროში ყველაფერი ღირსია ბოლომდე ასახვისა და დახარჯვისა. „საგაზაფხულო ალსარებაში" სრულიად გულწრფელად არის ნათქვამი, რომ ადამიანი თავის ბუნებას ყველაზე დიდი ნეტარებით გაზაფხულზე ემორჩილება:

**ჩემს სულს რა ვუთხარი,**
**დედაო, გული კი**
**საშინლად ლამაზი ცოდვისთვის მაქეზებს!**
**თქვენს ძაძებს ვემთხვევი**
**და ხელებს გიკოცნით!**
**უნდა მაპატიოთ, დედაო!**
**გაგენდეთ...**

ჯიუტი და მოიმედე ლირიკული გმირი თავგამოდებულია საკუთარი ადგილისა და როლის გაცნობიერებისას; გამუდმებით აკვირდება საკუთარ გრძნობებს, შეგრძნებებს, ირგვლივ მყოფთა დამოკიდებულებას და ასე ცდილობს იმ სამყაროს გაგებას, მხოლოდ მისი და მისთვის გამიზნული როა.

ძალიან კარგი სახეა „ვნების დაკრძალვის პროცესია" სწორედ იმ მომენტში, როცა „დენის მავთულებზე თავს იკლავს წვიმა". ასევე კარგი და ორიგინალური სიმბოლიკით გამოირჩევა არაერთ ლექსში ნაღალატევი და იმედგაცრუებული, მაგრამ მაინც მტკიცე და ჯიუტად მოიმედე ლირიკული გმირის სულიერება.

ხილვები და მისტერიები გოლგოთასთან, ქრისტესთან, ბრბოსა და ცოდვასთან არის დაკავშირებული. ასევე შთამბეჭდავია ათას ერთი ღამის მისტიკური განცდა და ამით ვარირება. გარდა მისტიკისა, ძალიან დიდი დოზით არის წარმოდგენილი სავსებით ხელშესახები, თვალშესავლები და რეალური განწყობილებანი, როცა ლირიკული გმირი გონებით აღიქვამს და აფასებს მის გარშემო არსებულ სინამდვილეს.

იმავდროულად ჩვენს ყურადღებას იქცევს რეალურისა და მისტიკურის გადმოცემის სიცხადე და მონაცვლეობაც. თანაც ძალიან იოლად შესამჩნევია ნუციკო დეკანოზიშვილის ინტელექტი, მისი სიფაქიზე და მძაფრი შეგრძნებები. არ არის აუცილებელი, ახლოს იცნობდე პოეტის მთელ შემოქმედებას, ცალკეული სტრიქონები და პასაჟები ადვილად გვაგრძნობინებენ ამ საინტერესო და მრავალი წინააღმდეგობის მქონე სულიერ განცდებს, მის საუკეთესო მხარეებს, მის ნიჭსა და შესაძლებლობებს.

ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტურ კრებულში **„ამინდები ბის-ზე"** პიროვნული სილაღე და გენეტიკური ნიჭიერება მომხიბვლელად ერწყმის ერთმანეთს. ეს წიგნი მართლაც სასიამოვნო საჩუქარია იმ მკითხველისთვის, ვისაც პოეზია უყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ტურავა

# დაგრუნტული ფონი

*

## ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „მარჯვნიდან მარცხნივ"

„ლიტერატურული გაზეთის" ივლისის ნომერში ( 54) დაიბეჭდა ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „მარჯვნიდან მარცხნივ". პუბლიკაციას აქვს მინაწერი — „ერთი მოთხრობის კონკურსის გამარჯვებული. II პრემია". ეს კონკურსი „ლიტერატურულმა გაზეთმა" 2010 წლიდან წამოიწყო. წელს ნომინანტები 20 მაისს გამოვლინდნენ. კონკურსს ავტორიტეტული ჟიური ჰყავდა: ზაალ სამადაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, ივანე ამირხანაშვილი, მიხო მოსულიშვილი, ირაკლი ჯავახაძე.



საკმაოდ საინტერესო და მრავალშრიანი მოთხრობაა, მთავარი სიუჟეტის მიღმა სხვასაც რომ იმარხავს, სათქმელს სტრიქონებს შორისაც რომ გეუბნება, ტექსტი და ქვეტექსტი რომ განსხვავებულია, ბევრ საფიქრალსაც რომ გიტოვებს, მაგრამ არ გძაბავს, არ გღლის... ენობრივი ქსოვილი, ფაქტურა მარტივია, ხელოვნური სირთულეების გარეშე, თხრობა საინტერესო, ჩამთრევი.

ამბავიც არის, ასე რომ აკლია თანამედროვე მწერალთა მოთხრობებს, შემოქმედებას ზოგადად. მოქმედება ხან აქ მიმდინარეობს, ხანაც ეგვიპტეში, თხრობაც უკულმა იწყება, მოთხრობის სათაურის მსგავსად — მარჯვნიდან მარცხნივ... ერთგვარ ქვესათაურებად, დღიურებად თუ თავებად დაყოფილი თხზულების პირველი ამგვარი გაჩერებაა — წყვდიადი. შესაქმის წყვდიადს ჰგავს, სიცარიელიდან და სიბნელიდან რომ ამოზარდა ადამიანები, ეს ორი — ქალი და მამაკაციც პირველ ადამიანებს ჰგვანან, ერთმანეთის აღმოჩენის სურვილითა თუ სიხარულით და გაუცნობიერებელი შიშითაც. ამგვარია პირველი შეგრძნება, რომელიც მოთხრობის წაკითხვის მერე ოდნავ განსხვავებულ, სახეცვლილ კონტურებს იძენს, თუმცა პრელუდიის უცნაური განცდა მაინც ბოლომდე გამოგდევს...

ათვლის ადგილი ეგვიპტეა, დიდი კულტურისა და წარსულის ქვეყანა, დღეს მსოფლიო ტურიზმის ცენტრადაც რომ ქცეულა, ამიტომაც დაუკარგავს თვითმყოფადობა, დანარჩენ მსოფლიოს დამსგავსებია. თუმცა მთელი ეგვიპტე არა! ბედუინებს დღემდე შეუნარჩუნებიათ თავიანთი ეთნიკურობა, აქ გამორიცხულია სისხლის აღრევა და შერეული ოჯახები. და მაინც... ბედუინებიც კი უცხოელ სტუმრებს ავთენტურობა დაკარგული სამზარეულოთი უმასპინძლდებიან, რადგან მარკეტინგი მათთვისაც მნიშვნელოვანია, ველურ ბედუინურ საჭმელს აღარავინ დაყაბულდება, ამიტომაც მზად არიან ყველაფერი ლამაზად შეფუთონ, სასაქონლო სახე მისცენ.

სწორედ ბედუინებთან, ხელისუფლებასთან ოპოზიციურად განწყობილ, მარგინალ ხალხთან მოხვდება ეგვიპტეში სამოგზაუროდ ჩასული უშვილო წყვილი — სოფო და დათო, რომლებმაც ქვეყანაში მომხდარი არეულობის გამო მხოლოდ ტაბაში ყოფნა და ბედუინებთან ეგზოტიკური სტუმრობა მოახერხეს. ჩვეულებრივი წყვილია, ორი წელია ერთად არიან, საერთოც დაუკარგავთ ამ ხნის მანძილზე და სალაპარაკოც, ყველა თავიანთ პრობლემას უშვილობას აბრალებენ...

ბედუინებთან მიწვეული ქართველები უცნაურ თრიაქს მოსწევენ, ბანგი, რაღაც საიდუმლო, თითქოს ერთგვარად აერთიანებს ამ შვიდ ადამიანს, დროებით, ძალიან ცოტა ხნით, გააერთიანებს სოფოს და დათოსაც. ნირვანაში მყოფი სოფოსთვის ეს გარემო ერთდროულად რეალობაც არის და თავისი ნახატიც, მხატვრული ტილოცაა და სინამდვილეც. სოფო პროფესიით მხატვარია და გათხოვების მერე არაფერი დაუხატავს, ეგონა, ვერც ვერასოდეს დახატავდა... დათოსთან თანაცხოვრებამ იგი, როგორც მხატვარი მოკლა... ნაფაზებშესუნთქული კი თითქოს თავისავე ნახატში შესახლდა და ისევ დაიბრუნა შემოქმედების, შექმნის უნარი.

თუმცა ამ ნახატის ბოლო აკორდი მას ნამდვილად არ ეკუთვნის, „რაღაც მომენტში მთელი მისი პალიტრა ერთმანეთში აირია და ამდენი ხასხასა ფერისაგან ერთი მუქი ტალახისფერი შეიზილა." სოფო გრძნობდა, რომ მას ბედუინის უხეში თითები მთელ სხეულზე ეხებოდა. სხვა უხეში მხატვარი მის ნამუშევარს ჩარჩოზე გადაჭიმულ დაგრუნტულ ფონად იყენებდა და ზედ ახალ, უცხო ძალებს გამოსახავდა. ამ მხატვარმა მთელი მისი აწმყო და მომავალი შეცვალა... სამშობლოში დაბრუნებულმა სოფომ აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო... ორი წითელი ზოლი და მათ შორის დარჩენილი პატარა სივრცე... ჯიუტად მიანიშნებდა ახალ სიცოცხლის ჩასახვას. არ იცოდა ვის ნაყოფს, ვის გაგრძელებას, ვისი სულის გამოძახილს ატარებდა სხეულით. „ასე იყო ჰაერში გამოკიდებული, როგორც არაბული უდროო ზმნები, რადგან ამ ენაში არ არსებობს დროის კატეგორია. არ არსებობს ათვლის წერტილი, რომლის შემდეგაც მომავალი იქნება და რომლამდეც — წარსული. არსებობს მხოლოდ ყოფნა და გარდაუვალობა — რეალობა, რომლის დატევაც მას არ შეეძლო."

ეს მოთხრობა ერთგვარ აპოკალიფსურ რეალობას გვიხატავს, როცა წარსული, აწმყო და მომავალი, შენი და სხვი-

სი, თვითმყოფადი და კაცობრიული ერთმანეთშია აღრეული, როცა მოშლილია ზღვარი, მიჯნა, როცა არც ბედუინია ეთნიკურად სუფთა და არც ქართველი საკუთარი თავის მეუფე. როცა ვიღაცა თავისი უჩინარი ხელით წარმართავს ცხოვრებას, ცვლის რეალობას. მაგრამ... ამ გაუსაძლის „ყოფნას" მეორე მხარეც აქვს, რადგან სამყაროში არაფერია სწორხაზოვანი, არაფერია ცალსახა და მარტივი — ეგვიპტიდან დაბრუნებული სოფო ყოველ დღე ახალ ნახატს ხატავს და ახალ სიცოცხლესაც — გაურკვეველს, იდენტურობადაკარგულს, მაგრამ მაინც სიცოცხლეს დაატარებს...

მართალია, ამ ახალ სიცოცხლეს არავინ დაუზღვევს, რადგან ორსულებს საერთოდ უარს ეუბნებიან სადაზღვევო მომსახურებაზე, რადგანაც ისინი ადამიანთა სხვა კასტას მიეკუთვნებიან... ამგვარი გადახვევებით, ყოფითი დეტალებით ეკა ტოგონიძე თითქოს ანელებს მოთხრობის დრამას, თითქოს სხვა სიბრტყეში გადაყავს თხრობა.

სწორედ ეს ყველაფერი — კომპოზიციის ტეხილები, მოქმედება გაურკვეველ დროსა და რეალობაში, უკუღმა ნაკითხვის, „მარჯვნიდან მარცხნივ" არსებობის შესაძლებლობა ანიჭებს ამ პროზაულ ნარატივს იმ ინტერესს, რომლის შესახებაც წერილის დასაწყისში ვსაუბრობდით. ამიტომაც სრულიად ბუნებრივი და გასაგებია მისთვის მინიჭებული საკონკურსო პრემია. ჩვენში ასე რიგად სახელგატეხილ ლიტერატურულ პრემიებშიც გამოერევა ზოგჯერ სამართლიანი, ობიექტური კონკურსები და გადაწყვეტილებანი, ღირსეული კონკურსანტები და გამარჯვებულები.

---

შალვა საბაშვილი

# „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია"

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" 2010 წლის 26 -ში გამოქვეყნდა გურამ პეტრიაშვილის საინტერესო წერილი „არა ნიჭითა ერთითა". მინდა მივესალმო ამ მაღალი გემოვნების ჟურნალის ფურცლებიდან ავტორს, რომელთანაც გულითადი ურთიერთობა მაკავშირებდა სტუდენტობის შორეული წლებიდანვე, და რამდენადმე განვავრცო აღძრული თემა.

გურამ პეტრიაშვილი ყოველ საკითხთან შეხებისას ახერხებს მოულოდნელი ასპექტების მიგნებას და მკითხველზე ზემოქმედებასაც ახდენს. ასეა ამ წერილშიც. საპოლემიკო თითქმის არაფერი მაქვს. პოლემიკური თვით ავტორია, რომელიც ერთდროულად ორი პოეტის აზრს ეკამათება — გალაკტიონ ტაბიძისას და მურმან ლებანიძისას. უფრო სწორად, პირველი წარმომთქმელია იმ აზრისა, მეორე კი „მთხრობელი", ანუ მისი მიმტანი მკითხველთან. თვით აზრი კი ისაა, რომ პოეზიაში ნიჭია მთავარი. მათგან განსხვავებით, გურამ პეტრიაშვილს მიაჩნია, რომ ნიჭი არაა საკმარისი, და რომ მასზე არანაკლები როლი ოსტატობას ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლად კი ჯერ განიხილავს მურმან ლებანიძის ლექსს: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი" და აჩვენებს, რომელ კონკრეტულ პოეტურ ხერხებს ემყარება მისი საოცარი შთამბეჭდაობა, მერე კი მოჰყავს „ლურჯა ცხენების" ორი ვარიანტი და ასევე დამაჯერებლად არწმუნებს მკითხველს ბოლო ვარიანტის უმჯობესობაში, აგრეთვე იმაშიც, რომ ეს გაუმჯობესება გალაკტიონის მაღალი ოსტატობის წყალობით მოხდა.

ყოველივე ეს აშკარაა და გასაგები. რამდენადმე დასაზუსტებელი ჩანს მხოლოდ ცნებათა ის სისტემა, რომლითაც ავტორი თავის აზრს აყალიბებს. სახელდობრ კი, იგი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ცნებას: „პოეტს" და „ოსტატს". უფრო ზუსტად, მის მიხედვით „პოეტი" ქმნის ლექსის პირველსახეს, „ოსტატი" კი ხვეწს მას და აძლევს საბოლოო ელვარებას. სხვანაირადაც შეიძლება ითქვას: „პოეტი" თითქოსდა უიგივდება „მუზის" მოსვლას, ე.ი. ავტორში ლექსის შექმნის სურვილისა და სათანადო განწყობის, ანუ სულის განსაკუთრებული, „პოეტური" მდგომარეობის აღმოცენებას, „ოსტატი" კი - აღძრული სურვილის მატერიალურ (სიტყვიერ) რეალიზებას, ლექსის ფაქტობრივ შექმნას. ისე, ამ მოსაზრების გაზიარება მეც შემიძლია, მაგრამ თვით ავტორის შეხედულება მთლად ასე თანამიმდევრული არაა — იგი უფრო მის წინა ვარიაციას უახლოვდება, ე.ი. „ოსტატის" გამოჩენა მას თითქოსდა უფრო მოგვიანებით, უკვე დაწერილი ლექსისათვის საბოლოო, დახვეწილი სახის მიცემის ეტაპზე ესახება. მართლაც, იგი წერს: „ გალაკტიონმა ოსტატმა ურჩია გალაკტიონ პოეტს, შეცვალეო („უხერხული ასოციაციების" გამომწვევი ფრაზა „ვით ქალის ხმოვანება ვნების სიმხურვალეში", შ.ს.) და გალაკტიონმა პოეტმა ასე შეცვალა: „ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში". და შემდეგ: „ოსტატს რომ არ ეთქვა პოეტისათვის, შეცვალეო, ხომ ძველი (აშკარად სუსტი) სტრიქონი დარჩებოდა ლექსში".

მაგრამ ჩვენც ხომ შეგვიძლია ვიკითხოთ: სად იყო „ოსტატი" მაშინ, როცა პირველი, „უხერხული" ვარიანტი იწერებოდა? რატომ უმალვე არ ჩაერია? ნუთუ იგი მხოლოდ ლექსის დაწერის მერე გამოვიდა ასპარეზზე? განა ის თავიდანვე არ მონაწილეობდა ლექსის შექმნაში? როგორც ჩანს, ავტორი ფიქრობს, რომ „ოსტატის" ჯერი მოგვიანებით დგება, როცა შთაგონება, ანუ პოეტური ექსტაზი დამთავრებულია, ამიტომ უფრო ადვილიცაა ცივი გონებით გაჩხრეკა დაწერილისა, შეუსაბამობათა აღმოჩენა და გასწორება. ეს აზრიც გარკვეულწილად გასაზიარებელია (თუმცა მის ფარგლებში აუხსნელი ხდება, როგორ ახერხებს „პოეტი" „ოსტატის" ასპარეზზე გამოსვლამდე უამრავი ბრწყინვალე სტრიქონის შექმნას, რომელთაც გადაკეთება აღარ სჭირდებათ). მაგრამ განა ასევე წარმატებით არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რამდენადაც მოგვიანო სახეები ბევრად შთამბეჭდავია მათ თავდაპირველ ფორმებზე, მათ მიგნებასაც მარტო „ოსტატის" სიფხიზლე არ ეყოფოდა და ამაში რაღაც დოზით უნდა მონაწილეობდეს „პოეტიც" ანუ შთაგონებაც? ეს ბევრად ბუნებრივია. ყველაზე ბუნებრივი კი იმისი ფიქრია, რომ შთაგონებაცა და მხატვრული ანალიზიც, ანუ „პოეტიც" და „ოსტატიც" ლექსის შექმნის თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულყოფის აბსოლუტურად ყველა ეტაპზე მონაწილეობენ, ცხადია სხვადასხვაგვარი ნარმატებით. ამ მიდგომით, ნიჭი არის ჯამი ორივე ამათგანის, ანუ პოეტური სულისა და ლექსის წერის ტექნიკისა. თითოეული აუცილებელია მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის (შთაგონება რომ მუდამ უპირველესია, კერძოდ დახვეწის ეტაპზეც, ამას ისიც მოწმობს, რომ გალაკტიონს არაერთხელ გაუუარესებია თავისივე სტრიქონები სწორედ მოგვიანებით, „დახვეწის“ ეტაპზე, როგორც ამას ვახტანგ ჯავახაძეც ბრძანებს და რაშიც ყველას შეუძლია თვითონვე დარწმუნდეს). და სწორედ ნიჭის ამგვარ გაგებას გულისხმობდა ალბათ გალაკტიონი, თუ მან მართლაც თქვა ის საკრალური ფრაზა : „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“. ამას ისიც ადასტურებს, რომ მურმან ლებანიძის ლექსში “ლექსის მწერალი ხშირდება”, სადაც ეს ფრაზაა მოტანილი, ჩამოთვლილია სხვადასხვა პოეტთა მოსაზრებანი, თუ რა არის გადამწყვეტი კარგი ლექსის შექმნისათვის: ახალგაზრდობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, საკუთარი ხმა, სიბრძნე, „სტუდენტობის ტაში“ და ა.შ. სწორედ ამ ტერმინებთან დასაპირისპირებლად შემოჰყავს გალაკტიონს „ნიჭი“ და არა ოსტატობასთან, რომელსაც „ნიჭის“ ორგანულ შემადგენლად მიიჩნევს. ესეც არ იყოს, „პოეტისა“ და „ოსტატის“ ცნებათა ურთიერთდაპირისპირების უხერხულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ლექსთა განხილვისას არა განყენებულად ოსტატობაზე, არამედ სწორედ „პოეტურ ოსტატობაზე“ წერენ ხოლმე, რაც განსახილავი კომპონენტების მჭიდრო სინთეზს გულისხმობს! კაცმა რომ თქვას, გურამ პეტრიაშვილი წინასწარ გრძნობს ამგვარი მსჯელობის შესაძლებლობასაც და გარკვეულად იზიარებს კიდეც მას (რითაც, ლოგიკურად თუ განვსჯით, უკანვე მიაქვს თავისივე საყვედური გალაკტიონისადმი თითქოსდა მისგან ოსტატობის როლის დაკნინების გამო), ასე რომ, მე მას არც ვეკამათები, თუმცა სავსებით ვეთანხმები გალაკტიონს „ნიჭის“ ზემოახსნილი, ზოგად-უნივერსალური გაგების შემთხვევაში.

ვიმეორებ, ამ საინტერესო წერილმა მიბიძგა ახალი ასპექტის წამოწევა, სახელდობრ კიდევ ერთხელ გამახსენა გალაკტიონის მეორე ლექსი. ოღონდ სანამ მას მოვიყვანდე, ჯერ უნდა დავსვა კითხვა: რას ნიშნავს მურმან ლებანიძის ლექსის მთავარი ფრაზა: „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია“? თანამედროვე, ახალგაზრდა მკითხველი ალბათ ვერც მიხვდება, რისი თქმა სურს ავტორს - სამშობლო რომ ერთადერთია, ეს ცხადია თვით სამშობლოს განსაზღვრებიდან - ესაა ქვეყანა, რომლის შვილიცაა ესა თუ ის პიროვნება. მაგალითად, როცა რაფიელ ერისთავს სამშობლოს უზენაესობის გამოხატვა სურს, გვეუბნება, რომ ის არ გაცვლის თავისი ქვეყნის უბრალო კლდეებსაც კი „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, ანუ ამბობს,

### შეცდომის მიზეზი

რეი ბრედბერის რომანის სათაურად “451 გრადუსი ფარენჰაიტით” იმიტომ შეირჩა, რომ თითქოს ამ ტემპერატურაზე ალდება ქაღალდი (რომანის სიუჟეტში კი, გახსოვთ, მთავრობა ცდილობს მოსახლეობას ჩამოართვას და ცეცხლს მისცეს ყველა წიგნი). სინამდვილეში ქაღალდის წვისთვის საჭიროა ოდნავ მეტი 450 გრადუსზე ცელსიუსით და არა ფარენჰაიტით. ბრედბერიმ აღიარა, შეცდომა იმიტომ მომივიდა, სათაურის შერჩევისას კონსულტაციისათვის სახანძრო სამსახურის სპეციალისტს მივმართე, რომელსაც, როგორც ჩანს, ტემპერატურული შკალები ერთმანეთში აერიაო.

რომ სამშობლო („სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,...“) ყველა მხარეს ურჩევნია, ხოლო აზრადაც არ მოსდის თქვას, რომ არცერთი სხვა მხარე მისი სამშობლო არაა - ეს მას თავისთავად ცხად ჭეშმარიტებად მიაჩნია (თუმცა სამართლიანობისთვის ვიტყვი, რომ ცნება „მეორე სამშობლოს“ ხანდახან მაინც ხმარობენ ხოლმე პირობითი აზრით). მაგრამ საქმე ისაა, რომ თავისი ლექსით მურმან ლებანიძე დაუპირისპირდა იმ დროის სახელმწიფოებრივ დოქტრინას, რომელშიც შეიქმნა ლექსი. ამ დოქტრინით, რომელსაც თავს ახვევდნენ უზარმაზარი საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრებს, ყოველ „საბჭოთა“ ადამიანს, გარდა მისი ისტორიული სამშობლოსი (ვთქვათ, რესპუბლიკისა), მეორე სამშობლოც ჰქონდა ერთიანი საბჭოთა კავშირის სახით. ცხადია, ამ აზრსაც გარკვეული გამართლება მოეძებნებოდა - ამ დიდ ქვეყანაში შემავალ ყველა ხალხს მართლაც ჰქონდა თანაცხოვრების, ისტორიის საგრძნობი საერთო პერიოდი, თუნდაც მსოფლიო მასშტაბის კაცობრიულ ომში მონაწილეობა და საერთო აწმყო. არც ისაა უცხო, ვიგულისხმოთ, რომ ერთგვარად ჩვენი სამშობლოა ევროპა, ან სულაც პლანეტა დედამიწა, ან - მზის სისტემა თუ ირმის ნახტომის გალაქტიკა - ეს ბუნებრივია (საკუთარი სოფლით თუ გვარით შემოფარგვლა აკნინებს ადამიანის სულს). მაგრამ ზემოაღნიშნული დოქტრინა პერსპექტივაში ერთა დაახლოება-შერწყმას, ხოლო თუ პირდაპირ ვიტყვით - მათი უმეტესობის შთანთქმა-გაქრობას გულისხმობდა ყველაზე მრავალრიცხოვანი ერისა და მისი ენის მიერ, და ამდენად უაღრესად სახიფათო იყო. ამიტომ დაუპირისპირდა მას მურმან ლებანიძე და უდიდესი გაბედულებით განაცხადა მსოფლიოს წინაშე, რომ მისი (ჩვენი) სამშობლო მხოლოდ და მხოლოდ საქართველოა და არაფერი სხვა მის გარდა. ხოლო რადგანაც ეს გაცხადება მაღალპოეტური ხერხებით მოხდა, ლექსმაც უმალვე მოიპოვა საერთო-სახალხო პოპულარობა.

ახლა კი მოვიყვან გალაკტიონის ზემოდანაპირებ ლექსს (რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, 1973):

**ოფორტი**

**ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი,**
**რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი,**
**ამ სივრცეებში მყავს დამარხული**
**ზამთარი ცივი და ნაზავთარი.**

**მისი ელამ მზის თვალის ხილება**
**ეშორეება ჰაერს არეულს,**
**მხოლოდ ტყემლების აყვავილება**
**ხეებს რიდეებს ფენს სიზმარეულს.**

ფერუმარულის სახით ცხედარი -
მარმარილო დგას, როგორც მუმია,
გაყინულია, თითქო, მხედარი
და იდუმალ სნუხს: რა სიჩუმეა!

რა სიჩუმეა! როგორ აჩნია
გზებს ნაკვალევი არ საამსოფლო,
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა აკავშირებს ამ ლექსს ჩვენი საუბრის თემასთან - ესაა ფრაზა: „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია", რომელიც განვრცობილი (14-მარცვლიანი) ფორმით სამჯერ მეორდება მურმან ლებანიძის ლექსში. ის, რომ ეს ფრაზა თუ პოეტური ფორმულა უმთავრესია ამ ორივე ლექსიდან თითოეულის იდეური არსისა და ასევე მათი პოეტური არქიტექტურისათვის, სრულიად აშკარაა, ამიტომ ორი პოეტის ეს შეხვედრაც განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტი ხდება.

ამგვარი ფრაზეოლოგიური დამთხვევები პოეზიაში ხშირია, თუნდაც სხვადასხვა ეპოქისა თუ გეოგრაფიის ავტორთა შორის. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუმცა ეს ლექსი შესაძლოა გალაკტიონის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებებს არ მიეკუთვნებოდეს, მაინც შემთხვევით შეხვედრაზე საუბარი შეუძლებელია - მურმან ლებანიძე გალაკტიონის ზემონახსენები „რჩეულის" ერთ-ერთი შემდგენელია, ეს კი ნიშნავს, რომ ამ რჩეულის თითოეული ლექსი არაერთხელ ექნებოდა წაკითხული, შეფასებულ-გაჩხრეკილი და გააზრებული. მართალია, „უფლისციხესთან..." ამ რჩეულის გამოსვლამდე ერთი წლით ადრეა დაწერილი, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სწორედ რჩეულის შედგენის პერიოდს ემთხვევა და, მეორეც, მის მანამდე წაკითხვასაც არაფერი ედგა წინ (თვით „ოფორტი" 1918 წლითაა დათარიღებული). მაშ რა ფიქრები შეიძლება აღგვიძრას პოეტის მიერ ამ ფრაზის შეგნებულმა გამოყენებამ?

ჯერ მოკლედ გამოვთქვამ ჩემს დამოკიდებულებას ამ ლექსის მიმართ (საერთოდ ის იმსახურებს ღრმა განხილვას) - ესაა უზადო, განსაცვიფრებელი პოეტური ხილვებით დატვირთული ლექსი, წმინდა პოეზიის სიზმარი, ამქვეყნიურობიდან იმქვეყნიურ მარადიულობაში გადამყვანი მგზავრობა, თავისი „სივრცეებში ჩამარხული ცივი ზამთრით", რომლის „ელამი მზე" „არეულ ჰაერში" ალბათ მრავალ ადამიანს დაულანდავს, მაგრამ სწორუპოვარი ჰანგით მხოლოდ გალაკტიონმა გამოსახა. და მეორე - აქ მიგნებულია ის მარადიული ნათელი (თოვლის სითეთრე), რომელიც გალაკტიონის პოეზიის და, შესაძლოა, საერთოდ პოეზიის აღმომცენებელი, ანუ მისი სამშობლოა. ამ გაგებით, შეიძლება ეს ლექსი იყოს ავტორის ყველაზე დიდი მიახლოება წმინდა პოეზიასთან, იმაზე მეტი, ვიდრე მან სხვა, ბევრად უფრო მონუმენტურ ლექსებში შეძლო. ესაა პოეზიის სულში ჩახედვა, მასთან შერწყმა და საბოლოო გაქვავება, თითქოსდა პოეზიის წარმომავლობის ამოხსნა. ამ დიდი სიმაღლიდან თითქოს ადგილიც კი აღარ რჩება იმისათვის, რომ გამოვთქვათ აღფრთოვანება სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი ყველაზე საოცარი გამოვლინების, ეპითეტ „არ საამსოფლოს" მიმართ, ან, პირიქით, დაგვაფიქროს იმან, რომ პოეტი ამ ლექსში, ისე როგორც სხვა რამდენიმე ნაწარმოებში, არაზუსტი ფორმით იყენებს სიტყვა „ფერუმარილს" (ვიმეორებ, ლექსი ღრმა გააზრებას ითხოვს) — აქ ბევრად მაღალი ჭეშმარიტებანია მიმოფენილი.

ხოლო რაც შეეხება მურმან ლებანიძეს, უკვე ვთქვი, რომ „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი" გაბედული პოლემიკაა სამშობლოსათვის საშიშ იდეოლოგიურ ძალასთან. ასე რომ, მასში გალაკტიონის პოეტური ფორმულა „ოფორტის" წმინდა პოეტური პრობლემატიკიდან გადატანილია სულ სხვა, ეროვნულ-პატრიოტულ სიბრტყეში და შთამაგონებელი ძალის ახალი მხატვრული ნაწარმოების ხერხემლადაა ქცეული (საკითხის სხვა ასპექტებზე აღარ შევჩერდები). ამ მხრივ ყველაფერი ნათელია. მაგრამ ჰიპოთეზის სახით ასეთ კითხვასაც ვსვამ: ხომ არაა მურმან ლებანიძის ამ ლექსში კიდევ მეორე, უხილავი პოლემიკა, ამჯერად „ოფორტის" ავტორთან, და ხომ არ გვიცხადებს მისი საშუალებით პოეტი, რომ პირადად მისთვის, ამ ლექსის სივრცეში მაინც, საყოველთაო ღირებულებებს შორის უპირველესია სამშობლოს, საქართველოს მარადიულობა და ბრძოლა მისი გადარჩენისთვის, და რომ სანამ მისი ქვეყნისთვის საშიში საფრთხე არსებობს, იგი მის სადარაჯოზე რჩება და განზე სდებს წმინდა პოეზიაში ჩაღრმავებას? ცხადია, ამავე აზრის თანახმიერ უთვალავ ელვარე სტრიქონს იგი თვით მისი სათაყვანებელი გალაკტიონის შემოქმედებაშიც ხედავდა („სამშობლო უმთავრესია", „აი პირველი, აი პირველი, რის სიყვარულიც მე მისწავლია",...). ამიტომ აღნიშნული სახის „გადააზრება" თუ მართლაც ერთგვარი შეპაექრებაა, იგი ანაზდეული და ფორმისმიერია და არა არსისმიერი. ამ წუთას ის აზრიც კი გამიკრთა, რომ შეიძლება ეს იყოს შეკამათება არა თვით პოეტური ფორმულის ავტორთან, არამედ საკუთარივე სულის იმ ნაწილთან, რომელიც მას დროდადრო წმინდა პოეზიისკენ იზიდავდა. მაგრამ შექმნილ უჩვეულო სიტუაციაში ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. ხოლო როგორია ჩემგან დასმული კითხვის პასუხი, ამას მურმან ლებანიძე ველარასოდეს გვეტყვის და, შესაძლოა, ვერც სიცოცხლეში უპასუხებდა. ორი პოეტის ამ ლექსთა ნათესაობა კი ნამდვილად ყურადღებამისაქცევი იყო.

არსებობს ადმირალ **ჰორაციო ნელსონის** მრავალი პორტრეტი, რომელზეც იგი გამოსახულია შავი სახვევით თვალზე, რაც სულაც არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. მართალია ადმირალი დაჭრილი იყო თვალში და თითქმის ვერ ხედავდა, გარეგნულად თვალი არ დაზიანებულა და სახვევის ტარება სულაც არ ყოფილა საჭირო. ამის დასტურია ნელსონის სიცოცხლეში შესრულებული ყველა პორტრეტი. მხოლოდ ადმირალის გარდაცვალების შემდეგ დაიწყეს მისთვის თვალის ახვევა, ეროვნული გმირისათვის მეტი შარავანდის მისანიჭებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# განდობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმში წელს უკვე მეოთხედ გაიმართა კონკურსი სახელწოდებით „მცირე პროზა". კონკურსს საფუძველი 2007 წელს ჩაეყარა და ყოველ გაზაფხულს, მაისის თვეში ტარდება.

მუზეუმის დირექტორის, ნანა ელიზბარაშვილის მშვენიერი ინიციატივა, ყოველწლიურ სტუდენტურ ღონისძიებას უმასპინძლოს ჩვენი კულტურის შესანიშნავმა კერამ, მყისვე აიტაცა ახალგაზრდობამ, ქალაქის მერიამ, რომელიც კონკურსის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ფინანსური მხარდამჭერია, პრესამ და ტელევიზიამ. ღონისძიებას ეხმაურება ყველა, ვისაც ჩვენი ახალგაზრდობის ბედი გულწრფელად აღელვებს და ძილშიც არ აძლევს მოსვენებას იმაზე ფიქრი, სწრაფად ცვალებად ეპოქაში, კარს მომდგარი გლობალიზაციისა თუ გლობალური დათბობის პირობებში, რას უქადის მომავალი ახალგაზრდობას, რა კუთხით აირეკლება ყოველი მათგანის ცნობიერებაზე არსებული გარემო, სოციალური თუ პოლიტიკური რეალობა, როგორ პროფესიონალებად და, რაც მთავარია, რამდენად ღირსეულ პიროვნებებად ყალიბდებიან.

ქართული სიტყვის მადლიან კალთას შეფარებული სტუდენტები, კონკურსის მეშვეობით კიდევ უფრო თამამად, უფრო მჭახედ, პირდაპირ გვეუბნებიან თავიანთ სათქმელს. იმ ტკივილსა და სიხარულზე მოგვითხრობენ, ყოველდღიურობის თავბრუდამხვევ ფერხულში ჩაბმული მშობლები ხშირად რომ ვერ ვამჩნევთ, ვერ ვაყურადებთ, დროის დეფიციტის საბაბით ვერ ვუსმენთ ჩვენ შვილებს, ან უბრალოდ, თვალს ვუხუჭავთ სიმართლეს, რომელსაც ასე შეულამაზებლად, ახალგაზრდობის მთავარი იარაღით, უკომპრომისობითა და გულწრფელობით აღჭურვილნი გვთავაზობენ ზნეობრივი თუ უზნეო, წარმატებული თუ მარგინალიზებული თანატოლებისა და უფროსების, საკუთარ თავს გადამხდარ ისტორიებსა თუ ფანტაზიის ნაყოფს.

ახალგაზრდების მიერ შექმნილი მცირე პროზის ნიმუშები ხშირად იმ ინექციის ფუნქციას ასრულებს, ასე რომ სჭირდება დღეს, ცხოვრების მდინარებას თავმინებებულ დაღლილ თაობებს, მრავალი გასაჭირი რომ გამოიარეს. ბევრი სოციალურ სიდუხჭირესა და ზნეობრივ კრიზისს არ დანებდა, ბევრმა გაუძლო, მაგრამ ბევრიც დინებას მიყვა და ამ ბრძოლასა და ჭაპანწყვეტაში ხელიდან უმთავრესი ღირებულება გამოეცალა, შვილების ბედი — თაობებისა, ხშირად ველური უდაბნოს მცენარეებივით, ეკლები რომ აისხეს და მშობლებთან დიალოგს მიუჩვეველნი, მიუკარებელნი გახდნენ, გაუცხოვდნენ, ხან ჭეშმარიტ ფასეულობებს განერიდნენ, ხანაც ნუთიერი ტკბობით, მატერიალური სიკეთით გაბანგულნი საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმის მომნუსხავ ველში აღმოჩნდნენ.

ახალგაზრდებისთვის გამიზნული კონკურსები მათ ზრდასა და სულიერ სრულყოფას, ანუ სიკეთეს ემსახურება. უფროსებისთვის კი ერთგვარი ლია გაკვეთილებია, პანია კუნძულებია, რომლებიც უკიდეგანო ოკეანეში იმ აისბერგებივით ამოზიდულან, საიდანაც ჩვენი სულისა და სხეულის განუყოფელი ნაწილები უკეთ მოჩანს და საგანგაშო სიგნალებს იძლევა.

იმედია, წლობით გამრუდებული მარშრუტებით მიმავალი ჩვენი ხომალდებისთვის ისინი შუქურებად იქცევიან, წმინდა ტაძრის ზარებად, რომლებიც დროულად თუ არ დავარისხეთ, ყველანი ერთად, შესაძლოა, ოკეანის ტალღებით უსასოოდ გარშემორტყმულნი, ერთფეროვნებისა და უსახურების ფსკერზე აღმოვჩნდეთ.

ნუგეშის მომცემია, რომ ახალგაზრდები ამ ყველაფერს ხედავენ, მძაფრად აღიქვამენ და სტკივათ. და რაკიღა ნიჭიერება, დანახვისა და შეფასების უნარი მათთვის გენეტიკურ გარდუვალობად ქცეულა, იმედია, უკეთესი მერმისისთვის ბრძოლის ტემპს არათუ დააგდებენ, გააძლიერებენ კიდეც.

ამ რწმენით ვთავაზობთ „ჩვენი მწერლობის" მკითხველს სამი ნომინანტის: ირაკლი შამათავას, ვიქტორ სულაქველიძისა და გრიგოლ ჩაჩუას სამ ნაწარმოებს, სადაც ისინი თავიანთ ყველაზე სანუკვარ ფიქრებს, მათთვის მოსახერხებელი და ესთეტიკურად მისაღები ფორმით, საინტერესო მხატვრული ხერხებით გვთავაზობენ და ახალგაზრდულ ძიებათა ნაყოფს, თანამედროვეობისა თუ მომავლის ხედვასა და განცდას თამამად და შეულამაზებლად გვანდობენ. გვჯერა, განდობის ეს წუთები უქმად არ ჩაივლის ჩვენი მკითხველისთვის.

**ქეთევან ტომარაძე**

ნომინაცია:
**საუკეთესო პუბლიცისტური ხედვა**

**ირაკლი შამათავა**

# დაკარგული სამოთხის ძიებაში

*ღმერთო, ისმინე ვედრება ჩემი! ოი, უფალო, ღმერთო, მამაო ჩვენო ზეციურო, პატრონო, მწყემსო ყოველთა მიწიერთა! რა შეგცოდა კაცთა მოდგმამ ეგეთი, რომ ერთმანეთის სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად აქციე ყველანი?!*

აფხაზი გოგოს დღიურიდან

ზღაპრები არასდროს მყვარებია, ისინი მხოლოდ მაშინ დავაგემოვნე, როდესაც ჩემმა დისწულმა ხელში ასტრიდ ლინდგრენის სახურავის ბინადარი კარლსონი შემომაჩეჩა. თხრობა ფანტასტიკური, ამაღელვებელი ისტორიებით იყო გაჯერებული. ფოტოფირივით აკინძულ ამბავს მუცლით-მეზღაპრე ბავშვურად მიამბობდა. მეც კი, ჭკუადამჯდარს მსიამოვნებდა მოგონებული ტყუილი, შემჭევრებული ამბავი, რომელნი ივლტიან ბილწ-ჰამბობასა[1] და მივხვდი, რომ ბავშვ[ობა]დაკარგულ თაობას ვეკუთვნოდი, რომელსაც ბრძოლის წესები, სამხედრო ლიტერატურა და ომის სურათები თვალწინ გადაუშალეს; ტკივილიანი, სისხლიანი ანბანის გარშემოწერილობით კი შეაგონეს: შენ დაკარგული სამოთხიდან ხარ!.

მოგვიანებით ამავე სახელწოდების ჯონ მილტონის წიგნში ამოვიკითხე:

**ნეტა ესენი ვინ არიან? ხალხს არა ჰგვანან,**
**ალბათ სიკვდილის მთესველები თუ იქნებიან!**
**ასე უგულოდ როგორ ჰკლავენ ადამიანებს?**
**ათიათასჯერ ამძიმებენ ძმის მკვლელის ცოდვას:**
**განა ესენი თავისავე ძმებს არ ხოცავენ!**
**ადამიანი ადამიანს უსპობს სიცოცხლეს.[2]**

რადგან დაკარგული სამოთხის ძიებაში ვარ, როგორც მთხრობელ-პერსონაჟი შევეცდები ის გარემო ავსახო, უკანასკნელად რომ დავტოვე ერთი ნაღვლიანი შემოდგომის მიწურულს. ადგილი, მემატიანემ მოგვიანებით დოკუმენტურად რომ აღწერა.

მდებარეობა: ჩრდილო-დასავლეთ საქართველო;

მოსახლეობა: ეთნიკური აფხაზები;
კონფლიქტის დაწყების წელი: 1992-დან დღემდე...
მხარეები: აფხაზეთი, რუსეთი, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, კაზაკები, საქართველო და ა.შ.

ყველა მსგავს გამოცემას თავს ვარიდებდი; მათ კითხვას სიყრმის ფოტოები და მასზე ხელით მიწერილი წლების გადაფურცვლას ვამჯობინებდი გონებაში. ამჯერად 1991-ს ვიგონებ.

უასაკობის მიუხედავად, ხუხულა[3] გამახსენდა, მიწურზე დადგმული ოდა, ჭასთან დამდგარი ჭანჭახი,[4] ბზით შემორაგული ეზო — დეკორატიული ლობე-გალავანი!.. ფარღალალა მარანი, კალო-საბძელი, ალერდთა[5] ზვინი, ბოსელი და თავლა, ეზოში დაბუდებული სკა, წარწერით სასუტლას მფარველი ანანა-გუნდა [გვიან გავიგე, რომ სასუტლა იგივე ფუტკარი ყოფილა, ანანა-გუნდა კი აფხაზ ხალხში დღემდე შემორჩენილი ტრადიციული რწმენის გადმონაშთი — მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი].

მომაგონდა ბაღში დადგმული საფრთხობელა ა-ლაკუმზა,[6] მარცვლეულთა დასაფქვავად აღმართული ბუჭულა,[7] ბოძებზე შემდგარი ნალია, ხილნარი და თხილის წკეპლის შიშით ნასწავლი პირველი საფორტეპიანო ეტიუდი. მეზმადეღელში დატანებული თახჩა და იქვე მიდგმული ხაფანგი, მუდამჟამს თაგვის საცდუნებლად კაუჭში გაჩრილი სასუნავით. დაბოლოს, მისაღები ოთახის მუდმივი მასპინძელი უცნობი ქალის პორტრეტი,[8] წინასწარმეტყველის შეგონების მიუხედავად, მშვენიერი ქალბატონისთვის ესოდენ საპატიო ადგილი რომ მიეჩინათ.

უაზრო, გამოუსადეგარი საგნებით დახუნძლულ წუთისოფელში უამრავმა დაკარგა ფუნქცია და ნაგავსაყრელის მუდმივ ბინადრად იქცა. სოფელში კი მხოლოდ ბედნიერების მაძიებელთათვის აუცილებელი ნივთები შემოგვრჩა.

თუმცა... ვერ ვიტყვი, რომ ღმერთი ვინმეს დიდად ახსოვდა (არადა, მიკვირდა, განა შეიძლება ბედის მაძიებელი უფალს ერთხელ მაინც სადმე არ გადაყროდა). ხატი რა არის, ერთი ხატიც კი არ გვებადა სახლში. ალბათ იმიტომ, რომ ხატი ხორციელ არსებობას არას მატებს, სულის ნავსაყუდელია. ტაძარში სიარულსაც ვერიდებოდით, აღდგომის დღესასწაულზე კვერცხის წითლად შეღებვასაც. გვასწავლიდნენ: ბუნებაში, თუკი რამ ცოცხალია, სიმწვანის ელფერს ატარებს, წითელი კი მელანქოლიურ, ტრაგიკულ ამბებს გვაგონებსო. ჰოდა, ჩვენც თავს მოხვეული მოძღვრების გამო შეგვძულდა წითელი ფერი.

აღდგომის წინა ოთხშაბათს (ღამით) ვითომდა კუდიანების დასაფრთხობად ცეცხლს დავანთებდით, ჭიაკოკონობის[9] შელოცვებს ვკითხულობდით და ხელსაქმეს თავს ვარიდებდით.

უძილობისგან და საბურავის ნამწვისგან თავატკიებულებს მომდევნო დღეს შემლოცველები უცილობლად გვცტუმრობდნენ ხოლმე. ქაღალდზე დაჯღაბნილ ტექსტს შუბლზე შემოგვაკრავდნენ და თუ ეს მეთოდი არ გაჭრიდა, ჩვენს უგუნებობას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ.

ყოველთვის მაინტერესებდა, რა ეწერა იმ დაჭმუჭნილ ფურცელზე. ერთხელაც მალულად გავხსენი და წავიკითხე: შაკიკი შამოჩვეულა სათიბის ბოლოსა, ასე ხვრემდა რკინასა, როგორც ხარი თივასა!.. გაუწყრა წმინდა გიორგი, გაპარულიყო დილასა!..



(ვაიიიიი, ეს რა გააკეთა ამ ვირეშმაკამ, ჯანგეირი[10] დაუფლებია და ჯადოსანთა საიდუმლო გაացხადა. ახლა ძალას დავკარგავთ და უამისოდ რისი მაქნისები ვართ; აზრსმოკლებული ცხოვრება რა ჯანდაბისთვის მინდა თავშისახლელადო. გულმოსული დედაბერი ილანძღებოდა, მე კი იმ წუთას საკუთარი თავი ყველაზე დიდ ბოროტმოქმედად, ნაღდ დამნაშავედ მიმაჩნდა. მთვარეულია ეს შეჩვენებული, ანდა თვალნაკრავი. სასწრაფოდ ვინმემ წაიკითხოს ალისა, მალისა, თვალმავნებლისა, ფერნაცვალისა, თვალჭრელისა, ჭამჭია, ჭამჭია, თორემ გავგიჟდები ამ სიბერეში!.. თან მამუნათებდა, თუ არ ინამებ, კიდევ უფრო შეგანუხებს თავის გაუსაძლისი ტკივილიო).

ახლა ვიგონებ ამ ამბავს მშვიდად და აუღელვებლად, თორემ მაშინ კუდიანების ძალმოსილებით შეშინებული, დამფრთხალი და სასოწარკვეთილი იმ წუთებს ვწყევლიდი, როცა ქაღალდის ნაგლეჯზე გაურკვეველი ხელით ნაჯღაბნ მაგიურ სიტყვებს ცნობისწადილით ანთებული ვხსნიდი.

ვნების კვირას მომლოცველები ჩუმად რომ შემოგვიტანდნენ ხალანში[11] ამოწვერილ ჯეჯილს, წითელ კვერცხს, სათენეფე ლელენგოსა[12] და პასქებს, დედა მათ უცხო თვალისგან შეუმჩნეველ ადგილას გადაინახავდა, შუაღამეს კარს ურდულს[13] გაუყრიდა და მალულად გვაპურებდა; თან იმის პირობას გვაძლევდა, რომ გაისად კვერცხებს ყაყაჩოსფრად უსიკვდილოდ შეღებავდა.

მამა საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა და მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა. ვინ იცის, ეგებ ჩვენთან სალვთო სჯულიც ინახებოდა, თუმცაღა იესო ქრისტე რომ ნათლობამდე არ გამეგო, ეს ცხადზე ცხადი გახლდათ.

ჩვენ ორდალიების და ხატზე გადაცემის გვჯეროდა.

ამას წინათ წყევლა დავბეჭდე ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში და ან განსვენებული დიდედაჩემის მონაყოლი მხატვრულად აღვწერე.

მოთხრობის პერსონაჟი პილა [უწინ პილატე], ჟამხა დღას[14] უჩვეულო რიტუალს ასრულებდა. საბუხრე ადგილას სანახევროდ წყლით ავსებული და გამურული ქვაბი კავით ჩამოეკიდა. გოდორი, ლიფლიფი,[15] ლუმბა,[16] რკინის ჯვრები, თოკები, დანები, დრუნგილთა[17] ნატეხები მოემარაგებინა და დამნაშავის დასასჯელად კედელზე ლურსმანს აჭედებდა. იდევნებოდა ეს ტრადიცია ეკლესიისგან, თუმცა გამოსყიდვის წესებს ყველა მიმართავდა. რიტუალი ჭყონდიდის ხის მახლობლად სრულდებოდა. მერე ხატზე გადამცემს, ყოველწლიურად სამსხვერპლო ვაცი მიჰყავდა პილასთან და ლოცვას აკითხებდა.

წინასწარ განერილი გეგმით ვცხოვრობდით. უთენია, ხარ-ძროხის საძოვარზე გარეკვამდე საქონელს მოვწველიდით, საკვამურში ცეცხლს დავანთებდით და წინა დღის

ნარჩენ სიმინდს ქათმებს ვაკენკინებდით; გვემსახურებოდა ხალხურ მედიცინაში განსწავლული ექიმი, რომელიც არაფრით სჯობდა დევის-ფრჩხილასა[18] და ალვახაზის[19] დუბელით[20] განმზავებელს. სადღაც გაეგონა ეპაზმის[21] შესახებ და ახლა ცდას ახალშობილზე ატარებდა.

ეს ყველაფერი ტკბილ მოგონებად დამრჩა. მე და მამაჩემი გულმოდგინედ ვაყურადებდით აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. ერთხელაც, რეალობას შევხედე თვალებში და დაკარგულ სამოთხეზე ფიქრს მოვეშვი. ყოველთვის, როცა მხატვრულ ფილმს, „ფესვებს"[22] ვუყურებდით, დასასრულისკენ მეტყოდა ხოლმე მამაჩემი:

ხედავ, შვილო, რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში?!

ის არა, მამა!.. ფერფლი დაბრუნდა, ფერფლი. შევუსწორებდი.

ხომ მაინც დაბრუნდა?! ჩვენც დავბრუნდებით, აუცილებლად დავბრუნდებით. ხომ გჯერა, მამა?

რა თქმა უნდა, ვიტყოდი ნაკლებსარწმუნო, მერყევი ხმით.

ასე გაცილებით სჯობს, იტყოდა მამაჩემი. იმედი თუ ერთხელ მაინც ეწვევა კაცს, აღარასოდეს მიატოვებს.

სამურზაყანოს სისხლიანი დღეები და 1993 წელი დროის ქარავანმა უკან მოიტოვა. ეს-ესაა სამგზავრო მარშრუტით სოფელ რუხს გავცდი და ენგურის ხიდთან ჩამოვბარგდი. ტყავის ბოხჩის ამარა ვარ! ისეთივე ცარიელი ვბრუნდები, როგორც გამოვიხიზნე, ღმერთმანი!... ფილტვებში ვიგროვებ ნოტიო ჰაერს. ჟამთაალმწერელ მდინარის 17-წლოვან ისტორიას რუდუნებით ვაყურადებ. ვხედავ, ერთმანეთში როგორ შეზვირთებულა აფხაზური სიამაყე და ქართული სიდიადე; სმენადაკარგული შარვაშიძე (ენგური) გაღმა ნაპირას დგას და გამოღმით მყოფ დადიანს აქეზებს, დამონებული ხალხის გათავისუფლებას იხვეწება.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს" სიტყვასიტყვით აღვიდგენ: თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ-მეთქი. მე კი იმას ვშიშობ, იქნებ ეს ის მდინარე არ არის, წლების წინათ რომ გადმოვლახე, ეგებ პირდაპირი გზა აირჩია და მზად არის მარწუხში მომწყვდეულმა იდინოს ხელოვნურ წყალსაცავში, საკუთარ კალაპოტს საბოლოოდ ასცდეს და გზა ვერ იპოვოს უკან მოსაბრუნებლად. იქნებ მდინარის წყალს ბალღამი შერევია, სასალბუნე მინერალები კი სადღაც გამქრალა.

ამ ფიქრის მიუხედავად ენგურის წყალი დავლიე და გზა განვაგრძე სტანციისკენ, სადაც სქელკისერა, უადამიანო და პირუტყვული მიხრა-მოხრის, ბრიყვი სახის მესაზღვრე დამხვდა, რომელმაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და ე.წ სამუამავლო 200 რუბლი მომთხოვა. მეც წარვუდგინე ორენოვანი საბუთი, ქართულ-აფხაზური შრიფტით რომ დაებეჭდათ ჩემი გვარ-სახელი.

* * *

ძრავის ხმაზე მივხვდი, დაახლოებით 1982 წლის 24-ი მარკის მანქანაში რომ ვისხედით. საჭეს რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი უჯდა; მის გვერდით პოლკოვნიკი, უკანა სავარძელზე კი მე და ორი სერჟანტი ვისხედით. ბორკილები ძალზე მიჭერდა, რასაც ტყვეობის დამთრგუნველი განცდაც ემატებოდა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლკოვნიკს გაახსენდა თვალების ახვევა რომ დავიწყნოდა და სერჟანტს უბრძანა:

— ამხანაგო სტას, ყოველი შემთხვევისათვის ტომარა ჩამოაცვით ტყვეს თავზე, უკან მისაბრუნებელი გზა რომ ვერ დაიმახსოვროს!..

სიცილიც კი მომინდა ამხანაგის გამგონეს, თუმცა, როგორც კი გამახსენდა უსიამოვნო რუსული დიქციით ნათქვამი: უკან მისაბრუნებელი გზა რომ ვერ დაიმახსოვროსო, მივხვდი, მეფე მათიუს პირველის,[23] ჰეკლბერი ფინისა და ტომ სოიერის[24] მსგავსი თავგადასავალი როდი მელოდა, შუაგულ ომში ვიმყოფებოდი, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა რუს სალდატს მოთმინების ფიალა ავსებოდა და პირდაპირ ჩემ თვალწინ ყუმბარა აეფეთქებინა.

ავტომობილი სამზადი ფაცხის მახლობლად გაჩერდა. ფაცხასთან მოხუცი ფუსფუსებდა. ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობოდა წელში მოხრილი, მეორეთი კოკით წყალს ეზიდებოდა ჭიდან. სტუმრების დანახვაზე ჭიშკრისკენ გამოემართა და აფხაზურად ალაპარაკდა.

ახაშალა[25] მოგიყვანეთ, ახაშალა!.. დასჭექა პოლკოვნიკმა, რასაც ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ თოფის გასროლა მოჰყვა. რუსულიდან თარგმნილი პოლკოვნიკის სიტყვები გვაუწყებდა: მანქანაში საწვავი გამოგველია, ქართველ ტყვეს ცოტა ხნით თქვენთან დავტოვებთ, დეიდა კატო! ოღონდ იცოდეთ, წინანდელივით ნულარ ეცდებით გააპაროთ. თუ გვიღალატებთ, სახლს გადავწვავთ და ბადიშს[26] თვალწინ დაგიხრჩობთ... ექვს დღეში დავბრუნდებით, მანამდე კი ავტომობილსაც თვალყური ადევნე, ვინმემ არ მოიპაროს!..

ხელბორკილი მაინც ახსენით, ითხოვა მოხუცმა.

პოლკოვნიკმა გასაღები გადმოუგდო დედაკაცს, თვითონ კი ხელქვეითებთან ერთად საცალფეხო ბილიკს დაადგა.

წყეულიმც იყოს თქვენი მოდგმა, კაცთა მკვლელებო!.. ჩაიბურტყუნა კატომ. სახეზე შევატყვე, ქართველის სტუმრობა დიდად ეამა.

ხელბორკილი ამყარა, მიწურში დანთებულ ცეცხლთან მიმაფიცხა, ჯარისკაცის თბილი ტანსაცმლით შემმოსა და ვახშამზე მიმიპატიჟა.

ტაბლაზე შებოლილი სულგუნი, შაშხი და მისივე გამომცხვარი პური იდო. ასადუღებლად ბიდონით რძე შემოედგა.

ფაცხის კედელში წიგნების თარო დაეტანებინათ. თაროებზე ოჯახის დიასახლისს რუსულენოვანი ლიტერატურა ჩაემწკრივებინა. იქვე ათი-თორმეტი წლის ბიჭი უსიტყვოდ იდგა და დაჟინებით მათვალიერებდა. ბუხარს ზემოთ იარაღასხმული მამაკაცის პორტრეტი ეკიდა. ფოტოდან აფხაზი ბერიკაცის არწივისებრი მზერა თვალს იტაცებდა. კაცი იფიქრებდა, სტუმარ-მასპინძლობის ადათ-წესებს იცავსო.

სწორედ რომ მეორედ მოსვლა და ცის ჩამოქცევაა, მშობლიური ენა რომ დაგავიწყდება კაცს. ეს ნიშნავს, რომ შენი ერი დასაღუპავ-დასაკარგად გაიმეტე. შევატყვე, მოხუცს მართლა დავიწყებოდა ქართული და ვიდრე სათქმელს იტყოდა, გონებაში ფრაზებს გულდასმით აწყობდა.

ადრე არწივთა ყეფა ისმოდა კლდის თხემიდან, ახლა თოლიები ზვაობენ, დასძინა ბებერმა კატომ. საზიზღარი ჟამი დაგვიდგა. სკოლაში ველარ დამყავს ბავშვი. წერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა ამან არ იცის, სიყვარულსა და მეგობრობას ველარ სნავლობს. ეჰ, ნეტავ რა უნდა აკეთოს ამ ბეჩავმა?! დანანებით გადახედა შვილიშვილს და განაგრძო: ალბათ ამასაც ხარ-ძროხები ეყოლება და მთაში გარეკავს ნახირს. სახნავ-სათესი მიწები უხვად არის, გლეხის საქმეს კი რა დალევს სოფლად. ახია ჩვენზე, აქ გამომწყვდეულებზე. შიშით გვიცემს გული და ძილიც იშვიათად გვეკარება! დღე არ გავა, ვისიმე უბედურება, სიკვდილი, წამება არ გავიგო... ეს ოხერ-ტიალი წლები მიგორავს და ჩვენს ცხოვრებაში არაფერი იცვლება. რწმენა დავკარგეთ შვილო, მომავლის და საკუთარი თავის რწმენა. გესმის ეს რას ნიშნავს? გეხვეწებით, თუკი თქვენც არ დაგიკარგავთ, გვიწილადეთ მცირედი, გვისახსოვრეთ იმედი, რომ ერთ დღესაც გავილვიძებ და მეზობელი შემომეხმიანება, თუნდაც ხახვის ან ღერღილის თხოვნით.



·მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

გეშვი სკუა ბჟა, ვაგოირგიდას ღორონთიშით... მიხვდა, ცუდად მესმოდა მეგრული და მანიშნა, რძე დამელია. თავშალი შეიკრა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ, ლაზარესავით მკვდრეთით აღმდგარი, მივიწყებული და კვლავ გახსენებული ქართულით, განაგრძო:

მთლად გულთანაც ნუ მიიტანთ ჩვენს სატკივარს. იმდენ რამეს ვუყვები დღის მანძილზე ჩემს თავს, ვიტყვი ხოლმე, ხომ არ გაგიჟებულხარ, კატო, საკუთარ თავს რომ ესაუბრები-მეთქი, თუმცა ეგ იმიტომ მემართება, რომ არავინ შემომრჩა, შვილო, დამლაპარაკებელი!.. მე კი სამარისკენ მივალ, მაგრამ ამ პატარას ცოდვით ველარ ვისვენებ.

მერე მომიტრიალდა და ძალიან თბილად მითხრა:

— სკან გოლვაფირო, აკა ქორთულო კითხირ ქუდომგურე მოთაშა, ვარა გერუს გვალო ბალანაქ...[27]

— სიამოვნებით, ვუთხარი და ის შემთხვევა გავიხსენე, დისწულმა ცნობილი მეზღაპრის წიგნის წაკითხვა რომ მთხოვა.

* * *

ანი ქართული ან[ბან]ის პირველი ასოს ა-ს სახელწოდებაა, აბა გაიმეორე, ანი... ბანი... კარგია!.. ახლა მის მოხაზულობას დავაკვირდეთ. იგი კაუჭის ფორმისაა. ბებო რომ კავით ჰკიდებს ბუხარში ქვაბს, იმ კაუჭსა ჰგავს.

— სათევზაოდ თუ ყოფილხარ ოდესმე? ვეკითხები პატარას, რომელიც ჩემ მიერ მოხაზულ ასოებს ჩაჰკირკიტებს და მალიმალ წიგნში ნაბეჭდს ადარებს.

— კი, ვყოფილვარ. თედოს დავყავდი მდინარეზე. პატარა ბამბუკები გვქონდა და ნეხვით სავსე ქილა, რომელშიც ჭიებს ვინახავდით.

— ანკესის კაუჭი გაიხსენე მაშინ!.. მას აქვს ა-ს ფორმა, ხომ დაიხსომე?

— კი.

— ახლა „ი“ ვისწავლოთ. მითხარი, ცხენები თუ გყავს?

— როგორ არა, შარშან ერთი მგელმა შეგვიჭამა, ერთიც ტყეშია გახიზნული.

— ნალის დაჭედება თუ უსწავლებიათ?

— საჭედურს ჩვენთან გამოცდილ ნალბანდს აკეთებინებენ. აბა მე ვინ მანდობს ასეთ საპატიო საქმეს?!.

— ჰოდა, ეგ „ი“, სწორედ იმ ნალს ჰგავს, ამობრუნებულს, თავდაყირა დამდგარს, რომლის ტყუპისცალია „ო“. (ერთმანეთზე მიბმული ორი „ი“) ო-ს რომ კუდი დაუგრძელო „უ“ გამოვა; აი „ე“ კი ნამდვილი ხათაბალაა. იგი ოდესღაც ჯაჭვის ერთი რგოლი ყოფილა. ამბობენ ხუთვა დამართნია და უპაერობისგან გამწარებულს საკუთარი კბილებით დაუჭამია რგოლის ერთი ნაწილი. ახლა ქალბატონი „ე“ შედარებით თავისუფლად სუნთქავს. თუმცა მას ერთი რამ აწუხებს. ეს-ესაა დაორსულდა და მუცელი გამოეზარდა, გარეგნულად გარდაისახა და ძალიან დაემსგავსა მეზობელ „ვ“-ს. ორსულობის საიდუმლო რომ არ გამჟღავნდეს (მშობლების შიშით) ყველა მოძმე ასომ ფორმა შეიცვალა. „ვ“ საჭიროებისას ქოჩორს გადაივარცხნის, თმას აიპრეხს და „პ“ ხდება. „ლ“-ს ორმაგი ნიღაბი აქვს, ხან „დ“ არის, ხანაც „ღ“. „ჯ“ იპრანჭება „ჭ“-სავით... და ასე გრძელდება უსასრულოდ...

ამას მოსდევს იასესგან[28] ენისბორძიკით წაკითხული სიტყვები: კაჭკაჭი, ჭაჭა, ვაჭარი, ნაჭერი, ჭერამი, ხუჭუჭი, ნაჭუჭი, ჭრიჭინი, ჭარხალი, მჭედელი, ჭანჭური.

დამარცვლით ნათქვამი: ფ-უ-ტ-კ-ა-რ-ი, ხ-ა-რ-ა-ტ-ი, ტ-ა-ძ-ა-რ-ი, ტ-ი-ტ-ი-ნ-ი, ტ-ა-ბ-ი-კ-ი,[29] დ-ი-მ-ი-ტ-რ-ი, ბ-ა-ტ-კ-ა-ნ-ი...

შემდეგ გაზეპირებული გვერდიდან სიამაყით წაკითხული: ციხე, ცული, საცერი, ციკანი, ხუცესი, ციყვი, ლოცვანი...

დაბოლოს, საბავშვო მოთხრობის გარჩევა: ყვავი გაამპარტავანდა. ყვაობა არ მინდა, ფარშევანგი უნდა გავხდეო. ჩაირჭო გარეშემო ფარშავანგის ფრთები და გაერია ფარშავანგებში. ჯერ ვერ იცნეს. მაგრამ უცებ წამოსცდა თვისი ყვაა. მისცვივდნენ ფარშავანგები და სულ გაძიძგნეს. ტიტველა ყვავი წავიდა ისევ თავის ტოლ-ამხანაგებში; მაგრამ იმათაც იუცხოვეს და კისტის კვრით გამოაგდეს. ფარშავანგიც ვერ გახდა და ყვავებშიაც გამოსწყდა.[30]

ვეკითხები ყმაწვილს: რატომ დაისაჯა ყვავი?

მაგრამ ვიდრე მიპასუხებდეს, ქვეითი ჯარისკაცების ხმა გაისმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისინი მოდიან, — თქვა კატომ და სასწრაფოდ გადამალა ქართული წიგნები.

ფაცხაში ბრგე კაცმა შემოაბიჯა, მას სხვა სალდატი შემოყვა და მოხუცს უბრძანა.

— ცხელი პური და არაყი მომეცით, ახლავე!..

— ამწუთას ბატონო, — თქვა კატომ და შევატყვე, მოსულებს ნაძალადევი სითბოთი შეეხმიანა.

ჯარისკაცმა იარალის სასხლეტზე თითები ეშმაკურად აათამაშა. ახლაც კი მახსოვს, მისმა გამოხედვამ საშინელი ფრინველი რომ მომაგონა. გამიკვირდა, როგორ ახერხებდა ერთდროულად სახლის ყველა მობინადრისთვის თვალყურის დევნებას. ღმერთმანი, ნამდვილად შემზარავი ორთავიანი არწივი[31] იყო!..

რუსის იდეალური პორტრეტი წარმომიდგა რომელილაც წიგნიდან: მზისგან დამწვარ ძვლებამობურთულ ქოსა სახეზე შეუპოვრობის გამომხატველი იერი გადაჰკრავდა, წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად ტატუირებული ჰქონდა კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე, რომლის ჩაყოლებაზეც, მკერდის შუა ადგილას, ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთს გადაჭდობილი.[32]

— თუ რამ გაწყენინოთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — დამიბარა კატომ და ის-ის იყო ბავშვის საძინებელ ოთახში გაყვანა დააპირა, რომ შემოესმა:

— გინდა, სროლა გასწავლოთ, იასე?

— არ შემიძლია, ბატონო, ჯერ ბავშვი ვარ...

— შენ რა, ხუმრობ? შენი ხნისას კაცი მყავს მოკლული, შენ კი იარალის დაკავებაც არ გინდა? — გაიოცა რუსის ჯარისკაცმა.

აფხაზი უსიტყვოდ იჯდა და მადიანად ილუკმებოდა. ნაიარევ სახეზე მღელვარება ოდნავ დამჩნეოდა.

— მოდით, არაყი გადაკარით — სთხოვა აფხაზმა დამეგობრებულს, თან უხერხული სიტუაციის განმუხტვას შეეცადა.

— ახლავე, მაგრამ ჯერ უნდა ვასროლინო!.. — იარალი მხარზე მიაბჯენინა იასეს, ფანჯარასთან მიიყვანა და ეზოში მონავარდე კურდღლის მიზანში ამოღება აიძულა. თოფის გავარდნის ხმა და რუსის კმაყოფილებით ნათქვამი ანდაზა ერთი იყო:

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!..

მერე მოხუცს მიუბრუნდა და გულგრილად ჰკითხა:

— ჩვენი ტყვე როგორ მუშაობს, დეიდა კატო?

— უკმაყოფილო არა ვარ.

— სანვავი ვიშოვეთ და მანქანასაც წავიყვანთ, მომავალ კვირას კი შეკრება დაიწყება და თქვენ სტუმარსაც რომელიმე დივიზიაში ჩავწერთ. — იასეს ქოჩორზე ხელი გადაუსვა და დანანებით ალმოხდა: იცოდე, გინდა თუ არა, ცხოვრება თავად გასწავლის ბრძოლას!.

ბოთლში დარჩენილი არაყი ჯარისკაცებმა ერთბაშად გადაკრეს, ფაცხიდან გავიდნენ და მოკლული კურდღელი ჯვალოს ტომარაში ჩააგდეს..

— ავაზაკები! — ჩაიბურტყუნა კატომ და ელდანაკრავ შვილიშვილს საძინებლამდე მიმავალი გზა ლამფით გაუნათა...

* * *

ბაბუის შეგონებისამებრ, საშემოდგომო ყინვების დადგომამდე 20-25 დღით ადრე ცელის პირი ავლესე და ეზოში სათიბად გავედი.

ფოთოლცვენაა. წითელ კოლორს[33] გენიოსი შემოქმედი პალიტრაზე აზელილ ყვითელს უზავებს. ჯადოსნურ ფერთა გამაში აგონიაში მყოფი დედამიწა გარდაცვალებას ივედრება. მალე ზამთარი გაა(ბუ)რუსებს მის მშვენიერებას, თუმცა არც მის ბრწყინვალება დეკემბერ-თებერვალს უწერია ხანგრძლივი ბედნიერება.

ბავშვობაში რომ შეგონებებს ჩამჩიჩინებდნენ, ახლა ყოველი სიტყვა ენის წვერზე მადგას და მინდა ვიყვირო, ვიტირო! დიახ, იმიტომ, რომ არასწორად მზრდიდნენ, ბავშვურ ბედნიერებას მიმალავდნენ, მარტოდენ სამყაროს შავ-თეთრ გამოსახულებიან, გაბლენძილ ტელევიზორში მანახებდნენ, ისიც შეზღუდულად, მხოლოდ განსაზღვრული დროით!.. ჯვარს იმისთვის არ ვატარებდით, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული რომ არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ფრინველთა გამოჩეკილი მატერიკი, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!..

პირად განცდებზე როდი მოგითხრობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგვარი თავგადასავლით, საპოვნელას, ნიშხანიშხასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლა. სულ სხვა ქალაქში, გარემოში, საზოგადოებაში აღმოვჩნდი გაურკვეველი სტატუსით (ხან ლტოლვილი, ხანაც დევნილი). ფესვებს მომწყდარი ყოველდღე იმას ვფიქრობ, რას გავაკეთებდი, რომ არა 1993 წლის სამოქალაქო ომი? დიახ, მე სხვისგან ხელოვნურად დაწერილი გეგმის ნაწილად ვიქეცი და ისე მივყვებოდი მდინარის დინებას, როგორც მქონდა ნაბრძანები!..

ჭისკენ ტაატით მივდივარ, ვცდილობ, წყურვილი მოვიკლა.

იძულებით გასაბჭოებული [სსრკ] ღრუბელთა ჯგრო წვიმას პროგნოზირებს.

ქანდარაზე ყვავი გადმოზნექილა და ყრანტალით ბოინობს.

სოფლის მყუდროებას იმის ყვაა არღვევს.

გუბესთან რუსული ჩექმა აგდია ბედად დახეული.

ახალი წურც ღირსებიათ!

...

შორიახლო თოფი გავარდა.

ფრინველს ბუმბული აეშალა, ფრთები შეისწორა და სხვა ქანდარასთან მიფრინდა.

საზარელმა ექომ ფაცხის კედლებიდან გამოაღწია და თავზარდამცემი კივილი გაისმა.

წყლის სათლი ხელიდან გამივარდა, ოდისკენ გავიქეცი და...

ჰოი, საშინელებავ!..

ეს რა მოიმოქმედა წყეულმა ჯარისკაცმა?!

* * *

აჰდუ,[34] ისიც მომიკლეს ავაზაკებმა, მომესმა კატოს ქვითინი. მუხლმოყრილი მოხუცი დასისხლიანებულ ბავშვს იხუტებდა და ჯაჭო-ჭროლა თვალებს უკოცნიდა.

ბედნიერად უნდა მეცხოვრა მე, მოხუცს და შენი შვილების აკვანი მემწყემსა, ახლა კი კუბო-საფლავთა გუშაგობა მომიწევს!.. შენ უმანკოებას კრეფდი ცის ტატნობიდან და უფლისგან განწმენდილს მთავაზობდი. მე კი კლდის ნაპ-

რალში მომწყვდეულ ჯიხვივით გითვალთვალებდი, ისე როგორც მოზარდთა მიმართ ზედმეტი ყურადღება სჩვეიათ ხანდაზმულებს. მეშინოდა, როგორც ქორი გვპარავდა წიწილს, წყალსაც იმგვარად არ გაეტაცე, ხიფათი არ გეწვნია, მუხლები არ გადაგეტყავა... ახლა კი... უბედურო კატო, დარდის ძაფი უნდა გაჭიმო დედამიწიდან იმ უცხო განზომილებამდე, რომელსაც პირობითად გარდაცვლილთა საუფლო ჰქვია. ყოველი მონატრებისას, ჩემი ჯვრითა და ადამიანური ტკივილით ზურგდამძიმებულმა, ბოხჩაში უნდა შევახვიო რძისა და მაწვნის ქილა, ერთი ვიწროყელიანი წითელი ღვინით სავსე ბოთლი, ცოტაოდენი მარილი, ზეთი, პური და ისევ ისე მადლიანად დაგაპურო, ის დრო რომ მოგაგონდეს, ბაღში ჩამომსხდრები ხორბალს რომ დავიყრიდით ხელისგულებზე და მშიერ მტრედებს ვაკენკინებდით. ჩვენი ოდის საძირკველიდან მიწას ავიღებ და ამასაც გაგატან. კილიანტარსაც[35] დავამზადებ, საკურთხსაც დროულად დავდგამ... არაფერს დაგზარდები, ბებო, ოღონდ ძილში მინახულე ხანდახან და ნუ მოგერიდება მოხუცის გალვიძება. გაუბედურებული ბევრჯერ მივლულავ თვალს, მაგრამ ეს ძილის ნეტარება ნუ გეგონება.

იასე საზარლად ხროტინებდა, ძვირფასი სახელმძღვანელო ხელებში ჩაებღუჯა.

რუსმა სალდათმა თოფი დამიმიზნა და ზურგსუკან მომესმა:

— წიგნი წაიკითხე, შე ბოთე, შენა!..

სისხლიან ფურცელზე პატარა ლექსი ეწერა:

**ჩვენ ვბრუნდებოდით**
**სამშობლოში სისხლიან მინდვრით**
**(გამოუცდელი**
**და უხეში ჩვენი ჩანგებით!),**
**სადაც ჯვარს ვეცვით,**
**სად უგონოდ კაცის სისხლს ვღვრიდით,**
**ომის ფრინველი**
**სად სულს წენდა ცეცხლის ჭანგებით;**[36]

სიტყვა სამშობლო მომხვდა ყურში.

— ამისთვის მოკალით უდანაშაულო ბავშვი? შევძახე და სასწრაფოდ მისკენ გავიწიე.

— მტრის ენა ასწავლე და უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლე, ხმა ჩაიწყვიტე, გეუბნები! იცოდე, სამ საათში დამარხული დამხვდეს!

გონს რომ მოვედი, შორით მომავალი მოხუცი კატო დავლანდე. ვილაც წვეროსანი ახლდა.

ბავშვს სუფთა პირსახოცით სისხლი მოვწმინდეთ. სასთუმალზე დავასვენეთ პირით აღმოსავლეთით და მოძღვრის რჩევით, გულზე ხელებდაკრეფილს ჯვარი დავაჭერინეთ. მერე ისეთი საამური გალობა გაისმა, თვალზე ცრემლი მომერია. მოძღვარი ხან აფხაზურად, ხანაც ქართულად ასრულებდა ლოცვანს (კატომ ითხოვა, წესის აგებისას რუსულად არ ესაუბრა მამაოს). შევატყვე, ქართულად ღვთისმეტყველს ოდნავ შიში ეუფლებოდა და სახეზე არეკლილი მწუხარება ნაოჭიან სხეულს ერთიორად უბერებდა. მერე წყალი, ხორბალი და ზეთი მოითხოვა, აკურთხა და სანთელი დაანთო.

ოთახში საკმევლის სუნი დატრიალდა.

მოძღვარი გარდაცვლილი ქრისტიანის ლოცვას კითხულობდა:

მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო, სავანეთა მათ საუკუნეთა რწმენითა და სასოებითა შენითა აღსრულებული მონა შენი იასე და ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან, ცოდვათა მიმტევებელმან და უშჯულოებათა აღმხოცელმან, უძალო-ჰქმენ, მიუტევენ და შეუნდევენ ყოველნი შეცოდებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი.

...აღმოფშვინვამდე მართლმადიდებლობით აღიარებდა სამებასა ერთარსებასა, ვინაიცა მოწყალე ექმენ მას და რწმენაი მისი შენდა მომართ, ვითარცა ღვაწლი დიდი, მიითვალე და მოწყალებითა შენითა წმიდათა შენთა თანა განუსვენე.

ამინ.

მოძღვარმა წიგნი გამომიწოდა და: ქართულად კითხვა თუ შეგიძლია, მკითხა. თანხმობის ნიშნად ლოცვანი გამოვართვი, პირჯვარი გადავიწერე და კითხვა დავიწყე: [რატომღაც ამ ტექსტის წაკითხვა თავად არ ისურვა]:

ღმერთო ძლიერო და კაცთმოყვარეო, დალოცე და დაიფარე ქართველთა და აფხაზთა მშვიდობა და ერთობა. უფალო, შეგვინდე ყოველნი უსჯულოებანნი ჩვენნი. უპირველესად მოგვიტევენ, უფალო, უნდობლობა და სიძულვილი, ძმათა სისხლისღვრა და შურისძიება, ძვირისხსენება და ბოროტი გულისსიტყვა. შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და აღგვიდგინე ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთთავგანწირვა და მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა და ლოცვა ერთმანეთის დღეგრძელობისთვის.[37]

ამინ.

...

სწორედ მაშინ, როცა ცისკარი ღამის სამოსში გახვეულ ბნელეთს აფერმკრთალებდა, შლეგი მე(ეტლი)ს თანხლებით გავიარე ნაძვნარი, ბუთა და ჭოტთა სავანე, ვძლიე წკვარამში ჩაკემსილ შიშს და უკვე სამშვიდობოს[38] მყოფს მოხუცი კატოს მადლიანი დალოცვა მომესმა: ფეხბედნიერად გევლოს, შვილო ამ გაუკულმართებულ საწუთროში!..

დაკარგული სამოთხის მაძიებელი კვლავინდებურად ჯონ მილტონს ვფურცლავ:

**ჯოჯოხეთო! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!**
**ჩვენს სანეტარო სამყოფელში ვინ შთაასახლეს**
**ვინ ალამაღლეს ასე ძლიერ, სულ სხვა არსება,**
**სხვა ბუნებისა, მიწიერი, მოკვდავი არსი!**
**ბედნიერი ხართ, მაგრამ დიდხანს აღარ შეგრჩებათ,**
**რადგანაც სუსტი საფარი აქვს თქვენს ნეტარებას**
**მაგრამ წინასწარ თქვენი მტრობა არ განმიზრახავს**
**მზად ვარ კიდევაც შეგიბრალოთ, უთვისტომონი!**

...

შინ რომ დავბრუნდი, მამას ვუამბე, რაც შემემთხვა.

— ლაჩარი ხარ! — მითხრა. — თვალწინ ანგელოზი მოგიკლეს და ხმა არ ამოიღე, უსიტყვოდ დამორჩილდი ბოროტებას!!! ასე აპირებ დაკარგული სამოთხის დაბრუნებას?!

— მამა, ის შეიარაღებული იყო, თან სიკვდილის შემეშინდა... ერთხელ კი გავიფიქრე, იქნებ ყელში ვწვდე ამ საზიზღარ, უგულო, ცივსისხლიან ჯალათს და წიწილივით დავახრჩომეთქი, მაგრამ მყისვე წამოიმართა ზებუნებრივი შიში. თვალი იარაღისკენ როგორც კი გამექცეოდა, წონასწორობადარღვეული, მიწაზე განრთხმული კატოს

კალთაში ვზლუქუნებდი. მიკვირდა, მოხუცმა, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი, არათუ გაიბრძოლა, სიტყვა არ დასცდენია, ზედ არ შეუხედავს ჯარისკაცისთვის.

— კატოს რა უნდა ეთქვა, ბრიყვო!... განა საფლავს პატრონობა არ უნდა? თორემ მისი და მისნაირებისთვის დღესასწაულია სიკვდილი... იმიტომ ვბრაზობ, ვხედავ, შენც სხვათა მსგავსად პირამიდასავით აიზიდე, ყელი სიმაყით მოიღერე და ინდაურივით გაიბღინძე. ვერ წარმოიდგენ, როგორ მძულს უსაფუძვლო სიამაყე, უთავბოლო პატივმოყვარეობა, თავით-ფეხებამდე აღჭურვილი დარბაისლობა, მედიდურობა, ჭირვეულობა და სხვა ამგვარი მიწიერი ცთუნებები!.. რა გეამაყება, შე უბედურო ადამის ძევ? უცხო კლიმატში გადარგული თავმოყვარე ხე თავს გაიხმობდა, ჩვენ კი... უკეთურებას შევეთხიეთ და გვეამა, უბედურება გადაგველობა და გულში ჩავიკარით, ხელმოცარულ მარტოობას დავუზავდით და მერე ისე შევეჩვიეთ ამ ყოფას, რომ დაკარგული ღირსების დასაბრუნებლადაც კი არ გავიბრძოლეთ. სამოთხე სხვა კი არაფერია შვილო, თვინიერ სამშობლოსი. მე და შენ კი უ-ს-ა-მ-შ-ო-ბ-ლ-ო და ბედს შეგუებულ სალახანებად ვიქეცით.

მწუხარებამ თავით ფეხებამდე შემიპყრო და ვიგრძენი, სხეულის რაღაც ნაწილი როგორ ამომგლიჯეს.

ის კვლავ განაგრძობდა: კიდეც უნდა შესცოდო და კიდეც უნდა მოინანიო!.. დანაშაული რომ გამოისყიდო, კიდეც უნდა დააშავო!.. რაც მეტ ტკივილს იგრძნობ, უფრო დაგიამდება გველივით დაკლაკნილი და სასოწარკვეთილი სიცოცხლე. დაე მოხსენი ღირსებას მარყუჟი და სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული, ტომარაწამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისგან!..

მას შემდეგ მამას ჩემთვის ხმა არ გაუცია.

ერთ თვის თავზე გარდაიცვალა, გულმა უღალატა.

ახლა მის უკანასკნელ სურვილს ვასრულებ და ცხედარს მივასვენებ აფხაზეთის მხარეში...

ხელში ლოცვანი მიჭირავს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს ვკითხულობ. იასეს და მამაჩემის სულს ვავედრებ შემოქმედს.

ურიგო არ იქნებოდა საკუთარ სულზეც მეზრუნა!.. სულზე, რომელმაც უნებლიედ სხვა სული დაღუპა...

შვილებს საყვედური გვჩვევია მშობლების მიმართ. თითქოს რაღაც დაგვაკლეს, არასწორად გვმოძღვრავდნენ, უსამართლოდ გვსჯიდნენ. ხშირად ვწუწუნებდი, თურმე შეიძლებოდა ქრისტეშობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები აღგვენიშნა, ტაძარში გვევლო უქმე დღეს და პასკები გამოგვეცხო ვნების კვირას.

თუმცა ყველას ვურჩევ, განმარტოვდეს საკუთარ თავთან, გულზე სიმბოლურად (და არა რწმენით) დაკიდულ ჯვარს ხელი ჩასჭიდოს და იკითხოს: რა შეიცვალა მის ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ჯვარცმის ამბავს ჩაწვდა?

გაიგო, რომ ლინდგრენი და ანდერსენი ბავშვობაში გვაბრუნებს, სახარება და ბიბლია — ცხოვრებაში...

არა კაც-ჰკლა, თქვა ღმერთმა და გულისთქმა კაცისა ამ მცნების დასაცავად მიმართა.

სანაცვლოდ ადამიანმა იარაღი გამოიგონა, რომ უფლის ნებას წინ აღდგომოდა!..

და გამხდარიყო ათასობით ადამიანი ბავშვ[ობა]დაკარგული...

1. ს.ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“
2. თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა
3. აქ: ბავშვების მიერ გაკეთებული სათამაშო სახლი.
4. თხელი ტალახი.
5. (კუთხ.) სიმინდის ნედლი ჩალა.
6. ასე ვეძახდით გათვალვის საწინააღმდეგო მოწყობილობას, რომლის სამკაპა თავში ჯვრისებურად ჩასმული იყო ორი ჩხირი, — თეთრი ქვა და ასკილის ტოტისგან დაგრეხილი რგოლი.
7. ნისქვილი.
8. ცნობილი რუსი მხატვრის, ივან კრამსკოის, ფერწერული ტილო, 1883 წელი.
9. ბოროტ ძალთა უკანასკნელი უსუსური გალაშქრებაა დიდი საიდუმლოს წინააღმდეგ — დგება ბრწყინვალე დღესასწაული და ცეცხლთაყვანისმცემლობის მთავარი ღვთაება (აჰურამაზდა) ფარ-ხმალს ყრის მკვდრეთით აღმდგარი უფლის წინაშე.
10. ავი სული აფხაზურ მითოლოგიაში.
11. პირფართო ქოთანი.
12. სააღდგომო უფუარი ნაზუქი.
13. კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი.
14. კვირა დღე მეგრელთაგან.
15. ფანარი.
16. საჭედარი ცხენისა თუ ფერხ(თ)ა საცმელთასა (საბა).
17. მარმარილო.
18. ნამალია ერთი.
19. თაფლი დაზელილი.
20. წყალი მოთბო.
21. დედაბერთა მიერ ჩვილთა შემლოცველობა, შუბლითა ნერწყვის წარხოცა და დამბერველობა.
22. ფილმი ქართველი ემიგრანტის სამშობლოსადმი განუწყვეტელი ნოსტალგიით აღსავსე ვრცელი ცხოვრების გზაზე მოგვითხრობს.
23. ებრაული წარმოშობის პოლონელი მწერლის იანუშ კორჩაკის ნაწარმოები.
24. ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ლიტერატურული პერსონაჟები.
25. ყმა გლეხების კატეგორია ფეოდალურ აფხაზეთში. არ გააჩნდათ ოჯახი და საკუთრება (იგივეა, რაც იმერული და მეგრული „მოჯალაბე“).
26. შვილიშვილი.
27. შენი ჭირიმე, იქნებ ქართულად კითხვა ასწავლო შვილიშვილს, თორემ მთლად „გარუსდა“ ბავშვი (მეგრ.).
28. იესე (ძველი ებრაული), როგორც ჩანს, ერთ-ერთი ვარიანტული ფორმაა ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელისა ესაია/ისაია („ხსნა უფლისა“).
29. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი, რომელიც უღელში საქონლის შესაბმელად წყვილ-წყვილად არის ჩაყრილი.
30. დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შემდეგ. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1884 წელი.
31. რუსეთის გერბზე დატანებული სიმბოლო.
32. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“.
33. ფერწერაში: სალებავის ფერი, ელფერი, ფერის სიმკვეთრე.
34. უზენაესი ღვთაების ეპითეტი.
35. ჩამოქნილი სანთელი, რომლის ღერძი მთელ სიმაღლეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტი აქვს შემოხვეული.
36. მურმან ლებანიძე.
37. ლოცვა ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ერთობისათვის.
38. ასე ეძახიან ქართველთა კონტროლირებად ტერიტორიას.

ანზორ ბრეგაძე

# „წიგნი ყველასათვის და არავისთვის“

*

## არატიპური (და არასრული) გამოხმაურება მამუკა დოლიძის წიგნზე „კულტურის ფენომენოლოგია და კვანტური ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემები“

„წიგნი ყველასთვის და არავისთვის“ — პარადოქსული სახის ეს დიდებული ქვესათაური წაანერა ფრიდრიხ ნიცშემ თავის შედევრს — „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. — ვინც შინაგანად არ არის მზად, მისთვის არც იქნება განკუთვნილი ეს წიგნი! — „ზარატუსტრას“ ამ შეგონების გვარად, იქნებ მეტადაც კი, არც ედმუნდ ჰუსერლისეული წმინდა ფენომენოლოგიაა ყველასათვის გამიზნული და მისაწვდომი; მასაც ეკუთვნის ზემოთმოტანილი გაფრთხილება, მიმართული პოზიტივისტ-პრაგმატისტთა გასაგონად, რომელთა მიერ აღმოცენებული ეპოქის კრიზისის დასაძლევადაა არსებითად გამიზნული ჰუსერლის ელიტარული მოძღვრება.




ფენომენოლოგია თავისი მეთოდითა და მიზანდასახულობით ღვთის პოზიციას უახლოვდება: სინამდვილეს არსობრივ განზომილებაში აღიქვამს; ფაქტებში უშუალოდ ჭვრეტს უნივერსუმის ესენციალურ თავისებურებას; ცნობიერებას წარმოგვიდგენს წმინდა სახით, მისი არსის შესაბამისად; გონის გზამკვლეობით სულიერ ქაოსში შეაქვს წესრიგი; სამყაროს ამდიდრებს ახალი ფერებით. ერთი სიტყვით, ფენომენოლოგია თითქმის იმეორებს „არსთა მხადის“ მიერ „არსთა ხედვის“ (რუსთაველი) უშუალო აქტს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ არარადან არ (ან ვერ) ქმნის რაობას.

წმინდა ფენომენოლოგიას ელიტარულ ფილოსოფიას უწოდებენ. მისი არც შექმნა შეუძლია „ჩვეულებრივ მოკვდავს“ და არც ადეკვატური გაგება, იგი არისტოკრატიული და განუმეორებელია თავისი ბუნებით (მ. მაიგერი). ფენომენოლოგიაში თავისუფალი არჩევანი მკაცრადაა შეზღუდული; ადამიანი კი არ ირჩევს მას, არამედ ის (ფენომენოლოგია) ირჩევს მისთვის სასურველ პირს.

ქართველ „არისტოკრატ-ფილოსოფოსთა“ შორის მნიშვნელოვანი და გამორჩეულია მამუკა დოლიძის პიროვნება, რომლის არისტოკრატიზმი ცხოვრებაში დემოკრატიული განწყობითაა დამშვენებული. მისი სარეცენზიო წიგნი ახალი სიტყვაა წმინდა ფენომენოლოგიაში, ის შეიძლება ერთნაირად მივაკუთვნოთ კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებს, რამდენადაც აქ ნათელყოფილია არამარტო არსი, არამედ არსებობაც — არსის პირველადობითა და უპირატესობით აღბეჭდილი. ნაშრომის წარმატება დიდად განაპირობა ავტორის ბიოგრაფიამ: ის „წარმოშობით“ ფიზიკოსია და ემოციური ინტენციით — მწერალი, მისწრაფებით და მცდელობით კი ჭეშმარიტი მართლმორწმუნე ქრისტიანი. მაგრამ ყოველი ეს სასურველი მოცემულობანი არ გახლავთ საკმარისი, თუ არა იმთავითვე შთანერგილი ფენომენოლოგიური განწყობა. როგორც ჩანს, ესეც უხვად უწყალობა გამჩენმა ჩვენს ავტორს, რასაც აღნიშნული ტექსტი ადასტურებს.

მამუკა დოლიძის სამეცნიერო შემოქმედებითი გზა იწყება კვანტური მექანიკის ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევით, მხატვრული ინტერესი კი შეეხება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის პროცესებს. აზროვნების ამ მრავალმხრიობამ მკვლევარი მიიყვანა ატომურ ფიზიკაში შემეცნებით პროცესსა და თანამედროვე მწერლობაში შემოქმედებით აქტს შორის ანალოგიის აღმოჩენამდე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რაც თავისი არსით ფილოსოფიურია, მოითხოვს მსგავსების ძიებას განსხვავებულთა შენარჩუნების პირობებში; ფიზიკის წიაღში ისეთი თეორიისა და პრინციპების მოძებნას, რომლებიც სიღრმითა და თვალსაწიერით გასცდებოდნენ საკუთარ ფარგლებს და შექმნიდნენ ფილოსოფიური განზოგადების პერსპექტივას. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ავტორისთვის ასეთია კვანტური თეორია და ბორის დამატებითობის პრინციპი (აკი ნილს ბორიც გულისხმობდა კულტურის სხვადასხვა სფეროში აღნიშნული პრინციპის გავრცელების შესაძლებლობას). მამუკა დოლიძემ პრაქტიკულად ცხადყო დამატებითობის იდეის გავრცელება მხატვრულ ლიტერატურაზე. კერძოდ, „ცნობიერების ნაკადის“ ნაწარმოებებზე. ასეთი ნაწარმოები წარმოადგენს ფენომენოლოგიური აზროვნების ნაკადს, რომელიც გამომდინარეობს სუბიექტ-ობიექტის ერთიანობის პრინციპიდან.

კვანტურ ფიზიკაში ეს ერთიანობა გაზომვის პროცესისა და ატომური ნაწილაკის განუყოფელი მთლიანობით ხორციელდება. რაც შეეხება „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას, ამ შემთხვევაში, თუკი სუბიექტად მივიჩნევთ ნაწარმოების ავტორს, ობიექტად კი მასში მოქმედ პერსონაჟს, დავინახავთ, რომ აქაც იქმნება განუყოფელი მთლიანობა: ავტორის ხმა ერწყმის პერსონაჟის ხმას, ხოლო ეს უკანასკნელი არღვევს მხატვრული სახის საზღვრებს და ნაწარმოების ავტორის როლში გვევლინება. ასეთ ცნობიერებას, მის სუბსტანციონალობასა და იმავდროულად დინამიკურობას („ნაკადს“), ვერანაირი გამომდინარეობითი ლოგიკით ვერ ცხადვყოფთ, თვინიერ ფენომენოლოგიური ლოგიკისა.

ჩემთვის, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მკვლევარისთვის, დიდად მნიშვნელოვანია მამუკა დოლიძის წიგნში წარმოდგენილი თემა: „ფენომენოლოგიური მოტივები ახალ აღთქმაში“, რაც შეიძლება გაერთიან-

დეს სათაურში „რელიგია და ფენომენოლოგია, ანუ ქრისტეს სასწაულების ფილოსოფიურ-ფენომენოლოგიური გაგება". ცხადია, ღვთის სასწაულები იმგვარად უნდა გავიგოთ, როგორც წმინდა ნერილი გადმოგვცემს, ყოველგვარი ეჭვისა და ორჭოფობის გარეშე: რწმენა ყველასა და ყველაფერზე — თუნდაც აბსურდზე — მაღლა დგას. ქრისტე ღმერთია და მას ყველაფერი შეუძლია. მაგრამ აქ მაინც არ ისვენებს ფილოსოფოსის მაძიებელი გონება და ავტორი საკუთარი რესურსებით ცდილობს სასწაულების გაგებასა და ინტერპრეტაციას; მით უფრო, რომ არსებობს წმინდა ფენომენოლოგია, რომელთანაც მსგავსების ასოციაცია ბუნებრივად ჩნდება; იმდენად, რომ ქრისტე ფენომენოლოგად გვევლინება, ხოლო ფილოსოფოს-ფენომენოლოგი — მის ხატად და მსგავსად.

საკითხის განხილვამდე ორ გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება. საქმე ეხება ფენომენოლოგიაში სუბიექტ-ობიექტის თავდაპირველ ერთიანობას, რაც, ჩემი აზრით, ორი ჰიპოსტაზის — მამისა და ძის ერთობას, ერთით მეორის გაგების საკმარისობას გვაგონებს და ქრისტიანობაში ზოგადსაკაცობრიო იდეის — შემწყნარებლობის არსებობას ადასტურებს. მკვლევარის აზრით, ახალ აღთქმაში, სადაც უფალი გვამცნობს, რომ „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე... (იოანე, 14:6) შემწყნარებლობა შეუთავსებელია ფორმალური ლოგიკის დასკვნასთან: „თუკი მწამს, რომ ჭეშმარიტია (ქრისტიანობა), უნდა ვაღიარო, რომ არაჭეშმარიტია არა — (ისლამი)".

ქრისტიანული ჭეშმარიტებისა და შემწყნარებლობის შეთავსების მიზნით ავტორი ამსხვრევს ფორმალურ ლოგიკის ჯაჭვს და ეძებს აზროვნების ისეთ პოზიციას ანუ ლოგიკის ისეთ სახეს, რომელიც თეორიულად სწორად ასახავს საქმის ვითარებას. ასეთად მას ეგულება ჰუსერლის ფენომენოლოგიის წიაღში აღმოცენებული ტრანსცენდენტური ლოგიკა. აზროვნების ეს ფორმა ეხება ზოგადად „ჰერაკლიტეს მდინარეს", — ადამიანს, ცნობიერებას და საერთოდ ქმნადობაში არსებულ მოვლენებს. აქ საქმე სულ სხვაგვარად გვესახება, ვიდრე ეს წარმოგვიდგება საგნობრივ სამყაროში. თუ ქმნადობაში მყოფი, განუმეორებელი და ამით მეტად საინტერესო სინამდვილის უარყოფა არა გაქვს განზრახული (რაც სრული უაზრობაა), უნდა ივარაუდო აზროვნების სხვაგვარი წესის არსებობაც და აღიარო ცნობიერების უშუალო წვდომის უნარი (ინტუიცია) — წყარო სრული ევიდენტობისა.

მამუკა დოლიძის თანახმად, ტრანსცენდენტური ლოგიკა არა მხოლოდ მოვლენათა რაციონალურ ურთიერთობებს დაადგენს, არამედ ითვალისწინებს მათ შინაარსს, ყოფნის წესსა და მოვლენათა წვდომის სულიერ ძალისხმევასაც. ასეთი ლოგიკა მოქმედებს რწმენის სფეროში და ის ორგვარი — ღვთაებრივი და ადამიანური — განწყობის ერთმანეთთან შეხვედრისას აღმოცენდება. ახალ აღთქმაში მოხსენიებული წყლის, ღვინისა და პურის ავტორისეული გააზრებანი ჭეშმარიტად ფენომენოლოგიურია, მასთან დაკავშირებული სასწაულები კი ფენომენოლოგიური „ეპოქეს", ფენომენოლოგიური რედაქციის გამოყენებითაა ახსნილი. არსი, ხელშეუხებელი და თვალით უხილავი მოცემულობა, თავისი ძალმოსილებით დიდად აღემატება და წინ უძღვის რეალურ არსებობას, არამარტო ქრონოლოგიურად, არამედ მნიშვნელობის მხრივაც; იესოს მიერ ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენება კი სასწაულთა ტოლფასია. მის ხელში ფიზიკური მოვლენა იდეალურ ფენომენად იქცევა, რამეთუ მას ამოძრავებს კაცობრიობის ხსნის მძლავრი მისია. ამ მისიითა და ზეშთაგონებით მოახდინა ქრისტემ პირველი სასწაული კანას ქორწილში: წყალი აქცია ღვინოდ, პატივი მიაგო სტუმრებს და სირცხვილისგან იხსნა მასპინძლები. ასეთი აქტის განხორციელება, ცხადია, ბუნებრივი გზით შეუძლებელია, მაგრამ ზებუნებრივთან მიმართება, მოყვასისადმი სიყვარული და თანალმობის უმაღლესი განცდა ხშირად შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს. ვფიქრობ, სწორედ ეს თანალმობაა ჩაქსოვილი უფლის სასწაულში.

წყლის სიმბოლო მსჭვალავს მთელ ბიბლიას და, ავტორის თანახმად, ერთმანეთთან აკავშირებს ძველსა და ახალ აღთქმას. წყალმა (წარღვნამ) წაიღო ულირსნი და გადარჩენილმა ნოემ წყლით განბანა და აღადგინა ადამიანის სული. აკი ნათლობაც წყლით ხორციელდება. რაც შეეხება ღვინოსა და პურს, ევქარისტიის არსობრივ სიმბოლოებს, ისინი ცოდვილთა ხსნას შეწირული ძის წმინდა სისხლსა და ხორცს განასახიერებენ. და აი, ხდება სასწაული უდაბნოში, სადაც ქრისტეს გამოდევნებული ხუთიათასი კაცი შეკრებილა. ღმერთკაცი გრძნობს პასუხისმგებლობას და ილვწის დააპუროს ხალხი, რაც ჩვეულებრივი ხუთი პურით და ორი თევზით ვერ მოხერხდება.

„უფალმა ზეცას აღაპყრო თვალნი, აკურთხა და დატეხა პური და მისცა მოწაფეებს, ხოლო მათ ჩამოურიგეს ხალხს. და ჭამა ყველამ, და გაძღნენ" (მათე, 14: 19, 20). ავტორმა სასწაულს ასეთი ფენომენოლოგიური ახსნა მოუძებნა: „შიმშილის გრძნობა მოკლულ იქნა რეალური მიზეზის გარეშე. ნაკურთხი პური განიწმინდა მოვლენად ყოფნის მატერიისგან და მის რაოდენობრივ გარდასახვაში გაჩნდა შიმშილის დაკმაყოფილების განცდა, როგორც სულის თავისთავადი ფენომენი, რომელიც აღარ საჭიროებდა დეტერმინაციას მატერიის მხრივ".

მე კი ამ ინტერპრეტაციამ ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი („მიწიერი სასწაული") გამახსენა გონის თეორიიდან, სადაც სულის და სულიერ მოვლენებთან ერთად, სხეულის „გონშესხმა"-ცაა მითითებული (ასეთ სხეულს გერმანული სიტყვა ეიბ-ის შესატყვისად ქართველი ანთროპოლოგები „ტანს" უწოდებენ). — მაშინ, როცა სხეულს გონი დაეუფლება, მცირდება ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა ძალა, იმდენად, რომ შეიძლება მადაც დაგეკარგოს: მარხვა ერთისთვის ტანჯვაა, სხვისთვის — ნეტარება.

როგორც ჩანს, უკვე ჩამაბა საქმეში ბატონი მამუკას სანაქებო აზროვნებამ — ექსპრესიის გადამდებმა სტილმა, მკითხველს რომ ფარულ მონაცემთა გაღვიძებისა და ღვთის საიდუმლოებათა გახსნისკენ მოუწოდებს. მე ამ შემთხვევაში წმინდა სამების გაგებას შევეცდები ფენომენოლოგიური მეთოდით. უწინარესად გამგებისა და გასაგების „ფენომენოლოგიური ეპოქე" უნდა მოვახდინოთ ანუ დროებით დავივიწყოთ (განზე გადავდოთ) საკუთარი ემპირიული ყოფნის წესი, გამოვათავისუფლოთ ინტენციური (ყოფიერებისკენ მიმართული) ცნობიერება და შევამზადოთ ის ახლის მიღებისთვის; ერთი სიტყვით, შევიქმნათ ფენომენოლოგიური განწყობა, დიდად რომ განსხვავდება ბუნებრივი პოზიციისგან; „ფრჩხილებში ჩავსვათ" რიცხვთა ვრცეულობა, თანმიმდევრობა და ემპირიულად ერთმანეთისგან განცალკევებული, მაგრამ ერთი, ყოვლისგადამწვდომი იდეის შემცველი სამი ერთეული, უშუალო, კატეგორიული აღქმით მოვიაზროთ როგორც ერთარსი.

მამა და ძე იმთავითვე ერთია, მხოლოდ ისაა, რომ პირველი პირი ზეცაშია, მეორე — დედამიწაზე, ორივე ყველ-

გან, გარეთ და შიგნით, ბუნებასა და ადამიანის გულში. მათ შორის სუფევს მესამე ჰიპოსტაზი, მათი ღირსი ერთარსი, სულთმომფენი გონი, სულიწმინდა, სიყვარულით მათი კავშირის გარანტი, შუამავალი, ნუგეშისმცემელი, ჩასახული მარადიულ დედაში, ზეციურ დედოფალში. სულიწმინდის მდედრობით ასპექტზე მითითება გრიგოლ ნოსელის და მისტიკოსი ფილოსოფოსის იაკობ ბიომეს სახელს უკავშირდება; მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელის მოძღვრება, „ატრიხ"-ის, პირველწყაროს, გამჩენის, დამბადებლის, ღვთაებრივი დედის შესახებ. აქვე გამოჩნდება სულიწმინდის ამქვეყნიური ემანაცია — მარიამ ღვთისმშობელი. სულიწმინდის და მიწიერი სატრფოს ერთობა შესანიშნავად აისახა დავით გურამიშვილის პოეზიაში და ნოვალისის შემოქმედებაში, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ბოლოს, ჩემი შთაბეჭდილება „ნამდვილ რეცენზიას" რომ დაემსგავსოს, მას შენიშვნები უნდა დავურთო, რასაც ვერ შევასრულებ, მიზეზი სუბიექტურია; არ მინდა ოდნავ მაინც გავაქარწყლო ის უაღრესად დადებითი განწყობა, რაც ბატონი მამუკას წიგნმა შემიქმნა, ამიტომ შენიშვნათა მოძიება არ დამისახავს მიზნად, ალბათ არც თვალში მომხვედრია არაფერი ისეთი, ერთი ზოგადი შენიშვნა კი მაინც უნდა აღვნიშნო; იმ შენიშვნის მსგავსად, რაც საოცარი მორიდებითაა ჩაქსოვილი სოკრატეს მიერ ჰერაკლიტეს მიმართ გამოთქმულ „საქებარ საყვედურში" „...რაც გავიგე შესანიშნავია, ვფიქრობ, ასეთივეა ის, რაც ვერ გავიგე. ეს დელოსელ მყვინთავებს საჭიროებს".

ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარები სოკრატეს ამგვარი განწყობის სხვადასხვა მიზეზზე მიუთითებენ.

ა) ჰერაკლიტესთან აზროვნებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რასაც ვერ წვდება ჩვეულებრივი გონება.

ბ) „სიბნელე" გამოწვეულია დიალექტიკური აზროვნებით.

გ) დემოკრატიის მოძულე ჰერაკლიტე განზრახ წერდა რთულად, რათა მასებს არ გაეგოთ მისი აზრები.

(არის აგრეთვე სხვა, ე.წ. სუბიექტური ფაქტორები, რაზედაც მითითება აქ მიზანშეწონილად არ მივიჩნიე).

ჩვენი აზრით კი ის, რაც ჰერაკლიტეზე ითქვა, ესადაგება წმინდა ფენომენოლოგიას. ამიტომაც გვხვდება საკუთრივ ფენომენოლოგიის ფარგლებში მისი უამრავი გაგება და ინტერპრეტაცია, აზრთა სხვადასხვაობა, რის დადასტურებადაც მიგვაჩნია ბატონი მამუკას წიგნი.



ნინო ვახანია

# „ამერ-იმერი": წნორიდან თბილისში

თეატრალიზებული სცენა — აკვანი, რომელშიც, ალბათ, ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, სავსე ტაბლა, როგორც წმინდა ტაბლა, მზით სავსე ქვევრი, ეროვნული საკრავები. ასე გამოიყურებოდა ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის სცენა 2 ივლისის საღამოს. ცოტა ხანში აქ წნორის წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძართან არსებული ბავშვთა სტუდიის „ამერ-იმერის" ფოლკლორული საღამო უნდა დაიწყოს.

გვესაუბრება სტუდიის ხელმძღვანელი **თინათინ შერვაშიძე:**

პირველ რიგში ყველას ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. ვიცი, რომ ბევრმა აქ დამსწრემ საკმაოდ დიდი გზა გამოიარა აქ მოსასვლელად... ზოგი მათგანი ამერიდან გვესტუმრა, ზოგი იმერიდან. მათ ასე შორიდან ჩამობრძანებისთვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო. სცენაზეც ამერ-იმერია და დარბაზშიც. რაც ძალიან სასიხარულოა.

რაც შეეხება სტუდია „ამერ-იმერს":

ბავშვთა ეს ფოკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია 1991 წელს დააარსა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ მეუღლესთან, ენათმეცნიერ ნინო ბაღათურიასთან ერთად.

ვახუშტი კოტეტიშვილი ედიშერ გარაყანიძეს ასე ახასიათებს:

„კაცი — სანთელი. ედიშერ გარაყანიძის მიმართ ეს არ გახლავთ მეტაფორა ან ეპითეტი. ის მართლაც სანთელივით წმინდა კაცი იყო, თავის ირგვლივ ნათლის მიმომფინველი. მისგან უხვად მოიფრქვეოდა ყველაფერი, რასაც კეთილშობილება, ოჯახიშვილობა და სულიერი არისტოკრატიზმი ჰქვია. იგი თითქოს გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა თუ იოანე პეტრიწის ამალას იყო ჩამორჩენილი . იგი ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის ჩინებული მკვლევარი კი არ იყო მხოლოდ, არამედ თავად ბრძანდებოდა ქართული ხალხური სიმღერის გუთნისდედა.."

ედიშერ გარაყანიძის სახელს უამრავი საქვეყნო საქმე უკავშირდება. მას მხარში ედგა მეუღლე, ნინო ბაღათურია, ასევე ძალიან ნიჭიერი ადამიანი. მან საგანგებოდ ამ სტუდიისთვის შექმნა კურსი სამშობლოსმცოდნეობა, რომელსაც დაემყარა სტუდიის მუშაობა. თვითონ ამ ტერმინის მიგნებაც ალბათ ერთი საქმეა. დამაფიქრებელი სიტყვაა. ზოგი ადამიანის ცხოვრებამ შეიძლება ისე გაიაროს, რომ ის არც დაფიქრდეს, იცნობს თუ არა თავის სამშობლოს. და თუ არ იცნობს, ვერც ეყვარება. ხალხურ შემოქმედებაში კი უდიდესი საუნჯე ინახება, და ყველაზე მეტად სწორედ ეს შემოქმედება ეხმარება ადამიანს სამშობლოს შეცნობაში.

„ამერ-იმერში" ხდება ხალხური მემკვიდრეობისადმი კომპლექსური მიდგომა.

სტუდიის მთავარი მიზანი ბავშვის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდაა, რისი საწინდარიც მისი მშობლიურ ნიადაგზე დაყენებაა. აქ ეს უმთავრესად მუსიკალური ფოლკლორის საშუალებით ხორციელდება; მაგრამ ამას გარდა ბავშვები სწავლობენ ქართულ ხალხურ საბავშვო თამაშობებს, ცეკვა-ფერხულებს, ეცნობიან საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას, მითოლოგიას, ზეპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობენ საგალობლებს. საერთოდ, ექმნებათ ის გარემო, რაც ქართული ტრადიციული ყოფისთვის არის დამახასიათებელი.

„ამერ-იმერი“ დღეს ლურჯ მონასტერთან არსებული ბავშვთა სტუდიაა. მისი ხელმძღვანელია გიგი გარაყანიძე. ის ხელმძღვანელობს ასევე ეთნომუსიკის თეატრს „მთიები".

ახლა სტუდია „ამერ-იმერის“ წნორის ჯგუფზე მოგახსენებთ:

ამ ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატორი იყო მამა დავითი — დეკანოზი დავით გრიგალაშვილი. იგი წნორში მოღვაწეობდა.

ვფიქრობდი, მოკლედ როგორ დამეხასიათებინა იგი და ალბათ, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ასეთი აზრი მომივიდა: მამა დავითი ბუნებით იყო ისეთი ლაღი, თავისუფალი და დადებითი ენერგიით სავსე, როგორიც ქართული ხალხური სიმღერაა, და შინაგანად ისეთი მშვიდი, ამაღლებული და კეთილშობილი, როგორიც ქართული საგალობელია.

მამა დავითი მოღვაწე ადამიანი იყო. ალბათ ვერავინ გაიხსენებს მას მოწყენილი სახით, მაგრამ უამრავი საზრუნავი თუ სადარდებელი ჰქონდა, ძალიან ბევრს ტვირთულობდა, ძალიან ბევრს შრომობდა... მაგრამ ამ ყველაფერს აკეთებდა დიდი და გულწრფელი სიყვარულით და დიდი სიხარულიც ჰქონდა. მასთან ურთიერთობა ზეიმი გახლდათ ყველასთვის. ყოველთვის იყო იმედით და ხალისით სავსე. ალბათ ასე ცხოვრებაა ყველაზე დიდი სიყვარულის და მადლიერების გამოხატვა ღვთისადმი.

მას ძალიან უნდოდა რომ თავის შვილებს, და სხვა ბავშვებსაც — წნორში, ესწავლათ ქართული ხალხური სიმღერა. მე შემთხვევით (ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს შემთხვევით ნამდვილად არ მომხდარა) ქუჩაში შემხვდა ჩვენი საერთო ახლობელი, მეგობარი (ნიკა მინდიაშვილი), რომელმაც მითხრა, რომ წნორში იყო ასეთი ადამიანი, რომელსაც უნდოდა ბავშვებს ესწავლათ ხალხური სიმღერა, და მკითხა, ხომ არ ვიცნობდი ვინმეს, ვინც შეძლებდა რომ იქ ევლო და ეკეთებინა ეს საქმე. მე ვუპასუხე, რომ ვეცდებოდი, გამეხსენებინა ასეთი პიროვნება. იმ წუთში ვერ წარმოვიდგინე, მაგრამ მალევე ვიგრძენი, რომ ძალიან მომინდა იქ სიარული... ამ საქმეზე ადრეც ხშირად მიფიქრია. მახსოვდა ჩემი მასწავლებლის, ედიშერ გარაყანიძის ნათქვამი: ხალხური სიმღერა სოფლიდან მოდის, და ახლა ქალაქში უფრო მღერიანო... უნდა დაუბრუნდეს ხალხს ის, რაც მათ ეკუთვნისო (ზუსტ ციტირებას შეიძლება ვერ ვახდენ).

დავიწყე წნორში სიარული: ჯერ მამა დავითის ოჯახი გავიცანი, შემდეგი ჩასვლისთვის უკვე დავიბარეთ ბავშვები მუსიკალური სკოლის შენობაში (აქვე მადლობას ვუხდი მუსიკალური სკოლის დირექტორს, დარეჯან ლუარსაბიშვილს), ჩავედით გიგი გარაყანიძე, ჯოკია გუგავა ("მთიების" წევრი) და მე. მივიღეთ ბავშვები და ამის შემდეგ, უკვე 6 წელია, რაც დავდივარ. ბავშვები სიხარულით და ინტერესით ეკიდებიან ამ საქმეს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

სტუდიაში გვყავს სხვადასხვა ოჯახიდან დედმამიშვილებიც: 4 და-ძმა (მამა დავითის შვილები), 3 და-ძმა , 2 და. ეს კიდევ უფრო მეტ იმედს იძლევა, ალბათ, იმისა, რომ სასიმღერო ტრადიცია გაგრძელდება და თაობიდან თაობას გადაეცემა.

მამა დავითი 2009 წლის სექტემბერში გარდაიცვალა.

იგი მართლაც მამა იყო ყველასთვის, უგულითადესი მეგობარი. ძალიან უყვარდა სტუმარი და ალბათ ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომ დღეს ამ დარბაზში მოსულ სტუმართაგან ძალიან ბევრი სწორედ მისი ოჯახის სანახავად მოვიდა.

ბევრი საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. სცენას ვუთმობ „ამერ-იმერს".

* * *

სცენაზე გამოდიან პატარა ანგელოზები — სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ ლელა, ნინო, მარიამ და გიორგი გრიგალაშვილებს, ნინო, ზაზა და ზურა ჯავაშვილებს, ანი და თეონა მჭედლიშვილებს, ნინო ბეგაშვილსა და ნინო კოხტაშვილს.

გაისმის მათი ბავშვურად სუფთა, წკრიალა ხმა, დიდური სერიოზულობით ნანას უმღერიან აკვანში ჩაკრულ ბიჭუნას — მომავალ საქართველოს. ბავშვების ჩაცმულობა — თეთრ პერანგებზე ამოქარგული ჯვრები, მოზარდების ბუნებრივი ქცევა სცენაზე და, რაც მთავარია, გულში ჩამწვდომი ხმა — ყველაფერი ერთად განსაკუთრებულ გარემოს ქმნის, თითქოს იდუმალი ხმა გვიხმობს,სხვა სამყაროში შესასვლელი ჯადოსნური კარი იღება და ჩვენ თვალწინ ძველი, ნამდვილი საქართველო იშლება.

დარბაზის ოვაციებს ახლა მეგრული ნანა აწყნარებს, მას მოსდევს საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის ნიშნეული საძეო სიმღერები..

ყმაწვილები მარტო კი არ მღერიან, არამედ გულსა და გონებაში აქვთ გამოტარებული თითოეული სიმღერის მნიშვნელობა და დანიშნულება. სცენიდან გვიხსნიან, რა არის „არიფანა". გიორგი ლეონიძის მიერ უკვდავად ქცეულ ამ თამაშს ჯერ პოეტისავე სიტყვებით აღწერენ, შემდეგ კი სახიერად წარმოადგენენ. ისმის გამოცანები, შაირები, ლექსები და რა თქმა უნდა სიმღერები — საპატარძლო, მაყრული, ცანგალა და გოგონა...

მაყურებლის დაუწმენდავი ფიქრები: ნუთუ ეს რეალობაა და არა ზღაპარი? თანამედროვე, გიჟურ რიტმებში ჩაძირული მთელი სამყარო და, მათ შორის, სცენაც, დღეს მართლა იტევს ამ სიწმინდეს, კდემას, ამ მშვიდ სიხარულს?

მეორე მხრივ: ნუთუ ეს მხოლოდ წარმოდგენისთვის შეიქმნა და წარმოდგენადვე დარჩება? ნუთუ არასდროს არ დაუბრუნდება ქართულ სოფელს ძველი, ჩვეული იერი?

მაგრამ პატარა მსხიობები ფიქრს არ გვაცლიან.

ახლა მზის უძველეს, წარმართულ საგალობელს მღერიან, მას შრომის სიმღერები ცვლის, გვხიბლავს ერთად თავმოყრილი „ივერიანელების სიმღერა, გალობა, ღიღინი“, საგანგებოდ რომ იკვლევდა ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ეროვნული სულიერების ერთ-ერთ დვრიტას.

შემდეგ — ზედაშეს და ჭონას განმარტებანი:

### „ზედაშე“

კახეთში, ქიზიყში, თითქმის ყველა ოჯახში ნახავდით ერთ, გამორჩეულ ქვევრს, რომელშიც განსაკუთრებულად კარგ ღვინოს, ზედაშეს ინახავდნენ. ეს ღვინო ტაძ-

რისთვის შესაწირად იყო განკუთვნილი. საზედაშე ქვევრიდან ოჯახური საჭიროებისთვის ღვინის ამოღება არ შეიძლებოდა.

მოგვიანებით, როდესაც ტაძრებში წირვა-ლოცვა აკრძალეს, დააზიანეს ეკლესიები და იქ მისვლაც კი საფრთხეს წარმოადგენდა, ქიზიყელებმა სალოცავ ადგილად საზედაშე ქვევრი აირჩიეს.

საღვთო დღესასწაულებზე, ღვთისთვის მადლობის სათქმელად თუ წყალობის სათხოვნელად ოჯახი ან ნათესაობა ამ ქვევრთან იკრიბებოდა. ანთებდნენ სანთელს, საგანგებო ლოცვით სიმღერას — იავნანას იმღერებდნენ, იშლებოდა სუფრა...

თუ ოჯახი საცხოვრებლად სხვა ადგილს აირჩევდა, საზედაშე ქვევრს მაინც ინახავდა, შემოლობავდა და მასთან ხშირად დღესაც იკრიბებიან.

## „ალდგომა"

ალდგომა დღესასწაულთა დღესასწაულია და მის გათენებას ყველა მოუთმენლად ელის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სააღდგომო წირვის შემდეგ ტაძრიდან საზეიმო განწყობა მის ეზოში გადაინაცვლებდა ხოლმე. ზემო იმერეთში და რაჭაში ამ დროს სადღესასწაულო ფერხულს, "ქრისტე აღდგა"-ს აბამდნენ.

ალდგომის დღეებში სოფლად რამდენიმე ადამიანი შეიკრიბებოდა იმისთვის, რომ ჭონაზე ჩამოევლოთ, ანუ თითოეული ოჯახისთვის ქრისტეს აღდგომა სიმღერით მიელოცათ. მასპინძლები კი მეჭონეებს წითელი კვერცხებით და ზოგჯერ სხვა სანოვაგითაც უმასპინძლდებოდნენ.

ჭონა საქართველოს კუთხეებში სხვადასხვაგვარად იცოდნენ. მაგალითად, მესხეთში მეჭონეები სალამურზეც უკრავდნენ, რაჭაში ბუკის მაგვარი საკრავი დაჰქონდათ თან და თითოეულ ეზოში მასში სამჯერ უნდა ჩაებერათ. ზემო იმერეთში ჭონის შესრულების ძალიან საინტერესო წესი ჰქონიათ: ოჯახში მისულ მეჭონეთა სიმღერაში მასპინძლებიც ერთვებოდნენ და მათ შორის გაშაირების მსგავსი შესიტყვება იმართებოდა.

თუ ოჯახს ამის საშუალება ჰქონდა, მეჭონეებს სახლშიც შეიპატიჟებდა და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს უზიარებდა ალდგომის სიხარულს.

(აქ მინდა ალვნიშნო, რომ ჭონას და ალილოს ტრადიცია 1980 წლებიდან ალადგინა ედიშერ გარაყანიძემ, მაშინ ძალიან ახალგაზრდამ, 22-23 წლისამ, თავის მეგობრებს, "მთიების" წევრებს შეასწავლა შესაბამისი სიმღერები და ყოველ წელიწადს დაჰყავდა სხვადასხვა სოფლებში, სადაც ეს ტრადიციები ხანშიშესულ ადამიანებსაც თეორიულად ახსოვდათ. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება: დღევანდელი "მთიებიც" და "ამერ-იმერიც" ყოველ წელს დადის ალილოსა და ჭონაზე.

ედიშერ გარაყანიძე 1998 წელს ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა თავის მეუღლესთან და ქალიშვილთან, მარიკასთან ერთად).

სცენიდან კი უცებ, თითქოს მოულოდნელი — აფხაზური სავაჟკაცო სიმღერა, მერე სტუმარმასპინძლობის საგალობელი, ღვთის სადიდებელი. „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, საქართველოს დამშვიდება", ლამის დარბაზიც აჰყვეს. ამასობაში: „მამაპაპურო ვენახო, მოგნახე და ალგადგინეო".

მართლაც კეთილმორჩები, ახალალნაგნი დგანან სცენაზე და მათი მხმობელი ხმა მარტო კი არ გვატკბობს, არამედ მოგვიწოდებს... თინათინ შერვაშიძემ, სტუდიის ხელმძღვანელმა, დაკარგული ვენახივით მონახა და ალადგინა ჩვენი ტრადიციები, სასიმღერო წეს-ჩვეულებანი, ეროვნული ძარღვი და გვჯერა, უფრო სწორად, გვინდა, რომ ეს მაგალითი გადამდები იყოს. ამ ახალგაზრდების სულიერი ცხოვრება ახლა უკვე ისე მდიდარია, რომ ისინი ამ ვრცელ და უკიდეგანო სამყაროში არასოდეს იქნებიან მარტონი, არ დაითრგუნებიან...

დიდხანს უკრავდა დარბაზი ტაშს პატარა გოგო-ბიჭებს. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა თავისი გამოცემები აჩუქა სტუდიის წევრებს, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი, მათივე თქმით, მაყურებლის საათნახევრიანი გაუნელებელი ინტერესი და ყურადღება იყო.



ფრიდეშ კარინტი

# სამი ნოველა

## ბატონი იდეგეში იძინებს

ბატონი იდეგეში ახლაც ისევ ოდნავ დაბნეული და გალიზიანებული ჩანს, ამიტომაც საღამოს თერთმეტზე უკვე მიიღო გადაწყვეტილება — წავიდეს შინ და დაიძინოს, მითუმეტეს, რომ დილაადრიან არის ასადგომი — შვიდისთვის — რადაო?.. ჰო, რა თქმა უნდა, — მატარებელი! სახელდახელოდ ითამაშა კიდევ ორი პარტია და მოჭადრაკეებს ბოდიშის მოხდით გამოეთხოვა, შინ მეჩქარებაო.

გზად მიმავალი ფიქრობს — მაინც კარგია დილით ადრე ადგომა, შევალ აბაზანაში, ბანაობის შემდეგ კაცი უფრო მხნედ გრძნობ თავს... მოიცა, მოიცა, რა ბანაობა, მატარებელმა არ გამასწროს. კარგი. სამაგიეროდ ისე ადრე აღარ ავდგები.

ბატონი იდეგეში, ისე ფრთხილად რომ მობინადრენი არ გააღვიძოს, აღებს კარს და ოთახში შესულს ახსენდება, რომ იქ არავინ არის. ანთებს სინათლეს და ქოქავს მაღვიძარას.

შემდეგ კმაყოფილებით გაიშოტება საწოლზე — ახლა დავიძინებ.

ეს გადაწყვიტა გადაჭრით, მტკიცედ და განუხრელად, როგორც შეეფერება ნამდვილ მამაკაცს. მორჩა, ვიძინებთ, ენერგიულად უბრძანა თავს. რა ამბავია? — ეკითხება ორი წუთის შემდეგ საკუთარ თავს, — რატომ არ მძინავს აქამდე? არ ვარგა, დილით ვერ ავდგები დროზე.

ჰოდა, — ამბობს ორი წუთის შემდეგ, — ახლა უსათუოდ დავიძინებ. და იქვე — შიშით: ფუ, საოცარია, არა? კაცი სრულ გონებაზე ხარ და ერთ წუთში უკვე ველარაფერს გრძნობ, არც ალარაფერი გახსოვს... თითქოს მოკვდი. ბრრრრ!..

მტკიცედ ბრუნდება მეორე გვერდზე — რასაკვირველია, ყოველ წუთს თუ იფიქრე — ახლა დავიძინებ და ახლა დავიძინებო, არასოდეს დაგეძინება, — ეს აზრი წარამარა გამოგაფხიზლებს. ვისაც მართლა სურს დაძინება, ამაზე არც ფიქრობს, ადგება და იძინებს. ანკი შენს თავს როგორ უნდა უთხრა, ახლა დავიძინებო, უკვე თუ იძინებ?..

ჯანდაბა, სულ დავიბენი... ბატონ იდეგეშს სულმთლად ოფლმა დაასხა. გამოდის, რომ თავს ატყუებ. ფიქრობ სულ სხვა რამეზე, ძილი კი შეუმჩნევლად გეპარება, თავისთავის... ბატონი იდეგეში იხსენებს განვლილ დღეს, როგორ ჩაიარა, რა გააკეთა, მაგრამ თავში არაფერი მოსდის ხეირიანი. მარტო ჭადრაკის ის ორი პარტია... ეს გარკვეულად დაამახსოვრდა. მან მოულოდნელი ქიში გამოაცხადა, ცხენი შორს იდგა, ლაზიერს ვერ მოკლავდა, ის მეფეს იცავდა, სამაგიეროდ კუთი ზედიზედ ორი პაიკი აიყვანა.

სწრაფად იცვლის გვერდს და მზერას ოთახში გამეფებულ წყვდიადს მიაპყრობს. მაგიდის წინ ორი სკამი დგას, ერთი რატომღაც ზურგშექცევით. ღმერთო ჩემო, ეს სკამი ნერვებს მიშლის, რად დგას ასე უჩვეულოდ? უნდა გავასწორო... აჰ, ცხადია, სკამი კარადის ახლოა და ოდნავ გვერდით... კარადამ რომ ცხენის სვლა გააკეთოს, სკამს წააქცევს და ლუმელს ქიში ექნება. თუმცა იქ ნაგვის კალათა



დგას და სკამს დაიცავს. საწყენია, ვერ მოკლავენ. ყოველ შემთხვევისათვის მე მაინც ავილებ, თორემ დილამდე არ დამეძინება.

ბატონი იდეგეში წამოხტება, გადადგამს სკამს და წვება. აჰა, კიდევ — მხარმარცხნივ იწვა. სწრაფად გადატრიალდება ზურგზე. ეს უკვე სხვა რამ არის. გული ახლა თანაბრად ფეთქავს. ახლა ყველაფერი რიგზეა.

რასაკვირველია, მარტო ბალიში დევს არასწორად. ბალიშს მოხრის და მუთაქასავით ამოიდებს თავქვეშ, მაგრამ ორი წუთის შემდეგ ხვდება, რომ ასე ვერ დაიძინებს — სუნთქვაა შეუძლებელი.

ახლა კი აღარაფერი უჭირს... ოღონდ საბნის კიდე ცოტა ამოიგოს ფეხქვეშ. მალე ახალი აზრი უჩნდება — ასე მჭიდროდ რომ ამოიგოს საბანი, ფეხებს ხომ ველარ გაატოკებს... ისე, სიმართლე რომ ითქვას, რა ფეხების ქნევა უნდა აგიტყდეს კაცს, დასაძინებლად თუ ემზადები?.. მაგრამ მაინც ვერ მოისვენებ — გათოკილივით წევხარ.

ბატონი იდეგეში სწრაფად მოკეცავს ფეხებს და მუხლებს ნიკაპთან მიიტანს. ახლა საბანი მოშვებულია, სამაგიეროდ გვერდიდან სიცივე ატანს. გაშლის მარჯვენა ფეხს დიაგონალურად, მარცხენას ჩამოუშვებს საწოლიდან, ხელებს კი კისერზე შემოიხვევს. ნახევარი საათის შემდეგ ორ ბალიშს დაიდებს ფეხებზე და ეხვევა საბანში. ოცი წუთის მერე საწოლზე გარდიგარდმო წვება და ფეხებს კედელს მიაბჯენს. ოცდათხუთმეტ წუთში ხვდება, რომ ერთადერთი სწორი მდგომარეობა იქნება — დაწვეს პირქვე, საწოლის შუაში, გაშალოს ფეხები განზე, მარცხენა ხელი შეყოს გაქელილი ლეიბის კიდეში, იატაკამდე რომ დასთრევს, მარჯვენა ხელით კი საწოლთან მოჩოჩებული მაგიდის ფეხს ჩაებღაუჭოს.

დილის ექვს საათზე, როგორც იქნა, მიხვდა, რადაც არ დაეძინა — თვალები არ დაუხუჭავს.

## ბატონი იდეგეში მეგობარს აცილებს

ბატონ იდეგეშს ნერვები ოდნავ აუცუნდრუკდა. არა, ძალიან კი არა, მაგრამ დიდი სურვილი გაუჩნდა ახლა, ვილაცას დაეძგეროს და მთელი სიფათი ამოუნაყოს. არა, მთელი კი არა, მარტო ცხვირი, ყბები და კიდევ შუბლი თუნდაც. კიდევ სწადია, კედელი ისე გაჩხაპნოს, რომ ნალესი ჩამოყაროს ანდა ერთი რომელიმე აბრა ჩამოგლიჯოს, უმჯობესია — ეგრევე ხუთი ან სულაც ერთ აივანს გამოუთხაროს ძირი, სჯობს — ორს, და თუ აივანზე ვინმე აღმოჩნდება, არა უშავს-რა, შეიძლება ცოტა შეულიტინოს და ყელიც გამოჭრას, თან თვალები გადმოაყრევინოს და ისე დააჭყლიტოს ძირს, რომ კარგად დასველდეს ის ადგილი.

აი, მოდის ვილაც ბატონი, სქელი, ნაპატივები, თვითკმაყოფილი. ხედავ, ძმობილო, რანაირი იერი გაქვს, ძალიან

პირდაპირ გეტყვი, მოახლოებულო თავყბავ, უზომოდ გასიებულო, ეს საქმე უნდა გამოვასწორო, მანდედან ცოტა ჰაერი გამოვუშვა, აი, სულ პატარა, წვრილი ქინძისთავით ან, სჯობს ჟანგიანი, მოლუნული მავთულით, რომ ეგ შენი ცხვირ-პირი ნამეტანი გაფიქუვინებული აღარ იყოს... რა ამბავია, მესალმება კიდეც! ვინ არის, თავს რომ მიკრავს? ცხოვრებაში პირველად ვხედავ ამ სიფათს. ერთი უყურეთ, აქეთ მოდის, ღმერთმანი, იღიმება კიდეც. ახლა გამარჯობასაც მეტყვის ეს საქონელი. როგორ გავსრისო, რა ვუყო?

**გამვლელი.** მოხარული ვარ, მოგესალმოთ. ვსეირნობთ, არა? კი არ ვსეირნობთ, მშვენიერი ამინდით ვტკბებით, არა?

**ბატონი იდეგეში** (თავისთვის). ოჰ, არამზადა, მე ხომ არ გიცნობ, წარმოდგენაც არა მაქვს, პირუტყვო, ვინა ხარ, და საერთოდ — მომწყდი, დაკავებული ვარ, ხმასაც არ გაგცემ. როგორ ბედავ მოსალმებას? დამაცადე, განანებ,ოი, რა მწარედ განანებ, როცა სულის ლაფვას დაიწყებ, უკანასკნელი ძალლივით რომ მოიკრუნჩხები სულთმობრძავი, განანებ იმისათვის, რომ თავხედურად მაწუხებ შენს მბრძანებელს და ბატონს (ხმამაღლა). ჰო, ვსეირნობ, სუფთა ჰაერს ვყლაპავ...

**გამვლელი.** კი არიან ადამიანები, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, უბრალოდ ისეირნონ და სუფთა ჰაერი ისუნთქონ... კეთილი, თქვენ თუ მართლა მხოლოდ სეირნობთ, მაშინ იმ კუთხემდე მიმაცილეთ.

**ბატონი იდეგეში** (თავისთვის, ბოროტი ხარხარით). ჰა-ჰა-ჰა, საზიზღარო ქოსმენო, გაფუყულო ქრცვინო, არა, არ აგცდება საშინელი ტანჯვა, ტკივილისაგან აწკმუტუნებული მთხოვ პატიებას ამ გამბედაობისთვის, თავს რომ მაცილებინებ იმ კუთხემდე, მაშინ, როცა სულაც არა გცნობ, მაშინ, როცა მინდა თავზე წაგავლო ხელები, მოგიჭირო, გრდემლზე დაგიდო და ურო დავცხო, როგორც ლითონის გავარვარებულ ლუგვს (გამვლელთან ერთად მიდის კუთხემდე).

**გამვლელი.** აბა, მითხარით, როგორ ვცხოვრობთ? კარგად ვცხოვრობთ, ვხედავ. მშურს თქვენი, ჰე-ჰე-ჰე. ცოტა ავჩქარდეთ, საქმეები მაქვს.

**ბატონი იდეგეში** (თავისთვის). ჰო, ჰო, დავიწყებ შენი თავით, უბედურო, ეს უკვე ზედმეტად გადავწყვიტე, დავიწყებ თავით, შე საცოდავო, განწირულო, ლამის უკვე მებრალები კიდეც, მაგრამ ველარაფერს გააწყობ — ეს რამ მოგაფიქრა, რო მე დაგესაქმე, რა ჩაიდინე, განა ვერ იგრძენი, რა მოგელოდა? იმით დავიწყებ, რომ თავს მოგახერხავ. ხერხი, რაც უნდა გეწყინოს, ძალზე ბლაგვი იქნება, იცი, ისეთი ჟანგიანი, აულესავი ხერხი, რომელიც ისე გულისამრევად ღრჭიალებს, კორძი თუ შეხვდება, რომ გინდა ამოსწიო, შეანჯღრიო, რათა კარგად წავიდეს. მე ხომ დიდხანს უნდა გხერხო, ჯიგრამდე, რადგან შენ იმდენად არარაობა და სულელი ხარ, რომ გაბედე და მე ფეხის აჩქარება მთხოვე, თუმცა მე იმ ქუჩაზე, საითკენაც მიმათრევ, სულ არაფერი მესაქმება და საერთოდ არ გიცნობ და არც მინდა გიცნობდე, და იმდენად მძულხარ, იმდენად... ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობისას, როცა ბალღები თავისთვის უდარდელად თამაშობდნენ ქალაში, მე არ ვთამაშობდი, ვიჯექი მარტო კიკოსავით ოთახში და მთელი არსებით მძულდი (ფეხს აუჩქარებს).



მხატვარი მალხაზ იაშვილი

**გამვლელი.** ერთი წუთით შეჩერდით, ცოტა ხურტკმელს ვიყიდი. იცით, დიდებული რამ არის ეს ხურტკმელი, მე ძალიან მშველის, ერთადერთი კენკრაა, ჩემი კუჭი რომ უძლებს. ისე, კარგი კუჭი კი მაქვს, მაგრამ ვერც ერთ კენკრას ვერ იტანს, ვერ იტანს, მორჩა და გათავდა. მიირთვით, გეთაყვა!

**ბატონი იდეგეში** (თავისთვის). მიდი, აბა, მიჰყევი, პირუტყვო, ხეთქე ხურტკმელი, რომ შენი ნაწლავები მაგრები და მოქნილები იყვნენ და არც იფიქრონ გაწყვეტა, როცა ჩემი ქონდაქრები შემოგახვევენ კისერზე, ამ დროს კი მე მაგ ვირივით ყურებს თანაბარ ნაწილებად დავჭრი, თხლად, პატარა ბაფთებსავით, მერე ერთიმეორეზე ჩამოვკიდებ სუფრის ფოჩების მსგავსად. ჩემი ერთი თანაშემწე კი ამ დროს ცხვირში შეგჩრის რკინის დიდ მილს, რომლითაც შენ, იდიოტს, გაგაგებინებს, თუ რა საშინელი სიკვდილი გელოდება იმისათვის, რომ გაბედე, ხურტკმელი მოგერთმია ჩემთვის. მე ხომ რა წამსაც ხურტკმელს წარმოვიდგენ, მაშინვე კბილებმა უნდა ტეხა დამიწყონ, სამი დღე უნდა მტეხდეს და მტკიოდეს კბილები ისე, რომ მარტო წითელი ხის ნახერხის ლეჭვასღა თუ შევძლებ, ისიც წყალში გაწზავებულისას (ხმამაღლა). ო... დიდი მადლობა... (იღებს რამდენიმე მარცვალს).

**გამვლელი.** აი, უკვე მოვედით. მე აქ ავალ, მესამე სართულზე. ცოტა ხნით. ხომ მომიცდით? (სწრაფად მიდის).

**ბატონი იდეგეში** (თავისთვის). ერთ რამეზე ვფიქრობ მარტო — რა იქნება, რომ პატარა კაკვით ბასრი დანა გამეკეთებინა და შენთვის ძარღვები გამომეწელა? და მერე ხომ არ დაგიდგა ხმის ჩამწერი, რომ მაგ გალურჯებული ლაშებიდან გამოფრენილი საბოლოო ხროტინი შემენახა ჩემი შვილიშვილებისათვის, სავარძელში რომ მოვკალათდებოდი მოხერხებულად და ვეტყოდი — აი, ბავშვებო, იმ ძიას უკანასკნელი ხროტინი, რომელიც ისეთი თავხედი და იმდენად უსინდისო იყო, რომ მან, ვინც მისდღემში თვალით არ მენახა და ისე მეზიზღებოდა, როგორც პირწავარდნილი ურჩხული, ჩათვალა, რომ მე დავუცდიდი ქუჩაში მანამდე,

სანამ ის თავის საქმეებს მოათავებდა. თქვენ რომ გენახათ, ბავშვებო, მისი საძაგელი გამომეტყველება, გენახათ, როგორ წაივლო გულზე ხელი, როგორ დაიფშხალა, როგორ აწრიალდა, როცა მიხვდა, რომ ფიქრადაც არ მომსვლია მისთვის მომეცადა — იმ წუთშივე წაველი და მისი სიკვდილით დასჯის განკარგულება გავეცი... (იცდის საათ-ნახევარს).

**გამვლელი** (საათ-ნახევრის შემდეგ ბრუნდება). ბიჭოს, თქვენ ისევ აქა ხართ? ჩანს, ძმაო, თქვენ თავზესაყრელად გაქვთ დრო. მართლა, ვინა ხართ?.. ვხედავ, რომ შვარცი არა ხართ, მე კი შვარცი მეგონეთ! ისე, იცოდეთ, რომ მსგავსი არაფერი მინახავს... ხურტკმელის რამდენიმე მარცვლისთვის აეკიდოთ სრულიად უცნობ კაცს... და სდიოთ ნახევარი დღე... უტიფარი ყოფილხართ მართლაც! თფუ (სწრაფად მიდის).

### ბატონი იდეგეში თავს იკლავს

მაშ, მაშ, მაშ კეთილი, თავისთვის ამბობს ბატონი იდეგეში და ცდილობს ყოველ „მაშზე" მარცხენა ფეხი დააბიჯოს ტროტუარის ყოველი მეორე ფილაქვის კიდეს. მაშ, მაშ, მაშ, ერთი სიტყვით — თხლაშ, ეს საქმე არ ხერხდება. სამი კვირა მჯეროდა, რომ მოხერხდებოდა, ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ გამოსულიყო... ახლა კი — რას მიბრძანებთ, უნდა რაღაც ახალი მოვიფიქრო, მიდი, გეთაყვა, მოიფიქრე რაიმე...

მიდი, ჰო, მიდი, მიდი-მეთქი, ლაპარაკობს თავისთვის ბატონი იდეგეში და უცებ მოისაზრებს, რომ „მიდი" სამჯერ წარმოთქვა, სამი კი მისთვის თარსი რიცხვია და ერთ „მიდისაც" დაამატებს. რაღაც უნდა მოიფიქროს, ეს ცხადია. მაგრამ რატომ? მოვიცადოთ, იქნებ გამოვიდეს ის საქმე. ეჰ, არა, ვერ მოხერხდა, საბოლოოდ და უსაშველოდ.

არ მოხერხდა? მაგრამ ეს ხომ საშინელებაა, ეს მთლად აუტანელია. რა ვქნათ? ეს კიდევ არაფერი, რომ არ მოხერხდა — ახლა სხვა რამეზე ფიქრის თავიც კი აღარ აქვს, ისე სჯეროდა, რომ მოხერხდებოდა. საზიზღრობაა. საძაგლობა. ფიქრიც აღარ შეუძლია... ასე იყო ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ, და მაშინაც ასე საძაგლად გრძნობდა თავს. თავის მოკვლაც კი გაიფიქრა, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ.

ც-ც-ც, ენას უკიდებს წკლაპუნით ბატონი იდეგეში და ფრჩხილებით ფხოჭნის ხელისგულს, მიდი, მიდი, მოიფიქრე სხვა რამე, უფრო ჭკვიანური და სასიამოვნო. მაგალითად, გაიხსენე, როგორ დადიოდი შინ მის უდიდებულესობასთან. მის უდიდებულესობასთან შესანიშნავი იყო, მისმა უდიდებულესობამ მიიპატიჟა იდეგეში, გაუმასპინძლდა სიგარეტით და ისინი ძალდაუტანებლად შეჰყვნენ მასლაათს. მას, სკამის ზურგზე რომ გადაწვა, ორი თითით ეჭირა სიგარეტი და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ცხოვრებაში იმის მეტი არაფერი ეკეთებინოს, ვიდრე მის უდიდებულესობასთან მუსაიფია. ეს მართლაც მშვენივრად გამოუვიდა, უეჭველია, მაგრამ მაინც რაღაც ხინჯი დარჩა გულში... ჰო, ეს იმის გამო — მისმა უდიდებულესობამ რომ ჰკითხა ვილაცის შესახებ, მას კი ეგონა — ჩემზე, ბატონ იდეგეშზეა საუბარიო, და გონებამახვილური შეპასუხებით მოუნდა შთაბეჭდილების მოხდენა. ფუ, რა სირცხვილია! მისმა უდიდებულესობამ დაბნეულად გაიღიმა და თქვა — „ბოდიში, ეს რასაკვირველია, კარგია, მაგრამ მე თქვენ როდი გგულისხმობდით..." და ის აბუტბუტდა, როგორღაც რომ მიეფუჩეჩებინა თავისი მარცხი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... ფუ, რა საზიზღრობაა, აი-აი-აი-აი... ფუ-ფუ-ფუ-ფუ...

ბატონი იდეგეში წითლდება და თვალებში უყურებს მოახლოებულ გამვლელს. „მერე რა მოხდა?! — ლაპარაკობს თითქმის ხმამაღლა, — რა მოხდა, რა თქვენი საქმეა?.. მერე რა, რაც იყო, იყო, სულერთია, მთლად ასე არ არის". ბოლო სიტყვებს მართლა ხმამაღლა წარმოთქვამს.

ჰო... გაჩუმება არჩია, მისმა უდიდებულესობამ რაც იალლიშში დაიჭირა. ფუ, რა საძაგლობაა, ვილაპარაკოთ რაიმე სხვაზე... ფუ-ფუ-ფუ-ფუ...

ბატონი იდეგეში ხელებს იქნევს და ერთიანად აჭარხლებული წამოიძახებს — „ვილაპარაკოთ სხვა რამეზე!" — ვილაცებმა შეხედეს, ფეხს აუჩქარა.

აი-აი-აი-აი. ფიქრობს თავისთვის. ვილაპარაკოთ სხვა რამეზე... მაგრამ არ გამოდის, საშინელებაა, არა, აღარასოდეს წავა იქ. რა ჰქნას?! უჰ, რა სისულელეა!.. ჰაფ, ჰაფ, ეს რაღა „ჰაფია"?.. ჰო, რევოლვერი. წავა შინ და თავს მოიკლავს, რადგან ამხელა სირცხვილის ატანა აღარ შეუძლია.

კი, კი, თავს მოიკლავს!.. და ბატონი იდეგეში რამდენადმე მშვიდდება. ჰო, ახლა ნამდვილად შესაფერისი დროა. სულერთია — ყველაფერი, ეშმაკმა უწყის, როგორ მიდის, ის საქმეც არ მოხერხდა... არა, ყელში ამოუვიდა, ამოუვიდა კი არა, თავზე გადასდის... ისე განამდა. აი, სამი წლის წინათ... მაშინაც მსგავსი შეცდომა მოუვიდა... და მაშინაც უნდოდა თავის მოკვლა... არა, რაღაზე გადასდო ამ დღემდე? ჰაფ და მორჩა. აღარაფერზე არ იქნება ფიქრი საჭირო.

რა ადვილია — მიიბჯენ რევოლვერს შუბლთან, გამოჰკრავ ჩახმახს, ჰაფ და თავი ქუდში გაქვს... ჰაფ და მორჩა საქმე.

ამ დროს ბატონ იდეგეშს მეგობარი დაუძახებს. „როგორა ხარ, იდეგეშ?" — „გმადლობ, — პასუხობს სიცილით და ხელს ართმევს. — ჰაფ და მორჩა საქმე". „რა ჰაფ?" შენ დღესაც დაბნეული ჩანხარ". „სულაც არა ვარ დაბნეული, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მთავარი ეს ჰაფია. აბა, კარგად იყავი".

ეს მოხერხებულად ავიცილე, ფიქრობს კმაყოფილი და სვლას განაგრძობს. კარგი კაცია, მაგრამ რა სულ მხიარულია. მომავალში სხვანაირად დაველაპარაკები. ჰო, რას ვფიქრობდი? რაღაც საინტერესო იყო... ჰო, თვითმკვლელობა...

ბატონი იდეგეში უახლოვდება კაფეს, საიდანაც მუსიკის ჰანგები მოისმის.

ტრა-ლა-ლა... რა არის? აჰა, ეს იტალიური ვალსია... ძალიან საყვარელი მელოდია... ჰო, რაზე ვფიქრობდი?

ტრა-ლა-ლა-ლა... მთავარია — თვითმკვლელობა... მთავარია — ტყვია შუბლში... არა და მართლაც რა სასიამოვნო მელოდიაა...

ლა-ლა-ლა... მთავარია — თვითმკვლელობა...

ლა-ლა... სასიამოვნო თვითმკვლელობა...

ტრა-რა... რა-რა... ვამთავრებთ სიცოცხლეს თვითმკვლელობით...

ტრა-რა... ვამთავრებთ სიცოცხლეს... ლა-ლა-ლა-ლა...

ბატონი იდეგეში მხიარულად ნილნილებს ცხვირში იტალიურ ვალსს.

თარგმნა
**ჯემალ ინჯიამ**

## ქვირფასი სტუმარი

კინორეჟისორი გიორგი შენგელაია იგონებს, რომ ერთხელაც დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ყოფნისას შეხვედრია ფედერიკო ფელინის: „გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ფელინიმ ზოგი რამ იცოდა საქართველოზე. საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანას კარგად იცნობს მისი ერთ-ერთი სცენარისტი ტონინო გუერა — ის რამდენჯერმე ისვენებდა კიდეც საქართველოში".

ჰოდა, ერთ მშვენიერ საღამოს გუერას მონატრებია საქართველო (ლამის წამოგცდეს, ნოსტალგია მოეძალაო) და წერილი გამოუგზავნია თავისი ქართველი მეგობრებისათვის:

„წუხელის მე ვფიქრობდი საქართველოზე, ვფიქრობდი თბილისზე, რადგანაც სწორედ თქვენს ქვეყანაში ზედმიწევნით სწავლობ და ძვალ-რბილში გიჯდება სიბრძნე იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო — ერთიმეორისგან განუყოფელი წარსულით, აწმყოთი და მომავლით; როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყნის მთა-ბარი, მდინარეები, ბალახი, ხეები, ჩიტები და ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავ და რომელიც მოწმეა ამქვეყნად შენი მოვლინებისა. ამიტომაც მინდა, რომ კიდევ ერთხელ ვუსურვო დღეგრძელობა საქართველოს, რომელმაც იცის არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვათა სიყვარულიც".



ტონინო გუერა

ტონინო გუერას გულწრფელი და უანგარო სიმპათია ჩვენი სამშობლოსადმი მჭევრმეტყველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იტალიელ ხელოვანს თავისი შთაბეჭდილებანი მარტოოდენ ქართველებისათვის როდი მოუხსენებია, როგორც ზოგიერთ ჩვენს სტუმარს სჩვევია, არამედ იტალიურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მასალებშიც აუსახავს (აგერ, თვით ფელინის ყურამდეც მიუწვდენია).

როდესაც მოსკოვური ჟურნალის კორესპონდენტმა ჰკითხა იტალიელ სტუმარს, საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას თქვენი დასვენების ადგილად მაინცდამაინც საქართველო რად აირჩიეთო, გუერამ ასეთი პასუხი გასცა: საცაა, მე თვითონაც ვიტყვი, ქართველი ვარო. აბა თავად განსაჯეთ — როგორც კი თბილისის ქუჩებში გავივლი, მყისვე ღიმილით მესალმებიან, მაჩერებენ და ქართულად მეკითხებიან, რავა ხარ და რასა იქმო. გამალებით ვუხსნი, ვილაცას მამსგავსებთ, მე იტალიელი ვარ-მეთქი. არა სჯერათ, ნუ გვაშაყირებო. იგივე მეორდება, რომელიმე შორეულ სოფელში რომ მოვხვდები ხოლმე. ისე მეცნობა ეს ადგილები, თითქოს ადრე მრავალგზის მენახოს. ვინ იცის, ეგებ წინარე ცხოვრებაში მართლაც ქართველი ვიყავი. ვინ იცის, ვინ იცის...

ტონინო გუერა განსაკუთრებით მოუხიბლავს თბილისის ძველ უბნებს, სადაც ყოველი კუთხე და კუნჭული ბეჯითად ექნება მოვლილი. მას არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი ტურისტის როლი. წუთითაც არ ავიწყდებოდა თავისი პროფესია. აი, უეცრად შეჩერდება რომელიმე სახლთან, აინტერესებს, როდის აშენდა, ვინ ააშენა, როგორ ცხოვრობდნენ მისი მობინადრენი, რა უყვარდათ, რა სძულდათ. იქნებ ამ სახლს რაიმე სენსაციური ამბავი ახსოვდეს... და ყველაფერს განუწყვეტლივ იწერს თავის უბის წიგნაკში.

თბილისის ქუჩებში ხეტიალი უფრო ეხალისებოდა, ვიდრე ვიზიტები კეთილ მასპინძელთა ოჯახებში, სადაც ელოდა ტრადიციული სუფრა და მომქანცველი სადღეგრძელოები. რას იზამ, გუერა გურმანთა არმიას არ მიეკუთვნება და ჩვენებური კულინარიის შედევრებზე ჭკუას არ კარგავს.

ჩვენში მას კინოსცენარისტად უფრო იცნობენ. გამოჩენილ იტალიელ კინორეჟისორთაგან ვისთან არ უთანამშრომლის გუერას. აი ისინი: მიქელანჯელო ანტონიონი, ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა, ჯუზეპე დე სანტისი, ელიო პეტრი, დამიანო დამიანი, მარიო მონიჩელი, ფრანჩესკო როზი. ვილა გამოგვრჩა?

ტონინო გუერა თავის პოპულარობას, ცხადია, კინოს უნდა უმადლოდეს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თავი მიაჩნია უწინარეს ყოვლისა, პოეტად. ასე ფიქრობენ სხვებიც. იტალიელი კრიტიკოსი ელზა მორანტე ამბობს: გუერა ჩემთვის არის ჭეშმარიტი და დიდი პოეტი. მისი პოეზია წარმოადგენს მართლაც სასწაულს, რომელიც განცვიფრებს და ავტორისადმი მადლიერების გრძნობით აღგავსებს.

გუერა გაურბის გართულებულ მეტაფორებსა და ალეგორიებს. მისი აზრით, წიგნი მკითხველის თანამგზავრად უნდა იქცეს, დაეხმაროს ადამიანს — დააძლევინოს მარტოობა და ამიტომაც უბრალო უნდა იყოს.

იგი საოცრად წააგავს თავის ლექსებს. თვითონაც უბრალოა და უშუალო. ამტკიცებენ, რომ გუერა პოეტია მაშინაც, როცა წერს პროზას თუ კინოსცენარს. პოეზია არის მისი ცხოვრების იარაღი, მისი სულის განუყრელი ნიშანი.

არსებობს ასეთი გამონათქვამიც: გუერა ერთადერთი იტალიელი მწერალია, რომელსაც ძალუძს მოგასმენინოს ხმაური შემოდგომის ფოთოლცვენისა.

უყვარს ფერწერაც და გატაცებით ხატავს, როცა კი ლიტერატურა და კინო აჩუქებენ თავისუფალ წუთებს. რამდენიმე ჩანახატი თბილისსა და ლიკანში ყოფნისას გაუკეთებია. ისინი გამოქვეყნდა კიდეც იტალიაში.

„ყველაზე მშვენიერი რამ არის ძიება", — აცხადებდა თავის ერთ ლექსში ტონინო გუერა. მრავალი რამ, რასაც ეძიებდა, ადრე თუ გვიან, უპოვია, ხოლო ყველაზე ძვირფას მონაპოვრად მიაჩნია ის უბედნიერესი წუთი, მთელი წელიწადი რომ ელოდა მეორე მსოფლიო ომის მიწურულში, გერმანიის ქალაქ კიოლნის მახლობლად მდებარე კონცლაგერში. მოთმინებით ელოდა, თავისი ლექსებით სხვებსაც ამხნევებდა და ოცნებობდა თავისუფლებაზე.

გუერა გვაუწყებს: „და ერთ მშვენიერ დღეს კონცლაგერში ველარ შევნიშნეთ ჩვენი ნაცნობი გუშაგები, ამერიკელთა მოახლოებისას რომ გაუჩინარებულიყვნენ. ბედნიერი გამოვედი ბანაკიდან, რათა გამევლო მინდორში და უეცრად ვიგრძენი, რომ პირველად, მრავალი და მრავალი თვის შემდეგ, შევყურებდი პეპელას და არა მსურდა მისი შეხრამუნება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკარგული თვითმფრინავი

როგორც ამბობენ, 1940 წლის შემოდგომაზე ინგლისელმა მფრინავებმა გადაარჩინეს ინგლისი. დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თემთა პალატაში გამოსვლისას განაცხადა: „კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ალნუსხულ ომებში აქამდე არასოდეს მომხდარა, რომ ესოდენ ბევრნი დავალებულ ყოფილიყვნენ ესოდენ ცოტათაგან". უილიამ ფოლკნერის რომანის („პალატი") გმირმა ლინდა სნოუპსმა, ესპანეთის სამოქალაქო ომის მოხალისე-მონაწილემ, მგზნებარე ანტიფაშისტმა, ზეპირად იცოდა გამოჩენილ ინგლისელ მფრინავთა გვარები და ლოცვასავით წარმოთქვამდა: მელენ... ეიტკენ... ფინუკეინ... ინგლისის სამხედრო-საჰაერო ფლოტის თვითმფრინავთა სახელწოდებანიც ჩაბეჭდილი ჰქონდა მეხსიერებაში და სასოებით იმეორებდა: სპიტფაირ... ბოფაიტერ... ჰარიკეინ... ბერლინგ... ნაცისტური გერმანიის ავიაციას ინგლისის ცაში უცხოელი მოხალისენიც ერკინებოდნენ და ლინდას ისინიც არ ავიწყდებოდა — ამერიკელები, რომლებიც არ დალოდებიან თავისი ქვეყნის ჩაბმას მეორე მსოფლიო ომში, პოლონელები და ფრანგები, რომლებიც ვერ შეურიგდნენ თავისი სამშობლოს დამარცხებას: დეიმონდ (ალბათ ამერიკელია), ვულევსკი (ნაღდად პოლონელია), კლოსტერმან (ეს კიდე ფრანგი უნდა იყოს). მათაც გაითქვეს სახელი 1940 წლის შემოდგომაზე, მათაც შეიტანეს წვლილი ინგლისის გადარჩენაში. და მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ დიდებული ფრანგი მწერალიც — ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი. დღემდე ეძებენ ზღვაში თუ ხმელეთზე დაკარგულ თვითმფრინავებსა და დაღუპულ მფრინავებს. სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულაო...

1944 წლის 31 ივლისს, დასავლეთის მოკავშირეთა გადასხდომის სამზადისისას, სამხედრო მფრინავად გარდასახული ფრანგი მწერალი ბორგოს აეროდრომიდან (კორსიკაზე) აფრინდა დაზვერვისა და ფოტოთვალთვალის მიზნით... და სამხედრო-საჰაერო ბაზაზე აღარ დაბრუნებულა.

გამოხდა ხანი. და აი, 2008 წლის 17 მარტს ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარომ" გამოაქვეყნა აღიარება იმ კაცისა, რომელმაც წუთისოფელს გამოასალმა „პატარა უფლისწულის" ავტორი. სტატიას სათაურად ჰქონდა „ეს მე ჩამოვაგდე სენტ-ეგზიუპერი" და ხელს აწერდა იმხანად 88 წლის ავიატორი ჰორსტ რიპერტი. როგორც ირკვევა, გერმანელი მფრინავი, პროვანსში დასავლეთის მოკავშირეთა გადასხდომამდე ორი კვირით ადრე, გარკვეულ რაიონს პატრულირებდა და უკვე ბაზაზე ბრუნდებოდა, როცა შენიშნა მტრის თვითმფრინავი-მზვერავი „ლაიტნინგ" (ინგლ. ელვა) პი-38, მარსელისკენ რომ მიემართებოდა.

რიპერტი მოგვითხრობს: „ჯერ კვალში ჩავუდექი, მერე ჩემთვის ვთქვი, თუკი ბრძოლას თავს აარიდებ, მე შენ მაინც ჩამოგაგდებ. ცეცხლი გავუხსენი, მიზანს არ ავაცდინე და თვითმფრინავმა ზღართანი მოადინა ზღვაში. პილოტი არ დამინახავს. მხოლოდ შემდგომში შევიტყვე, რომ ეს იყო სენტ-ეგზიუპერი, რომლის წიგნებსაც ახალგაზრდობაში ყველანი ვკითხულობდით და ვაღმერთებდით". მარსელელმა მყვინთავმა ლიუკ ვანსელმა და ომის დროს დაკარგულ თვითმფრინავთა ძიების ასოციაციის ფუძემდებელმა ლინო ფონ პარტცენმა ხანგრძლივი გარჯის შედეგად მიაგნეს ჰორსტ რიპერტს, რომელიც გერმანიის ტელევიზიაში მუშაობდა ჟურნალისტად.

ჯერ იყო და 1998 წელს მარსელელი მეთევზის ბადეში მოხვდა სამაჯური წარწერით: „სენტ-ეგზ". ორი წლის შემდეგ ლიუკ ვანსელი ზღვის ფსკერზე წააწყდა „ლაიტნინგის" ნამსხვრევებს და ამტკიცებდა, ფრანგი მწერლის თვითმფრინავი სწორედ ეს არისო. კიდევ სამი წელი გავიდა და წყალქვეშა სამუშაოთა კომპანიამ ზედაპირზე ამოიტანა აღნიშნული ნამსხვრევები. კორპუსის ნომრის წყალობით შესაძლებელი გახდა მანქანის იდენტიფიცირება.

სენტ-ეგზიუპერის თვითმფრინავის ნეშტს 2004 წლის ივნისში საპატიო ადგილი მიუჩინეს ქალაქ ბურჟეს ავიაციისა და კოსმონავტიკის მუზეუმში.

---

ქრონიკა

**„სიცოცხლე ფიქრისთვის, სიცოცხლე ჩემი შენთვის..." ტერენტი გრანელის** ეს სტრიქონები ამშვენებს მოსაწვევს, რომელიც გვაუწყებს, რომ თბილისის კინოს სახლში 10 მაისს გაიმართა დოკუმენტური ფილმის **„მემენტო მორი"** პრემიერა. ფილმის ავტორი და რეჟისორი მურმან ასიტაშვილია. განსაკუთრებული შთაგონების, განსაკუთრებული სულიერი სიმდიდრის პოეტს მიეძღვნა ეს ფილმი, რომელიც აგებულია ტერენტი გრანელის ლექსებზე, გამოყენებულია დოკუმენტური კადრები. თითქოს ამ პრემიერის ერთგვარი გაგრძელება იყო 13 ივნისს პანტომიმის თეატრში გამართული წარდგინება **რეზო ადამიას** წიგნისა **„უკვდავება სიკვდილში"**.

საღამოს წამყვანმა **იკა ქადაგიძემ** აღნიშნა: დღეს ჩვენ ვსაუბრობთ გამორჩეულ წიგნზე, რომელიც რეზო ადამიამ მიუძღვნა ტერენტი გრანელის შემოქმედებას. ეს მისი მეორე წიგნია ამ პოეტისადმი მიძღვნილი. პირველს ერქვა **„სისხლი და ცრემლები"** და მის შესახებ **მუხრან მაჭავარიანი** ამბობდა, მე არ მეგულება მეორე პოეტი, ასე სიღრმისეულად აღქმული და წაკითხული, როგორც ტერენტი გრანელია გააზრებული ბატონი რეზოს მიერო. მართლაც ესაა წიგნი, რომელშიც ჯვარცმული პოეტის სიდიადის გადმოცემაში ერთმანეთს ეჯიბრება ესეისტი და გრაფიკოსი. შემთხვევითი არაა, რომ წიგნმა მიიღო ორი პრემია — **გალაკტიონ ტაბიძისა და დავით აღმაშენებლის სახელობისა.**

ამ წიგნშიც („უკვდავება სიკვდილში") ჩვენ ვეცნობით პოეტს, როგორც მისტიკოსს, როგორც სევდიანი პოეზიის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მკითხველი აქ გაეცნობა ტერენტი გრანელის შემოქმედებას, კიდევ ერთ, თითქმის მთლიანად უცნობ, დაფარულ შრეს. საქმე ისაა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული შემოქმედელი თავის უსაზღვრო სევდას აქსოვდა ნახატებში, რომლებსაც თავი მოუყარა მხატვარმა რეზო ადამიამ და ერთ წიგნში მოათავსა.

ავტორი ცდილობს დაინახოს ტერენტი გრანელი, როგორც მხატვარი. აქ იგი შედარებულია სხვა, მსოფლიოში აღიარებულ მხატვრებთან, გამოკვეთილია მათთან მსგავსება და განსხვავება.

წიგნის რედაქტორია **რევაზ მიშველაძე**. მისი თქმით, პროფესიონალებითა თუ მოყვარულებით სავსე დარბაზი მეტყველებს იმაზე, რომ ტერენტი გრანელი დღითიდღე იკავებს იმ ადგილს, რა ადგილიც მას ეკუთვნის ჩვენს გულებში და საერთოდ ქართულ ხელოვნებაში. **ჯანსუღ ჩარკვიანის** თქმით, დღევანდელი დღე არის იმის ნიშანი, რომ ახალგაზრდობას სურს იცოდეს წარსული, იცოდეს წარსულის ფასი. **ნოდარ ტაბიძე:** ბატონი რეზოს წიგნებს რომ გავეცანი, დავასკვენი, რომ ეს არ არის ერთი ადამიანის დაწერილი. აქ სამი დიდი პიროვნება იყრის თავს – დიდი მხატვარი, დიდი პროზაიკოსი და ლიტერატურის დიდი ისტორიკოსი. ეს სამი ერთიანობა ქმნის რეზო ადამიას. საღამოს განმავლობაში მსახიობი **ელდინო საღარაძე** კითხულობდა ამონარიდებს წიგნიდან. სიტყვა წარმოთქვეს, საინტერესოდ ისაუბრეს ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, წიგნისთვის მადლობა გადაუხადეს ავტორს: **მიმოზა ცანავამ, ვაჟა აზარაშვილმა, ნუგზარ ერგემლიძემ, შალვა დავითაშვილმა, ნოდარ ჯალაღონიამ, იზა ვეფხვაძემ, სერგი ლომაძემ, დავით შემოქმედელმა, მარსიანმა.**

**თამარ შაიშმელაშვილმა** საღამო ასე შეაჯამა: ტერენტი გრანელის თავისუფალი სული, მარადისობისკენ სწრაფმავალი, ბევრს არ მოსწონდა. 1926 წლიდან არცერთი გაზეთი არ უბეჭდავდა მას ლექსებს. დიდი და ულევი, კოსმიური ენერგიით შთაგონებული წერდა და ხატავდა, ის გამოკეტილი იყო, მაგრამ სული კოსმოსში დაქროდა, თითქოს ნიკალას ბედისწერას გადაეჯაჭვა. კოსმოსში ეს ნათება რეზო ადამიამ დაიჭირა, მან ამ მიუსაფარი შემოქმედის ობოლი სევდა და მისტიკა თავისი სულის პალიტრაში გამოატარა და გვითხრა არა – გვახსოვდეს სიკვდილი, არამედ – უკვდავება სიკვდილში და ამით დრო და სივრცე მოშალა. შეადარეთ ტერენტი გრანელის სტრიქონები რეზო ადამიას ფერწერას, მის „ჩამავალ მზეებს" და თბილი სევდით გამთბარ თოვლიან სიჩუმეს...

დასასრულ რეზო ადამიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. შემდეგ კი ყველამ ერთად ნახა **ამირან შალიკაშვილის** მიერ დადგმული სპექტაკლი **„უკვდავება სიკვდილში"** პრემიერა.

# როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი"?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო როსტომ!

ზედმეტი მგონია ქება უზადო გემოვნებით გამორჩეული იმ პუბლიკაციებისა, რომლებსაც ბატონი **თამაზ ნატროშვილი** გვთავაზობს ხოლმე პერიოდულად თქვენი ჟურნალის ფურცლებზე. ერთს კი მაინც ვიტყვი და ეს ალბათ მკითხველის ზოგადი აზრია: ბატონმა თამაზმა მართლაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი და ზოგი მისი სტატია ნოველასაც კი შეიძლება მივაკუთვნოთ, თუმცა ნათელ სტილსა თუ მხატვრულ მიგნებებზე მეტად დასაფასებელია ბატონი თამაზის გაბედულება და ცნობისმოყვარეობა, ახალი რაკურსით დაგვანახოს ესა თუ ის ცნობილი ისტორიული პირი თუ მოვლენა.

სახელმძღვანელო პრინციპად კი მას უთუოდ ის მოსაზრება გაუხდია, ჩვენში ესოდენ მოძალებული სტერეოტიპების გამო რომ გამოთქვა ერთ-ერთ ბოლო პუბლიკაციაში: „სტერეოტიპები, ალბათ, რალაც ზეგარდმო მადლით არიან ცხებულნი, განგებას გაძლიერებისა და ამტანობის საოცარი უნარით დაუჯილდოებია ისინი" (**„სიმართლე, ტკბილიც და მწარეც", „ჩვენი მწერლობა", №14, 2011**).

ზეგარდმო მადლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ირონიაშეფარულ ნათქვამში მწარე გულისტკივილი კი იკითხება, რაც, ისევ ბატონ თამაზს რომ დავესესხოთ, ჩვენი ცნობიერების ქსოვილში მეტასტაზებივით გამჯდარი სტერეოტიპების გამო, შეუძლებელია ქვეყნის ბედზე დაფიქრებულმა ქართველმა არ იგრძნოს.

ქართულ ცნობიერებას ხომ ორი უკიდურესობა ამღვრევს: ხელაღებით უარყოფა და ვითომ ტრადიციით ნაკურთხი შუბლმაგრობა... რომელია ამათგან უარესი, ეს კი აღარ ვიცი... ალბათ ისევ სტერეოტიპისადმი მონება, რაკილა უარყოფობა მალევე ავლენს თავის უნაყოფობას და სიმცდარეს, სტერეოტიპი კი ლულს გვგვრის და ყალბ ივანნას გვეუბნება... მათი ბრწყინვალებაც მაცთურია, რა სხივმოსილ პანთეონადაც უნდა მოჩანდეს შორიდან, და ცრუ შარავანდედის მოცილება საქართველოს ისტორიისა თუ კულტურის მოღვაწეებისათვის ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია...

ბატონი თამაზიც ამ მოქალაქეობრივი ვალის განმასახიერებლად გვეგულვის... მით უფრო დასანანია, რომ ზოგიერთ გაბედულ ვარაუდსა თუ ჰიპოთეზას, რასაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს ჩვენთვის ბუნდოვან საკითხს, ბატონი თამაზი ზოგჯერ მხოლოდ გაკვრით ეხება და თავის აზრს ბოლომდე არ გვიზიარებს. პირადად მე უკმარობის შეგრძნება დამიტოვა უკვე ხსენებულ პუბლიკაციაში „ვეფხისტყაოსნის" შესახებ თქმულმა, რომ **რუსთველის პოემა თამარის შემდგომ ხანაშია შექმნილი და რომ ამის თაობაზე სტატიის ავტორს ანგარიშგასაწევი მტკიცებულებანი აქვს...**

დამეთანხმებით, ეს მოსაზრება, ანგარიშგასაწევი მტკიცებულებით გამაგრებული, მთლიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას „ვეფხისტყაოსანზე" და რუსთველოლოგიაში მიწისძვრას ემსგავსება, რაკილა დღემდე ჩვენი უდიდესი საგანძურის – შოთას პოემის – კვლევა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სწორედ თამარისდროინდელი ე.წ. „ოქროს ხანის" კონტექსტში მიმდინარეობს, დაახლოებით ისე, არქეოლოგი რომელიმე ნივთს ფიზიკო-ქიმიური მეთოდით რომ დაათარიღებს და იმას კი აღარ დაგიდევთ, რამდენად იყო შესაძლებელი მის მიერ მონიშნულ დროს თუნდაც ტექნოლოგიურად ამნაირი ნივთის დამზადება...

„ვეფხისტყაოსანსაც" ხომ დაახლოებით იგივე ბედი ეწია: უკრიტიკოდ ვაღიარეთ რა თამარის ეპოქის თხზულებად, აღარ ვკითხულობთ, რამდენად იყო „ტექნოლოგიურად" მისი დამზადება შესაძლებელი სწორედ იმ ეპოქაში და რამდენად თავსდება რუსთველის პოემა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციაში!

იქნებ თავსდება კიდეც... ყოველ შემთხვევაში მსჯელობა და ანალიზი არ გვაწყენდა. ბოლო-ბოლო, თუკი ბატონი თამაზის ჰიპოთეზა არ დადასტურდა (არადა გვარწმუნებს, რომ ანგარიშგასაწევი მტკიცებულებანი აქვს!), ის მაინც გვეცოდინება მყარად და შეუცდომლად, რომ „ვეფხისტყაოსანი" მართლაც მეთორმეტე საუკუნის ქმნილებაა და ჩვენს გენიალურ პოეტსაც გაცილებით ადრე გამოუთქვამს არა მარტო ბიზანტიური თუ მაჰმადიანური „მაღალი სქოლასტიკის", არამედ რუმის, ავეროიზმის თუ მოგვიანო ხანის ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები...

ეს ისე, განსჯისათვის... ბატონ თამაზს კი ვთხოვთ, ნუ დაიზარებს და ქართველ მკითხველს ბოლომდე გაუმხილოს ესოდენ დამაინტრიგებელი ჰიპოთეზა, რაკილა ალბათ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, მართლაც როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი"?

**ზურაბ ლავრელაშვილი**



ჯემალ კასრაძის ფოტოსურათი

თამაზ ნატროშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კაგალი შანავა ნატურმორტი

ISSN 1987-7730